

60/3

652/3

4

102

1960

საქართველოს
საბჭოთავო მთავრობის

საქართველო

ლიტერატურა
აჭარა

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
უშრანალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის აჭარის განყოფილების
ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ა. შირვაშიძე—მღელვარე დღეები (ნაწ-
ყვეთი რომანიდან) 3

ბ. მაღაღონია—ლექსები 17

ვ. გელაძე—ლექსები 19

გ. ფოცხიშვილი—ქალღმის ნავეები (ლექ-
სი) 22

დ. ხანაღიძე—სარიდანი (მოთხრობა) . 23

ე. ჯალაღონია—ლექსები 27

თ. რამიშვილი—ერთი შვილით (ლექსი) 29

ი. ჩხაიძე—ჩემო ალუჩავ! (ლექსი) . . . 30

კ. მოღვაძე—წითელხილაბანდიანი ქალი-
შვილი (მოთხრობა) 31

ლ. მელია—ლექსები 35

მ. ბერიშვილი—იქნებ . . . (ლექსი) . 36

ნ. ჭანტუა—„ქარიშხლის თვალი“ (მოთ-
ხრობა) 37

ო. სალუქვაძე—პატარა ლექსები 42

პ. ურუშაძე—სარძლოს ღიმილი (მოთხრო-
ბა) 43

რ. უშვილი—ლექსები 45

ს. ჩიტიშვილი—ლექსები 47

ტ. კრუშელი—ათი ფოთოლი და აღსასრუ-
ლიც დადგება (მოთხრობა, გერ-
მანულიდან თარგმნა პ. ჯორ-
ბენაძემ) 48

უ. ქვიციანი—პატარა ჯამბაზი (მოთხრობა,
თარგმნა ნ. ჩიჯავაძემ) . . . 52

4074

4

1960

**ივლისი
აგვისტო**

დღეები და აღმნიშვნები

ა. ჩხაიძე—ზღვის კაცი 55

1945—1960

ი. თავაძე—სიკვდილზე ძლიერნი . . . 65

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

აღ. ჩავლიეშვილი—ეგნატე ნინოშვილის
ისტორიული რომანის გა-
მოქვეყნების საკითხისა-
თვის 68

შ. ქურიძე—სიცოცხლისა და სიხარულის
პოეტი 72

შ. კალანდაძე—კურორტი ციხკარი . . 81

მოგზაურის ჩანაწერები

შ. მახარაძე—თორმეტი დღე ამერიკის
შეერთებულ შტატებში . . 83

ტექნიკის სიახლენი

პ. მარგველაშვილი—მშვიდობიანი ატომის
ქალაქი 88

წიგნის თარო

პ. სიჭინავა—საინტერესო გამოკვლევა . 92

ნ. ჩახვაშვილი—წიგნი აქარაში რევოლუ-
ციური მოძრაობის ისტო-
რიის შესახებ 93

პ. ელიზბარაშვილი—ვაჭრობის ისტორიის
ღრმად შესწავლი-
სათვის 94



რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

ბ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, გ. სალუქვაძე (პ/მგ მდივანი),

აღ. ჩავლიეშვილი, ფრ. ხალვაში.



აზიკან შაკვაშიძე

მღელვარე დღეები

საბჭოთა საქართველოს ორმოცი წლისთავისათვის მწერალმა ა. შერვა-შიძემ დაამთავრა რომანი „ანკესი და ოქროს თევზი“, რომელიც ასახავს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლას აჭარაში.

ქვემოთ ვებედავთ ნაწყვეტებს ამ რომანიდან.

ილეოდა შფოთითა და მღელვარებით სავსე ათასცხრას თვრამეტი წელი. დეკემბრის შუა რიცხვებში მზიანი ამინდი დადგა და ნავსადგური და მთელი სანაპირო ჩვეულებრივზე მეტად ხმაურობდა. განსაკუთრებით ყაყანებდა ნავ-მისადგომთან თაიძოყრილი მტვირთავი მუშების დიდი ჯგუფი, რომელიც ჰორიზონტს გასცქეროდა და ზღვასავით დელავდა... მუშათა შორის ვიღაც ახალგაზრდამ ჰორიზონტზე თვალი მოჰკრა რაღაც შავ წერტილს, რომელიც თანდათან იზრდებოდა, მის უკან კი ასეთივე შავი წერტილების მთელი რიგი ჩნდებოდა.

— გემი!

ალტაცებით დაიძახა ახალგაზრდა მტვირთავმა.

— გემები!

ხმამალა წამოიყვირეს უფრო ახალგაზრდებმა, მაგრამ ხანში შესული მტვირთავები ეჭვის თვალთ უცქეროდნენ თანდათან მზარდ შავ წერტილებს. მათ არ ჯეროდათ, რომ ოდესღაც სიცოცხლით სავსე ნავსადგურში, სადაც იშვამად საშინელი სიცარიელე მეფობდა, კვლავ მოვიდოდნენ გემები, კვლავ ეჭნებოდათ სამუშაო და მათ დამშეულ ოჯახებს ოდნავ მაინც ეშველებოდათ... ჰორიზონტზე კი შავი წერტილები თანდათან გემების გამოსახულებას იღებდნენ.

— სამუშაო, სამუშაო გვექნება!

ალტაცებით წამოიყვირა ვიღაც მტვირთავმა და ორსამდე მუშის მზიანი შეძახილი ქალაქის სანაპიროს წვდებოდა. სანაპიროზე კი თითქმის მთელი ქალაქი გამოფენილიყო და ყველას თვალეზი მომავალი გემებისაკენ მიეპყრო. გემები ზღვას მოარღვევდნენ, სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდნენ და ნავმისადგომებთან თავმოყრილი მტვირთავი მუშების ყრიაშული სულ უფრო და უფრო ნელდებოდა, მათ მზიარულ სახეებს თანდათან გაკვირვების

იერი ეკიდებოდა და ბევრი მათგანი დაღვრემილი თვალებით მიმტერებოდა ზოახლოებული სამხედრო გემების ფლაგშტოკებზე აღმართულ დიდი ბრიტანეთის დროშებს. საფლაგმანო კრეისერზე უკვე თვალნათლივ გამოჩნდა ვეშაპებივით პირდაღებული ქვემეხები, რომლებსაც თავი ისე წამოეყოთ, თითქოს სადაც არის დაიჭეჭებენო.

— სამუშაო! — დამცინავად წარმოთქვა ხანშიშესულმა მტვირთავმა და აღმაცერად გადახედა ახალგაზრდა მუშას, რომელმაც ეს სიტყვა ჯერ კიდევ შორს მყოფი გემების დანახვისას პირველმა წამოიძახა.

— ოო, რომ იცოდეთ, ბიჭებო, სამუშაო გვექნება და მერე კიდევ როგორი სამუშაო! — მრავლისმეტყველად თქვა სერგიმ და მრისხანე თვალებით გადახედა დიდი ბრიტანეთის სამხედრო გემებს, რომლებიც უკვე ნავსადგურს უახლოვდებოდნენ.

— აბა, მეგობრებო, წავიდეთ! — თითქმის ბრძანების კილოთი წარმოთქვა სერგიმ და ხელი გაიშვირა ხალხმრავალ სანაპიროსკენ. იქ მას არჩილთან ერთად სხვა ამხანაგებიც ეგულებოდა.

ყველა, როგორც ერთი კაცი, მტკიცე ნაბიჯით გაეშურა სანაპიროსაკენ, სადაც თავი მოეყარა თითქმის მთელი ქალაქის მოსახლეობას, რომელთაგან ნიცირე ნაწილი სიხარულით, უმრავლესობა კი ზიზღით ელოდა ინგლისელი ოკუპანტების ხმელეთზე გამოჩენას. დიდი ბრიტანეთის სამხედრო ესკადრა სანაპიროდან დაახლოებით ერთი კილომეტრის მოშორებით რეიდზე დადგა.

ამ დროს რესტორან „პალერმოში“ საშინელი ღრიალცელი და კამათი გაემართათ ქალაქის „წარჩინებული“ საზოგადოების მესვეურებს.

ბათუმელი დაშნაკი სომხების ერთ-ერთი ლიდერი სარქისიანცი გულდასმით უსმენდა „სტანდარტ-ოილის“ ამერიკელი აგენტის რჩევა-დარიგებას.

— და თქვენ, — ხმამაღლა ეუბნებოდა „სტანდარტ-ოილის“ აგენტი სარქისიანცს, — ალბათ, ეს არც კი გაფიქრებთ! როგორ შეიძლება თქვენი ქვეყანა ჩაებას საერთაშორისო ცხოვრების ფერხულში, როდესაც იგი მოქცეულია ოთხ სახელმწიფოს შორის და არც ერთი მიმართულებით ზღვასთან მისადგომი გზა არ გააჩნია? დაშნაკებმა სომხეთისათვის უნდა მოითხოვონ ნავსადგური ბათუმი. ჩვენ, ამერიკელები კი, როგორც ყოველთვის, მხარს დავიჭერთ!

— გამადლობთ, მისტერ ნიკერბოკერ, — მაამებლად უპასუხა კმაყოფილებით სავსე სარქისიანცმა, — თქვენს ამავს დაშნაკუტიუნი არასოდეს დაივიწყებს!

სარქისიანცი მოწიწებით დაემშვიდობა ამერიკელს და თავისი მეგობრების მაგიდას მიაშურა.

— მე კი ბერძნებს შევუწთე ცეცხლი! — მიახარა ნიკერბოკერს მისმა მეგობარმა, — იჩხუბონ და იკინკლან. მღვრიე წყალში ოქროს თევზები ჩვენს ანკესზე წამოეგებიან.

— მოქალაქენო! — მოისმა ქართველების მაგიდიდან, სადაც ნოე სადრადეს მარჯვენა ხელში ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა, ხოლო მარცხენა ხელს ჰაერში იქნევდა. — მოქალაქენო! ამ კრიტიკულ მომენტში, როდესაც რუსეთის იმპერიაში ანარქია ბატონობს და ბოროტი ძალები რევოლუციის დაღუპვას ლაშობენ, ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, წესრიგისაკენ მოგიწოდებთ. რაც შეეხება ბათუმს, დავა და კამათი ზედმეტია... ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის.

ქართველების მაგიდებიდან ტაში და „ვამას“ ძახილი მოისმა. ორკესტრმა ტაში დაუკრა.

— მენშევიკურს? — შეეკითხა ვილაცა.

— იქნებ ბოლშევიკური გნებავთ, ვაჟბატონო? — თვალების ბრიალით იკითხა სადრაძემ.

— ისა გვსურს, რაც ყველა ჭეშმარიტ ქართველს! — ისევ მოისმა უცნობის სიტყვები.

— ნახალ! — ღვარძლიანად მიახალა სადრაძემ.

— რასაკვირველია, ვნახავ... თქვენ იკითხეთ თვარა, მე უეჭველად მოვესწრები და ვნახავ ჩემთვის სასურველს!

უცნობის გამომწვევმა სიტყვებმა ისე ააღელვა ნოე სადრაძის მეგობრები, რომ შესაძლებელია ჩხუბი ამტყდარიყო, მაგრამ ამ დროს რუსი მონარქისტებისა და თეთრგვარდიელების მაგიდიდან ორლოვი ალაპარაკდა.

— რუსების სისხლით არის მოპოვებული ეს კუთხე, რუსების ოქრომ ააღორძინა აქაურობა. კამათი და დავა ზედმეტია, ბათუმი და მისი მიდამოები რუსეთის იმპერიისაა.

— *Ж, матушка Русь!* — ისე წამოიბღავლა ვილაც გულდაწყვეტილმა და შეზარხოშვებულმა რუსმა გენერალმა, რომ ყველას ეგონა ბავშვივით ატირდებოდა, მაგრამ გენერალი წამოდგა, წელში გაიმართა და ორკესტრს რიხიანად გადასძახა: — *На сопках Маньчжурии!*

იმავე წუთს რესტორანში ვალსის ხმები დაიღვარა. ათმა წყვილმა მოცეკვავემ ყველას ყურადღება მიიპყრო, რადგან მათ შორის იყვნენ გრაფი ორლოვი, პოლკოვნიკი სეკერუინსკი, სამი ცნობილი გენერალი და ორი ამერიკელი ბიზნესმენი. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ მათმა აღმატებულებებმა ცეკვა ისურვეს! ყურადღებას უმთავრესად იწვევდნენ მათი ქალბატონები, რომლებსაც ზღაპრული სიმდიდრე გამოეფინათ. პეტროგრადისა და მოსკოვის მაღალი არისტოკრატიის თვალსაჩინო ქალბატონებს, მიუხედავად იმისა, რომ დროება და მდგომარეობა შეიცვალა, თავი მაინც ამაყად ეკირათ და სახეზე ღიმი არ იშორებდნენ. ფართო ფანჯრებიდან შეჭრილი მზის სხივები უხვად მოფენილიყო რესტორანის დარბაზში და მოცეკვავე ქალების ოქროსა და ბრილიანტის სამკაულებს თვალისმომჭრელად ანათებდნენ.

— იმიტომ და იმიტომ ეს მხარე უნდა გადავიდეს სომხეთის ხელში. სამართლიანობა მოითხოვს სომხეთსაც დაეთმოს ზღვასთან გასასვლელი. ამის შემდეგ დავა და კამათი ზედმეტია! კეცე დაშნაკუტიუნ!

გაუბედავად, მაგრამ ხმამაღლა გაისმა სარქისიანცის სიტყვები.

— დავა და კამათი, მართლაც რომ ზედმეტია! — თითქმის ყვირილით წამოიძახა გაბრაზებულმა ოსმან-ალამ. — ბათუმი და მისი ოლქი თურქების მიწა-წყალია. იგი სამუდამოდ უნდა დარჩეს თურქეთის ხელში! იაშასუნ შეიხულ ისლამ! იაშასუნ თეალიი ისლამ ჯამიეთი!

ამაყად გადახედა თავის თურქოფილ მეგობრებს ოსმან-ალამ და ისლამის მიერ აკრძალული ღვინით სავსე ჭიქა ბოლომდე გამოცალა. სედაი მიღეთელეზმა ოსმან-ალას მეთაურობით მუქარით სავსე ყაყანი ატეხეს. ახმაურდნენ მენშევიკებიც, ხმა აღიმალღეს თეთრგვარდიელებმაც, მაგრამ მათ ხმაურს მაინც ფარავდა ვალსის მელოდია და ახლა უკვე ოცი წყვილი თავდავიწყებით ცეკვავდა.

უცებ რესტორანში ხმა გავრცელდა, ინგლისელები შემოვიდნენ ბათუმ-

შიო და ორკესტრმა დაკვრა შეწყვიტა, მოცეკვავეებმა თავის მაგილებს მი-
შურეს და რესტორანში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

სედაი მილოთელები აღარ ყაყანებდნენ, აღარ ისმოდა დაშნაკების ჯაჯლა-
ნი, შეწყდა მენშევიკების ხმაური და თეთრგვარდიელებიც დადუმებულიყვნენ.
რამდენიმე წუთში რესტორანში აღარავინ დარჩა. ყველამ სანაპიროს მიაშურა.

ამ დროს რეიდზე ჩამწკრივებული ესკადრის საფლავმანო კრეისერზე სა-
ბეჭდი მანქანის კაკუნი ისმოდა...

ბრიტანეთის შავი ზღვის მთავარსარდალი გენერალი მილნი ბრძანებას
კარნახობდა ბათუმისა და მისი ოლქის მცხოვრებლებისადმი.

„ამეამად ბრიტანეთის კონტროლის ქვეშ მყოფ ბათუმისა და მისი ოლქის
მცხოვრებლებისადმი“... — მილნი ჩაფიქრდა, ჯერ იატაკს მიაშტერდა, მერე
ზევით აღაპყრო თვალები, თითქოს იქ ეძებდა საჭირო სიტყვებს და ბოლოს
ისევ საბეჭდ მანქანასთან მიმჯდარ ოფიცერს მიუბრუნდა. — „ბრიტანეთის ჯა-
რების მიერ ბათუმისა და მისი ოლქის ოკუპაციის, კანონისა და წესრიგის დაც-
ვის მიზნით, საზავო კონფერენციის მიერ ტერიტორიული საზღვრების საკით-
ხის გადაჭრამდე, მე ოლქში დავაარსე სამხედრო საგუბერნატორო და დავნი-
შნე სამხედრო გუბერნატორი“... — მილნმა უცებ შეწყვიტა კარნახი და ღიმი-
ლით გადახედა გენერალ კუკ-კოლისს, რომელმაც ღიმილითვე უპასუხა. მილნი-
მა ჩაახველა და კვლავ განაგრძო კარნახი: „არსდება მუდმივი სასამართლო,
რომელიც სხდომებს ჩაატარებს ბათუმში, აგრეთვე გავა ქალაქის ფარგლებს
გარეთაც საჭიროების მიხედვით. სამხედრო გუბერნატორს უფლება ეძლევა
შეხედულების მიხედვით დააარსოს სამოქალაქო სასამართლო... მოეწყობა ყან-
დარმერია ოლქის მომსახურების მიზნით. ჩამოყალიბდება ქალაქის პოლიცია...
ხსენებულის ძალით მოვუწოდებ ქალაქისა და მისი ოლქის ყველა მცხოვრებს
დაიცვან სრული წესრიგი და აწარმოონ თავიანთი ჩვეულებრივი საქმეები.
ყველა, ვინც არ დაემორჩილება საოკუპაციო ხელისუფლების მოთხოვნებს,
დასჯილი იქნება სამაგალითოდ. ვინც ჩაიდენს, ან განიზრახავს ჩაიდინოს
მტრული და მავნე მოქმედება ბრიტანეთის საოკუპაციო ინტერესებისადმი,
ანდა მიმართულს ბრიტანეთის მხედრობის წარმომადგენელთა წინააღმდეგ,
გასამართლებული იქნება სამხედრო ან სამოქალაქო სასამართლოს მიერ და
მიესჯება სიკვდილი ან რაიმე სხვა სასჯელი. გ. ფ. მილნი. ბრიტანეთის შავი
ზღვის ძალების მთავარსარდალი“. დღესვე ეს ბრძანება დაისტამბოს და გაიკ-
რას ბათუმის ყველა ქუჩასა და დაწესებულებაში.

საფლავმანო კრეისერიდან ნავეები ჩაუშვეს, შიგ ესკადრის სარდლობა ჩას-
ხდა და სანაპიროსკენ გაეშურა.

სანაპიროზე კი ხალხი ლელავდა. ზოგი ივიწებოდა, ზოგი იმუქრებოდა,
ზოგი სიხარულისაგან ხტოდა და მხურვალედ ესალმებოდა ინგლისელების
მოახლოებულ ნავეებს. ნაპირზე მომდგარი კარჭაპიდან შეზარხომებული მოანა-
რქისტო მეზღვაურების სიმღერა გაისმა:

Гулимджан! Гулимджан!
Знаем свое дело,
Мы Батум вам за ляржан
Уступаем смело!
Закричали мы: ай, ай,
С не веселым физии,
Ради бога присылай
Поскорей дивизии.

Ллойд Джорджу отвечал:
Тронут вашим горем,
Наш английский флот помчал
Нашим Черным морем.
Мени тенкс! Мерси боку!
Можем обещаться,
Что английский наш Батум
Будет защищаться.

Гулимджан! Гулимджан!
Знаем свое дело,
Мы Батум вам за ляржан
Уступаем смело.

ინგლისელებს ნავები უკვე ნაპირს მოადგენენ, როცა სპირიდონ სართან-
ამ ქლოშინით მიიბრინა ნოე სადრაძესთან და სულმოუთქმელად მიახალა:

— რავე გაჩუქებულხართ, ბატონო ნოე, ინგლისი შემოვიდა. უნდა მივე-
სალმოდ დემოკრატიის სახელით, ჩვენი პატარა საქართველოს სახელით.

იქვე, ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილზე, გარდა ნოე სადრაძისა და
მისი ამაღისა, თავი მოეყარათ სედაი მილეტელებს ოსმან-ალას მეთაურობით,
დამნაყებს სარქისიანცის მეთაურობით, შავრაზმელ თეთრგვარდიელებს ორ-
ლოვის მეთაურობით და ქალაქის სხვა პრივილეგიური საზოგადოების წარმო-
ნადგენლებს. აქვე იყო გივი და ციალა სართანებიც, რომლებსაც ხელში
თაიგულები ეჭირათ.

ციალა გაფაციცებით ეძებდა ვილაცას, თვალებს მოუსვენრად აცეცებდა
და დელავდა კიდევ: „ნუთუ ვერ ვნახავ, ნუთუ, როცა მთელ ქალაქს აქ მოუყ-
რია თავი, ის არ არის?!“ — ფიქრობდა ციალა და უცებ სახეზე აღმურმა გა-
დაუარა. მან ნათლად დაინახა არჩილი, რომელიც ამხანაგების ჯგუფში იდგა
და ზიზლით გასცქეროდა ნაპირზე ამომავალ ინგლისელებს. თითქოს მაგნიტით
მიიზიდესო, არჩილმა მოულოდნელად მოიხედა და ციალა დაინახა. მაგრამ
იგი ციალას კი არა, თაიგულებს უტკერდა, თაიგულებს, რომლებიც გივისა და
ციალას ეჭირათ, და სახეზე ისეთი უკმაყოფილება გამოეხატა, რომ ციალამ
სირცხვილისაგან თვალეები დახარა. ქალიშვილმა თავი ძლიერ უხერხულად
აჯრძნო და მთელი ტანი აუცახცახდა, თითქოს ხელში ყვავილების თაიგული
კი არა, ქვეწარმავალი უჭირავსო, და აღარ იცოდა რა ექნა. ბოლოს, სინდისის
ქენჯნას ვედარ გაუძლო და თაიგული გივის მიაჩეჩა. გაოცებულმა გივიმ ციალა-
სკენ მიიხედა, მაგრამ იგი უკვე იქ აღარ იყო. ციალა ენერგიულად მიაპობდა
ზღვა ხალხს და გივის დაძახილზე ერთხელაც არ მოიხედა უკან.

— რას შვრებით, ბატონო ნოე, თქვით რამე!

დელავდა სპირიდონ სართანია, ვინაიდან გენერალი მილნი და მისი ამაღა
უკვე ნაპირზე გადმოსხდნენ და ქალაქის „რჩეული საზოგადოება“ ტაშით
მიესალმა მათ.

— აუცილებლად, ბატონო სპირიდონ, — აწყენარებდა სადრაძე სართა-
ნიას, — სიტყვას ბატონი ორლოვი იტყვის!

— არა, ბატონო სადრაძე, — დამცინავი ღიმილით მიმართა ორლოვმა, —
სიტყვას იტყვით თქვენ, როგორც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბ-
ლიკის წარმომადგენელი!

— მერედა, დროზე თქვით, თქვე დალოცვილებო, რაღას უყურებთ?

აბუზღუნდა მოთმინებიდან გამოსული სართანია და გადახედა შვილებს,
რომლებსაც ყვავილები უნდა მიერთმიათ ინგლისელებისათვის. მარტო გივი

რომ დაინახა თაიგულებით დატვირთული, სართანის საშინელმა ეჭვმა გაუ-
ელვა თავში, მაგრამ უცებ ორლოვის სიტყვებმა გამოაფხიზლა.

— ნება მომეცით, ბატონებო, — ხელგაშლილი და ხმამაღლა მიმართავდა
ორლოვი მილნსა და მის ამაღას, — ბათუმის საზოგადოების სახელით მოგმარ-
თოთ: კეთილი იყოს თქვენი აქ მობრძანება!

— გმადლობთ! — ძლივს დასცდა ერთადერთი სიტყვა გენერალ მილნს
და იმ წუთში მისი ყურადღება მიიპყრეს კარჭაპზე მყოფმა მეზღვაურებმა და
სანაპიროზე თავმოყრილმა ასობით მუშამ, რომლებიც მუშტებით იმუქრე-
ბოდნენ.

— იცნობდეთ, — ისევ გაისმა ორლოვის ხმა, — საქართველოს დემოკ-
რატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ბატონი ნოე სადრაძე, დენიკინის
არმიის წარმომადგენლები გენერალი ლოპუხინი, გენერალი ვოლკოვი, პოლ-
კოვნიკი სეკერჩინსკი, სედაი მილეტელთა ლიდერი ოსმან-ალა, ვაჭარ-მრეწვე-
ლთა წარმომადგენელი ბატონი სპირიდონ სართანია, გენერალი თარხანოვი,
სომეხთა წარმომადგენელი, დაშნაკუტუიუნის ლიდერი ბატონი სარქისიანცი,
ბერძენთა საზოგადოების წარმომადგენელი ბატონი პარასკევოპულა!

ორლოვის მიერ ჩამოთვლილმა ბატონებმა გენერალ მილნსა და მის ამა-
ღას ყვავილები მიართვეს.

— ბატონებო, — გაისმა ნოე სადრაძის აწეული, მაგრამ გაბზარული ხმა,
— საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით მოგესალმებით
თქვენ, ბრიტანეთის იმპერიის ღირსეულ წარმომადგენელთ! მე ვფიქრობ, გა-
მოვხატავ ჩემი მთავრობის აზრსა და სურვილს, თუ გეტყვი, რომ საქართვე-
ლოს არ გამოუირიცხავს თავი ანტანტის სახელმწიფოთა მეგობრობის სიიდან
და იგი თავის ვალდებულებას შესრულებულად ჩასთვლის, თუ ინგლისი და-
ეხმარება კავკასიაში ბოლშევიზმისა და ყველა უწესრიგობის წინააღმდეგ
ბრძოლაში, კერძოდ, ბათუმსა და მის ოლქში წესრიგის დაცვის საქმეში. კე-
თილი იყოს თქვენი აქ მობრძანება!

ნოე სადრაძემ გვი სართანიას მიერ მიწოდებული თაიგულები მიართვა
მილნს და კუე-კოლისს.

— ინშალა, — მოულოდნელად წამოიჩხავლა ოსმან-ალამ, — ველირსეთ,
როგორც იქნა ველირსეთ თავისუფლებას... ჩვენთანაც მოვიდა ინგლისი —
ნუსლომანი ხალხების დიდი მეგობარი და ქომაგი.

ვაუმარჯოს დიდი ბრიტანეთის არმიას!

ბათუმი ინგლისისაა!

— ვაუმარჯოს ინგლისს!... ბათუმი ინგლისის მფლობელობაში უნდა
დარჩეს! — წამოიყვირა პარასკევოპულომ.

— ბათუმი ბედნიერად ჩათვლის თავისთავს, თუკი იგი დიდი ბრიტანეთის
ხელში გადავა სამუდამოდ! — დაუმატა სარქისიანცმა.

სპირიდონ სართანია მოწიწებით წარსდგა ინგლისელების წინაშე და, პი-
რიდან თითქოს თავლი გადმოსდისო, ტკბილად მიმართა გენერალ მილნს:

-- ბათუმის საზოგადოება გთხოვთ დაესწროთ თქვენი ჩამოსვლის გამო-
სპეციალურად გამართულ ბანკეტს!

გენერალმა მილნმა ნაძალადევად გაუღიმა სართანიას და თანხმობის ნიშ-
ნად თავი დაუკრა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ბედნიერი მასპინძლები დიდი ცერემონიითა და
ლაქუცით მიაცილებდნენ გენერალ მილნსა და მის მრავალრიცხოვან ამაღას.

— ხედავ, ახმედ? — შეეკითხა რეჟები გვერდში მდგომ ახმედს.

— ვხედავ, რეჟებ, ვხედავ! — უპასუხა ახმედმა და თან დაუმატა: — ამ-
ბობენ, მაგათთან კარგი მეწველი ძროხები იცისო.

— მაგათ უფრო სხვისი ძროხების მოწველა იციან, ახმედ! — უპასუხა
რეჟებმა.

კარკაპიდან კვლავ მოისმა მეზღვაურების სიმღერა;

Гулимджан! Гулимджан!
Знаем свое дело,
Мы Батум вам за ляржан
Уступаем смело.

ათას ცხრას ოცი წლის პირველ მაისს დილიდანვე მზის სხივებით მოიქა-
რგა მწვანეში ჩაფლული ბათუმი.

ქალაქის ქუჩებში, სანაპიროზე და ყველგან, სადაც სხვა დროს სიცოცხ-
ლე ჩქეფდა და დუღდა, იმ დილით არაჩვეულებრივი სიწყნარე იყო.

ქალაქის ზღვისპირა ბაღში, აზიზიეს მოედანზე, სანაპიროზე და ცენტრა-
ლურ ქუჩებში ინგლისელთა პატრულების სამ-სამი ჯარისკაცისაგან შემდგარი
ჯგუფები დალასლახებდნენ.

უცებ მარინეს პროსპექტზე ეტლების მთელი ქარავანი გამოჩნდა. გაზაფ-
ხულის ყვავილებით მორთულ წინა ეტლში ნეფე-დედოფალი იჯდა, დანარჩენ
ოცდახუთ ეტლში კი თითქმის მთელი ბათუმის ბომონდი. მოწინავე ეტლმა
ბულვარისაკენ შეუხვია, მას მიჰყვნენ დანარჩენები და სპირიდონ სართანიას
სახლის წინ გაჩერდნენ.

წინა ეტლიდან ახლად ჯვარდაწერილი ნეფე-დედოფალი მისტერ ლეფსო-
ნი და ცილა სართანია გადმოვიდნენ. სართანიას სახლის საპარადო შესასვლე-
ლამდე ცოცხალი ყვავილები დაეფინათ. როცა ნეფე-დედოფალი შესასვლელს
შიადგა, იქ თეთრ ჩოხებში გამოწყობილმა ორმა ტანწერწეტა ქართველმა ახა-
ლგაზრდამ ხმლები იმიშვლა, ერთმანეთს გადააჯვარადინა და ახალჯვარდაწე-
რილებმა ასეთი „ტრიუმფალური თაღის“ ქვეშ გაიარეს. სპირიდონ სართანიას
სახლის აივანზე ამ დროს სასულე ორკესტრმა ქართული მარში დაუკრა, რო-
მელიც თანდათან ჩაახშო ახლო-მახლო ქუჩებში მოულოდნელად გამოსული
ხალხის „მარსელიოზისა“ და „ინტერნაციონალის“ გუგუნმა. ბათუმის მშრო-
მელთა საპირველმაისო დემონსტრაცია აზიზიეს მოედნისაკენ მიედინებოდა,
მოედანზე კი, სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნასთან მიტინგი გაიმართა.
მაღე დემონსტრანტთა რიცხვმა ოცდახუთი ათასს გადააჭარბა. დემონსტრან-
ტების კოლონებს წინ მიუძღოდნენ აქტიური რევოლუციონერები, რომელთაც
მიჰქონდათ მარქსის, ენგელსისა და ლენინის პორტრეტები, წითელი დროშე-
ბი, საბრძოლო ლოზუნგების ტრანსპარანტები და ხმამაღლა გაიძახოდნენ:
„ძირს პროვოკატორები და ომის გამჩაღებლები!“, „ძირს ინგლისელი ოკუპა-
ნტები!“, „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“, „გაუმარჯოს სახალხო კომი-
სართა საბჭოს!“

მიტინგზე გამოსული ორატორები მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლე-
ბის დაუყოვნებლივ გამოცხადებას და მებრძოლ სალამს უთვლიდნენ სამოქა-
ლაქო ომის ქარ-ცეცხლში გახვეული რუსეთის მშრომელებს.

გენერალ-გუბერნატორ კუკ-კოლისის ბრძანებით ინგლისელების სამხედ-
რო გარნიზონში განგაში გამოცხადდა. რეიდზე მდგარმა ანტანტის სამხედრო
გემებმა ქვემეხები დაუმიზნეს ქალაქს. სამხედრო გუბერნატორის რეზიდენცი-

ის წინ მსუბუქი არტილერია და ტყვიამფრქვევები დადგეს. ინგლისელი ჯარისკაცები ინდოელ სიპაიებთან ერთად დამატებითი ვაზნებითა და ხელყუმბარებით აღჭურვეს, მთელ ქალაქში ჯაშუშები და პროვოკატორები დაგზავნეს, თავით ფეხამდე შეიარაღებული ამალის თანხლებით, თეთრ ცხენზე წამოსკუპული კუკ-კოლისი, თავის ასარიდებლად თუ დროს გასატარებლად, ეს თვითონაც კარგად არ იცოდა, სპირიდონ სართანიას სახლისაკენ გაეშურა მისტერ ლეფსონის ქორწილზე.

სპირიდონ სართანიას სახლის დიდსა და მდიდრულად მორთულ დარბაზში საქორწინო სუფრა გაეშალათ. აქ იყვნენ ვაჭრები და კომერსანტები, თეთ-გვარდიელი გენერლები და ოფიცრები, ბათუმელი მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი ნოე სადრაძე, თავადი მიქელაძე, ორლოვი, ოსმან-აღა, მისტერ ოვეი, ლედი ჯეინი თავის განუყრელ ბულდოგთან ერთად, გივი სართანია ახალგაზრდა ოფიცრებითა და წარჩინებული პირების ქალიშვილებით გარშემორტყმული, თვითონ სპირიდონ სართანია და ნეფე-დედოფალი. სანამ სუფრას შემოუსხდებოდნენ, სტუმრები და მასპინძლები, ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილნი, სხვადასხვა თემაზე საუბრობდნენ, მაგრამ ბოლოს ყველა მათგანს მაინც ერთი საკითხი აწუხებდა — პოლიტიკური მდგომარეობა ბათუმში და საერთოდ ამიერკავკასიაში.

— მდგომარეობა ძალიან ცუდია. უტყუარი ცნობებით, გუშინწინ ბაქოში წითელი არმია შესულა! — თქვა გრაფმა ორლოვმა და თვალები მისტერ ლეფსონს მიაპყრო, თითქოს მისგან ელოდა შევლას.

— ეს ჩვენი კატასტროფის დასაწყისია! — ცივად თქვა მისტერ ლეფსონმა და ნუგეშის ნაცვლად მდუღარე გადასხა ორლოვის გახურებულ თავს.

— გარდა ამისა, — ჩაერია საუბარში ლაპარაკის მოყვარული მიქელაძე, — აქაც, ბათუმშიც, ბოლშევიკური ეპიდემია ვრცელდება. თითქმის მთელი ქალაქი ბოლშევიკური პროფკავშირების საბჭოს ხელშია. რამდენიმე დღის წინ ბოლშევიკებმა მოკლეს გენერალი ლიახოვი, ბათუმში მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია.

— ვინ ყოფილა არჩილ ვარდოსანიძე? — იკითხა მისტერ ლეფსონმა.

— მაგი მე მკითხეთ! — ხმამალა წამოიძახა სპირიდონ სართანიამ და მისტერ ლეფსონის ჯგუფისაკენ გაეშურა, — მე მას ბავშვობიდან ვიცნობ... თავიდანვე ეტყობოდა ავკაცობა... სტუდენტობისას მას ბუნტი მოუწყვია და უნივერსიტეტიდან გამოუგდიათ. მამამისის ხათრით ჩემთან მივიღე სამუშაოზე, მაგრამ მაინც არ გამოსწორდა. ყველა ეს გაფიცვები, გემებისა და ხიდების აფეთქება, ლიახოვის მოკვლა და ბევრი სხვა ბოროტმოქმედება თვითონ მისი და მისივე ამხანაგების საქმეა. საინტერესოა, რას ფიქრობს დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება ამ ბანდიტის შესახებ?..

— რასაკვირველია, დავხვრეტთ! — მოულოდნელად და ხმამალა განაცხადა ახალშემოსულმა გენერალ-გუბერნატორმა კუკ-კოლისმა და დამხვდურებს თავაზიანად მიესალმა.

ცოლა შეკრთა, სახეზე ფერი ეცვალა და გულწასული, ალბათ, იატაკზე დაენარცხებოდა, მაგრამ მისტერ ლეფსონმა დროზე შეატყო და ხელი მოხვია.

კუკ-კოლისის განცხადება ყველას ესიამოვნა და, რაკი ეს ფრიალ პატივსაცემი სტუმარი უკვე მოვიდა, სუფრას მიაშურეს და რანგის მიხედვით შემოუსხდნენ.

— ქართული სუფრა, მით უმეტეს ქართული ქორწილი, მოითხოვს თამადას!

— წამოიყვირა დიდებული სუფრის დანახვით წინაწინ შეზარხოშებულმა ორლოვმა და მას სხვებმაც მიბაძეს. „თამადა“, „თამადა“, ისმოდა შეძახილები.

— თამადად ბატონი ნოე სადრაძე ავირჩიოთ! — რიხიანად განაცხადა მიქელაძემ.

— აა, მე ვერ გავუძღვები ამ მშვენიერ სუფრას! — გაინაბა ნოე სადრაძე, მაგრამ გულში თამადობისათვის სული ელეოდა. მაღალფარდოვანი, მოჩუქურთმებული სიტყვების, საერთოდ ლაპარაკის მოყვარული და ამავე დროს „ღვინის კაცი“ ნოე სადრაძე პირველ თამადად ითვლებოდა. ამიტომაც იყო, სპირიდონ სართანიამ ნეფე-დედოფლის მოპირდაპირე მხარეს, სუფრის თავში სწორედ ნოე სადრაძე რომ დააბრძანა.

— როგორ გეკადრებათ, — ძალდატანებული შემფოთებით წარმოთქვა სპირიდონ სართანიამ, — ბატონო ნოე, გთხოვთ!

— გთხოვთ, — თავაზიანად მიმართა მისტერ ლეფსონმა.

— გთხოვთ, გთხოვთ! — გაიმეორა კუკ-კოლისმა და ეს უკვე საკმარისი იყო, რომ ნოე იმ წუთშივე შესდგომოდა თავისი მოვალეობის აღსრულებას.

— ბატონებო! — დაიწყო ნოე სადრაძემ ღვინით საჯესე ჭიქით ხელში, — რით არის შესანიშნავი დღევანდელი დღე? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ამ მშვენიერ დღეს, ზღაპრული კოლხიდის ლამაზ ქალაქში, შავი ზღვის პირას, ევერიის მშვენიერი ასულის, ქალბატონ ცილა სართანიას და დიდი ბრიტანეთის ღირსეული წარმომადგენლის, უწარჩინებულეს მისტერ ლეფსონის ქორწილია. ეს სიმბოლური გამონახატულებაა იმ მეგობრობის და ურთიერთგაგებისა, რომელიც ინგლისსა და საქართველოს შორის სუფევს. ჩვენ აღმოსავლეთის ფანტიკოსებს დასავლეთის იმპერიალისტები გვირჩვენია. — გრძობა-მორეული ნოე სადრაძე ინგლისელებს მიუბრუნდა, — დიახ, ჩვენ თქვენთან ვართ, ბატონებო, ანარქიისა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში! მე ამ სასმისით ვადღეგრძელებ შესანიშნავ შეუღლებას, მშვენიერ ნეფე-დედოფალს და მათ ბედნიერ ქორწილს...

— ეს სადღეგრძელო უეჭველად ყანწით უნდა დაილიოს. — აღტაცებით წამოიძახა ორლოვმა და ყანწს წაავლო ხელი, შიგ ღვინო ჩაასხა და ნოე სადრაძეს მიაწოდა.

— ყანწით!

— ყანწით!

ყოველი კუთხიდან გაისმა შეძახილები. ნოე სადრაძემ ჭიქის ნაცვლად ყანწი აიღო, ღიმილით გადახედა ნეფე-დედოფალს და ბოლომდე გამოცალა.

— ალავერდი თქვენთან! — მამებლად და დიდი მოწიწებით გადასძახა ნოე სადრაძემ კუკ-კოლისს და შევსებული ყანწი გადაულოცა.

— გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს, — მოწყალებასავით წამოისროლა სამიოდე სიტყვა კუკ-კოლისმა და ყანწიდან ოდნავ მოსვა.

„გამაგონე ეგ ხმა ტკბილი“, გაისმა სიმღერა, რომელიც კუთხეში ფერიებივით ჩამწყრივებულმა ქალიშვილებმა წამოიწყეს. როცა სიმღერა მიწყდა, ისევ წავიდა სიტყვაწყლიანი სადღეგრძელოები. ღვინომ თითქმის ყველა შეზარხოშა და...

— აბა ცეკვა, თქვენებური, ჩქარი, ტემპერამენტიანი! — წამოიძახა ჭვინგახურებულმა მისტერ ლეფსონმა და იმწამსვე ქართული ცეკვის ცეცხლი გაჩაღდა.

ქუჩიდან კი სულ უფრო და უფრო მძლავრად ისმოდა ორკესტრების გუ-

ფუნი, „მარსელიოზა“ და „ინტერნაციონალი“. ცეკვა-თამაში მოულოდნელად შეწყდა, ყველას ყურადღება ახლად შემოსულმა ინგლისელმა ოფიცერმა მიიპყრო. ოფიცრის გაფითრებულმა და შემფოთებულმა სახემ მოქეიფეთა მხიარულება ერთ წუთში გაყინა. კუკ-კოლისმა ვერ მოითმინა და, სანამ ოფიცერი მოახსენებდა, თვითონ ჰკითხა მოსვლის მიზეზი.

— თქვენო მაღალღამატებულეზავ, — ძლივს დაიწყო ოფიცერმა, — თუ რაიმე არ ვიღონეთ, დემონსტრაციის ტალღა წალეკავს მთელ ქალაქს.

— რა მოხდა ასეთი? — ფეხზე წამოდგა და ისე იკითხა შემფოთებულმა კუკ-კოლისმა.

— დელეგატები ითხოვენ თქვენს დაუყოვნებლივ ნახვას.

— სად არიან დელეგატები?

— ქვევით. ქუჩაში მელოდებიან!

— შემოიყვანეთ!

ოფიცერი იმ წამშივე გაბრუნდა, ხოლო ყველა იქ მყოფი ფანჯრებს მისცვივდა.

— ეს რა ზღვა ხალხია?!

— ასეთი დემონსტრაცია ჯერ არ ყოფილა ბათუმში!

— წითელი დროშები, მარქსისა და ლენინის სურათები!...

— რაო, რაო? „ხელისუფლება საბჭოებს“... „ძირს ინგლისელი ინტერვენტები და მოღალატე მენშევიკები“... ეს რა საძაგლობაა?!

— „მოვითხოვთ პოლიტპატიმრების განთავისუფლებას“... არამზადები, მთელი ქალაქი გაბოლმევიკებულა. სად იყო ამდენი ხალხი, საკვირველია?!

— ოცდახუთი ათასზე მეტი იქნება. საშიშია... რომ მოინდომონ, ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებენ!

ერთიმეორეზე გაისმოდა შემფოთებული სტუმრებისა და მასპინძლების ჭიტიყვები.

— პანიკას ნუ მიეცემით! — დამაწყნარებელი ტონით მიმართავდა კუკ-კოლისი ყველას, მაგრამ თვითონ ყველაზე მეტად ეტყობოდა მღელვარება.

— საჭიროა სიფრთხილე!

თითქმის ჩასჩურჩულა მისტერ ლეფსონმა და კუკ-კოლისი გვერდზე გაიხმო. ამ დროს ღია ფართო კარებში ინგლისელი ოფიცერი გამოჩნდა დემონსტრაციის დელეგატების თანხლებით. კუკ-კოლისმა ამწონავი თვალებით გადახედა ჯერ დელეგაციის მეთაურებს სერგი ნოვიკოვს და რეჯებ ჩაზმავას, შემდეგ კი დანარჩენი დელეგატებიც ჩაათვალიერა და ამაყად მიმართა შფოთის მეთაურებს:

— მე გისმენთ, ბატონებო!

— ჩვენ მოვედით ბათუმის მშრომელთა სახელით, — დაიწყო სერგი ნოვიკოვმა, — რათა გადმოგცეთ შემდეგი მოთხოვნა: დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ პატიმრები, არჩილ ვარდოსანიძე კი, რომელსაც საოკუპაციო ხელისუფლება დახვრეტას უმზადებს, განთავისუფლებულ იქნას ახლავე იმ ვარაუდით, რომ მონაწილეობა მიიღოს ჩვენს დემონსტრაციაში. ვარდა ამისა, ვინაიდან ვაჭრებმა და სპეკულანტებმა დაიწყეს ბათუმიდან ძვირფასი საქონლის, კერძოდ, ფქვილის, შაქრის და მანუფაქტურის გაზიდვა ყირიმსა და სტამბოლში, რითაც ბათუმს სასურსათო კრიზისი ემუქრება, ჩვენ მოვითხოვთ დაწესდეს კონტროლი სტამბოლსა და ყირიმში საქონლის გატანაზე.

— საქონლის გადატანა საქართველოს სხვა კუთხეებში თავისუფალი რჩეს! — მტკიცე ხმით დაუმატა რეკებ ჩაზნავამ.

— რას ამბობთ, რას ბედავთ?! — გაბრაზდა კუკ-კოლისი, — ეს ხომ მეორე ნათვრობის შექმნას ნიშნავს? თუ არ შეაჩერებთ თქვენს დამღუბველ მუშაობას, ჩვენ რეპრესიებს მივმართავთ!

— თქვენს რეპრესიებს ჩვენ შეიარაღებული აჯანყებით ვუპასუხებთ, — დაემუქრა სერგი და ფანჯრისაკენ მიუთითა, — ხედავთ, საბრძოლველად აღდგა ბათუმის ოცდაათი ათასამდე მშრომელი!

— მე ვერ მოვიტყენ, რომ ინგლისის მეფის დროშის გვერდით მეორე დროშა ფრიალებდეს, — დაემუქრა კუკ-კოლისი.

— ჩვენ ვერ მოვიტყენთ იმას, რომ ბათუმში და მის ოლქში ინგლისის მეფის ხელისუფლება არსებობდეს! — თოფივით მიახალა რეკებმა.

— ეს უკვე მეტისმეტია! — გაბრაზდა კუკ-კოლისი და პირი იბრუნა დელეგატებისაგან.

— ჩვენ ველით პასუხს, რა გადავცეთ ხალხს? — იკითხა სერგიმ.

მისტერ ლეფსონმა გვერდზე გაიხმო კუკ-კოლისი და ჩუმად ურჩია:

— აუცილებელია გავიღოთ პატარა მსხვერპლი უფრო დიდი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად!

მისტერ ლეფსონის რჩევა კუკ-კოლისს ჭკუაში დაუჯდა და იქვე დაწერა სასწრაფო ბარათი, რომელიც ოფიცერს გადასცა.

— მიუტანთ ციხის უფროსს. დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს არჩილ ვარდოსანიძე, დანარჩენების შესახებ კი ცალკე მიიღებს ბრძანებას! — შერე ტელეფონთან მივიდა და მუდამ დინჯმა და წყნარმა გენერალმა კუკ-კოლისმა ნერვულად დარეკა. — მომეცით ციხის უფროსი... ვინ არის? ძალიან კარგი-დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ არჩილ ვარდოსანიძე! როგორ? დიახ. კუკ-კოლისი, პირადად. ბრძანება უკვე გამოგზავნილია. დანარჩენი პატიმრების შესახებ ცალკე მიიღებთ განკარგულებას!

— გაეცით ბრძანება და დაურეკეთ ნავსადგურის სამმართველოს, — ახალი მოთხოვნა წამოაყენა რეკებმა, — რომ იგი დაუყოვნებლივ დამოორჩილოს ბათუმის პროფკავშირების საბჭოს მიერ გამოყოფილ საკონტროლო კომისიას!

— ამ კომისიის გარეშე არ უნდა დაიტვირთოს არც ერთი გემი! — დაუმატა სერგიმ.

— თქვენ შეუძლებელს მოითხოვთ! — აღშფოთდა კუკ-კოლისი, — ეს უხეში, ყაჩაღური ძალადობაა, რომლის უფლებას არავინ მოგცემთ!

— წინააღმდეგ შემთხვევაში ამ უფლებას ჩვენ თვითონ მივცემთ კომისიას! — წყნარად, მაგრამ მტკიცედ მიუგო სერგიმ.

— ჩვენ ამ კომისიას დავაპატიმრებთ და სასტიკადაც დავსჯით! — ეს სიტყვები თითქმის ყვირილით წარმოთქვა მოთმინებიდან გამოსულმა კუკ-კოლისმა.

— ამ შემთხვევაში დემონსტრაცია იარაღს აყრის ინგლისის გარნიზონს, დააპატიმრებს თქვენს ხელისუფლებს და ძალაუფლებას თვითონ აიღებს ხელში!

სერგის მუქარამ გაჭრა. სპირიდონ სართანამ, ორლოვმა, ლეფსონმა, მიქელაძემ, ოსმან-ალამ და ნოე სადრაძემ გენერალი კუკ-კოლისი აივანზე გაიხმეს და იქ დიდხანს ბჭობდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტეს და სახე-გაქვავებული კუკ-კოლისი ერთხელ კიდევ მივიდა ტელეფონთან.

— ნავსადგურის სამმართველო, ლაპარაკობს ბათუმისა და მისი ოლქის გენერალ-გუბერნატორი კუკ-კოლისი, დაემორჩილეთ ბათუმის პროფკავშირე-ზის საბჭოს კომისიას. თქვენ უნდა იმუშაოთ ამ კომისიასთან შეთანხმებით, ზრძანებას მიიღებთ დღესვე! — მერე დელეგატებს მიუბრუნდა და მწარე ღიმილით მიმართა: — მე მგონია, დემონსტრაციის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია!

— ნაწილობრივ, — მიუგო სერგიმ. — ჩვენს მთავარ მოთხოვნებს და უფლებებს თავის დროზე თქვენს რეზიდენციაში მოგახსენებთ. — დაუმატა რეკებმა.

— მე სიამოვნებით მოვუხმენ ბათუმის პროფკავშირების საბჭოს: — დამცინავი ღიმილით მიუგო გენერალმა.

— ნახვამდის, ბატონებო!

ერთხმად გამოეთხოვეს თუ არა კუკ-კოლისს, ადფრთოვანებულმა დელეგატებმა ციხეს მიაშურეს. დარბაზში ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე, რომელიც ყველასათვის მოულოდნელად სპირიდონ სართანიამ დაარღვია.

— ყაჩაღები! — ისტერიკულად შეჰყვირა სართანიამ და კუკ-კოლისს მიუზღრუნდა, — რას შვრებით, ბატონო გენერალო, ვის ხელში გვაგდებთ?! ასე თუ გაგრძელდა, ისინი მალე ხელისუფლებასაც მოითხოვენ და აიღებენ კიდეც!

— ესეც ადვილი შესაძლებელია, ვერ ხედავთ, ბოლშევიზმი აღარ ხუმრობს, იგი სწრაფად იზრდება და თითქმის მთელ ქვეყანას მოედო!

ერთი საათის შემდეგ ციხიდან განთავისუფლებული არჩილ ვარდოსანიძე დელეგატებმა მიტინგზე მიიყვანეს. ვარდოსანიძის მგზნებარე სიტყვამ დემონსტრანტებს ფრთები შეასხა. ეს რომ სპირიდონ სართანიამ გაიგო, ღვიძლი წალიშვილის საქორწინო ზეიმი პანაწვიდად მოეჩვენა და ჩაწყვეტილი ხმით ლულულუღებდა:

— ისევ ის! როგორი დაცივნაა! სიკვდილმისჯილი დახვრეტის ნაცვლად ტრიბუნაზე!

— დახურეთ ფანჯრები, ჩამოუშვით ფარდები! — დაიდრიალა სპირიდონ სართანიამ. მსახურებმა წამსვე შეასრულეს ნაბრძანები, მაგრამ გარედან კვლავ შლისმოდა „მარსელიოზისა“ და „ინტერნაციონალის“ მძლავრი გუგუნის.

— ბატონებო, — რიხიანად წამოიძახა ნოე სადრაძემ, რომელიც ძლივს გამოერკვა შექმნილი მდგომარეობიდან და სტუმრებისა და მასპინძლების დაწყნარებას შეუდგა. — ბატონებო, პანიკას ნუ მიეცემით, ჩვენი დემოკრატია, ჩვენი პატარა საქართველოს მთავრობა ძირფესვიანად მოსპობს ბოლშევიზმს საქართველოში!

ნოე სადრაძის სიტყვამ გონს მოიყვანა ყველა, განსაკუთრებით სპირიდონ სართანია და სამოცდაათი წლის მასპინძელი ოცი წლის ჭაბუკივით დატრიალდა.

— გთხოვთ, ბატონებო, სადღეგრძელოს ნუ გააციებთ, ამას ქართული სუფრა, ქართული ქორწილი ვერ მოითმენს!

სტუმრები და მასპინძლები ისევ შემოუხსდნენ მაგიდას და კვლავ დამოცოცხლდა საქორწინო ნადიმი. ნოე სადრაძემ ღვინით სავსე ჭიქა აიღო ხელში და მორიგი სადღეგრძელო წამოიწყა.

— ბატონებო, ნება მომეცით ამ ჭიქით ვადღეგრძელო ჩვენი...

ნოე სადრაძეს უკანასკნელი სიტყვა ენაზე მიეყინა. პატივცემული თამადა ძლიერ გააოცა მისტერ ლეფსონის საქციელმა: იგი მოულოდნელად წამოვარდა სკამიდან და გაფითრებული იყურებოდა ფართოდ გაღებული კარებისაკენ,

სადაც ყველასათვის გასაკვირად ამაყად იდგა და დამცინავი თვალებით მისჩერებოდა ნეფე-დედოფალს ლამაზი და ახოვანი ბერძნის ქალი, მისტერ ლეფსონის კონსტანტინეპოლელი ცოლი ურანია. სრულებით მოულოდნელად და მოჩვენებასავით გამოცხადდა იგი მისტერ ლეფსონის ქორწილზე. ურანიამ ცილა თავით ფეხამდე აათვალიერა-ჩათვალიერა და მისტერ ლეფსონს სიცილით მიმართა:

— რა მშვენიერი მორიგი მსხვერპლი ჩაგიგდიათ ხელში, მისტერ ლეფსონ!!

— შენ აქ რა გინდა... აქ როგორ მოხვდი, ურანია?! — ძლივს წარმოთქვა დაბნეულმა და ძლიერ შემფოთებულმა მისტერ ლეფსონმა.

— კონსტანტინეპოლამდე მოაღწია ხმამ, მისტერ ლეფსონი ცოლს ირთავსო... — ღვარძლიანი სიცილით უპასუხა ურანიამ და თვალებზე სიბრაზის ცრემლები მოადგა.

— ვინ არის ეს ქალი? — ურანიაზე მიუთითა ცილამ და თავისი ლამაზი, მაგრამ ცეცხლივით მწვავე თვალები შამფურით გაუყარა თვალებში მისტერ ლეფსონს... ძლიერი მღვლევარებისაგან მუდამ წყნარსა და სათნო ცილას სახეზე აღმური ასდიოდა... მთელი სხეული უკანკალებდა და ფეხზე ძლივს იდგა.

— ეს ის... — დაიბნა მისტერ ლეფსონი.

— არავითარი ის... მე მისტერ ლეფსონის კანონიერი ცოლი გახლავართ! ურანიას სიტყვები ყუმბარასავით გავარდა და ყველას სახეზე გაკვირვებამ გადაირბინა.

— რას ნიშნავს ეს?! — ისევ იკითხა უკვე სავსებით გაფითრებულმა ცილამ.

— არაფერია, დაწყნარდი ცილა! — მზრუნველობით სავსე გრძნობით შესძახა სპირიდონ სართანიამ თავის ქალიშვილს და ურანიას ვეფხივით შეუბღვირა.

— ააა, სპირიდონ-ბეი, ძლივს გიცანით!...

დამცინავად და მხიარული ხმით მიმართა ურანიამ სპირიდონ სართანიას და, თუმცა გულში ბოღმა უღვივოდა, სახეზე მაინც ღიმილი გადაჰკრავდა და გამომწვევად კისკისებდა.

— მამა, შენ ამ ქალს საიდან იცნობ, რას ნიშნავს ყველაფერი ეს? მითხარი, მამა! — სასოწარკვეთილებითა და თითების მტვრევით ეკითხებოდა ცილა.

— მამაო! — კვლავ დაიწყო ურანიამ, — რა საძაგლობაა. სპირიდონ-ბეი, თქვენ ხომ კარგად იცოდით, რომ მისტერ ლეფსონის ცოლი ვარ...

— მამა, ახლავე, აქვე მითხარი, რას ნიშნავს ეს?

არ ეშვებოდა და მუდარით სავსე თვალებით მიშტერობდა ცილა მამამისს, რომელიც ხაფანგში გამომწყვდეულივით ბორგავდა და არ იცოდა რა ექნა.

— მამათქვენზე უფრო მე გეტყვით სიმართლეს... ეს მათ ენაზე ვაჭრობას ნიშნავს. ხშირად, ძალიან ხშირად ძდიდარი მამები საკუთარი ქალიშვილებითაც კი ვაჭრობენ!

— რას ბედავ, ხმა ჩაიწყვიტე! — ველარ მოითმინა და მუდამ თავდაჭერილმა მისტერ ლეფსონმა მკაცრად შეუტია ურანიას, რომელიც დაგროვებულ ბოღმას ხარბად იკლავდა.

— ნუ ღელავთ, — ზიზღით მიახალა ურანიამ ნაქმარევს, — მე ყველაფერს ვიტყვი. ახლ ერთი თვის წინათ სპირიდონ-ბეი თავისი სავაჭრო საქმეების გამო კონსტანტინეპოლში ჩამობრძანდა და ჩემი პატიოსანი ქმრისაგან წერი-

ლი და საჩუქრები ჩამომიტანა. სპირიდონ-ბეი გულისტკივილით ჩიოდა, რომ არა ჰყავს მაგარი კომპანიონი და ვაჭრობის დიდ მასშტაბებზე ოცნებობდა. იქ მყოფმა ვაჭრებმა და მამაჩემმაც სპირიდონ-ბეის ურჩიეს თავის სავაჭრო საქმეებში ინგლისელები ჩაერია, რომ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების მფარველობით ესარგებლა.

— სიცრუეა... ცილისწამებაა, — ძლივს ლუღლუღებდა გონს მოსული სპირიდონ სართანია და ბოლოს შეუბღვირა კიდევაც ურანიას, — ვინ მოგკათ თქვენ ამის ნება?!

მაგრამ ურანიას თითქოს არც კი გაუგონია სპირიდონ სართანიას სიტყვები და სათქმელის თქმით გულისწყურვილს ისევ ხარბად იკლავდა.

— ბათუმში გამომგზავრების წინ იგი უკვე აშკარად ნატრობდა ინგლისელებთან დაახლოებას და გადაწყვიტა ქალიშვილი ვინმე წარჩინებული ინგლისელისათვის მიეთხოვებინა. ეს „წარჩინებული და პატიოსანი“ ინგლისელი კი მისტერ ლეფსონი აღმოჩნდა. დიახ, მისტერ ლეფსონი, რომელსაც, ჩემს გარდა, კიდევ ერთი ცოლი ლონდონში ჰყოლია თურმე.

— ნუთუ ყველაფერი ეს მართალია, მამა? თუმცა რა არის აქ დაუჯერებელი!...

— ყურს ნუ უგდებ, ციალა, ყველაფერი ეს სისულელეა! — თითქოს უბრძანებდა, ამავე დროს ემუდარებოდა კიდევ სპირიდონ სართანია თავის ქალიშვილს, მაგრამ ქალიშვილი აღარ უსმენდა და ახლა უკვე მოთქმითა და ბრახით ამბობდა:

— თვითონ იბახდი, რომ ქართველები ინგლისელებს უნდა დაეუმოყვრდეთ, ჩვენთვის სასარგებლო საქმეაო, და შენ, ღვიძლმა მამამ, ლალატი არ ითაკილე მხოლოდ იმიტომ, რომ ეს შენი ვაჭრობისათვის სასარგებლო იყო... ცოლიან კაცს საკუთარი ქალიშვილი ცოლად მიჰყიდდი!...

— რას ბედავ! ციალა?! — იღრიალა მოთმინებიდან გამოსულმა სპირიდონმა.

— კარგად იცოდი, რომ ეს კაცი მძულდა, მაგრამ შენ ჩემი ცრემლები და ჩემი სურვილი არ შეიწყნარე, ფეხი დაადგი ჩემს სათუთ გრძნობებს... იმისათვის, რომ მშობლები და ახლობლები არ დამეკარგა, გულში ვიკლავდი სიყვარულის ძლიერსა და ძვირფას გრძნობებს, მაგრამ ვაი, რომ აქაც სასტიკად მოგტყუვდი... ღვიძლმა მამამ გამყიდა, როგორც პირუტყვი...

— ციალა, დაწყნარდი! — ემუდარებოდა და თან უყვიროდა სპირიდონი, — ჩუმიად იყავ, სისულელეებს ნუ რომაე!

უცებ ციალა ვერცხლის წყალივით მოწყდა ადგილიდან და გარეთ გავარდა.

— ციალა, სად გარბი, ციალა, თავი არ მოგვჭრა! — გაიძახოდა სპირიდონი და ადგილიდან ველარ იძროდა. სხვებიც დაიბნენ... როცა გონს მოვიდნენ, გვიანდა იყო.. ციალა გაუჩინარდა

— ვერაფერი გამიგია! — ბუტბუტებდა მიქელაძე.

— ძალიან ცუდი ამბები დატრიალდა დღეს... — ჯავრობდა ნოე სადრაძე.

— სკანდალ! — წამოიკნავლა ორლოვმა.

— სკონდალ! — ჩაიბურტყუნა კუკ-კოლისმა.





ნესჯორ მადუზონია

შ ე ნ დ ა მ თ ვ ა რ ე

ოვლი მომტააა შუქნათელმა,
პირსავსე მთვარემ,
თვალწინ დამიდგა
საოცარი შენი მშვენება:
შენც მთვარესავით იღიმები,
შუქს მოატარებ,
მერე შენც გელის დასასრული
და განსვენება.
მაგრამ თუ მთვარე

ჩაქრება და გაქრება ცაში,
კვლავ აინთება,
კვლავ იელვებს მისი მშვენება.
შენ კი...
ო, მინდა
როგორ მინდა
შენც მთვარესავით
გქონდეს დროებით დასასრული
და განსვენება!

მ ა მ ა

მამამ იცოდა თქმა უსასრულო —
ფოთოლს რომ წყვეტენ, გული
მწყდებო.

მაგრამ ხალისით მოგლეჯდა სუროს —
სხვისი ნაშრომით უყვარს კვებო.

დ ე დ ა

ქვეყნად ბევრია ავი და შავი,
დამნაშავეთა ბევრია წყება,

მაგრამ სადა აქვს გული და თავი,
როცა შვილს ტოვებს მშობელი დედა!

მ ა მ უ ლ ი

თუ შენი სისხლი მამულს მონამავს რა საჭიროა ცრემლი და გლოვა,
და თუ ეს არგებს ქვეყნის მომავალს, მაშინ სიკვდილიც სასიამოა!

ს ი ტ ვ ე ა

სიტყვა უძლებს საუკუნეს,
როცა საქმე ამშვენებს,

თორემ ვინც კი აკაკუნებს,
ყველა როდი აშენებს!

8074

გოგონას

გოგონა მწერდა —
აღარ მომწონს შენი ლექსიო,
ბევრი სხვა ვნახე
უფრო კარგი, უკეთესიო...
ჩემო გოგონა!
ჩემი ლექსი შვილივით მიყვარს,
მას მხოლოდ ქვეყნის სიყვარული
დავუდე წყაროდ.
საქართველოში
ისე კარგი დაწერილიყოს,
რომ ყველა ჩემი
სანაგვეზე გადაყრილიყოს!

ზღვა

ის რა ზღვაა, თუ არ ზღვაობს —
თუ არ გორავს ტალღა მასზე!
არც ცხოვრებას უმოძრაოს
აქვს აზრი და სილამაზე.



ღევენ გეღეძე

რ ა ლ ა მ ა ზ დ რ ო ს

ფერად კენჭებს წყალში ვისვრით,
ნუო! ტალღა გვემუქრება.
შენ მიაბობ მოსწონს ვინ ვის,
ვისი ტრფობა ვისში ქრება.
შენ იგონებ გატაცებით
ფერად ბაფთებს,
მოკლე კაბას,
გჯერა მე ზღვებს გადავწვდები,
გეთანხმები, რა ვქნა აბა,

ხომ უნდა ვთქვათ მართლა რამე
და ვახსენებთ
ბახს,
ბეთჰოვენს,
მე ვლიღინებ კარმენ, კარმენ,
თვალნი შენი მე სხვას მთხოვენ.
რა გიმღერო, რა... რა... რა... რა...
ან შენ ან ზღვა რომ დაგათრო.
თქვენს შორის ვარ რა პატარა.
თქვენს შორის ვარ რა ლამაზ დროს.

მ რ თ ი ს ი ტ ყ ვ ა

ერთი სიტყვა ცად ამზიდავს,
მოქნეული დროზე მარჯვედ,
ერთი სიტყვა მე გამზრდის და
ერთი სიტყვით გავიმარჯვებ.
გახსენ ბაგე,
გახსენ წარბი,
აკიაფდი დილის შუქად,
თორემ ჟამი
გარბის...
გარბის...
ვერ აყოვნებს
ლობე,
შუკა.
ერთი სიტყვა ქვიშას გამრევს,
გადამაქცევს მტვრად და მიწად,
ერთი სიტყვით ნუ ამამღვრევ,
ვერ მომიკლავ, კაცად ვინც მწამს.

ერთი სიტყვა...

ერთი სიტყვა...

ერთხელ ჩემთვის გაიმეტე,
ნუ დამაყრი კოხს და სეტყვას,
სანამ ძალმიძს, მაიმედე.
ამა სოფლად, ჰე, რამდენი,
ძალოვანი იქცა მონად,
სიტყვა დამკარ როგორც დენი,
სიტყვა მტყორცნე ვარდის კონად.
სიტყვა მომეც, როგორც დაშნა,
არ გატყდეს და გაილუნოს,
ჩქარა თორემ გული დაჰქნა,
რა ვიღონო...

რა ვიღონო...

სიტყვა მომეც, როგორც დროშა,
რომ ბრძოლაში ვაფრიალო,
გადავუბრჩე იქნებ დრო-ყამს,
იქნებ შევწვდე მთას ფრიალოს.
სიტყვა გამკარ როგორც კვესი,
ამანთოს და ამაბოლოს,
ჭირსა შიგან ვინც არ კვენესის,
გაიმარჯვებს იგი ბოლოს.

დ ე დ ა ს

— მიყვარხარ, შვილო! — არ გითქვამს დედი,
მე ისე ვგრძნობდი
მწამდა,
მჯეროდა,
მახსოვს შინ, გარეთ,
მღევდი და მღევდი.
თავს მადექ მუდამ
მზედაც,
ჩეროდაც.
ბიჭუნა ანცი, დაუდეგარი,
ვეტანებოდი აკრძალულს განგებ,
რამდენჯერ ქუდი დავაგდე გარეთ,
რამდენჯერ პური ვისროლე განზე...
რამდენჯერ ზვინებს შეგუნთე ცეცხლი,
ვერც შეგამჩნიე ნამი წამწამზე,
ვერ მივხვდი თმა რად შეგემკო ვერცხლით,
ეჰა, რა უღვთოდ თურმე გაწამე.
ეჰა, რა ცოტას ვხედავთ შვილები,
მხოლოდ სასურველს
ველტვით,
დავეძებთ.

როცა დედაა ნაშიმშილები,
მაშინაც ვშიშობთ ჩვენ არ დავეცეთ.
და როცა გვამცნობს ტოლი და სწორი,
არ მაძინაო შვილმა წუხელი,
მაშინ ცოცხლდება წარსული შორი,
ვჩივიო, მძიმეა მშობლის უღელი.

* * *

გულის ფიქრს შენ ჩემსას საფერფლევ გეტყობა,
დღეს ნემსი რა არის, ისიც კი მარტოა,
როს სახლში არა ხარ, ყველაფერს ეტყობა,
ამ დილით მე მტრედმაც უეცრად დამტოვა.
უშენოდ მე, ალბათ, ვიქნები არარა,
შენ მოგვეც სიცოცხლე მე და ჩემს სტრიქონებს,
დღეს ვიცი
რა ვიცნო,
რა ვიგრძნო,
რა არა
და მიტომ იმ წამებს სათუთად ვიგონებ.
იმ წამებს, როცა შენ შემომხვდი, შემცინე,
იმ წამებს ვთვლი ჩემი ცხოვრების სათავედ.
შემომხვდი და ერთობ მსოფლიო შემძინე
და იცი სად მივწვდი?
და იცი სად აველ?

. : : :





გოგის ზოგნივანი

ქალაქის ნაგები

გახსოვს? როგორ არ გახსოვს
წვიმა, წვიმა, წვიმა...
ნიაღვარი არ გახსოვს
ჩვენი სახლის წინა?
გახსოვს? როგორ არ გახსოვს
ამინდები გიჟი?
წყალში დავტანტალე
ფეხშიშველა ბიჭი.
გახსოვს? როგორ არ გახსოვს
ქრამული ჩვენი,
ის ქალაქის ნაგები,
ის მუყაოს გემი?
ჩვენ რომ წყალს გავატანეთ
როგორც ჩვენი სუნთქვა.
გახსოვს სიყრმის სათავე
სიყრმესავით სუფთა?
აუ, რა დრო გასულა,
გაფრენილან წლები...
სადღაც სულ შორს დასცურავს
ის პატარა გემი.
არის გახსენებანი,
არის ერთი მღურვა —

ყველაფერი ტრიალებს,
ყველაფერი ბრუნავს...
ქვეყნად ყველა კატარა
დიდ-პატარა ზღვისა,
ისევ დაუბრუნდება
ნავსადგურებს თვისას;
ჩვენს გემებს კი, რომლებიც
ჩუმად მიჰყვანენ ჩქერებს,
მოსვლა არ უწყრიათ
როგორც სიყრმის დღეებს.
ხედავ? როგორ ვერ ხედავ,
წვიმა წვივის, წვიმა,
დიდ ნიაღვარს ვერ ხედავ
ჩვენი სახლის წინა?
იმ პატარებს ვერ ხედავ,
გაშიშვლებულ მკლავებს —
აცურებენ გემებს და
აცურებენ ნაგებს.
არის გახსენებანი,
არის ერთი მღურვა...
ყველაფერი ტრიალებს,
ყველაფერი ბრუნავს.



გიორგი სანაღიბაძე

ს ა რ ი დ ა ნ ი

მებორნეს სარიდანი ერქვა. კუთხეში იჯდა, ჩიბუხი გაეჩაღებინა და პროთეზიან ფეხს დასცქეროდა. შემდეგ ჩიბუხი ხელისგულზე დაიბერტყა: აბაა, დიდი ომი გვქონდა, დიდი...

მდინარე ნელა, ძლიერ ნელა მოქანაობს. სარიდანი უსმენს მის შხუილს. უყურებს ლურჯ კვალს, რომელსაც ბორანი სტოვებს წყლის ზედაპირზე, უხარია, რომ ასე კარგად იცნობს ამ ადგილებს, უხარია, რომ გაზაფხულზე ყოველთვის პირველი იგრძნობს წყლის მომატებას.

— აჰაია, — იტყვის სარიდანს, — ცა გადაშავდა, წყალდიდობა იქნება.

მდინარის შუაწელში ორი დიდი ქვა ამოშვერილიყო. სარიდანი ამ ქვებს გაჰყურებდა. ისინი დროდადრო ჩაყვინთავდნენ ნაცრისფერ ნისლში. „ხვალ აღარ გამოჩნდებიან ისინი, — ფიქრობდა სარიდანს, — მთაში წვიმები დაიწყებოდა, თოვლი ადნება, ღორღს ჩამორეცხავს“. მოუსვენრობა იპყრობდა. მარცხენა ფეხის ვადანაკვეთზე, მუხლისთავს ქვემოთ, ტკივილები აეშლებოდა. ბევრმა არ იცოდა, რომ ცალი ფეხი პროთეზისა ჰქონდა. დროდადრო მასაც ავიწყლებოდა, მაგრამ გაზაფხულზე... გაზაფხულზე ერთიანად იმატებდა წყალი. თვითონაც ღონიერი იყო. როცა თოკს ეწეოდა, პერანგი მკიდროდ შემოეტმასნებოდა ტანზე, კუნთები ებურცებოდა. პირველ სამ გზობას ადვილად იტანდა, მერე ფეხი დალატობდა.

— იქნებ გაგიჭირდა, სარიდანს? — შეეკითხებოდნენ.

სარიდანი თავს გააქნევდა, გაიღიმებდა, სიმღერას წამოიწყებდა განგებ. იმღერებდა გატაცებით. მაშინ ყოველი სატკივარი უქრებოდა. ჰალიკონი წამოუბერავდა, ბანს მისცემდა თითქოს. ბორცვებს გადაღმა ჰუბუტი ადგილები იყო. იქ ჯახველი და მოცხარი იცოდა. ცვიბა ბუჩქებიდან გვრიტები წამოიშლებოდნენ, წრეს მოხაზავდნენ, ლივლივებდნენ ბივრილისფერ სივრცეში. და მღეროდა სარიდანს. უყურებდა გვრიტებს და მღეროდა. მერე უცებ დაუწევდა ხმას, ღრმად ამოისუნთქავდა, — ლეგა ბინდში გაცურდებოდა ტკბილი მელიდია. თან მაგრად უჭერდა თოკს. თოკი ხორკლიანი იყო, ხეშეში. ტანში აყრიალებდა, მაგრამ სიმღერას მაინც არ წყვეტდა. ეს თვითონ კა არა, თით-

ქოს სალამური წკრიალებდა. აკი მათა თხემზე ფარა გაშლილიყო, აკი დანს ზემოთ ვეებერთელა ღრუბლები მისცურავდნენ. მათი ცქერით ტკბებოდა სარიდანი. ალბათ, იმიტომ, რომ თვითონაც ღრუბლებივით ლალი იყო, ალბათ, იმიტომ, რომ მისი ფიქრებიც ღრუბლებივით მისცურავდნენ შორს, ძალიან შორს, სადაც მათა სილუეტები აჭვინტულან.

ახლა სარიდანს დაღლილი სახე ჰქონდა.

შინ იჯდა, აივანზე. გზას გასცქეროდა. ასეთი დაღველფილი არასოდეს ენახათ. ცოლმა უფროს ბიჭს შეხედა, წყრომით შეხედა. ხელები კალთაზე შეიმშრალა, ამოიხრა. როცა რადიოთი უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემდნენ, სარიდანი ბორანზე იყო. სარიდანი ვერაფერს გაიგებდა, ალბათ. ჰო, დღეს მაინც ვერაფერს გაიგებდა, ბიჭს რომ არ ეთქვა. ამიტომ წყრებოდა იგი. „ეწყინა, — ფიქრობდა თავისთვის, — რა თქმა უნდა, ეწყინა. ბიჭიც ვერ გააჩერებს ენას, რასაც გაიგებს, ყველაფერი უნდა დაახვას. ჰოდა, აი, ეწყინა. ეს ძალიან ცუდია, რომ ის ამერიკელი მფრინავი ჯაშუში ყოფილა. მაგრამ ბიჭს მაინც არ უნდა ეთქვა, გუნება წაუხდინა“. ცოლი ჭადს აკრავდა, თან ცეცხლს უყუარებდა, არ მინავლდესო. ეზოს ბოლოში თხები ზანზალაქებს აწკარუნებდნენ.

— სარიდან, თხებს მიხედვ, ბაღში გადავლენ, — დროდადრო გასძახებდა ქმარს. მაგრამ სარიდანი არც ინძრეოდა. მზეგადახრილზე ბორანზე უნდა წასულიყო. მანამდე კარგა დრო იყო კიდევ. იფიქრა, ცოტას გავივლი, გულს გადავაციოლებო. საუხმისათვის აღარ დაუცდია. ჭიშკარი გამოაღო, ბილიკზე გადავიდა. აქა-იქ უკვე ამოსულიყო ბალახი. ახლოვდებოდა გაზაფხული. იქ, ქვევით, ხეობაში რახანია შეიფოთლა ჩიტვაშლა. ლოდისფერ განთიადზე შრილით ცვივოდნენ ატმისა და კომმის ყვავილები. მერცხლები გუნდებად იყრიდნენ თავს მდინარეზე. განსაკუთრებით თავთხელ წყალს ეტანებოდნენ. დაეშვებოდნენ ქვევით, სულ ქვევით, შეჰკრავდნენ კამარას და ოდნავ, სულ ოდნავ გაეკრებოდნენ ტალღებს.

სარიდანს ძახილი მოეყურა, მობრუნდა. ფოსტალიონი დაინახა. ფოსტალიონი ლობესთან იღვა, აღმართს თავისი ექნა და მძიმედ ქშინავდა.

— გაიგე, სარიდან? — გამოსძახა ფოსტალიონმა.

— ჰა, რა უნდა გამეგო.

— ამერიკელი ჯაშუში დაუჭირავთ.

სარიდანი არაფერს ამბობს. უხმოდ უქნევს თავს.

— შემოდი, დაისვენე.

ფოსტალიონი ეზოში შემოდის. სარიდანი ფეხს უჩქარებს, გაზეთებს ართმევს, კითხულობს, დიდხანს, დაკვირვებით, თან მოუსვენრად ცქმუტავს. — წარმოგიდგენია, ჰა, წარმოგიდგენია? — მისი ხმა ყრუდ ისმის.

ცოტა ხანში სარიდანი ფერდობზე ეშვებოდა. ცა მოიქუფრა. მძიმე, ტყვიასავით მძიმე ღრუბლებით დაფარულიყო ხერბა. ქარი საადრეო ყვავილებს ხრიდა. დღეს განსაკუთრებით იგრძნობოდა მიწის ნოტიო სუნი. თანაც ციოდა. კრამიტით გადახურული სახლები რახანია თვალს მიეფარა. წყალიც როგორ მომატებულა და როგორ ღელავს. იმ წუთს სარიდანი ფოსტალიონზე ფიქრობდა. ამერიკის იმ თვითმფრინავზეც ფიქრობდა, რომელიც ჩვენებმა ჩამოაგდეს. „რისთვისაა ეს ყველაფერი საჭირო, რისთვის“, — ჩურჩულებდა თავისთვის, ნაბიჯს უჩქარებდა.

ბორანზე ბევრი ხალხი იყო. ჩვეულებრივზე ბევრი ხალხი. სარიდანი ვის ადგილზე დადგა. ჩიბუხი დატენა. იგი არ ჩარეულა მგზავრთა მუსაიფში. კვირა იყო და მგზავრები ქალაქიდან ბრუნდებოდნენ. სარიდანი ჩუმად იდგა. მხოლოდ კბილებს შორის გაჩრილი ჩიბუხი უთრთოდა. ბოლი რგოლებად ეხვეოდა, ირიბად მიიწევდა ზევით. სარიდანს ესმის, რომ ბორანზე ისევ თვითმფრინავზე ლაპარაკობენ. კუთხეში ყმაწვილი დგას. მის გვერდით სათვალისანი მამაკაცია. ისინი საუბრობენ. „მე მაინც ვერ გავიგე, — ამბობს ყმაწვილი, — რა უნდათ, რომ არ გვაყენებენ?“ „ჰე, არის ხალხი, რომელიც ომზე ფიქრობს“. „ჰოდა, იფიქრონ რამდენიც უნდათ. ომი თუ დაიწყება, ჩვენები ისევ მოიგებენ“.

„კი, მოიგებენ, უსათუოდ მოიგებენ“, ფიქრობს სარიდანიც. მაგრამ რა საჭიროა ეს ყველაფერი? სარიდანი თვალეში უყურებს ყმაწვილს. ყმაწვილს დიდი თვალეები აქვს, ნათელი თვალეები. იგი მაღალია და ძვალძსხვილი. „აღბათ. იმ წელს დაიბადა, როცა ეშვლონებით წაგვიყვანეს. იგი სულ პატარა იყო მაშინ, სულ პატარა და არ უგრძენია ომის სიმწარე“. სარიდანს მკერდი აეწვა. ცას ახედა. ტყვიასავით მძიმე ღრუბლებმა უფრო ქვევით დაიწიეს, უფრო ქვევით.

* * *

აქეთობას ბორანი ცარიელი იყო. სარიდანი ერთხანს კიდევ ელოდა, შეიძლება ვინმე გამოჩნდესო. საყელო აიწია და ისე იდგა. ქარი ქროდა და წვიმა მოწყვეტით ესატუნებოდა ფიცრებს. ბორანი მჭიდროდ იყო შეკრული, ალაგ-ალაგ რკინის სალტეები ჰქონდა შემოჭერილი, მაგრამ დიდი ხნისა იყო. ტალღა საშინლად არყევდა. მეორე ნაპირი მკრთალად იხაზებოდა მიმწუხრის ბინდუნდში. თანაც წვიმა ხვავრიელად ასხამდა. სარიდანს სულ გაელუმბა მხრები. ქუდიდან წყალი კისერში მიწანწკარებს, უღიტინებს. „თუ თქვენმა იკლო, ერთ გზობას კიდევ მოვასწრებ, თივაა გადასატანი“, ფიქრობს სარიდანი. „ტანზე გამოვიცვლი. ცეცხლს დავანთებ, მაინც როგორ ასახამს, ა?“

შუაწყალზე სარიდანმა ორთაყვირი ამოსწია. სულს დავითქვამო. მაჯები ტკიოდა. წამით იგრძნო, თოკმა მოუშვა. წაბარბაცდა და ძლივს შეიკავა თავი, მაგრამ დაცემით მაინც დაეცა. მარცხენა ფეხმა უმტყუნა. ახლა მან იგრძნო, რომ ბორანი წყალმა გაიტაცა... უკანასკნელად მოაკრიბა ღონე. კიჩოსკენ გაბობლდა. იქ გრძელი ხალხა ეგულებოდა. მაგრამ ისიც გაეტაცა წყალს. ტალღები ახლა თავისუფლად ატივტივებდნენ ბორანს. სარიდანს გაწყვეტილი ბაგირი მოხვდა ხელში, გული დაემდურა. ჯერ იფიქრა გადავხტებო, მაგრამ ვუნება შეიცვალა.

— ჰა, რამ შეგაშინა, სარიდან, რამ შეგაშინა?! — ჩურჩულებდა, ხელებიდან სისხლი სდიოდა. მაგრამ რა ექნა? იტანდა. ტალღები უფრო და უფრო იტაცებდნენ ბორანს. და აი მაშინ საშინელი გრუხუნის ჩაესმა. ეს გრუხუნი მოულოდნელად ჩამოწოლილ სიჩუმეში გაისმა. ქარი და წვიმა წამით მიყუჩდნენ. სარიდანს პირველად ესმოდა მდინარეზე ასეთი ხმაური. ერთბაშად წიოხარა, მოტყდა. აქ მდინარე მეჩეჩებით იყო დაცხავებული, გადარჩენის იმედი კიდევ ჰქონდა, მაგრამ ბორანი ისევ შეირყა და სარიდანი მძლავრად მიენარცხა ფიცრებს. ახლა მას ესმოდა როგორ გუგუნებდა ცა. ქვები ხმაურით ცვიოდნენ. ეს მეწყერი შეუერთდა მდინარეს. მერე ისევ გაისმა გამაყრუებელი გუგუნი. ისევ იმძლავრა ქარმა. ბორანი მიეხალა მეჩეჩს, გაიშალა.

...როცა გონს მოვიდა. სარიდანი ბორანის კიდეში იწვა, ხელით წყალი ეხებოდა. წყალი კბენდა, შხუნავდა. დაცემისას შუბლი გაეხეთქა, მაგრამ წვიმა აღარ სცემდა წინანდებურად. „წყალმა იმატა, ძლიერ იმატა“, — ფიქრობდა სარიდანი და უკვე გრძნობდა წყლის სუნთქვას. მრისხანე მდინარე ჩანთქმას უპირებდა. სიკვდილი ყოველ ნაბიჯზე იყო დადარაჯებული. სიკვდილი ასევე უდარაჯებდა სარიდანს მაშინ, სანგარში, როცა ჭურვი აფეთქდა და მიწაში ჩაფლო.

ომს რომ მისთვის არ წაერთვა ის ძლიერი ფეხი, მაშინ სარიდანი ადვილად გადალახავდა მდინარეს, ადგებოდა და გადახტებოდა. ცოტას დაჟეჟავდა წყალი, ცოტას... მეტი არაფერი... სარიდანს შვილები გაახსენდა, გაახსენდა და შეაჟრჟოლა.

უცებ სარიდანს ადამიანის ხმა მოეყურა. მთლად სველი იყო და სველი ტანისამოსი განძრევას უშლიდა.

— სარიდან, ჰაუ, სარიდან! — გაისმა შორით.

მებორნემ თავი წამოსწია, გაიტრუნა. არაფერი ჩანდა, სივრცე გუგუნებდა და ასხამდა წვიმა.

მერე ძახილი უფრო ახლოს განმეორდა, უფრო ახლოს და სარიდანი მიხვდა, რომ გადარჩა.

* * *

სილაზე იწვა, ცას გაჰყურებდა, თუმცა ვერაფერს ხედავდა, მაგრამ მაინც გაჰყურებდა ცას. „ერთ ადამიანს ცოტა შეუძლია თურმე. — ჩურჩულებდა თავისთვის, — მაგრამ სოფელი — ეს ძალაა, დიდი ძალა“. იმ წუთს სარიდანი სანგრებს ხედავდა, მკვდარ ჯარისკაცებს ხედავდა, ხედავდა მზეს, რომელიც ნელა ეშვებოდა საფლავთა ჯვრებს იქით. მას ახლა სჯეროდა, რომ ადამიანებს აი, ასევე შეეძლოთ ომის შეჩერება. ისინი მოვიდოდნენ და იტყოდნენ:

— არა!

სარიდანი გრძნობდა, რომ სილა თბილი იყო, გაცილებით თბილი, ვიდრე ბორანის ფიცრები. წვიმა მიწყდა. იქვე ახლოს მდინარის გადაბჰული შხუილი ისმოდა. სარიდანს მოეჩვენა — ცის კიდე იისფრად იღებებოდა. წამოიწია, სიბნელეში ბუნდად გაარჩია ადამიანთა სახეები. ესენი თანასოფელები იყვნენ, რომლებიც მტკიცედ იდგნენ მის ირგვლივ. ისევ სილაზე მიწვა. სილა გაცილებით თბილი იყო, ვიდრე ბორანის ფიცრები.



ნორჲა ჯაღალონია

ორი ლექსი

ოცნების იქით, ფიქრების იქით
თვალეზი ჩემი გეძებენ, თამარ.
დღეების იქით, თვეების იქით
სახელი შენი რიალებს, თამარ.

ნაკვალევს შენსას დავეძებ ბაღში,
დავიარ ისევ ზღვისპირა ქუჩებს.
ჯერ კიდევ გუშინ ვიყავი ბავშვი,
წახველ და თითქოს დავბერდი უცებ.

ვიგონებ შენი თვალების სითბოს,
იენისის დაისს და ერთად გავლას.
შენ ჩემი წყარო იყავი თითქოს
და მერე უცებ მეწვია გვალვა.

ან ასე რატომ მიგიშვი გულთან,
ან ასე რატომ დაგეძებ, თამარ...
როგორც ყამირი დაქანგულ გუთანს,
მეც ახლა ისე მჭირდები, თამარ.

არ ვიცი, არა ამას რა ჰქვია,
ბრმასავით მივსდევ ფიქრების გუმანს.
მე შენი მოსვლა გავიგე გვიან,
წასვლა კი უმალ შეიტყო გულმა.

არ უჩანს ბოლო უცნაურ თამაშს,
ირევა ფიქრი, ვით ქვები ნარდის.

ისე დაგეძებს თვალები, თამარ,
ვით მეძებარი დამალულ ნადირს.

* * *

შენი თვალები, ლურჯი ზღვასავით,
ასე ღიმილით რად მიცქერიან?
იქნებ ატირდეს ჩემი ვარსკვლავიც,
რა ვიცი, შუბლზე რა მაწერია.

იქნებ არ მექნეს ხშირად აბაზიც,
ვერ დავუღვებო ჩემს თავს თავდებად.
ეგ სიყვარული, ასე ლამაზი,
იქნებ სულ მალე გამითავდება.

იქნებ ეგ გრძნობაც ისე დაშრება,
როგორც გვალვაში ტოტი მდინარის.
იქნებ სულ ასე ბავშვად დავრჩები,
კიდევ ღარიბი, კიდევ მდიდარი.

იქნებ არ მეყოს ალღო სოფლელის
და დავიღალო ბედთან კამათით,
ვინ იცის, იქნებ წუთისოფელი
ამათამაშებს, როგორც კამათელს.

იქნებ გაცუდდეს ყველა ოცნება
და ყველა სიტყვა, რასაც გპირდები.
მაგრამ გულით და პატიოსნებით
გწამდეს, არასდროს გავიყიდები.

ჩემი სიცოცხლე არის ლექსები,
ჩემი ქონება — გული ალალი,
ნამუსს არავის დავესესხები,
თუ დავესესხო, იყოს არამი.



თენგიზ ჩაბიჯიძე

ერთი შვილით...

ერთი თვის წინ ვაჟიშვილი მომახარეს,
ასე მითხრეს შავთვალწარბას მამა ხარო,
თითქოს გულზე ყვავილები მომაყარეს,
თანაც მითხრეს, ბევრი აღარ დაახანო.

ერთი შვილი გულს იარას ვერ უშველის,
უშვილობა არის გვარის სულთათანა,
ჩვენი ქვეყნის ეს დიდება წარუშლელი
ცხრა-ცხრა შვილის სიყვარულმა მოიტანა.

ცხრა ვაჟკაცის მახვილს ჰგავდა მზის ანთება,
ცხრა წყაროდან წამოფრენა ცხრათვალა მზის,
სწორედ მიტომ შუქქუქრობად ისარკება
სიცხოველე სვეტიცხოვლის და არმაზის.

ერთი შვილი დედის შვილად ჩაითვლება,
ორი შვილი — დედისა და მამის შვილად,
სამზე მეტით ის ხანძარი აინთება,
სამშობლოს რომ გახდის უფრო მხარგამოლილად.

ერთი შვილით ქართველობას როგორ ვიტყვი,
ჩემი სიტყვა ისე როგორ დამძიმდება,
ჩემი კუბო ათმა უნდა გაიტანოს,
როცა მოვა საუკუნო დაძინება.



აკაკი ჩხიძე

ჩემო ალუჩავ!

ჩემო ალუჩავ, ყმაწვილს ზოგჯერ ცრემლი მიღვრია,
შენც სტირი ხოლმე გადატეხილ ლორთქო ტოტიდან...
პირველი ლექსი აქ გავზარდე, როგორც ნიბლია,
და პოეზია შენს ლურჯ ტანზეც ჩამოთოვლილა.

მე ვაკვირდები გარეშემო უამრავ ფერებს
და ეს ფერები რამდენ მართალ სტრიქონს უქია,
ჩემი ჭალარა ეგებება თითქოს სიბერეს,
შენი ჭალარა — ტანაყრილი სიჭაბუკეა.

და ჩემს თეთრ თმებშიც მაგ ყვავილთა ფიქრი მგონია,
აბა ვინა სთქვა — სიყვარულში კაცი დაბერდეს!
ურჩ სტრიქონებთან რაოდენი ბრძოლა მქონია
და ეს ცხოვრება ჭაბუკივით ისევ მამღერებს.

ვდგავარ შენს ტოტქვეშ, ყვავილთ ცვენას ბოლო არ უჩანს,
ო, მიხარია, რომ კვირტები თეთრად გასკდება,
რამდენ ყვავილსაც გადმომაყრი თავზე, ალუჩავ,
იმდენი წელი ჭაბუკობის მომემატება.

და ჩემს ჭალარას რომ შევავლებ თვალებს სარკვეში,
ყმაწვილკაცობის გაზაფხული სულშიც ჩადგება.
ღიას, ქართველი ლექსში ცოცხლობს, ლექსი — ქართველში
და ლექსის კაცი თურმე ორჯერც კი იბადება.





ნორა მორეხაძე

წითელხილაბანდიანი ქალიშვილი

შუადღეა. ქალიშვილმა, ნელი ნაბიჯით გადაჭრა მოედანი. ლალად მიაბიჯებს. სახეზე ერთი ნაკვთიც არ ერხევა. მარცხნივ შეუხვია. ფოსტის შენობაში შესვლამდე უკან მოიხედა. თვალი არაჩვეულებრივი სითბოთი აეცხო, თითქოს ნაცნობს შეხვდაო. ტუჩებზე ღიმილი გადაეკრა, მაგრამ არ მისალმებია არავის. არც ვინმესთვის გაუღიმიო, ნელა ავიდა კიბეზე...

ასეა ყოველდღე, შუადღისას.

იგი მალალია, ტანადი. ტუჩის კუთხეებში ოდნავ ებურცება ლოყები, მაგრამ ეს ოდნავადაც არ უკარგავს ელფერს მის ლამაზ სახეს. ისე ციმციმებს, გეგონება მხოლოდ ღიმილისათვისააო შექმნილი. თმა ბიჭურად შეუკრებიო. ერთი თავნება კულული გვერდზე უვარდება. თავზე წითელ ხილაბანდს იხურავს. უნარიანად მორგებული კაბის მხრები და გულისპირი ღრმადაა ამოჭრილი. ვაყები ღიმილით შეცსქერიან, გოგონები — შურიო. იგი ყურადღებას არავის აქცევს.

ფოსტაში „მოკითხვამდე“ წერილებისთვის რიგში ვიდექი. ჩემს წინ იდგა წითელხილაბანდიანი ქალიშვილი. ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. მან სამი წერილი მიიღო და ნელა გავყევით ქუჩას. იგი გაუხსნელ წერილებს გულგრილად ატრიალებდა ხელში. სიარულის დროს ნელა ირხეოდა, ოდნავ წინ იხრებოდა, მაგრამ ეს კიდევაც უხდებოდა. სხვა უმალვე გახსნიდა წერილებს, მაგრამ იგი მათ მშვიდად ატრიალებდა. მიხაროდა, გვერდით რომ მივყვებოდი. ხანდახან ისე შემომხედავდა, როგორც შეყვარებული შეყვარებულს. თვალები აუწყლიანდებოდა. ქუჩა იყო გრძელი და არ ვაპირებდით გადახვევას, მივდიოდით პირდაპირ.

მეორე დღეს უჩვეულო დილა გათენდა. უკან მივყვებოდი ქუჩას, რომელიც წითელხილაბანდიანმა ქალიშვილმა და მე ერთად ჩამოვიარეთ. უცებ ვიღაც უცნობმა, ახოვანმა ვაჟმა შემაჩერა.

— თქვენ კარგად იცნობთ მანანას?.. წითელხილაბანდიან ქალიშვილზე გეკითხებით. გუშინ ამ ქუჩაზე მიდიოდით. ბედნიერი, კმაყოფილი სახე გქონდათ.

მოულოდნელობისაგან დაბნეულმა შეკითხვითვე ვუპასუხე:

— რა მნიშვნელობა აქვს ამას თქვენთვის?

— არაფერი. მინდა ვითხრა, რომ მეც კარგად ვიცნობდი მანანას. სხვა არაფერი, ვიცნობდი-მეთქი. ჩვენ ხშირად გვივლია ამ ქუჩაზე ერთად. მიყვარდა იგი ძლიერ... — ერთხანს თავდახრილი იდგა, მერე ხელი ჩაიქნია და წავიდა. მთვრალივით მიაბიჯებდა. არასოდეს არ ვყოფილვარ ეგოისტი, მაგრამ ახლა რაღაც გამოუცნობი სიამაყე დამეუფლა. თავი ბედნიერად ჩავთვალე. ის ვაჟი უარყო მანანამ, მე კი, მე კი ასე დამიახლოვა.

... საათმა სამჯერ დაჰკრა. ფოსტიდან გამოვედით მანანა და მე. მან დღეს მხოლოდ ორი წერილი მიიღო. გული დასწყდა, მეტს ველოდიო. წერილს ვინ გიგზავნის-მეთქი, შევეკითხე. მეგობრებისაო, მიპასუხა. როცა ამას მეუბნებოდა, ცბიერად ტრიალებდნენ მისი თვალები, რაღაც იმალებოდა ამ სიტყვებს მიღმა, რასაც მომხიბვლელი ღიმილი და საამო ხმა ფარავდა. მე კი უფლება არ მქონდა მეთქვა, არ მიელო წერილები, ნუ იფიქრებდა სხვებზე.

სახლამდე მივაცილე.

იგი კიბის საფეხურზე შედგა. თავი დახარა. მერე ქვემოდან ამომხედა. ო, რა ლამაზი იყო!

— ძალიან გინდათ კიდევ შევხედეთ ერთმანეთს?

სიტყვის დამთავრება არ დავაცალე.

— მე მუდამ შენთან მინდა ვიყო, მუდამ შენთან!

მას მოეწონა ჩემი პასუხი და გაეღიმა.

— მაშ კარგი, — მითხრა მან, — ხვალ ცხრა საათზე — პარკში.

დანიშნულ დროს მივედი, დიდხანს ველოდი. მახლობლად უცნობი ვაჟი შევნიშნე. მასაც მოუთმენლობა ეტყობოდა. ბოლოს ჩემსკენ გამოემართა.

— თქვენ მანანას ელოდებით? — მკითხა მან.

სახსუბრად თუ მოვიდა-მეთქი, ვიფიქრე. თვალები ბრაზით ამენთო. უცნობმა კი ნაღვლიანად შემომხედა.

— მე და მანანა ხშირად ვხვდებოდით აქ ერთმანეთს, სწორედ აქ.

არ მეჭაშნიკა მისი სიტყვები.

— თქვენ ახლოს იცნობთ მანანას? — ვკითხე მე.

— ღიახ! მაგრამ ეს იყო წინათ. — ყმაწვილი ჩაფიქრდა. სახე გაუფითრდა. მერე ხელი ჩაიქნია და წავიდა. გაოგნებული ვიდექი.

მანანას სირბილისაგან სუნთქვა ეკვროდა, ხილაბანდი შეხსნოდა, სახე ახლოს მომიტანა, მთხოვა — შემიკარო. თხოვნა შევეუსრულე. დიდი ხის ქვეშ (ისფერ სკამზე დავსხედით. მანანას რაღაც უხაროდა, მაგრამ რა, არ ვიცი.

— რა კარგია! — თქვა მან.

— რა?

— ერთად რომ ვართ.

— გინდათ, რომ ჩვენ მუდამ ერთად ვიყოთ? — ვკითხე მე.

— კი!

— ჰოდა, ჩვენ ასე ვიქნებით მუდამ, სულ ასე, — წრფელად ვუთხარი, მაგრამ მაინც არ დაკმაყოფილებულა ჩემი ნათქვამით. უნდოდა ბევრი, ბევრი მელაპარაკა. იგი იცინოდა, კაბის კალთაში ხელებს ათამაშებდა და მეჩურჩულებოდა თავის ბავშვობაზე. ხან კი წყნარად იჯდა და მთხოვდა, ხმას ნუ ამოვიღებთო. მეც ვღუმიღი.

ბოლოს ვუთხარი:

— მანანი, შენ ხომ აღარავისთან გავივლი?

— არა, არავისთან არ გავივლი. — უმაღლვე მომიგო მან.

მაშ ასე... მე გამარჯვებული მიჯნური ვარ.

გამომშვიდობებისას ხელი ხელზე მაგრად მოვუჭირე, მღელვარება ვერ დაეფარე და ვუთხარი:

— მანანი (არ მასხოვს, როდის დავიწყე მისი სახელის მოფერებით გამოთქმა), რაღაც უნდა გითხრა ხვალ.

მიმიხვდა, არაფერი უთქვამს, მხოლოდ გაეღიმა.

მეორე დღეს შევიარე ყვავილების მაღაზიაში, შევარჩიე ორი წითელი ვარდი და შევახვევინე თეთრ ქაღალდში. გამოსვლისას უცნობმა ვაჟმა შემაჩერა კარებთან. ცნობისმოყვარე თვალებით შემათვალიერა, ვარდებს დახედა და გაეღიმა. სახეზე საშინელი, გამანადგურებელი ირონია ეხატა.

— მანანასთან მიგაქვთ?

— დიახ. — აგდებულად ვუბასუხე მე.

ალმაცერად გადმომხედა და მითხრა:

— კარგია, მაგრამ, — შეჩერდა და მხარზე ხელი დამადო, — იცოდე მეგობარო, მეც მიმიტანია ვარდი მანანასათვის.

და ისე წავიდა, რომ სახიდან ირონია არ მოშორებია.

მე და მანანა კვლავ ცისფერ სკამზე ვისხედით. ამ საღამოს მას ზღვისფერი კაბა ეცვა. თავზე თეთრი ხილაბანდი ეხურა. გაცემა რომ შემატყო, მითხრა: როცა სიყვარულზე მელაპარაკებთან, მინდა ისე მეცვას, როგორც დედოფალს ქორწილის დროს შეეფერებო. მანანა ახლა უფრო მშვენიერი იყო, უფრო ჰაეროვანი. წითელი ვარდებით კმაყოფილი დარჩა და მადლობა გადამიხადა ყურადღებისათვის. ბოლოს ნებისყოფა მოვიკრიბე და შევბედე, ძალიან მიყვარხარ-მეთქი. მართლაც მიყვარდა. მანანა მისმენდა და თავს მიქნევდა.

მცირე ხნის შემდეგ თავი წამოსწია და ჩაილაპარაკა:

— რა კარგია!

როცა სულის ფორიაქმა გამიარა, ვუთხარი:

— შენ ყველაფერი უნდა გამიგონო, მანანი, აი, ძალიან გთხოვ, უნდა გამიგონო.

არც კი შეყოვნებულა, უმაღლვე მომიგო:

— ყველაფერს გაგიგონებ, ყველაფერს.

— დღეიდან ნუ წახვალ ფოსტაში, ნუ გაგზავნი წერილს.

— რა თქმა უნდა, აღარ შევივლი ფოსტაში, — დამეთანხმა იგი და სიყვარულის ნიშნად შუბლი მომადო ლოყახე. — გამიგონია, შეყვარებულები ჭირვეულები არიანო... — თავი ასწია და მეტყველი თვალით შემომხედა.

— გიყვარვარ? — მკითხა მან.

— ძლიერ!

— ძლიერ, ძლიერ გიყვარვარ?

— ძლიერ, ძლიერ. მე აღარ შემიძლია უშენოდ ყოფნა.

— რა კარგია! — გაიმეორა მან.

სახლის სადარბაზო შესასვლელთან კვლავ მეკითხება:

— სულ მუდამ გეყვარები?

— სულ მუდამ, ვიდრე ცოცხალი ვარ, — ვუთხარი მთელი გატაცებით.

— რა კარგია!!

და კიბეები აირბინა. ყელზე ეხვეოდა თეთრი ხილაბანდი.

მეორე საღამოს ჩვეულებისამებრ ვიდექი პარკში. ცა ღრუბლიანი იყო. ხეივანებში ახლა კანტი-კუნტად მისეირნობდნენ წყვილები. გარემო რაღაც მღვრიე ნისლში იყო გახვეული. მე ვიდექი მარტოდმარტო და მოუთმენლად ვაბოლებდი პაპიროსს. ჩემგან მოშორებით კი იდგა ერთი ჭაბუკი. ცისფერი ხალათი ეცვა, ხალათის ღილები შეკრული ჰქონდა. ვიცანი, მაგრამ ამ საღამოს იგი არ მოსულა ჩემთან და არ უთქვამს, მეც ველოდებოდი ხოლმე აქ მანანასო...

გავიდა ნახევარი საათი, კიდევ ერთი საათი.

მე ისევ მარტოდ ვდგავარ.

მეორე დღეს შევიარე ფოსტაში. მანანა არ გამოჩნდა.

უაზროდ დავბორიალებ ქუჩებში. საღამოს ცხრა საათზე კვლავ პარკში ვარ.

თხუთმეტ დღეს არსად გამოჩენილა მანანა.

დღის სამ საათზე ნელა მივაბიჯებდი მოედანთან და წამით თვალი შევიავლე წითელ ხილაბანდს. ავედევნე, მაგრამ სადღაც მიიშალა.

მე დავეძებ, ის კი გამირბის თურმე.

ყველაფერი დაიმსხვრა. აღარ იყო სიყვარული. იყო მხოლოდ მოგონება. და მეც ვცდილობდი შემენარჩუნებინა ეს მშვენიერი მოგონება.

სად იყვნენ ახლა ჩემი უცნობი ვაჟები? მეც მქონდა მათთვის სათქმელი. გავიდა კიდევ რამდენიმე დღე.

შუადღეა. წითელხილაბანდიანმა ქალიშვილმა ნელი ნაბიჯით გადაჭრა მოედანი. ლაღად მიაბიჯებს, უბრალოდ, სახეზე ერთი ნაკვთიც არ ერხევა. მარცხნივ შეუხვია. ფოსტის შენობაში შესვლამდე უკან მოიხედა. თვალი არაჩვეულებრივი სითბოთი აევსო, თითქოს ნაცნობს შეხვდაო. ტუჩებზე ღიმილი გადაეკრა, მაგრამ არ მისალმებია არავის, არც ვინმესთვის გაუღიმიო. ნელა ავიდა კიბეზე. ცოტა ხნის შემდეგ იგი ფოსტიდან გამოვიდა და ნელა გაჰყვა ქუჩას. გაუხსნელ წერილებს გულგრილად ატრიალებდა ხელში. ფოსტიდან გამოვიდა ვიღაც უცნობი ვაჟი და უკან გაჰყვა. მე ცნობისმოყვარე თვალთ მივაცილებდი მათ. ხალისით მისაუბრობდნენ, თავისუფლად მიდიოდა წითელხილაბანდიანი ქალიშვილი, სიხარულისაგან ტოკავდა მისი თანამგზავრი. გზა იყო გრძელი და ისინი მიდიოდნენ პირდაპირ.

მეორე დღეს მე იმ ვაჟს შევხვდი ქუჩაში.

— თქვენ ფოსტაში გაიცანით მანანა? — ვკითხე მას.

უცნობი განცვიფრდა. მაგრამ ის იყო ბავშვი და მას განცვიფრებაზე უფრო სიამაყე ემჩნეოდა სახეზე.

— დიახ! მე კარგად ვიცნობ მანანას. — თქვა მან.

გავჩუმდი. მერე დავძინე, მანანა მეც ფოსტაში გავიცანი-მეთქი და გავშორდი. მას თვალეები უბრწყინავდა. მომაგონდა მანანას ამაყი სიარული. მისი მაცდური ღიმილი და წითელი ხილაბანდი.



იაკობ მელია

ილია ჭავჭავაძეს

მუხის ღარში მოწანწკარვე,
საყვარელო ყვარლის წყაროვ,
შენს მახლობლად მოკრძალებით
მინდა მუხლი მოვიყარო.
ნეტავ რარივ და რა ძლიერ,
გულში აჩენ ტრფობის წყურვილს.
მოდო, მადლი შემომწირე,
რომ მიეცეს ძალა სურვილს.

რომ ამღერდეს ჩემი ლექსი,
უძვირფასეს ხმით და ძალით,
მითხარ, წყაროვ, წყარო ხარ დაუ
საოცნებო ნატურის თვალი?
მოიმღერი, მოიმღერი
და არ ცხრები სიყვარულში,
შენ სათავე მშვენიერი
გიპოვია მგოსნის გულში.

სიმღერა თბილისზე

განახლებულ ქართლის გულში
მხრებს ისწორებს ნარიყალაც,
ირგვლივ მთები — შუბოსნები,
დაჰყურებენ თბილის ქალაქს.
და მთაწმინდაც ცის ლაყვარდში
რძისფერ ნისლში გარინდულა,
მარადიულ სილამაზის
და ოცნების თაიგულად.

ხეივანებში სიო დაქრის,
თბილისის ზღვის მონაბერი,
განა როგორ მოითვლება
ამ ქალაქის შნო და ფერი.
სულ რომ მზერად გადაიქცე,
მის სიმდიდრეს ვერ დაითვლი.
ვის უხილავს ქვეყანაზე
სხვა ამგვარი მარგალიტი?

* * *

არ მინდა მე სიტყვა
ოქროსებრ ციმციმა,
გულისკენ გზას იგი
თუ კი ვერ გაიგნებს...

ნამდვილი ოქროა
ისეთი სიტყვის თქმა,
რომელსაც მოიხმარ,
რომელსაც გაიგებ.





გაჩინა გაჩინებში

იქნებ...

შეგეკუმშება როდესაც გული,
რომლის მიზეზსაც არ ეძებ დიდხანს,
ხელახლა ფურცლავ „ვერტერის ვნებას“,
ვნების გარეშე რომ წაგიკითხავს.
როცა რაღაცის გამხელა გიჭირს
და გული რაღაც იმედით ცოცხლობს,
როცა ყველასთან ხარ აბეზარი,
მაგრამ ერთთან კი ბავშვით მორცხვობ.
როცა ცხოვრებას სხვაგვარად უმზერ
და ყველაფერი შენთვის კარგია.
შუალამისას იღვიძებ როცა
და ეძებ, რაც არ დაგიკარგია!
მაშინ სხვაგვარად ეტრფი ბალახებს
და გვირილებსაც გასურს მოეფერო.
იქნებ წერილის დაწერაც გაძულდა,
მაგრამ... იქნება ლექსიც დაწერო
და შემდეგ იქნებ დარჩე პოეტად.



მოღვაჩ ჭანჭიკია

„ქარიშხლის თვალი“

გემი „თბილისი“ ბისკაის ყურეს ლილისფერ ზედაპირს მიარღვევდა. სადამოვდებოდა.

დასალიერს ბოლქვა-ბოლქვად შექუჩული ღრუბლები მოეფინა. ცაში აჭრილი მზის სხივები გაშლილ მარაოს ჰგავდა. შორს, იქ, სადაც ცის ტატნობი ოკეანეს უერთდება, ლაყვარდის ზოლი მოჩანდა. მზემ თანდათან ღრუბლებს თავი დააღწია და ოკეანეში ნელა, ზოზინით ჩაეკიდა. მოელვარე კიდიდან მწვანე სხივების კონა ამოიფრქვა. ეს კარგ ამინდს მოასწავებდა.

კაპიტნის ბოგირის მარჯვენა ფრთაზე შავგვრემანი, მაღალი ტანის კაპიტანი გიორგი იდგა. „თბილისის“ მორიგე შტურმანი შოთა რუსიძე ზღვაზე შემოღამებს გაეტაცა...

გიორგიმ ეს შენიშნა და ნაქარვე, მზით გარუჯულ სახეზე ღიმილმა გადაურბინა. შოთამ მშობლიური ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი ახლახან დაამთავრა და კაპიტანს სწორედ ამიტომ არ გაკვირვებია თანაშემწის აღტაცება.

გიორგიმ კარგად იცოდა, რომ მეზღვაურებში „გემთა სასაფლაოდ“ წოდებული ბისკაის ყურე ვერაგია და თვალთმაქცი, მუხანათი და თან მომხიბვლელი...

კაპიტანმა ბისკაის ყურეში შემოსვლისას, ოთხი საათის უკან, ამინდის ზიუროს ცნობა მიიღო: „ყველას, ყველას, ყველას!.. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ციკლონი ბისკაის ყურეს გაივლის“.

ამ ოცდაათი წლის მანძილზე ზღვის კაცად ქცეულ გიორგის ბისკაის ყურეში მსგავსი დაისი არ ენახა, უამრავ ფერთა ამგვარი კრთომა არ შეუნიშნავს. ამჯერად მზის გულში ჩახედვა და მისი საიდუმლოების ამოკითხვა ეწადა... კარგად აწონ-დაწონა ყოველივე და გადაწყვიტა...

— მორიგე!

— გისმენთ.

— ბოცმანს გამოუძახეთ!

ბოცმანი კოვალჩუკი გამოცხადდა.

— შეიძლება ამინდი შეიცვალოს... — დარიგების კილოთი დაიწყო კაპიტანმა...

თმაშევერცხლილი, ბრგე კოვალჩუკი დაუყოვნებლივ შეუდგა ნაგების და-
თოკვას, ღუზების დამაგრებას, სანათურების მჭიდროდ დახურვას...

ეკიპაჟი ამოძრავდა.

სალონში მუსიკის ხმა მიწყდა... უფროსი შტურმანი გემის მზადებას სა-
თავეში ჩაუდგა...

ბოცმანი ჯარასავით ტრიალებდა, ყოველივეს თვითონ სინჯავდა. ოცი
წლის ნაოსნობამ კოვალჩუკი ზედმიწევნით გამოაწროთ და ზღვის სტიქიასთან
საბრძოლველად მზადებისას ყოველთვის უდიდეს სიფრთხილესა და წინდახე-
დულობას იჩენდა.

— მეზღვაური მენაღმესავით უნდა გაურბოდეს შეცდომას, — ხშირად
იტყოდა ხოლმე კოვალჩუკი.

გემზე მზადება მოთავდა...

გიორგი კაპიტნის ბოგირის მარჯვენა ფრთას არ სცილდებოდა და ზღვის
პორიზონტის მეთვალყურე ქარიშხალთან შებრძოლების ეპიზოდებს იგო-
ნებდა...

— რისთვის მოუნდა კაპიტანს ეგებთობით ლაპარაკი? დაისი ხომ უმშვე-
ნიერესი და კარგი ამინდის მომასწავებელი ჩანდა?! ქარიშხალი თუ მოსალოდ-
ნელია, რატომ უნდა ეთქვა კაპიტანს „შეიძლება ამინდი შეიცვალოსო?!“ — უ-
ვირდა ბოცმანს გიორგის ამაღამდელი მერყეობა.

კოვალჩუკი კაიუტის კედელზე მიმაგრებულ მეუღლის სურათს ჩააკვირ-
და, თვალი ჩაუკრა, გაუღიმა. მზერა თანდათან ბუთხუზა ბიჭის სურათზე გა-
დაიტანა და თითქოს ძახილიც მოესმა მისი: „მამიკო!“

ბოცმანი ოჯახზე ფიქრმა გაიტაცა. გული აუჩუყდა კოვალჩუკს. ფიქრ-
მორეულმა თვალები დახუჭა, თითქოს ცოლ-შვილს ჩაეხუტა და ჩაიძინაო.

შებინდა.

ცივი წიავე შემოიჭრა ზღვაზე.

დასავლეთიდან უკვე განაცრისფერებული ღრუბლები მოიზღაზნებოდნენ
და ზღვის ზედაპირს უახლოვდებოდნენ...

წიავე დეკემბრის სუსხიან ქარად იქცა.

„თბილისის“ მარჯვნივ ატლანტის ოკეანე აიფოფრა, მარცხნივ კი ბისკაის
ყურე ატორტმანდა.

გემი აქანავდა...

ზეცა მოიქუფრა და მიდამოც შავ ძაძებში გაეხვია.

„თბილისის“ ირგვლივ სივრცე იკუმშებოდა და პატარავდებოდა. გემი
წავ-შავი ღრუბლებისა და ზღვის ფაფარაყრილი ზედაპირის ორომეტრიალში
მოემწყვდა.

დასავლეთიდან შემოჭრილი ქარი ტყვიასავით მძიმე ღრუბლებს მოე-
რეკებოდა.

ბისკაის ყურე აზვირთდა.

უეცრად „თბილისის“ მარჯვენა ქიმს გოლიათი ტალღა გრუხუნით ეძგერა,
გემი შეანჯღრია და დაარწია.

ეს იყო ციკლონის მოახლოების მაუწყებელი.

ბოცმანს გამოეღვიძა.

ეს ვეება, დევივით კაცი სწრაფად წამოდგა... გემბანზე გავიდა. ქარმა
ჯულმკერდი გაუგრილა და აზრი გაუნათა. ირგვლივ რომ მიმოიხედა, დარწ-

მუნდა: ორ-სამ საათში გემი ციკლონის წინა ფრთაში შეიჭრებოდა... ქსარი ძლიერდებოდა.

ატლანტის ოკეანიდან ზანტად მოგორავდნენ ქაფმორეული ტალღები... „თბილისი“ კუნაპეტ სიბნელეს მედგრად მიაპოვდა. განრისხებული და პირდაღებული ოკეანე კი ჩაყლაპვას უქაღდა მას...

რაც მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ძლიერდებოდა შტორმი.

ქარი წამში 30 მეტრის სიჩქარით ქროდა.

გოლიათი ტალღები თამაშით მიიწევდნენ გემისაკენ... თბომავალი, წყლის ქედებზე ასვლისას და ჩამოსვლისას, მთელი კორპუსით ძიგძიგებდა. ციკლონის ფრთის შემოკვრამ გიტარის სიმღვივით დაჭიმული, ანძებს შორის გაბმული ანტენა ააყლერა.

კოკისპირულად წვიმდა.

ქარიშხალმა იძალა, ირგვლივ ყოველივე გრიალებდა, ქუხდა და შთანთქმით იმუქრებოდა.

გრიგალის ღმუილმა და ტალღების ქუხილმა სამამულო ომის ყველაზე მწარე ეპიზოდი მოაგონეს კაპიტანს.

1941 წელი. დეკემბერი.

ლოცმანი გიორგი გემების ქარავანს მიუძღოდა. მათ მტრის თვითმფრინავები წამოეწივნენ. დაიწყო ბრძოლა, სასტიკი და უთანასწორო. გემების ირგვლივ ზღვა აირია, აფორიაქდა...

„ომს ხალხთა შორის თვითონ ხალხები აღკვეთენ, მაგრამ ომი ზღვის სტიქიასთან დარჩება, თუ კი ადამიანი ამინდის მართვას ვერ დაეუფლება“, — ლექრობდა გიორგი.

და აი წყვილიაღში შავი მთა-ტალღა ზრიალით ეძგერა გემს, ოციათასტონიანი კორპუსი ნაფოტივით აათამაშა, აიტაცა და უცებ გამოეცალა. ხომალდი წამის განმავლობაში ჰაერში ეკიდა, შემდეგ კი ძირს, თითქოს უფსკრულისაკენ დაქანდა. მეზღვაურებს სუნთქვა შეეკრათ... გემის რადიორეპროდუქტორიდან „ვარიაგი“ მოისმა და ეკიბაჟის ყოველი წევრი ამ სიმღერას უნებლიეთ ჩუმად აჰყვა.

წამები საუკუნედ გადაიქცნენ...

„თბილისი“ ზღვის მობუყბუყე მორევში დგაფანით ჩაეშვა. გემის ორივე მხარეს წყლის კედელი აღიმართა, გადმოიხარა და უხუილით დაეცა გემბანს. ცხვირიდან კიჩოსაკენ წამოსული ოკეანე გემის შუანაწილში ზედნაშენის წინა კედელს მიასკდა, ორად გაიყო და აბობოქრებულ ზღვას შეუერთდა.

გემმა სვლას უკლო. საათში რვა კილომეტრს თუ გადიოდა...

ზღვა და ქარი თითქოს შეთქმულიყვნენ: ზღვა ბორგავდა, გემის ფოლადის კორპუსს ებრძოდა, მთის ოდენა ტალღებს მსუბუქად მოათამაშებდა. გაშმაგებული ქარი კი ტალღას უხეფებდა აქცევდა, თითქოს ყველაფრის წალეკვა სურდა.

ყველაფერი ბრუნავდა და ბობოქრობდა.

გემის კორპუსი უზარმაზარ დოლივით გრუხუნებდა, შბანგოუტები და ბიმსები ჰრიალებდნენ, ძალური დანადგარები რიტმულად ბუბუნებდნენ.

„თბილისი“ და მისი ეკიბაჟი დაიქანცნენ, თითქმის დაუძღურდნენ, მაგრამ მაინც მამაცად ებრძოდნენ გააფთრებულ სტიქიონს.

ყოველი წუთი დაძაბულ სიფხიზლესა და ნებისყოფის სიმტკიცეს მოით-

ხოვდა. ახალგაზრდა ნაოსანს ლევანს ზღვის რომანტიკა სიძულვილით შეეცვალა. შტურმის პირველმა ბათქებმა იგი თითქოს მოხიზლეს, მაგრამ გემის მუდმივებულმა რწევამ გააბრუნა, თავი დაუმიძიმა და გული საგულედან ამოუვდო. ლევანი მაინც არ ნებდებოდა, არ ემორჩილებოდა ოკეანეს...

კიჩოდან საჰის ჯიხურში მიმავალი ლევანი გემის რწევამ მიანჯღრ-მოანჯღრია და მოცელილივით დასცა ვადასასვლელ ხიდურზე. წამოდგომა ძლივს მოახერხა, მავთულის ლეერს ჩაეჭიდა და თავი შეიმაგრა. მარჯვნივ რომ გაიხედა, თავზარი დაეცა: ოკეანე თავზე წამოდგომოდა და გასრესით ემუქრებოდა, თვალის დახამხამება ვერ მოასწრო. ვეებერთელა ტალღა ქუხილით დაეცა მას, ჩაეჭიდა, მოქაჩა და მოსხლიტა ლეერს, ხიდურის გასწვრივ გააქანა და ზედნაშენის გემბანზე დაანარცხა. ნახევრად გულწასულ მეზღვაურს უფროსი შტურმანის კაიუტიდან გამოსული ბოცმანი წააწყდა. კოვალჩუკი მკლავებში წვდა გემბანზე ვაშლართულს, წამოაყენა და კაიუტაში წაიყვანა...

ლევანს არც დაუკვენსია.

როგორც იქნა, ენა ამოიდგა...

გაფერმკრთალებულმა ძლივს ამოილულლულა: „მე და ზღვა ერთმანეთს ვერ შევეგუებით“.

ბოცმანს არ უნუგეგმებია ახალბედა მეზღვაური.

უცებ ქარი მიყუჩდა, მიიძინა, ღრუბლები გამეჩხრდა და ზეცის ლურჯი სარკმლიდან მზე გამოჩნდა. ცალთვალა ცამ გაანათა მიდამო.

ზღვა კი ისევ ბორგავდა. თბომავალს ყოველი მხრიდან თავს ესხმოდა ტალღების წყება, თითქოს ხომალდი დოკში იდგა და მის კორპუსს უროების ცემით ჟანგს აცლიდნენ.

გემი „ქარიშხლის თვალში“ მოექცა.

ყალყზე შემდგარი თეთრად აქოჩრილი ტალღები განუწყვეტლივ გრიალებდა, უზარმაზარ მდინარესავით მოედინებოდა ოკეანე — მარილიანი წყლის უდაბნო. ტალღა ტალღას ეწნებოდა, ეგრიხებოდა, გემის ცხვირზე გადმოდიოდა და კაპიტნის ბოგირის მოაჯირსაც ეხეთქებოდა.

ცაში შემოდგომის მზე კი ზაფხულის მზესავით აკამკაშდა. ტალღების ჯარი მზის ოქროსფერი სხივებით დაიბარდა და მოიქარგა.

ოკეანე ტალღების ჯეჯილივით წამოიშალა, მის შუაგულში კი „თბილისი“ ირწვოდა.

სექსტანომარჯვებული გიორგი წამდაუწუმ მოქანავე გემის კაპიტნის ბოგირიდან მზის „დაჭერას“ ცდილობდა და სწორედ ამ დროს რადიოდებეშა მიიღო: „სამი წერტილი, სამი ტირე, სამი წერტილი“... ამ ორი დღე-ღამის განმავლობაში არაერთხელ მოუხმენია კაპიტანს: ტა, ტა, ტა... ეთერში უხილავი ბგერები ირხეოდნენ: SOS — ათობით პატარა თუ დიდი საოკეანო გემი შველას ითხოვდა, მაგრამ ყოველ მათგანს თვითონ უჭირდა და აბა რა უნდა ელონა გიორგის...

რადიოდებეშა თბომავალ „გროზნიდან“ მოვიდა. გიორგის ყოფილი მოწაფე და თანაშემწე, აშკამად „გროზნის“ კაპიტანი შველას ითხოვდა: „...გემი საჰეს არ ემორჩილება, დახმარება მჭირდება. კაპიტანი ლოსევი“.

გიორგისათვის ცხადი გახდა, რომ ბისკაის ყურემ მორიგი მსხვერპლი ხელთ იგდო და სულ მალე კლდოვან ნაპირზე გარიყული „გროზნი“ ნამსხვრე-გებად იქცეოდა...

რადისტის თითი აკაკუნდა: „გემის სამართავად ორივე მოსასმელი ხრახნი გამოიყენე, ასი მილით გაცილდი ნაპირს. შემდეგ გიბრალტარისაკენ აიღე გეზი. გიორგი“.

„თბილისის“ კაპიტანი განსაცდელში ჩავარდნილ მეგობარს ამხნევებდა და რჩევა-დარიგებას აძლევდა...

შუადღე იყო, მაგრამ შემოღამებას უფრო მოგავდა...

თბომავლის ცხვირი ვეებერთელა შუქ-ლურჯ ტალღაში შეიჭრა, ვერ გარღვია. მთელი გემბანი წყლით დაიფარა. ზღვის ზედაპირზე მხოლოდ კაპიტნის ბოგირი მოჩანდა.

გემის ამოტივტივება დაყოვნდა.

ოკეანე კი უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა.

საჭის ჯიხურაში მდგომი კაპიტანი შეკრთა, მას ანაზღად ორმოცდაათი წლის წინათ ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეთა საზღვარზე ინგლისის გემის „უარატის“ საიდუმლო გაუჩინარების ამბავი მოავონდა.

გიორგიმ შტურმანებსა და მესაჭეს გადაავლო თვალი. მათ სახე გაფითრებულიათ...

ზღვის წყალი სავენტილაციო მილებით სამანქანო განყოფილებაში შეიჭრა. წყლის ჩამოქცევამ მორივე მექანიკოსისა და მემოტორების ყურადღება მიიპყრო. მაგრამ როდესაც ცისფერმა შადრევანმა იმძლავრა და საშინელი სტვენა-შხუილი მორთო, ყველას შეაყრყოლა, ზოგიერთს კი შიშისაგან სახე დაეღრიჯა... ტელეგრაფის ხარი აწკრიალდა. ციფერბლატზე ისარი გადაიწია, მექანიკოსმა ძრავის მქნევარა ბორბალი მოატრიალა. დიზელის მუხლა ლილვის ბრუნვამ იმატა...

გემი შეტოკდა.

სამანქანოში წყლის შემოსვლამ იკლო...

კაპიტანს ცივმა ოფლმა დაასხა...

„თბილისის“ გაექცა „უარატის“ ბედს...

ქარიშხალი თანდათან ნელდებოდა.

ციკლონი და თბომავალი შორდებოდნენ ერთმანეთს...

გემი მთავრდებოდა ზღვის ქოჩორშევერცხლილ ზვირთებიან ზედაპირს...

„თბილისის“ კიჩოს გემბანზე გიორგი და მესაჭე ლევანი იდგნენ. ორივენი გემის მოსასმელი ხრახნით აქაფებულ კვალზოლს ვაპყურებდნენ. კაპიტანს სახის კუნთების თამაშზე ეტყობოდა, რომ მისი საუბარი დასასრულს უახლოვდებოდა:

— აბოპოქრებული ზღვა ჭეშმარიტად მიმზიდველია. მის ტალღებზე მონავარდეს კი ზღვის სიყვარული შეიძლება ჩიძულვილით შეგეცვალოს. მაგრამ თუ ზღვამ გული გაგიხსნა და გიმეგობრა, სამუდამოდ დაგატყვევებს. — თქვა ღიმილით გიორგიმ, მხარზე ხელი დაჰკრა ნაოსანს და კაპიტანის ბოგირისაკენ გაემართა.

ლევანი აცრემლებული თვალებით მიაცილებდა კაპიტანს და ფიქრობდა: „ნუთუ ეს ლამაზი, მაგრამ დაუნდობელი ზღვა გულს არ გამიხსნის და არ დამატყვევებს?“





გული საღებავი

კატარა ლექსები

— ამბავს გეტყვიო, ჩამოო წამით —
წყაროს ჭადარი ჩამოუხმია.
გაშეშებულა თურმე ლერწამი
და იჭვებს ისე ჩამოუხმია...

რომ მიუღულავს წყნარი თვალები
და არა არხევს ნარნარა ლეროს.
მთვარე კი დადის ფერნამკრთალები,
ვითარცა ეროს...

* * *

მთვარე მთას თითქოს მოჰფარებოდა,
იქ დარაჯობდა საგუშაგოზე.
ღუმდნენ ჩიტები,
საიდუმლო გულში
ჩაგოზეს.

დაუდევარი ობობაც თვლემდა,
ქსელთა მლამბავი.
ხეთა მიაშბეს შენი ამბავი.
.....
არ მოვსულიყავ,
ის არა სჯობდა?!

* * *

მე მინახავს ქალი ამ ზღვის ნაპირებთან,
მე მინახავს, ირგვლივ როცა ბნელოდა,
ქარიშხალი თითქოს წარღვნას აპირებდა,
ის კი იდგა, ელოდა...

* * *

ვიჯექი წყაროსთან იდაყვდაყრდნობილი,
შენ რომ გიყვარდა, სწორედ იმ წყაროსთან
და მას საიდუმლო, შენგან მინდობილი,
კინალამ წამოცდა.





ვიოჩგი უკუბაძე

სარძლოს ღიმილი

ჩემს უფროს ძმას ერთი შავტუხა გოგო უყვარდა, შადიე. მათი სიყვარულის შესახებ მაშინ გავიგეთ, როცა სამამულო ომის წინ ძმა სამხედრო სასახურში გაიწვიეს და დაშორიშორებულნი ერთმანეთს წერილებსა და ფოტოსურათებს უგზავნიდნენ; მანამდე ხანდახან მორცხვად თუ გვეტყოდა ძმა, „შადიე კარგი გოგონააო“...

ჩვენ ვუკვირდებოდით ძმის ამორჩეულს... ძმა არ ცდებოდა...

ერთხელ მე და ჩემს უმცროს ძმას შადიე გზაზე მარტოდ შემოგვხვდა. მოსალმების მავიერ მორცხვად გაგვიღიმა და თავი ეშხიანად გაიქნია... ალერსიანი იყო ეს ღიმილი, თბილი, მშობლიური, გულს რომ სიამით ატოკებს...

— დედას ხომ ჰგავს შადიე? — შემეკითხა ძმა, როცა შადიე თვალს მოეფარა.

— ჰო, ჰგავს, — დავეთანხმე ისე, რომ თავი არ ამიწევია და გარდაცვლილი დედის მოგონებით გულდათუთქულებმა ვხა შინამდე ხმაამოუღებლად გავლიეთ.

* * *

დედამ პატარები დავგეტოვა, მაგრამ მისი იერი მეხსიერებიდან არ მოგვშორებია. შადიე ძლიერ ჰგებდა მას. მაინცდამაინც ლამაზი არ იყო — მოგრძო შაქრიანი სახე... შუაზე გაყოფილი შავი ნაწნავები.. საშუალოზე ცოტა მაღალი... ჩვენს უფროს ძმას იგი ძლიერ უყვარდა, უყვარდა გატაცებით... უმისოდ ყოფნა უჭირდა...

გადიოდა წლები...

დამთავრა ომი...

ომგადახდილი მეომრები დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს...

ჩვენი ძმა კი არსად ჩანდა.

ამოდ ველოდეთ!

ჩვენთან ერთად ელოდა შადიეც და მის მოუსვლელობას ჩვენზე ნაკლებად არ განიცდიდა, მაგრამ...

ბოლოს იგი სხვას მითხოვდა, სხვაგან შექმნა ოჯახი, გაიჩინა შვილები....

ცხოვრობს ახლა თავისთვის. წლების სიმრავლე ვერაფერს აკლებს. ჯერ ისევ ისე შავი თმები აქვს, ისევ ისე მუყაითია და ჯანღონით სავსე. თუმცა ხუთი შვილის დედაა, ისევ ხმაკრიალა, მკერდსავსე და სახემღიმარია...

...სხვისი რძალი... ჩვენ კი, ძმებს, მაინც გვიყვარს, თითქოს ჩვენი იყოს, ჩვენი ღვიძლი. მისი ნახვა ახლაც აღგვიძრავს მწარ-ტკბილ მოგონებას; დედასაც გვაგონებს, ძმასაც... გვიხარია მასთან შეხვედრა. ვიცით, მოსალმების მაკვირად ხელახლა შემოგვაფრქვევს იმ დაუვიწყარ ღიმილს, სარძლოს ღიმილს,



იკინა უპეიქიქა

ჩანჩქერი

მოჩუხჩუხებს კლდეზე,
ქვიდან ქვაზე დახტის.
მედიღურობს, მეფობს,
კლდეა მისი ტახტი.
გაიშლება დაბლა,
ჰორწყავს მწვანე ველებს,
რომ მივიდე ახლოს,
კაბას დამისველებს.

დავდგები და შორით
ვუცქერ დიდი ხანი.
როგორ მხიბლავს, როგორ
მისი სუფთა ტანი!
რატომ მეჩვენება,
იცით, ასე კარგი?
მე სული მაქვს სუფთა
და მასავით შმაგი.

უეცრად

მზემ დიდებულმა
ფრთები დაკეცა,
აიმღვრა ზეცა...
იჭექა მეხმა,
წვიმის წვეთები
მიწას დაეცა,
ბალახს ეძინა,
გამოეღვიძა
და გაეცინა.

* * *

ახალგაზრდული ელვარებანი
გაგხუნებია, დაგკრა ჭალარამ
და ჭაბუკური ვნებათღელვანი
რადაც მორჩილმა გრძნობამ დაფარა.

დღეს არა, ხვალე, კარგო, ერიჰა!
ველური ეშხიც დაგითვის წამებს...
და მაინც ისე სასურველი ხარ,
როგორც აპრილის ნეტარი ღამე.

იმ ზაფხულზე

იმ ზაფხულზე
ღამე იყო გამთვარული.
ცა იყო და რა ცა!..
ცელქი სიო დავიბარე
და სახლიდან გავიპარე.
მეძებეს და
ვერ მიპოვეს გაპარული,
სიომ მომიტაცა.

მრისხანე სული

მე შევენივთე საშინელ ღუმელს
და უხმო ხმები ლექსად დავძარი.
გული გავხადე ისეთი ჩუმი,
ვით შუალამის ბნელი ტაძარი.
ფიქრს უმძიმესი დავადე რიდე —
არ ყოფილიყო ღამის მთეველი,
მაგრამ არ იქნა, ვერ დავამშვიდე
მრისხანე სულის სასუფეველი.





შალვა ჩიჭიშვილი

ჩემო მთაო და ჩემო ზეცაო

გულით ზღვა დამაქვს სიყვარულისა,
ჩემი ცისა და ჩემი მთებისა.
დე, თუნდაც დამრეს გრძნობა ლექსისა,
ჩემო მთაო და ჩემო ზეცაო,
მანც ვიქნები რაცა ვარ ისა, —
ტრფიალი ცისა...
ტრფიალი მთისა...

* * *

უძირო ცა ზღვისფერი,
უძირო ზღვა ცისფერი.
და კვიპაროსები, ჩუმი, ვით ქალაქი.
არა ქრის ქარი,
მზითაა სავსე კაცი და ქალი

და მეც ავივსე მზით.
ვბანაობ ფიქრებში,
როგორც ცა ჩუმი,
როგორც ზღვა ჩუმი,
როგორც ბათუმი.





ჰაინს კაუხელი

ათი ფოთოლი და აღსასრულიც დადგება

გარეთ ქარია. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან უბერავს იგი. მე მას ვგრძნობ, თუმცა ოთახში ორმაგი ფანჯარაა. ქარწვიმა ხანგამოშვებით ეშხაპუნება ფანჯარის მინებს; მე კიდევ მსიამოვნებს ეს ხმაური, რადგანაც იგი ახშობს ჩემი საწოლის თავზე მოთავსებული გაიგერის მრიცხველის ზუზუნს.

ოთახში რადიაქტიური გამოსხივებით მოწამლული საგანია. საგანი ეს მე ვარ, სერჟანტი ბილი ო'ბრაინი, მე-18 საპატრულო ესკადრილის მფრინავი. ჩემი სხეული უსიცოცხლოა, ვერაფერს ვერ ვგრძნობ, ვერავითარ ტკივილს. მაგრამ ვაზროვნებ, მესმის, ვხედავ. თუმცა განა ბევრ რამეს ვხედავ? თეთრ კედლებს, ტყვიის ამალღებულ დასცველ კედელს ჩემი საწოლის წინ, ფანჯარას, წვიმით დასველებულ მინებს და სუროს ყლორტს, რომელიც ქარის შემოტევისაგან ცახცახებს.

მე ვერ ვამჩნევ ოთახში შემოსულ ადამიანებს. ისინი ჩემზე ლაპარაკობენ, ან თვით მე მელაპარაკებიან, ხელით მეხებიან, ხელებს მიხვევენ ან მიწევენ. მე ისიც არ ვიცი, თუ რა დროა. სუროს ყლორტია ჩემი საათი. ქარი ჰგლეჯს ფოთლებს. მე ჟერჯერობით ათი ფოთოლი დავთვალე. ისინი დიდხანს ვეღარ გაძლებენ, ჩამოცივიან და ჩემი აღსასრულიც დადგება. სერჟანტი ბილი ო'ბრაინი მოკვდება უკანასკნელ ფოთოლთან ერთად.

გულში ჩემს სანახავად მოსულ პოლის მღვდელს მღვდლის ხმაც კი არ ჰქონდა. წკრიალა და ლითონისებური იყო მისი ხმა. იგი ტკივილს მაყენებდა. გულში ტყვიასავით მხვდებოდა მისი სიტყვები, თუმცა მათ ნუგეში უნდა მოეცათ.

„ღმერთის არსებობა მარადიულია, ხოლო ადამიანი მოკვდავია. ამიტომაც გან თავის არსებობასაც არავითარი მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭოს. იგი ხომ მანამდე, დაბადებამდე არ არსებობდა!“

მე ეს კარგად გავიგონე და გავიგე, მაგრამ მეტად აღარ ძალმიძს ლაპარაკი. თითქმის ყოველ ცდას მხოლოდ ხრიალი მოყვება ხოლმე. ვგრძნობ, როგორ აიწევს სისხლი, ვხედავ როგორ იღებება ჰერი წითლად. ვინმე მფრინავის არსებო-

ბას მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ეს მფრინავი ხომ თვითონ მე ვარ.

მაგრამ ჯერ კიდევ კოლეჯში გვასწავლიდნენ: სიკვდილს უნდა შეუთრგდე, იგი ხომ მაინც აუცილებლად მოვა შენთანო. სიკვდილი კი ვის ექვემდებარება? ვის? ღმერთს? უკანასკნელი საპატრულო ფრენა აუგსბურგსა და გრენლანდიას შორის ექვემდებარებოდა გენერალს და არა ღმერთს.

ჩემი ფანჯრის წინ ტრიალებს მოწყვეტილი ფოთოლი. კიდევ ცხრა, მხოლოდ ცხრა ფოთოლი დარჩა.

ასსამოცდარიჯერ ვიფრინე აუგსბურგ-გრენლანდიის ხაზზე. ოცდაათხ საათს — დღე და ღამე გრძელდებოდა ფრენა.

შემადრწუნებელი და საზარელი ღამეები იყო. თვითმფრინავზე ატომურ ბომბებს დავატარებდით, უვნებელყოფილ, ტყვიის საფარველით დაცულ ორ ატომურ ბომბს. ყველაფერი თავისი რიგით მიდიოდა. მხოლოდ ხანდახან ზოგიერთს ვეღარ უძლებდა ნერვები. ასე დამართა ტომი დეიხსაც. მას უნდოდა ბომბები ჩამოეყარა და თვითონაც გადმომხტარიყო. ძალად შევკარით იგი და დავაბით. დღეს სადღაც შტატების დასავლეთით ნერვებით დაავადებულთა საავადმყოფოში იმყოფება იგი. ასე ეძახიან ისინი ფსიქიატრულ საავადმყოფოს. იგი დღესაც არ მოსულა გონს და ძალით ჰკვებავენ თურმე. დღესაც კი შეკრული ჰყავთ იგი.

პატარა მოყვითალო ფოთოლი სუროს ყლორტზე საცოდავად მოგრეხილა. თითქოსდა სიკვდილს ეურჩებო. ვეღარაფერი უშველის მას. იგი ვარდება და ტოვებს რვა ფოთოლს.

„ამ ქვეყნად ყველაფერი კანონზომიერია და წინასწარ დასახული გზით მიდის; ცხოვრებაში შემთხვევითობა გამორიცხულია. ღმერთმა ყველაფერი წინასწარ ბრძნულად განსაზღვრა“. — მითხრა პოლკის მღვდელმა. თვალები მეწვის, მინდა დავხუჭო, მაგრამ არ შემიძლია, ქუთუთოებზე ტყავი მაქვს გადამძვარი.

უკანასკნელი ფრენა სხვა დანარჩენივით დაიწყო. თვითმფრინავები მიწის ქვეშა ლიფტთან მივაგორეთ, მან მიწიდან ბომბები ამოიღო, ფოლადის კბილანებმა ტვირთი თვითმფრინავში, ბომბების კამერაში აიტაცეს. როცა სტარტი ავიღეთ, შევამჩნიე, რომ თვითმფრინავი უწინდელზე მსუბუქი იყო, მაგრამ ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია. სწრაფად ავიღეთ სიმაღლე და გავემართეთ ჩვეულებრივი მარშრუტით ჩრდილოეთისაკენ. აეროდრომთან მუდმივი კავშირი გვქონდა.

რადიო ჩავრთე. სან-ფრანცისკოს რადიოსადგური გადმოსცემდა ჯაზურ მუსიკას. უკრავდა ზანგი მესაყვირე საჩმო. საათები გადიოდა. ჩვენ ვითვლიდით მათ. მე მიყვარს კაემნიანი მესაყვირის მუსიკა, განსაკუთრებით „ბეზონ-სტრიტ-ბლიუზი“.

მე ვვოცნებობ. საყვირის სოლო მსუბუქად და სევდიანად მესალბუნება, რაგორც მოხუცი დედის კეთილი ღიმილი...

ექვსი ფოთოლი კიდევ შემორჩენია სუროს ყლორტს. ქარი მძვინვარებს, გიჟივით ახეთქებს პატარა ტოტს... როცა პირველი ხაზი დავფარეთ და გრენლანდიასთან შემოვბრუნდით, ვიგრძენით დაქანცულობა და წყურვილი, დაუოკებელი წყურვილი.

ჩვენ: ჯორჯ ბრენტონმა, რადისტმა, ვილიამ ესტერჰილდმა, მექანიკოსმა, და მე ჩვეულებისამებრ რაღაც აბები მივიღეთ. მაგრამ აბებმა ვერ გვეშველა. ბრენტონს გული ერეოდა. ჯერ ვიფიქრეთ, ალბათ, ხორცმა მოგვწამლა.

მტრინავთა სასაუზმეში ხომ მამაძაღლები მუშაობენ და სანდონი არ არიან. ისინი ხომ მხოლოდ თავიანთ ჯიბეზე ფიქრობენ. უკან ფრენა უსასრულოდ გაგვიგრძელდა.

დაშვებამდე ცოტა ხნით ადრე შეგვაცვია. მუცელი აგვშლოდა და წყალწყალა სისხლად გავედით. ფრენა წამებად გვექცა. მიკვირდა, როცა ცენტრალური სადგური ასე დაჟინებით გვთხოვდა ჩვენი ავადმყოფობის სიმპტომების გადაცემას.

ისინი კავშირს არ სწყვეტდნენ ჩვენთან. დაშვებამდე სამი საათით ადრე კანსისხლდენადი წყლულები გაგვიჩნდა. ახლა კი ეჭვმა დამიწყო ღრღნა...

სუროს ყლორტი თანდათან იძარცვება ფოთლებისაგან. ხუთი ფოთოლი კიდევ ამაოდ იბრძვის.

ჯორჯ ბრენტონი ჯერჯერობით ახერხებდა სადგურისათვის ცნობების მიწოდებას. თავდაპირველი სისუსტე ძლიერმა აღლელებამ შეცვალა. ყველას ღვიძლის ტკივილი დაგვეწყო და ვშიშობდით, რომ მიზანს ვერ მივალწევდით. მე ვიკოდი, თუ რას ნიშნავდა ეს ავადმყოფობა. ერთი თვის წინათ ხელში ჩამივარდა ერთ-ერთი იაპონელი პროფესორის ნაშრომი, სტატია რადიაქტიური წყლულების შესახებ. როცა ესტერპილდს კანის ქვეშ წყლულები გაუჩნდა, ჩემი ეჭვი გამართლდა: მან ეს რადიაქტიური წყლულები ყოფილა.

არაფერი არ მითქვამს, მაგრამ გამახსენდა სტარტის დროს აფრენილი მსუბუქი თვითმფრინავი. მეხუთე ფოთოლი კიდევ ერთხელ ეხეთქება ფანჯრის მიწას და ქრება. ქარიშხალი ისევ მძვინვარებს. გაიგერის მრიცხველი ისევ ზუზუნებს თავის საშინელ გამომავახიზლებელ სიმღერას. მხოლოდ ოთხი ფოთოლია დარჩა...

აუგსბურგში ჩასვლამდე ერთი საათის წინ დიდი კრიზისი დაგვიდგა: ჯორჯ ბრენტონი იძულებული გახდა შეეწყვიტა რადიოგადაცემა. ფილტვისა და საშარდო ბუშტის მწვავე ტკივილებით გამწარებული იატაკზე იკლავებოდა. ვილიამმა და მე ვერაფრით ვერ ვუშველეთ. აკანკალებული ხელებით მეჭირა საჭე. ჩვენ ლაპარაკის თავიც კი არ გვქონდა!

უკანასკნელი ძალები მოვიკრიბეთ და დავეშვიტე სამხედრო აეროდრომზე აუგსბურგში. ჯორჯ ბრენტონი უკვე მკვდარი იყო. როცა იგი ამოყავდათ, ერთ-ერთმა სანიტარმა შემთხვევით ხელი წაავლო მის თმას და თმა ბლუჯა-ბლუჯად შერჩა ხელში. ვილიამმა გრძნობა დაკარგა. როცა გამოვფხიზლდი, ამ საწოლში ვიწექი. ფანჯრის წინ სასიკვდილო დაგლურს უვლის კიდევ სამი ფოთოლი... მე უნდა მოვკვდე; ვილიამი, ალბათ, უკვე მკვდარია. იგი ჩემზე თხუთმეტი წლით უფროსია და სახლში — მანპატენში ოთხი ბავშვი ჰყავს. მე მინდოდა დამეყვინა, როცა პოლკის მღვდლისაგან გავიგე, რომ თურმე გენერალს უბრძანებია თვითმფრინავის დატვირთვა შიშველი, დაუფარავი ატომური ბომბებით საცდელი ფრენისათვის. მაგრამ მე უკვე აღარ შემიძლია ყვირილი, აღარ შემიძლია აღშფოთება. ალბათ, საშინელებას გამოხატავდა ჩემი თვალები, აუწერელ საშინელებას იმის გამო, რომ ადამიანები, ისეთივე ამერიკელები, როგორც მე, დანარჩენ ადამიანებს, მათ ძმებს, ცდის ჩატარების მიზნით სასიკვდილოდ აგზავნიან.

მე ცოცხალი გვამი ვარ.

„გენერალი მხოლოდ სხვათა ნებასურვილის აღმსრულებელია და არავითარ შემთხვევაში არაა ამ უბედურების გამომწვევი“, მითხრა პოლკის მღვდელმა, როცა იგი ღმერთზე მელაპარაკებოდა. მან დასახიჩრებული ხელები ერთმა-

ნეთზე დამიწყო და ხმამალა ლოცულობდა თავისი საზარელი ცივი ხმით
არასასიამოვნოდ უღერდა ჩემს ყურებში: „შენი გადაწყვეტილებით კმაყოფილი
ვარ. მე კარებს არ ვიხურავ შენგან თავის დასაცავად. მე შენდამი ზიზღს არ
ვგრძნობ. ღმერთს მიენდე. იგი მოწყალეა“.

კატმოყვარეობას მასწავლიდნენ, მაგრამ ამ მომენტში მღვდელს მოვახრ-
ჩობდი, მოვახრჩობდი ცოფიან ძაღლსავით...

რატომ? რატომ? რატომ?

კიდევ ორი ფოთოლი. ორი ფოთოლითა ფასდება ჩემი დარჩენილი
ცხოვრება.

ხის პატარა ჯიხურში თბილდა. დედაჩემი ხელებით მეაღერებოდა, მე-
აღერებოდა ისე, როგორც ეს არავის არ შეეძლო, არც ერთ ქალს, ჯილსაც კი,
დივიზიის უფროსის ჩასუქებულ ქალიშვილს.

ჩემს საყვარელ ძაღლს ფლიქსი ჰქვია. იგი შორიდან მიყნოსავდა ხოლმე.

მღვდელს რომ არ ჰქონდეს ასეთი ცივი სახე...

ღმერთი. მე ვხედავ მას ფანჯრის სველი მინის იქეთ. იგი გენერალს ჰგავს.
იქნებ სისხლის გადასხმაა საჭირო?

ვილიამ, მიდი შენს ადგილზე. ბრენტონი იწვევს. ჩვენ ადგილზე უნდა მი-
ვიდეთ.

ფანჯრის წინ უკანასკნელ ფოთოლს ლანდად ვხედავ. კიდევ ერთი ფოთო-
ლი. ქარი ჩადგა. გაიგერის მრიცხველიც ხმამალა არ ზუზუნებს. ჩამოვარდება
იგი, ჩამოვარდება, ჩამოვარდება...

ლეკომია მქონია, როგორც ამბობენ ექიმები, სისხლის კიბოს ერთ-ერთი
სახე... რატომ უნდა დაეფრინავდეთ? ახლა ხომ მშვიდობაა? რუსები ხომ არ
გვიტევენ?

ძვირფას ღმერთს გენერლის სახე აქვს. ჩემს წინ სახეა, მისი სახე.

ჩამომცილდი, გენერალო! ფოთოლი მინდა დავინახო, ფოთოლი. სად არის
ფოთოლი, სად არის უკანასკნელი ფოთოლი?..

ჩამომხსენით ბანდი სახიდან. მომეციოთ გული, გული, გენერალო, ღმერ-
ო! გენერალო... ნუთუ... შენა... ხარ... ღმერთი?

გერმანულიდან თარგმნა პ. ჯორბენაძემ.





ორხან ქაბალი

კატარა ჯამბაზი

სტამბოლის უბის გემი ეუფის გემმისადგომს რომ გასცდა და შუქურას გაუხწორდა, კურსი კასიმფაშისაკენ აიღო.

მეორე კლასის სალონში, რომელიც თამბაქოს ყვითელ ბოლში იყო გახვეული, მოულოდნელად ბავშვის წკრიალა ხმა გაისმა.

— ძვირფასო მგზავრებო, ყურადღება!

სალონის ერთ კუთხეში მდგომი შვიდი თუ რვა წლის გოგონა ცირკის გამოცდილი მსახიობივით თავაზიანად მიესალმა ხალხს და თვალის დახამხამებაში ყირა გაჭიმა. ხელებზე დაყრდნობილი სალონის ერთი კუთხიდან მეორემდე მივიდა. ჩამოშლილი ქერა თმები მტვრიან იატაკზე ეთრეოდა. ბავშვს ზომავზე დიდი შარვალი გულამდე აეზიდა და, რომ არ ჩავარდნოდა, ვიწრო ღვედით მაგრად შეეკრა. დახეული სამოსიდან აქა-იქ შიშველი ტანი მოუჩანდა. როდესაც სალონის კიდეს მიადწია, წამოხტა და მაცურებელს თავი დაუკრა.

ხალხი გულგრილად უყურებდა ბავშვის გამოსვლას. ამგვარი სანახაობა მათთვის ახალი არ იყო. უფრო მეტიც, მგზავრებს მობეზრებულები ჰქონდათ ბავშვების წარამარა ყვირილი, რომლებიც მათ ხველების, სურდოს, თავისტკივილის აბებს, კბილის ტკივილის გამაყუჩებელ წვეთებს, სხვადასხვა საცხებებს და ცნობილ პირთა ფოტოსურათებს სთავაზობდნენ.

პატარა მსახიობი შემდგომ ნომერს ასრულებდა. მას არ ავიწყდებოდა თავის დაკვირვით და ტანის მოხდენილი რხევით ხალხისათვის მადლობა გადაეხადა, თუ კი ისინი ტაშით დააჯილდოებდნენ მას.

გოგონა ბოლო ნომრის შესრულებას შეუდგა. იატაკზე დაჯდა, ზედა ტანი მძლავრად წინ გადახარა და ჯერ მარცხენა, ხოლო შემდეგ მარჯვენა ფეხი მხრებზე გადაიწყო. შემდეგ თავი ასწია და ხალხს გახედა. მე მხოლოდ ამ დროს შევნიშნე, რომ მას ცალი თვალი არ ჰქონდა. მგზავრები ჩვეულებრივი გულგრილობით ადევნებდნენ თვალს მის მოძრაობას. მოხრილი ბავშვი მოულოდნელად ზამბარასავით გაიმართა და ხალხს გაუღმა.

ფულის შეგროვებას შეუდგა. პაწაწინა ლამაზი ხელი წინ გაიშვირა და მგზავრებს ჩამოუარა. მას ახლა უფრო სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა.

უწყურადღებოდ სტრეგებდა ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდებოდა, თითქმის არც კი ესმოდა ზოგიერთი მგზავრის უშვერი სიტყვები, მოლაყბეთა იაფფასიანი ენამახვილობა. მისი მთავარი საფიქრებელი ახლა ფულის შეგროვება იყო. ბავშვს გულისყური იმათკენ ჰქონდა მიპყრობილი, ვისაც ჯიბისაკენ მიჰქონდა ხელი. ერთი წამით თვალს გადაავლებდა ხოლმე გამოწვდილ გროშებს და სახეზე ჩამოცვენილ თმას დროგამოშვებით თავის მოხდენილი მოძრაობით უკან გადაიყრიდა. ის მე მომიახლოვდა, ჩემს წინ გაჩერდა და ცოცხალი გამოიეტყველების ღია ცისფერი თვალი სახეზე შემომანათა.

— ჩემთან სულ ბოლოს მოდი, ყველას რომ შემოვიღი, — ჯიბიდან ოცდახუთყურუშიანი ამოვიღე და ვაჩვენე — აი, ეს უნდა მოგცე.

ბავშვმა გაკვირვებით და თან სიამაყის ნიშნად მხრები აიჩეჩა.

— მე ხომ ნევინი არა ვარ?!

— ნევინი ვინაა? — შევეკითხე.

— არ იცნობთ?

— არა?

— მაშ რატომ მაძლევთ ამ ფულს?

— ნორმების კარგად შესრულებისათვის.

— არა, მაგისტვის მე არავინ მაძლევს ოცდახუთ ყურუშს.

— მე კი მოგცემ.

— ძია, მართლა მომცემ?

— რასაკვირველია!

ბავშვმა ექვის თვალით შემომხედა და გაკვირვების გამოსახატავად ქვედა ტუჩი აიბზიკა.

— აბა, წადი, სხვა მგზავრებსაც ჩამოუარე და შემდეგ მოდი.

— ყველასთან მისვლა მაინც ხელს არ მაძლევს; არაფერი გამოდის, — თქვა და ხელში ჩაბლუჯული გროშები მიჩვენა.

— ყოველდღე ასე ვმუშაობ, ვწვალობ, გროშებს ძლივს ვაგროვებ, საღამოს კი მართმევენ.

— ვინ გართმევენ?

— მამა და დედა.

— ისინი რას აკეთებენ?

— მამა ჯამბაზია, დედაც. ჩვენ ყველანი ჯამბაზები ვართ. საკუთარი კარავი, შავთულის ბაგირი და სხვა მოწყობილობაც გვაქვს... მაგრამ მამა ლოთის ერთია... არც დედაა ნაკლები.

— ეგ ფული მამას უნდა მისცე?

— არა! შუადღემდე რასაც მოვიგებ, იმით კარგად გამოვძლები, კინოში წავალ, ლიმონათს დავლევ. კასიმფაშაზე დღეს კარგი სურათი გადის, ის უნდა ვნახო.

მე მეორე ოცდახუთიანი ამოვიღე. ბავშვს ღია ცისფერი თვალი გაუბრწყინდა.

— ესეც შენ უნდა მოგცე.

ამ სიტყვების გაგრძელებაზე მას სახე გაებადრა.

— რა? მართლა უნდა მომცე ორმოცდაათი ყურუში? რისთვის მაძლევ ამდენ ფულს?

ის ჩემს გვერდით ჩამოჯდა. სიხარული უფრო და უფრო იპყრობდა, ცელ-

ქობდა, ფეხებს ლაღად აქნევდა, ლამაზ გრძელ თითებს სკამზე ეშვებოდა ათამაშებდა.

— მითხარი, რატომ უნდა მომცე ამდენი ფული, ჩემთვის ასეთი თანხა ვერ არავის მოუცია.

პატარა ჯამბაზს ლაპარაკის მაღა გაეხსნა. ყველა კითხვაზე თამამად მიპასუხებდა. მათი ოჯახის ცხოვრებიდან ზოგ ეპიზოდს მიაშობდა.

ნევენი მასზე ორი წლით უფროსია, ნესრინი კი შვიდი წლით. ისინიც თავიანთი შრომით შოულობენ ლუკმას. ნევენს ბევრი არაფერი გაეგება და მთელ მონაგებს საღამოს მამას აძლევს. მიუხედავად ამისა, ცემა-ტყეპა მაინც არ სცდება.

ნესრინი კი ნამდვილი ეშმაკის ფეხია. მან ბევრჯერ გაასულელა ხარაზის ბიჭი, თუმც ის ასაკით მასზე უფროსია.

— ნევენი, როგორც გითხარი, სულელია, მთელ ფულს მამაჩემს აძლევს. ის კი მაინც ცემს. ცემა არც მე მცილდება, მაგრამ კინოში მაინც დავდივარ და მშვიერიც არ ვრჩები.

— თვალზე რა მოგივიდა?

ბავშვი მოულოდნელმა შეკითხვამ დააბნია, სახეზე სიხარული გაუქრა, დაღონდა, მაგრამ ჩემი კითხვა უპასუხოდ მაინც არ დატოვა.

— თვალი მამამ დამიზიანა. ერთ საღამოს მთვრალი მოვიდა. სახლში, გაქცევა ვერ მოვასწარი. სავსებით უმიზეზოდ მცემა. გრძნობადაკარგული საავადმყოფოში წამიყვანეს. თვალი დაზიანებული მქონდა. მისი მორჩენა აღარ შეიძლებოდა და ექიმმა ამომიღო.

— ძალიან გტკიოდა?

— მე ვერაფერს ვგრძნობდი, გულწასული ვყოფილვარ. როდესაც თვალი გაეახილე, პირაღმა ვიწექი საწოლში პატარა ქალბატონივით. ლამაზი ექთანის რძეს მალევეინებდა უფასოდ, ექიმმა კი, მახსოვს, ერთი ფილა შოკოლადი მომცა. — მცირე დუმილის შემდეგ მკითხა:

— ძია, რისგან აკეთებენ შოკოლადს?

მე მოკლედ ვუამბე. ყურადღებით მისმენდა.

— ერთი ლირა რომ მქონდეს, სულ შოკოლადს ვიყიდდი, მე ძალიან მიყვარს შოკოლადი.

გემი კასიმფაშის მისადგომს ნელა უახლოვდებოდა. ბავშვს შეპირებული ფული მივეცი. ის მისთვის ჩვეული სისწრაფით წამოხტა და დაჭმუჭნული ფულები ერთმანეთზე დააღაგა. კვლავ სერიოზული გამომეტყველება დაეუფლა, მხოლოდ ცისფერი ღიჯი თვალი უბრწყინავდა. ხალხს შეერია და გაუჩინარდა.

თურქულიდან თარგმნა ნ. ჩიჯავაძემ.



დღეები და მოვლები

აღექსანდრა ჩხაიძე

ზღვის კაცი

ბათუმის ნავსადგურის პატარა კატერი „გრუზიას“ მიადგა. სხვებთან ერთად მასში ჩვენც ვისხედით — პოეტი ფრიდონ ხალვაში და მე.

ზედა გემბანზე ელიზბარ გოგიტიძეს ვკიდეთ თვალი. შორიდან ვესალმებით. ისიც ხელს გვიქნევს.

მგზავრები გამწკრივდნენ ტრაპზე.

მალე კატერი უკან გაბრუნდა.

ელიზბარს ახლა კაპიტნის ხიდურზე ვხედავთ.

იქიდან ისმის სასტვენის ხმა.

ასწიეს ტრაპი. ღუზა ამოქაჩეს წყლიდან. ფეხქვეშ აგუგუნდნენ მანქანები. ზრახნების მძლავრმა ტრიალმა წყალი ააქაფა.

კაიუტაში მოვეწყვეთ და ისევ გემბანზე გავედით. თანდათან ვშორდებით ხმელეთს. ნაპირზე სულ უფრო პატარავდებიან გამცილებლები. ბათუმი სულ უფრო და უფრო ემსგავსება კონცხს.

თბომავალი გავიდა ღია ზღვაში.

საფუძვლიანად ვათვალისწინებთ გემს. ჩვენს კაიუტასთან კედელზე მსოფლიო რუკის მაკეტია. მასზე სხვადასხვა ფერის ხაზებით აღნიშნულია „გრუზიას“

ძირითადი საზღვარგარეთული რეისები: ევროპის გარშემო, შორეულ მეღბურნში, ვლადივოსტოკში, აფრიკის ირგვლივ... მეორე მხარეს ვიტრინაში გამოფენილია თბომავლის ეკიპაჟისადმი მიძღვნილი საჩუქრები და სიგელები ავსტრალიის სხვადასხვა საზოგადოებებისა და ორგანიზაციებისაგან, კერძო პირებისაგან, მგზავრებისაგან... აქ არის ოლიმპიურ ჩემპიონთა სამახსოვრო წერილი თბომავლის ეკიპაჟისა და მისი სახელოვანი კაპიტნისადმი. ქართველები ვართ და გვისხარია, რომ ჩემპიონთა შორის ვხედავთ ჩვენს სასიქადულო მოჭიდავეებს მირიან ცალქალამანიძესა და გივი კარტოზიას.

მაგრამ დროა ელიზბარს შევხედეთ — ასე დავთქვით ნაპირზე.

თანაშემწეებით გარშემორტყმული ელიზბარი ჯერ კიდევ ხიდურზეა.

— როგორ მოეწყვეთ? — გვეკითხება.

— ჩინებულად.

ელიზბარი კომპასს ჩასცქერის და ნაწყვეტ-ნაწყვეტად იძლევა განკარგულებას. ზუსტდება გემის კურსი.

ვათვალეობებთ მოწყობილობას. ვა-
მოწმებ ჩემს ცოდნას, ვისხენებ გემთ-
მძღოლობის სახელმძღვანელოში ამო-
კითხულ ტერმინებს.

კაპიტნის თანაშემწე ახალგაზრდა ვო-
ლიათი ვალენტინ ვოგნისტი გვიკითხავს
რამდენიმეწუთიან ლექციას.

აქ ჩვენთვის ყველაფერი ახალია.

მდინარე აჭყვას ზღვას მართვის

გემი ჯერ კარგად არ გასცილებია
ხმელეთს. მოჩანს სანაპირო, აჭარის
ლანდშაფტი. ქობულეთს გავუპირდა-
პირდით. კაპიტნის მძღვარი ბინოკლი
ერთითად აახლოებს ორწყებად ჩარაზ-
მულ მთაგრეხილებს, მხატვრის ფუნ-
ჯით მოხატულ ვეებერთელა პანორამა-
სავით რომ გაწვდილა უღრუბლო ცაზე.

იქ, მთებში, სადღაც ალამბარია,
ელიზბარის სამშობლო სოფელი. იქ
გაატარა ბავშვობა. იზრდებოდა, რო-
გორც მრავალი მისი ტოლი. ბანაობდა
და ღორჯოს იჭერდა მდინარე აჭყვაში.
სახლი შიგ ტყეში იდგა. ტყეში აუარე-
ბელი წაბლი იყო. შემოდგომის გრძე-
ლი დამეები მოკლდებოდა ბუხართან.
უფროსები ბასობდნენ დუხჭირ ცხოვ-
რებაზე, იქეთურ-აქეთურზე, ქვეყნის
აგან-ჩავანზე, პატარა ელიზბარი კი
გულს აყოლებდა დადარში ვახვეული
წაბლის ტკაცუნს.

მამუკას ციხის ნანგრევებიდან შორს
მოჩანდა უსასრულო მოლურჯო სივრ-
ცე. ელიზბარმა უფროსებისაგან იცო-
და, რომ ეს მინდორი კი არ იყო, არა-
მედ წყალი და მას ეძახდნენ ზღვას.
მდინარე აჭყვაც იმ ზღვას ერთვოდა.
ელიზბარმა ისიც იცოდა, რომ ზღვის
პირას ქალაქში მუშაობდნენ მამა შაბანი
და ბიძა მეჯიდი. მამა ზოგჯერ ამო-
დიოდა ხოლმე სოფელში და შვილები-
სათვის ამოჰქონდა წითელი წულები,
თეთრი პური და შაქარყინული. ზოგ-
ჯერ ვინმეს ხელით გამოუგზავნიდა
ორიოდე მანეთს. ამიტომ უყვარდა
ელიზბარს ზღვა. და როცა ზაფხულის
ერთ დილას ბაბუა ისმიალმა ურემზე

დასვა დიღბერი და ელიზბარი და უთხ-
რა მათ, ფოთში მივდივართო, ელიზ-
ბარს მაინცდამაინც გული არ დაწყვე-
ტია. ჯერ ერთი, ამიერიდან მამასთან
იცხოვრებდა, თანაც იქ, ბარში, ნახავდა
იმ დიდ ზღვას, რომელიც მას უგზავ-
ნიდა ლამაზ წულებს და ლედვზე
უტკბილეს შაქარყინულს.

მატარებელმა ისინი სუფსაში ჩაიყ-
ვანა, იქიდან კი დილიყანსით ფოთში
ჩავიდნენ. ფოთში ბიძია მეჯიდი შეხვ-
და ძმისშვილებს და წაიყვანა „ოსტ-
როვზე“, სადაც მათ ელოდათ ერთი
ოთახი ფიცრულ სახლში და აჭყვაზე
ბევრად დიდი მდინარე რიონი.

ასე გადასახლდნენ შაბან გოგიტიძის
ვაჟიშვილები ფოთში. მალე იქ ალამ-
ბრიდან აიშე და რეჰიმეც ჩავიდნენ და
ოჯახი ისევ შეიკრა.

...თითქოს გემი ელიზბარის ნატერ-
ფალს მიჰყვებოდა, შორიდან გამოჩნდა
ფოთის შუქურა.

„გრუზია“ ფოთის ნავსადგურში არ
შედის, მაგრამ ამ ქალაქისათვის შორი-
დან თვალის შეგლებაც კი თავისთავად
ალვიძებს მოგონებებს. ჩვეულებისა-
მებრ სიტყვაძუნწი კაპიტანი ნაწყვეტ-
ნაწყვეტად იხსენებს ფოთში გატარე-
ბულ სიყმაწვილეს. ეს მოგონება ტრო-
პიკულ სიცხესა და სუსხიან ქარში გა-
მობრძმედილ მის სახეს ღიმილს ჰფენს
და ამ დროს ეს ზღვის კაცი დიდ ბავშვს
ემსგავსება.

— პირველ ხანებში ოჯახს თავის
რჩენა უჭირდა. დროც მძიმე იყო,
მსოფლიო ომი მძვინვარებდა, ხალხი
შიმშილობდა. პატარები ვცდილობდით,

როგორც შეგვეძლო, უფროსებისათვის შეგვეწყობა ხელი. ვთვლიან, მენა-ვეებს ვეხმარებოდით. ერთ ხანს რიონზე ხიდი გაფუჭდა, ხალხი ნავით გადაგვყავდა. თითო კაცზე ორ-სამ კაპიკს ვიღებდით. მამაჩემი უსწავლელი კაცი იყო, მაგრამ საოცრად საღი თვალთ შეჰყურებდა ცხოვრებას. შვილებს გვარიგებდა, რაც უნდა გაგიჭირდეთ, უსწავლელი არ დარჩეთო. ჩვენც დავდიოდით სამრევლო სასწავლებელში. მთელ თავისუფალ დროს კი ზღვაზე ვატარებდით. საერთოდ, ნავსადგურთან ახლოს ვცხოვრობდით. წამოვიზარდე თუ არა, მუშაობა დავიწყე ლოკმანთა ჯგუფში. აქ შეეხვდი ვლადიმერ მარჯანიშვილს, ძველ მეზღვაურს; მთელი მსოფლიო ჰქონდა მოვლილი. მან შემეყვარა ზღვა. მარიგებდა ნამდვილი მეზღვაური განათლებული უნდა იყო, ინგლისური ენა უნდა იცოდესო. პირველ გაკვეთილებს თვი-

თონ მიტარებდა, შემდეგ მისივე მენდაციით მათემატიკურ საგნებს ესწავლობდი ფოთში მცხოვრებ პედაგოგ მირონოვთან. სიბეჯითე რომ შემატყო, მირონოვი სწავლის ფულს აღარ მახდევინებდა. ინგლისურ ენას მასწავლიდა შადურსკი, ოდესღაც ოლდენბურგის პრინცის აღმზრდელი. ჯერჯერობით სახლში არ ვამხელდი, თორემ ვემზადებოდი ოდესის საზღვაო ტექნიკუმში გამოცდების ჩასაბარებლად. გამგზავრების დროც დადგა. დედ-მამას წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, პირიქით, გზა დამილოცეს. 1926 წლის ზაფხულის ერთ დღეს პატარა ჩემოდნით ხელში ავედი გემ „პეტელზე“ და გავუდექი ოდესის გზას. ოდესის ამბებზე ოდესაში ვილაპარაკოთ... — სწრაფად მოჭრა ელიზბარმა, — ახლა კი ქვემოთ ჩავიდეთ, ჩვენებური ბორში გაცხინჯოთ, მერე ახალ კინოსურათს გიჩვენებთ.

აბაბი ხორაზას დუბლიორი

ელენე ივანოვნა მართლაც ჩინებუ-ლი ბორშით გაგვიმასპინძლდა. ჩვენ სახლიდან წამოღებული საგზალი ამოვიღეთ. მასპინძელს ხაჭაპური ძალიან ჰყვარებია, ღვინო კი ტუჩთანაც არ მიიკარა. როგორც შემდეგ დავრწმუნდით, ელიზბარი საერთოდ ნაკლებად ეტანება სასმელს.

— მეზღვაურებს ზოგჯერ უსამართლოდ აწერენ ლოთობას, — ფიცხობს მასპინძელი, — საქმე ისაა, რომ მეზღვაური მხოლოდ ნაპირზე სვამს და ამას ყველა ხედავს. მაგრამ იგი ხომ ხმელეთზე წელიწადში ერთ-ორ თვეს იმყოფება. ასე, რომ საბოლოო ანგარიშში მას გაცილებით ნაკლები სასმელი უწევს, ვიდრე რომელიმე მოქალაქეს. იძულებული ვართ დავეთანხმოთ, რადგან ეს მართლაც ასეა.

კაპიტნის თანაშემწემ რადიოგრაფა შემოიტანა.

ელიზბარმა სწრაფად ჩაათვალიერა და ღიმილით გვითხრა:

— ეს ორი დღეა მეტეოროლოგიური სადგური შტორმით გვემუქრება, მაგრამ ჯერჯერობით არსად ჩანს, გავვირბის, ჩვენი ეშინია.

— შტორმში ცურვა უფრო საინტერესოა. — გვამშვიდებს ვოგნისტი.

სუფრის გარშემო თითქოს ჩვეულებრივი საუბარია, მაგრამ თვითუფლებით შემთხვევით ნათქვამი სიტყვა ახალ-ახალ მოგონებებს იწვევს. კინოზე ჩამოვარდა ლაპარაკი, კარგად აღარ მახსოვს, ვგონებ, კაპიტნის თანაშემწე მივამსგავსეთ რომელიღაც კინომსახიობს.

— სხვათაშორის, — ღიმილით მოგვიბრუნდა ელიზბარი, — ერთი დრო

იყო კინალამ მივანებე თავი ზღვას, კინომსახიობობამ გამიტაცა. ეს კაი ოცდაათი წლის წინათ მოხდა, ფოთში. მე თქვენთვის არ მითქვამს, რომ ჩვენი ლოცმანი სახელოვანი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ღვიძლი ძმა იყო. ერთხელ ფოთში კინოექსპედიცია ჩამოვიდა. ცოტა ფული რომ გამეკეთებინა, ვლადიმერმა ჩემი თავი კოტეს გააცნო. „ამოკს“ იღებდნენ; ნატო მონაწილეობდა, აკაკი ხორავაც. ჩვენ მასობრივ სცენებში გვიღებდნენ. თქვენ ეს სურათი, ალბათ, არც გინახავთ. ცვაივის მოთხრობიდან ხომ გახსოვთ, ექიმი

„გროსმაისტერი“ იზია

სასადილოდან რომ გამოვედით, კაპიტნის კაიუტის კარებთან გემის პარიკმახერი იზია შემოგვხვდა.

— სამაგიერო ვინდა გადამიხადო? — შეეკითხა ელიზბარი.

— თუ ნებას მომცემთ, — მოკრძალებით ჩაილაპარაკა იზიამ.

ელიზბარი კაიუტაში შევიდა და ჩვენც მიგვიწვია.

ის და იზია მრგვალ მაგიდას მიუხედნენ და ღომინოს ქვები აატკაცუნეს. მივხვდით, იზია შემთხვევით როდი შეეფეთა კაპიტანს კაიუტის კარებთან. მრავალი წელია იგი „გრუზიანზე“ მუშაობს და ძალიან კარგად იცის ელიზბარის გატაცება, დროსაც შესაფერს არჩევს. ახლაც კაპიტანს დაახლოებით ერთი საათი დრო აქვს, სანამ სუხუმი გამოჩნდება. ეს არის მისი დასვენება.

ელიზბარს ერთი ჩვეულება შევამჩნიე: ყველა საქმეს, დიდია ის თუ სრულიად უმნიშვნელო, მთელი არსებით ეკიდება. ღომინოსაც აზარტით თამაშობს. აგებს, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავს. იზია გემზე პატარა კაცია, მაგრამ პარტნიორის კაპიტნობას დიდად არ დაგიდევს, პარტიას იოლად არ დათმობს. ორივე კარგად თამაშობს, მაგ-

შეყვარებულის ცხედართან ერთად ვეგება გემიდან ზღვაში. ექიმის აკაკი ხორავა ასრულებდა, ძალიან კარგადაც, მაგრამ ზღვაში გადახტომასზე რომ მიდგა საქმე, ცოტა შეყოყმანდა. მაშინ კოტემ მიხმო და მთხოვა ხორავა შემეცვალა, მის მაგივრად გადავხტარიყავი წყალში. ათჯერ მაინც ჩამიტარეს რეპეტიცია. მერე, როცა სურათი გამოვიდა, ფოთელ გოგონებთან თავს ვიწონებდი. ბევრს მაინც არ სჯეროდა ჩემი, რადგან კინოში სახე არ მიჩანდა.

რამ, როგორც შემდეგ შევიტყვეო, იზია თბომავლის ჩემპიონია.

— მეღბურწში თვითონ რომანოვმა, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა, მომანიჭა გროსმაისტერის წოდება. — ხუმრობს იზია.

შეხვედრა იზიას გამარჯვებით მთავრდება.

ილუმინატორში შორს მოციმციმე ნათურები გამოჩნდა.

— სუხუმი! — მოკლედ თქვა კაპიტანმა და პლაშჩს მიწვდა.

ელიზბარი ხილურზე ავიდა, ჩვენ ქვემოთ დავეშვით, სალონში.

იზია კარგ ხასიათზეა, ეშმაკური დილით გვეუბნება:

— აგერ ნახავთ, სანამ არ მომიგებს, არ მოისვენებს.

მართლაც, მეორე დღეს, წვერის გასაპარსად რომ შევედით, იზიამ გვაცნობა:

— ხომ გეუბნებოდით! ამ დილით შვიდ საათზე ამაყენა. სანამ არ მომიგო, არ მომეშვა.

იალტაში კაპიტნის ხილურზე რომ ავედით, ელიზბარმა ამაყად გვითხრა:

— მოუფე.

იზია კი იშვიათად აგებს.

ზოგიერთებს გემით მოგზაურობა მოსაწყენად მიაჩნიათ. ერთი შეხედვით ეს თითქოს ასეა, — ირგვლივ მხოლოდ წყალი, ერთფეროვნება; ზღვა ზოგჯერ ღელავს, ზოგჯერ კი წყნარია. ეს არის და ეს! მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, იგი ყოველ წუთში იცვლის ფერს, სახეს, „საქციელს“ — რაც უფრო დიდი და ძლიერია ტალღა, მით უფრო რწმუნდები ადამიანის ძალასა და სილიადეში. გემის მუდმივი თანამგზავრების — ალბატროსებისა და თოლიების ცქერა ერთ რამედ ღირს! და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი საკვირველი და მოულოდნელი რამაა ამ იღუმალებით მოცულ უსასრულო სამყაროში...

— ერთი შეხედეთ, აქ წყალქვეშა კლდეები საიდან გაჩნდა!... — ფიქრიდან გამოვყავართ ელიზბარის შიშნარევ შეძახილს.

გაოცებულნი მოაჯირს გადავეკიდეთ, ელიზბარის გულიანმა სიცილმა გამოგვარკვია.

— მეღუზები! ამდენი მეღუზა ერთად ჯერ არ მინახავს!

თბომავალი რამდენიმე წუთს მიარღვევს წყალს ამ უწყინარ არსებათა ქარავნებს შორის. ფუთფუთებენ დამფრთხალი მეღუზები, მაგრამ მალე გასაოცარი წესრიგით ისევ ეწყობიან დასტად დასტებად და თავგამოდებით განაგრძობენ გზას.

როგორც წესი, გემზე მხოლოდ საზღვაო ლიტერატურას ვკითხულობთ. წიგნები თბომავლის ბიბლიოთეკარმა ნადეჟდა ფეტისოვამ შეგვირჩია საგანგებოდ. ის-ის იყო სამამულო ომის გმირის, სახელოვანი წყალქვეშელის იაროსლავ იოსელიანის წიგნს „ცეცხლი ოკეანეში“ ვამთავრებდი, როცა რეპროდუქტორში გაისმა დიქტორის ხმა:

— თბომავალი „გრუზია“ უახლოვდება ოდესას!

სწრაფად გავდივართ გემბანზე.

გარშემო ვუვლით ზღვაში კონცხით შეჭრილ ქვის გრძელ ყორეს, რომელზეც ასვეტილია ოდესის ცნობილი შუქურა, და ნელ-ნელა შევდივართ ნავსადგურში. ნავმისადგომებთან დგანან ზომალდები — დიდი და ბატარა, სამგზავრო და სატრანსპორტო, ჩვენებური და საზღვარგარეთული...

აი „გრუზია“ მიადგა ნაპირს. ღუზა რახრახით ეშვება წყალში. სანამ ტრავს ჩაუშვებდნენ, მგზავრები და დამხვდურები თვალთ ეძებენ ერთმანეთს; იბმება მუნჯური საუბარი, იგზავნება ჰაეროვანი კოცნა.

მგზავრები ტოვებენ ზომალდს, კაპიტანს კი ჯერ კიდევ ბევრი საქმე აქვს.

— სადამოს სახლში შევხვდებით, — გვეუბნება ელიზბარი და გვაძლევს მისამართს — „ბუშკინის ქუჩა 2“, — აქვეა, ოპერის თეატრთან.

სალამო გოგიტიძეები ოჯახში

შებინდებისას ბუშკინის ქუჩაზე ერთ დიდ სახლს მიაღებეთ.

— ხომ ვერ გვეტყვი, სად იქნება მეხუთე ბინა? — ვეკითხებით სათვალთან მოხუც ქალს, რომელიც ბანჯგულიან სეტერს ასეირნებს სახლის წინ.

— თქვენ, ალბათ, გოგიტიძეს

ეძებთ? — შეკითხვითვე გვიპასუხა ქალმა.

— დიას.

— ეზოში შეხვალთ; მარჯვნივ მესამე შესასვლელი, მეორე სართული. იქ ცხოვრობს ელიზბარ შებანოვიჩი.

მოხუცი ღიმილით გვაცილებს. ეს

ლიმილი, ალბათ, ელიზბარს ეკუთვნის. ზარის ღილაკს თითს ვაკეკრთ. სა-
დღაც შორს წკრიალი გაისმის. მალე
კარებში ხნიერი ტანსრული ქალი გა-
მოჩნდა. მისი კეთილი სახე ლიმილით
გაიბადრა:

— მობრძანდით, მობრძანდით!

სასტუმრო ოთახში სუფრაა გაშლი-
ლი.

მაგიდის თავში ელიზბარი წიხს. დაგ-
ვინახა თუ არა, ყმაწვილივით წამოი-
ჭრა.

— სადა ხართ ამდენ ხანს? ასე იცის
შეტყუება ოდესამ! დღეს ჩვენთან სა-
ზეიმო დღეა — გოგიტიძეების ოჯახი
შეკრებილია მთელი შემადგენლობით,
რაც ასე იშვიათია ამ ბოლო დროს.
გაიცანით, ჩემი ცოლი ლიდია იაკოვ-
ლენა, სიდერტი ელენა მატვეენა,
უფროსი ძმის დილბერის მეუღლე
ოლღა ილარიონოვნა, ჩემი შვილები
იური და ჟენია; იურის ცოლი — ნინო;
ეს კი, — საზეიმოდ აცხადებ, მასპინ-
ძელი, — გოგიტიძეთა გვარის გამგრ-
ძელებელი ვიქტორ იურის-ძე, ჩემი
შვილიშვილი.

შვიდი-რვა წლის ბიჭუნა დროებით
თავს ანებებს ნამცხვარს და ხეღს გვა-
რთმევს.

— გიორგი პეტრუშევსკი! — თვი-
თონ გაგვეცნო ტანმალალი მამაკაცი.
გარეგნობით იგი მსახიობს ჩამოგავს.
ელიზბარი კი გვეუბნება:

— ჩემი სკოლის მეგობარი და თა-
ნამებრძოლია. თუმცა ამ ბოლოს ზღვას
უღალატა, დიპლომატობა დაიწყო.
ჩვენი სამინისტროს წარმომადგენელია
საზღვარგარეთ. ახლახან ჩამოვიდა იუ-
გოსლავიიდან.

პეტრუშევსკიმ სიტყვა ჩამოართვა:

— ჩამოვედი, რომ ისევ ზღვას და-
ვუბრუნდე: დამალა ხმელეთზე სამ-
სახურმა.

გულითად საუბარში დრო შეუქმნე-
ვლად მიდის. მეგობრები იგონებენ

წარსულს და სუფრასთან სულ უფრო
ხშირად გაისმის:

- გახსოვს, ელიზბარ?
- გახსოვს, იური?
- გახსოვს, ლიდია იაკოვლენა?

და ჩვენს თვალწინ თანდათან ცოცხ-
ლდება ელიზბარ გოგიტიძის ცხოვრე-
ბის გზა ფოთიდან წასვლის შემდეგ.

— რა ჩქარა გარბის წლები! არა, ელიზ-
ბარ, — ამბობს პეტრუშევსკი. — თით-
ქოს გუშინ იყო, გამოცდებს რომ
ვაბარებდით ტექნიკუმში. 150 კაცი-
დან მხოლოდ თვრამეტი ჩაგვრიცხეს.
შემდეგ საერთო საცხოვრებელი გო-
გოლის ქუჩაზე... პირველ კურსზე
მხოლოდ ელიზბარი იღებდა სტიპენ-
დიას. რამდენიმე ამხანაგს საერთო სა-
ლარო გვექონდა. ელიზბარი გვეყავდა
მოლარედ...

— მართო სალარო გვექონდა საერ-
თო? — ექიდნურად ეკითხება ელიზ-
ბარი და პასუხის მოლოდინში წინას-
წარ ეღიმება.

— ჰო, კიდევ ერთი ხელი საგარეო
ტანსაცმელი გვეკიდა კარადაში... რიგ-
რიგობით ვიცვამდით პაემანზე წასვ-
ლის წინ. სამაგიეროდ, თუ ვინმე პურ-
მარილს წააწყდებოდა, აუცილებლად
უნდა დაეთრია სუფრიდან რაიმე. რა
თქმა უნდა, მალულად. რამდენჯერ
გვიწმენდია წეკაში ამოსვრილი ძეხვი
და ნამცხვარი. ახლაც მახსოვს მათი
გემო.

— ეჰ, ჭირდა იმ დროს ცხოვრება,
ჩემო ძმაო, — ებმება საუბარში ელი-
ზბარი, — თავისუფალ დროს საშოგა-
რზე გავდიოდით. ნავსადგურის მტვი-
რთავები ძალიან გვიწყობდნენ ხელს,
ზოგჯერ სამუშაოს გვითმობდნენ, გე-
მებს ვტვირთავდით. ხანდახან თარგ-
მნითაც ვმოულობდით ფულს. ინგლი-
სური ვიცოდით, პლაკატებს გვათარგ-
მნიებდნენ. გახსოვს, იური, კაპიტნებს
რომ ვუტარებდით გაკვეთილებს?

ახსოვს, როგორ არ ახსოვს გიორგი

პეტრუშევსკის ეს გაკვეთილები! მაშინ ოდესის ნავსადგურში ბევრი ხნიერი კაპიტანი მუშაობდა. გამოცდილი მეზღვაურები იყვნენ, მთელი მსოფლიო ჰქონდათ მოვლილი, მაგრამ იმ დროს ფლოტში ახალი ტექნიკა ინერგებოდა და თეორიაში ცოტას მოიკოჭლებდნენ. ამიტომ ძველი კაპიტნები რიგრიგობით ბინაზე იწვევდნენ ხოლმე ტექნიკუმის კურსანტებს. მეცადინეობას ყოველთვის ნოყიერი ვახშამი უძლოდა წინ. ბიჭები კარგად დანაყრდებოდნენ, ცოტას გადაკრავდნენ კიდევაც. ამხანაგებსაც არ ივიწყებდნენ; შემდეგ იწყებოდა მეცადინეობა, მაგრამ ჰალარა შეგირდებს და პირტიტველა ლექტორებს ზოგჯერ კონფლიქტი მოსდიოდათ. ბიჭებს ავიწყდებოდათ, რომ მათ წინაშე პაპისტოლა კაპიტნები ისხდნენ და პასუხით უკმაყოფილონი ზოგჯერ დაუტაცხანდნენ ხოლმე. პირდაპირ სასაცილო იყო, როცა ეს თმადათოვლილი „ზღვის მგლები“ თვალების ხამხამით, დარცხვენილი ისმენდნენ ნოტაციებს. გულში კი, აღ-

ბათ, თვი აეუღლი მათგანი ფიქრობდა, დამაცათ, მოხვალთ პრაქტიკაზე, მაშინ გიჩვენებთ თვალის სეირს, მუხლებზე ტყავს გად აგაძრობთ გემბანის ხეხვი-თო.

— შემდეგ გ, — განაგრძობს პეტრუშევსკი, — მოხდა ისე, რომ ელიზბარმა გვილალა ზა, ჰო, გვილალა, ცოლი შეირთო და საერთო საცხოვრებელიდან გადაეკიდა. ლიდა იაკოვლევანამ წაგვართვა იგ ი.

— ამისათვის ელიზბარის მეგობრებმა შემიძულ ეს, ბოიკოტი გამომიცხადეს, — ისეც ი ტონით ამბობს დიასახლისი, თითქოს ჯერაც არ დავიწყებია წყენაო, — ანც ერთი არ მოვიდა ქორწილზე.

— თქვენ ის მოყვეით, ლიდა იაკოვლევანა, როგორ გაგაცურათ ელიზბარმა! — თხოვს პეტრუშევსკი.

მაგრამ დიასახლისი უარზეა, თან ქმარს შესცქერის. ელიზბარი იღიმება და ამით თითქოს ეუბნება ცოლს, თქვით. ლიდა იაკოვლევანაც არ აყოვნებს და იგონებს ოცდაათი წლის წინანდელ ამბავს.

კავკასიელი სასიძო

სამუსიკო სკოლის მოსწავლე ლიდა კოჟუხოვსკაია საქართველოს პუშკინით, ლერმონტოვით, ტოლსტოით იცნობდა. და აი თექვსმეტი წლის გოგონა პირველად ცხოვრებაში შეხვდა ამ რომანტიკული ქვეყნის მკვიდრს. მართალია, მას ტრადიციული ჩოხისა და ნაბდის ნაცვლად საზღვაოსნო ტექნიკუმის კურსანტის ბუმლატი ეცვა, მაგრამ სხვა მხრივ ელიზბარი ნამდვილი კავკასიელი იყო — შავგვრემანი, ფიცხი, ამაყი. ერთ ხანს ორივე მალავდა სიყვარულს. საცხოვრებელში ამჩნევდნენ მხოლოდ, რომ ელიზბარმა უმატა სარკის წინ ტრიალს, საგარეო ტანსაცმელსაც უფრო ხშირად თხოულობდა. ლიდაც საიდუმლოდ ინახავდა ყო-

ველივეს, მაგრამ ერთხელ, როცა ელიზბარმა მოულოდნელად განუცხადა, ცოლად უნდა გამომეცეო, ლიდა შეშინდა და იმავე დამეს ყველაფერი დედას გაუმხილა. რა თქმა უნდა, მშობლები პირველად უარზე დადგნენ, მაგრამ ქალიშვილის სურვილს მთლად წინ ვერ აღუდგნენ და ოჯახურ თათბირზე ასე გადაწყვიტეს: ვნახოთ, სასიძო გავიცნოთ, ნუ ავჩქარდებითო. ელიზბარმა მოუხშირა კოჟუხოვსკების ოჯახში სიარულს. იაკობს და ელენე მატვეევნას მოსწონდათ სასიძო, ბიჭად ბიჭს არა უშავდა, კარგადაც სწავლობდა; მხოლოდ ქორწინებისათვის აუცილებელ პირობად ჩათვალეს ელიზბარის მშობლების ნებართვა. ელიზ-

ჭობდა, ფეხებს ლალად აქნევდა, ლამაზ გრძელ თითებს სკამზე ეშმაკურად ათამაშებდა.

— მითხარი, რატომ უნდა მომცე ამდენი ფული, ჩემთვის ასეთი თანხა ჯერ არავის მოუცია.

პატარა ჯამბაზს ლაპარაკის მადა გაეხსნა. ყველა კითხვაზე თამამად მიბასუხებდა. მათი ოჯახის ცხოვრებიდან ზოგ ეპიზოდს მიამბობდა.

ნევეინი მასზე ორი წლით უფროსია, ნესრინი კი შვიდი წლით. ისინიც თავიანთი შრომით შოულობენ ლუკმას. ნევეინს ბევრი არაფერი გაეგება და მთელ მონაგებს სალამოს მამას აძლევს. მიუხედავად ამისა, ცემა-ტყეპა მაინც არ სცდება.

ნესრინი კი ნამდვილი ეშმაკის ფეხია. მან ბევრჯერ გაასულელა ხარაზის ბიჭი, თუმც ის ასაკით მასზე უფროსია.

— ნევეინი, როგორც გითხარი, სულელია, მთელ ფულს მამაჩემს აძლევს. ის კი მაინც ცემს. ცემა არც მე მცილდება, მაგრამ კინოში მაინც დავდივარ და მშვიდობა არ ვრჩები.

— თვალზე რა მოგივიდა?

ბავშვი მოულოდნელმა შეკითხვამ დააბნია, სახეზე სიხარული გაუქრა, დაღონდა, მაგრამ ჩემი კითხვა უბასუხოდ მაინც არ დატოვა.

— თვალი მამამ დამიზიანა. ერთ სალამოს მთვრალი მოვიდა სახლში, გაქცევა ვერ მოვასწარი. სავსებით უმიზეზოდ მცემა. გრძნობადაკარგული სააგადმყოფოში წამიყვანეს. თვალი დაზიანებული მქონდა. მისი მორჩენა აღარ შეიძლებოდა და ექიმმა ამომიღო.

— ძალიან გტკიოდა?

— მე ვერაფერს ვგრძნობდი, გულწასული ვყოფილვარ. როდესაც თვალი გავახილე, პირაღმა ვიწეკი საწოლში პატარა ქალბატონივით. ლამაზი ექთანის რძეს მალევეინებდა უფასოდ, ექიმმა კი, მახსოვს, ერთი ფილა შოკოლადი მომცა. — მცირე დუმილის შემდეგ მკითხა:

— ძია, რისგან აკეთებენ შოკოლადს?

მე მოკლედ ვუამბე. ყურადღებით მისმენდა.

— ერთი ლირა რომ მქონდეს, სულ შოკოლადს ვიყიდდი, მე ძალიან მიყვარს შოკოლადი.

გემი კასიმფაშის მისადგომს ნელა უახლოვდებოდა. ბავშვს შეპირებული ფული მივეცი. ის მისთვის ჩვეული სისწრაფით წამოხტა და დაკმუჭნული ფულები ერთმანეთზე დაალაგა. კვლავ სერიოზული გამომეტყველება დაეუფლა, მხოლოდ ცისფერი დიკ თვალი უბრწყინავდა. ხალხს შეერია და გაუჩინარდა.

თურქულიდან თარგმნა ნ. ჩიჯავაძემ.



აღქმისათვის ჩხიმი

ზღვის კაცი

ბათუმის ნავსადგურის პატარა კატერი „გრუზიას“ მიადგა. სხვებთან ერთად მასში ჩვენიც ვისხედით — პოეტი ფრიდონ ხალვაში და მე.

ზედა გემბანზე ელიზბარ გოგიტიძეს ვკიდეთ თვალი. შორიდან ვესალმებით. ისიც ხელს გვიქნევს.

მგზავრები გამწყრივდნენ ტრაპზე.

მალე კატერი უკან გაბრუნდა.

ელიზბარს ახლა კაპიტნის ხიდურზე ვხედავთ.

იქიდან ისმის სასტვენის ხმა.

ასწიეს ტრაპი. ლუზა ამოქაჩეს წყლიდან. ფეხქვეშ აგუგუნდნენ მანქანები. წრახნების მძლავრმა ტრიალმა წყალი ააქაფა.

კაიუტაში მოვეწყვეთ და ისევ გემბანზე გავედით. თანდათან ვშორდებით ხმელეთს. ნაპირზე სულ უფრო პატარავდებიან გამცილებლები. ბათუმი სულ უფრო და უფრო ემსგავსება კონცხს.

თბომავალი გავიდა ღია ზღვაში.

საფუძვლიანად ვათვლიერებთ გემს. ჩვენს კაიუტასთან კედელზე მსოფლიო რუკის მაკეტია. მასზე სხვადასხვა ფერის ხაზებით აღნიშნულია „გრუზიას“

ძირითადი საზღვარგარეთული რეისები: ევროპის გარშემო, შორეულ მელბურნში, ვლადივოსტოკში, აფრიკის ირგვლივ... მეორე მხარეს ვიტრინაში გამოფენილია თბომავლის ეკიპაჟისადმი მიძღვნილი საჩუქრები და სიგელები ავსტრალიის სხვადასხვა საზოგადოებებისა და ორგანიზაციებისაგან, კერძო პირებისაგან, მგზავრებისაგან... აქ არის ოლიმპიურ ჩემპიონთა სამახსოვრო წერილი თბომავლის ეკიპაჟისა და მისი სახელოვანი კაპიტნისადმი. ქართველები ვართ და გვიხარია, რომ ჩემპიონთა შორის ვხედავთ ჩვენს სასიქადულო მოჭიდავეებს მირიან ცალქალამანიძესა და გივი კარტოზიას.


მაგრამ დროა ელიზბარს შევხედეთ — ასე დავთქვით ნაპირზე.

თანაშემწეებით გარშემორტყმული ელიზბარი ჯერ კიდევ ხიდურზეა.

— როგორ მოეწყვეთ? — გვეკითხება.

— ჩინებულად.

ელიზბარი კომპასს ჩასცქერის და ნაწყვეტ-ნაწყვეტად იძლევა განკარგულებას. ზუსტდება გემის კურსი.



ვათვალეობებთ მოწყობილობას. ვა-
მოწყობებ ჩემს ცოდნას, ვისხენებ გემთ-
მძლოლობის სახელმძღვანელოში ამო-
კითხულ ტერმინებს.

კაპიტნის თანაშემწე ახალგაზრდა გი-
ლიათი ვალენტინ ვოგნისტი გვიყვარს
რამდენიმეწუთიან ლექციას.
აქ ჩვენთვის ყველაფერი ახალია.

მდინარე აჭყვას ზღვას მართვის

გემი ჯერ კარგად არ გასცილებია
ხმელეთს. მოჩანს სანაპირო, აჭარის
ლანდშაფტი. ქობულეთს გავუპირდა-
პირდით. კაპიტნის მძლავრი ბინოკლი
ერთითად აახლოებს ორწყებად ჩარაზ-
მულ მთაგრეხილებს, მხატვრის ფუნ-
ჯით მოხატულ ვეებერთელა პანორამა-
სავით რომ გაწვდილა უღრუბლო ცაზე.

იქ, მთებში, სადღაც ალამბარია,
ელიზბარის სამშობლო სოფელი. იქ
გაატარა ბავშვობა. იზრდებოდა, რო-
გორც მრავალი მისი ტოლი. ბანაობდა
და ღორჯოს იჭერდა მდინარე აჭყვაში.
სახლი შიგ ტყეში იდგა. ტყეში აუარე-
ბელი წაბლი იყო. შემოდგომის გრძე-
ლი ღამეები მოკლდებოდა ბუხართან.
უფროსები ბაასობდნენ დუხჭირ ცხოვ-
რებაზე, იქეთურ-აქეთურზე, ქვეყნის
აგან-ჩავანზე, პატარა ელიზბარი კი
გულს აყოლებდა დადარში გახვეული
წაბლის ტკაცუნს.

მამუკას ციხის ნანგრევებიდან შორს
მოჩანდა უსასრულო მოლურჯო სივრ-
ცე. ელიზბარმა უფროსებისაგან იცო-
და, რომ ეს მინდორი კი არ იყო, არა-
მედ წყალი და მას ეძახდნენ ზღვას.
მდინარე აჭყვაც იმ ზღვას ერთვოდა.
ელიზბარმა ისიც იცოდა, რომ ზღვის
პირას ქალაქში მუშაობდნენ მამა შაბანი
და ბიძა მეჯიდი. მამა ზოგჯერ ამო-
დიოდა ხოლმე სოფელში და შვილები-
სათვის ამოჰქონდა წითელი წულები,
თეთრი პური და შაქარყინული. ზოგ-
ჯერ ვინმეს ხელით გამოუგზავნიდა
ორიოდე მანეთს. ამიტომ უყვარდა
ელიზბარს ზღვა. და როცა ზაფხულის
ერთ დილას ბაბუა ისმაილმა ურემზე

დასვა დიღბერი და ელიზბარი და უთხ-
რა მათ, ფოთში მივდივართო, ელიზ-
ბარს მაინცდამაინც გული არ დაწყვე-
ტია. ჯერ ერთი, ამიერიდან მამასთან
იცხოვრებდა, თანაც იქ, ბარში, ნახავდა
იმ დიდ ზღვას, რომელიც მას უგზავ-
ნიდა ლამაზ წულებს და ლედვზე
უტკბილეს შაქარყინულს.

მატარებელმა ისინი სუფსაში ჩაიყ-
ვანა, იქიდან კი დილიქანსით ფოთში
ჩავიდნენ. ფოთში ბიძია მეჯიდი შეხვ-
და ძმისშვილებს და წაიყვანა „ოსტ-
როვზე“, სადაც მათ ელოდათ ერთი
ოთახი ფიცრულ სახლში და აჭყვანზე
ბევრად დიდი მდინარე რიონი.

ასე გადასახლდნენ შაბან გოგითძის
ვაჟიძვილები ფოთში. მალე იქ ალამ-
ბრიდან აიშე და რეჰიმეც ჩავიდნენ და
ოჯახი ისევ შეიკრა.

...თითქოს გემი ელიზბარის ნატერ-
ფალს მიჰყვებო, შორიდან გამოჩნდა
ფოთის შუქურა.

„გრუზია“ ფოთის ნავსადგურში არ
შედის, მაგრამ ამ ქალაქისათვის შორი-
დან თვალის შევლებაც კი თავისთავად
აღვიძებს მოგონებებს. ჩვეულებისა-
მებრ სიტყვაძუნწი კაპიტანი ნაწყვეტ-
ნაწყვეტად იხსენებს ფოთში გატარე-
ბულ სიყმაწვილეს. ეს მოგონება ტრო-
პიკულ სიცხესა და სუსხიან ქარში გა-
მობრძმედილ მის სახეს ღმირს ჰფენს
და ამ დროს ეს ზღვის კაცი დიდ ბავშვს
ემსგავსება.

— პირველ ხანებში ოჯახს თავის
რჩენა უჭირდა. დროც მძიმე იყო,
მსოფლიო ომი მძვინვარებდა, ხალხი
შიმშილობდა. პატარები ვცდილობდით,

როგორც შეგვეძლო, უფროსებისათვის შეგვეწყო ხელი. ვთევზაობდით, მენავეებს ვეხმარებოდით. ერთ ხანს რიონზე ხიდი გაფუჭდა, ხალხი ნავით გადავყავდა. თითო კაცზე ორ-სამ კაპიკს ვიღებდით. მამაჩემი უსწავლელი კაცი იყო, მაგრამ საოცრად საღი თვალით შეჰყურებდა ცხოვრებას. შეილებს გვარიგებდა, რაც უნდა გაგიჭირდეთ, უსწავლელი არ დარჩეთო. ჩვენც დავდიოდით სამრევლო სასწავლებელში. მთელ თავისუფალ დროს კი ზღვაზე ვატარებდით. საერთოდ, ნავსადგურთან ახლოს ვცხოვრობდით. წამოვიზარდე თუ არა, მუშაობა დაიწყო ლოცმანთა ჯგუფში. აქ შევხვდი ვლადიმერ მარჯანიშვილს, ძველ მეზღვაურს; მთელი მსოფლიო ჰქონდა მოვლილი. მან შემაყვარა ზღვა. მარიგებდა ნამდვილი მეზღვაური განათლებული უნდა იყოსო, ინგლისური ენა უნდა იცოდესო. პირველ გაკვეთილებს თვი-

თონ მიტარებდა, შემდეგ მისივე რეგულმენდაციით მათემატიკურ საგანებს ვსწავლობდი ფოთში მცხოვრებ პედაგოგ მირონოვთან. სიბეჯითე რომ შემატყო, მირონოვი სწავლის ფულს აღარ მახდევინებდა. ინგლისურ ენას მასწავლიდა შადურსკი, ოდესღაც ოლდენბურგის პრინცის აღმზრდელი. ჯერჯერობით სახლში არ ვამხედდი, თორემ ვემზადებოდი ოდესის საზღვაო ტექნიკუმში გამოცდების ჩასაბარებლად. გამგზავრების დროც დადგა. დედ-მამას წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, პირიქით, გზა დამილოცეს. 1926 წლის ზაფხულის ერთ დღეს პატარა ჩემოდნით ხელში ავედი გემ „პესტელზე“ და გავუდექი ოდესის გზას. ოდესის ამბებზე ოდესაში ვილაპარაკოთ... — სწრაფად მოჭრა ელიზბარმა, — ახლა კი ქვემოთ ჩავიდეთ, ჩვენებური ბორში გაცხინჯოთ, მერე ახალ კინოსურათს გიჩვენებთ.

საბაგი ხორავას ღუბლიორი

ელენე ივანოვნა მართლაც ჩინებულო ბორშით გაგვიმასპინძლდა. ჩვენ სახლიდან წამოღებული საგზალი ამოვიღეთ. მასპინძელს ხაჭაპური ძალიან ჰყვარებია, ღვინო კი ტუჩთანაც არ მიიკარა. როგორც შემდეგ დავრწმუნდით, ელიზბარი საერთოდ ნაკლებად ეტანება სასმელს.

— მეზღვაურებს ზოგჯერ უსამართლოდ აწერენ ლოთობას, — ფიცხობს მასპინძელი, — საქმე ისაა, რომ მეზღვაური მხოლოდ ნაპირზე სვამს და ამას ყველა ხედავს. მაგრამ იგი ხომ ხმელეთზე წელიწადში ერთ-ორ თვეს იმყოფება. ასე, რომ საბოლოო ანგარიშში მას გაცილებით ნაკლები სასმელი უწევს, ვიდრე რომელიმე მოქალაქეს. იძულებული ვართ დავეთანხმოთ, რადგან ეს მართლაც ასეა.

კაპიტნის თანაშემწემ რადიოგრაფა შემოიტანა.

ელიზბარმა სწრაფად ჩათვალა და ღიმილით გვითხრა:

— ეს ორი დღეა მეტეოროლოგიური სადგური შტორმით გვემუქრება, მაგრამ ჯერჯერობით არსად ჩანს, გავვირბის, ჩვენ ეშინია.

— შტორმში ცურვა უფრო საინტერესოა. — გვამშვიდებს ვოგნისტი.

სუფრის გარშემო თითქოს ჩვეულებრივი საუბარია, მაგრამ თვითელი შემთხვევით ნათქვამი სიტყვა ახალ-ახალ მოგონებებს იწვევს. კინოზე ჩამოვარდა ლაპარაკი, კარგად აღარ მახსოვს, ვგონებ, კაპიტნის თანაშემწე მივამსგავსეთ რომელიღაც კინომსახიობს.

— სხვათაშორის, — ღიმილით მოგვიბრუნდა ელიზბარი, — ერთი დრო

ყო კინლამ მივანებე თავი ზღვას, კინომსახირობობამ გამიტაცა. ეს კაი ოცდაათი წლის წინათ მოხდა, ფოთში. მე თქვენთვის არ მითქვამს, რომ ჩვენი ლოცმანი სახელოვანი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ღვიძლი ძმა იყო. ერთხელ ფოთში კინოექსპედიცია ჩამოვიდა. ცოტა ფული რომ გამეკეთებინა, ვლადიმერმა ჩემი თავი კოტეს გააცნო. „ამოკს“ იღებდნენ; ნატო მონაწილეობდა, აკაკი ხორავაც. ჩვენ მასობრივ სცენებში გვიღებდნენ. თქვენ ეს სურათი, ალბათ, არც გინახავთ. ცვაივის მოთხრობიდან ხომ გახსოვთ, ექიმი

შეყვარებულის ცხედართან ერთად ვეგება გემიდან ზღვაში. ექიმის როლს აკაკი ხორავა ასრულებდა, ძალიან კარგადაც, მაგრამ ზღვაში გადახტომაზე რომ მიდგა საქმე, ცოტა შეყოყმანდა. მაშინ კოტემ მიხმო და მთხოვა ხორავა შემეცვალა, მის მაგივრად გადავხტარიყავი წყალში. ათჯერ მაინც ჩამიტარეს რეპეტიცია. მერე, როცა სურათი გამოვიდა, ფოთელ გოგონებთან თავს ვიწონებდი. ბევრს მაინც არ სჯეროდა ჩემი, რადგან კინოში სახე არ მიჩანდა.

„გროსმაისტერი“ იზია

სასადილოდან რომ გამოვედით, კაპიტნის კაიუტის კარებთან გემის პარიკმახერი იზია შემოგვხვდა.

— სამაგიერო გინდა გადამიხადლო? — შეეკითხა ელიზბარი.

— თუ ნებას მომცემთ, — მოკრძალებით ჩაილაპარაკა იზიამ.

ელიზბარი კაიუტაში შევიდა და ჩვენც მიგვიწვია.

ის და იზია მრგვალ მაგიდას მიუსხდნენ და ღომინოს ქვები აატკაცუნეს. მივხვდით, იზია შემთხვევით როდი შეეფეთა კაპიტანს კაიუტის კარებთან. მრავალი წელია იგი „გრუზიანზე“ მუშაობს და ძალიან კარგად იცის ელიზბარის გატაცება, დროსაც შესაფერს არჩევს. ახლაც კაპიტანს დაახლოებით ერთი საათი დრო აქვს, სანამ სუხუმი გამოჩნდება. ეს არის მისი დასვენება.

ელიზბარს ერთი ჩვეულება შეევამჩნე: ყველა საქმეს, დიდია ის თუ სრულიად უმნიშვნელო, მთელი არსებით ეკიდება. ღომინოსაც აზარტით თამაშობს. აგებს, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავს. იზია გემზე პატარა კაცია, მაგრამ პარტნიორის კაპიტნობას დიდად არ დაგიდევს, პარტიას იოლად არ დათმობს. ორივე კარგად თამაშობს, მაგ-

რამ, როგორც შემდეგ შევიტყვეთ, იზია თბომავლის ჩემპიონია.

— მეღბურწში თვითონ რომანოვმა, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა, მომანიჭა გროსმაისტერის წოდება. — ხუმრობს იზია.

შეხვედრა იზიას გამარჯვებით მთავრდება.

ილუმინატორში შორს მოციმციმე ნათურები გამოჩნდა.

— სუხუმი! — მოკლედ თქვა კაპიტანმა და პლაშხს მიწვდა.

ელიზბარი ხილურზე ავიდა, ჩვენ ქვემოთ დავეშვით, სალონში.

იზია კარგ ხასიათზეა, ეშმაკური ღიმილით გვეუბნება:

— აგერ ნახავთ, სანამ არ მომიგებს, არ მოისვენებს.

მართლაც, მეორე დღეს, წვერის გასაპარსად რომ შევედით, იზიამ გვაცნობა:

— ხომ გეუბნებოდით! ამ დილით შვიდ საათზე ამაყენა. სანამ არ მომიგო, არ მომეშვა.

იალტაში კაპიტნის ხილურზე რომ ავედით, ელიზბარმა ამაყად გვითხრა:

— მოვუგე.

იზია კი იშვიათად აგებს.

ზოგიერთებს გემით მოგზაურობა მოსაწყენად მიაჩნიათ. ერთი შეხედვით ეს თითქოს ასეა, — ირგვლივ მხოლოდ წყალი, ერთფეროვნება; ზღვა ზოგჯერ ღელავს, ზოგჯერ კი წყნარია. ეს არის და ეს! მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, იგი ყოველ წუთში იცვლის ფერს, სახეს, „საქციელს“ — რაც უფრო დიდი და ძლიერია ტალღა, მით უფრო რწმუნდები ადამიანის ძალასა და სიდიადეში. გემის მუდმივი თანამგზავრების — ალბატროსებისა და თოლიების ცქერა ერთ რამედ ღირს! და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი საკვირველი და მოულოდნელი რამაა ამ იღუმალებით მოცულ უსასრულო სამყაროში...

— ერთი შეხედვით, აქ წყალქვეშა კლდეები საიდან გაჩნდა!... — ფიქრიდან გამოვყავართ ელიზბარის შიშნარევ შეძახილს.

გაოცებულნი მოაჯირს გადავეკიდეთ, ელიზბარის გულიანმა სიცილმა გამოგვარკვია.

— მეღუზები! ამდენი მეღუზა ერთად ჯერ არ მინახავს!

თბომავალი რამდენიმე წუთს მიარღვევს წყალს ამ უწყინარ არსებათა ქარავენებს შორის. ფუთფუთებენ დამფრთხალი მეღუზები, მაგრამ მალე გასაოცარი წესრიგით ისევ ეწყობიან დასტად დასტებად და თავგამოდებით განაგრძობენ გზას.

როგორც წესი, გემზე მხოლოდ საზღვაო ლიტერატურას ვკითხულობთ. წიგნები თბომავლის ბიბლიოთეკარმა ნადეჟდა ფეტისოვამ შეგვირჩია საგანგებოდ. ის-ის იყო სამამულო ომის გმირის, სახელოვანი წყალქვეშელის იაროსლავ იოსელიანის წიგნს „ცეცხლი ოკეანეში“ ვამთავრებდი, როცა რეპროდუქტორში გაისმა დიქტორის ხმა:

— თბომავალი „გრუზია“ უახლოვდება ოდესას!

სწრაფად გავდივართ გემბანზე.

გარშემო ვუვლით ზღვაში კონცხივით შეჭრილ ქვის გრძელ ყორეს, რომელზეც ასვეტილია ოდესის ცნობილი შუქურა, და ნელ-ნელა შევდივართ ნავსადგურში. ნავმისადგომებთან დგანან ზომალდები — დიდი და პატარა, სამგზავრო და სატრანსპორტო, ჩვენებური და საზღვარგარეთული...

აი „გრუზია“ მიადგა ნაპირს. ღუზა რახარახით ეშვება წყალში. სანამ ტრავს ჩაუშვებდნენ, მგზავრები და დამხვდურები თვალთ ეძებენ ერთმანეთს; იბმება მუნჯური საუბარი, იგზავნება ჰაეროვანი კოცნა.

მგზავრები ტოვებენ ზომალდს, კაპიტანს კი ჯერ კიდევ ბევრი საქმე აქვს.

— სალამოს სახლში შევხვდებით, — გვეუბნება ელიზბარი და გვაძლევს მისამართს — „პუშკინის ქუჩა 2“, — აქვეა, ოპერის თეატრთან.

სალამო გოგინძეები ოჯახში

შებინდებისას პუშკინის ქუჩაზე ერთ დიდ სახლს მივადქით.

— ხომ ვერ გვეტყვი, სად იქნება მეხუთე ბინა? — ვეკითხებით სათვალთან მოხუც ქალს, რომელიც ბანჯგვლიან სეტერს ასეირნებს სახლის წინ.

— თქვენ, ალბათ, გოგიტიძეს

ეძებთ? — შეკითხვითვე გვიპასუხა ქალმა.

— დიას.

— ეზოში შეხვალთ; მარჯვნივ მესამე შესასვლელი, მეორე სართული. იქ ცხოვრობს ელიზბარ შებანოვიჩი.

მოხუცი ღიმილით გვაცილებს. ეს

ლიმილი, ალბათ, უღიზიარებს ეკუთვნის. წარსულს და სუფრასთან სულ უფრო ხშირად გაისმის:

— გახსოვს, ელიზბარ?

— გახსოვს, იური?

— გახსოვს, ლიდია იაკოვლევნა?

— მობრძანდით, მობრძანდით!
სასტუმრო ოთახში სუფრაა გაშლილი.

და ჩვენს თვალწინ თანდათან ცოცხლდება ელიზბარ გოგიტიძის ცხოვრების გზა ფოთიდან წასვლის შემდეგ.

მაგიდის თავში ელიზბარი წიხის. დაგვინახა თუ არა, ყმაწვილივითა წამოიჭრა.

— რა ჩქარა გარბის წლები! არა, ელიზბარ, — ამბობს პეტრუშევსკი. — თითქოს გუშინ იყო, გამოცდებს რომ ვაბარებდით ტექნიკუმში. 150 კაციდან მხოლოდ თვრამეტი ჩაგვრიცხეს. შემდეგ საერთო საცხოვრებელი გოგოლის ქუჩაზე... პირველ კურსზე მხოლოდ ელიზბარი იღებდა სტიპენდიას. რამდენიმე ამხანაგს საერთო სალარო გვექონდა. ელიზბარი გვეყავდა მოლარედ...

— სადა ხართ ამდენ ხანს? ასე იცის შეტყუება ოდესამ! დღეს ჩვენთან საზეიმოდ დღეა — გოგიტიძეების ოჯახი შეკრებილია მთელი შემადგენლობით, რაც ასე იშვიათია ამ ბოლო დროს. გაიცანით, ჩემი ცოლი ლიდია იაკოვლევნა, სიდდერი ელენა მატვეევნა, უფროსი ძმის დილბერის შეუღლე ოლა ილარიონოვნა, ჩემი შვილები იური და ჟენია; იურის ცოლი — ნინო; ეს კი, — საზეიმოდ აცხადებს; მასპინძელი, — გოგიტიძეთა გვარის გამგრძელებელი ვიქტორ იურის-ძე, ჩემი შვილიშვილი.

— მარტო სალარო გვექონდა საერთო? — ექიდნურად ეკითხება ელიზბარი და პასუხის მოლოდინში წინასწარ ეღიმება.

შვიდი-რვა წლის ბიჭუნა ღვროებით თავს ანებებს ნამცხვარს და ხელს გვართმევს.

— ჰო, კიდევ ერთი ხელი საგარეო ტანსაცმელი გვეკიდა კარადაში... რიგრიგობით ვიცვამდით პემანზე წასვლის წინ. სამაგიეროდ, თუ ვინმე პურმარილს წააწყდებოდა, აუცილებლად უნდა დაეთრია სუფრიდან რაიმე. რა თქმა უნდა, მაღულად. რამდენჯერ გვიწმენდია წეკოში ამოსვრილი ძეხვი და ნამცხვარი. ახლაც მახსოვს მათი გემო.

— გიორგი პეტრუშევსკი! — თვითონ გაგვეცნო ტანმალალი მამაკაცი. გარეგნობით იგი მსახიობს ჩამოგავს. ელიზბარი კი გვეუბნება:

— ეჰ, ჭირდა იმ დროს ცხოვრება, ჩემო ძმაო, — ებმება საუბარში ელიზბარი, — თავისუფალ დროს საშოვარზე გავდიოდით. ნავსადგურის მტვირთავები ძალიან გვიწყობდნენ ხელს, ზოგჯერ სამუშაოს გვითმობდნენ, გემებს ეტვირთავდით. ხანდახან თარგმნითაც ვმოულობდით ფულს. ინგლისური ვიცოდით, პლაკატებს გვათარგმნიებდნენ. გახსოვს, იური, კაპიტნებს რომ ვუტარებდით გაკვეთილებს?

— ჩემი სკოლის მეგობარი და თანამებრძოლია. თუმცა ამ ბოლოდღეებს ზღვას უღალატა, დიპლომატობა დაიწყო. ჩვენი სამინისტროს წარმომადგენელია საზღვარგარეთ. ახლახან ჩაჩოვიდა იუგოსლავიიდან.

პეტრუშევსკიმ სიტყვა ჩამოართვა: — ჩამოვედი, რომ ისევ ზღვას დავუბრუნდე: დამალა ხმელეთზე სამსახურმა.

ახსოვს, როგორ არ ახსოვს გიორგი

გულითად საუბარში დრო შეუმჩნევლად მიდის. მეგობრები იგონებენ

პეტრუშევსკის ეს გაკვეთილები! მაშინ
ოდესის ნავსადგურში ბევრი ხნერი
კაპიტანი მუშაობდა. გამოცდილი მეზ-
ღვაურები იყვნენ, მთელი მსოფლიო
ჰქონდათ მოვლილი, მაგრამ იმ დროს
ფლოტში ახალი ტექნიკა იწერებოდა
და თეორიაში ცოტას მოიკოჭლებდ-
ნენ. ამიტომ ძველი კაპიტნები რიგ-
რიგობით ბინაზე იწვევდნენ ხოლმე
ტექნიკუმის კურსანტებს. მეცადინეო-
ბას ყოველთვის ნოყიერი ვახშამი უძ-
ლოდა წინ. ბიჭები კარგად დანაყრდ-
ბოდნენ, ცოტას გადაკრავდნენ კი-
დევაც. ამხანაგებსაც არ ივიწყებდნენ;
შემდეგ იწყებოდა მეცადინეობა, მაგ-
რამ ჰალარა შეგირდებს და პირტიტვე-
ლა ლექტორებს ზოგჯერ კონფლიქტი
მოსდიოდათ. ბიჭებს ავიწყდებოდათ,
რომ მათ წინაშე პაპისტოლა კაპიტნე-
ბი ისხდნენ და პასუხით უკმაყოფილო-
ნი ზოგჯერ დაუტაცხანებდნენ ხოლმე.
პირდაპირ სასაცილო იყო, როცა ეს
თმადათოვლილი „ზღვის მგლები“
თვალეების ხამხამით, დარცხვენილი
ისმენდნენ ნოტაციებს. გულში კი, ალ-

ბათ, თვი აიეული მათგანი ფიქრობდა,
დამაცათ, მოხვალთ პრაქტიკაზე, მაშინ
გიჩვენებთ თვალის სეირს, მუხლებზე
ტყავს გად აფაძრობთ გემბანის ხეხვი-
თო.

— შემდეგ გ, — განაგრძობს პეტრუ-
შევსკი, — მოხდა ისე, რომ ელიზბარ-
მა გვილაღა ზა, ჰო, გვილაღა, ცო-
ლი შეირთო და საერთო საცხოვრებ-
ლიდან გადავიდა. ლიდია იაკოვლევანამ
წავგართვა იგი.

— ამისათვის ელიზბარის მეგობრე-
ბმა შემიძულეს, ბოიკოტი გამომიცხა-
დეს, — ისეთი ტონით ამბობს დიასა-
ხლისი, თითქოს ჯერაც არ დავიწყებია
წყენაო, — ანც ერთი არ მოვიდა ქო-
რწილზე.

— თქვენ ის მოყვეთ, ლიდია იაკო-
ვლევანა, როგორ გაგაცურათ ელიზბარ-
მა! — თხოვს პეტრუშევსკი.

მაგრამ დიასახლისი უარზეა, თან
ქმარს შესცქერის. ელიზბარი იღიმება
და ამით თითქოს ეუბნება ცოლს,
თქვიო. ლიდია იაკოვლევანაც არ აყოფ-
ნებს და იგონებს ოცდაათი წლის წი-
ნანდელ ამბავს.

კავკასიელი სასიძო

სამუსიკო სკოლის მოსწავლე ლიდია
კოჟუხოვსკაია საქართველოს პუშკი-
ნით, ლერმონტოვით, ტოლსტოით იც-
ნობდა. და აი თექვსმეტი წლის გოგო-
ნა პირველად ცხოვრებაში შეხვდა ამ
რომანტიკული ქვეყნის მკვიდრს. მარ-
თალია, მას ტრადიციული ჩოხისა და
ნაზდის ნაცვლად საზღვაოსნო ტექნი-
კუმის კურსანტის ბუშლატი ეცვა, მა-
გრამ სხვა მხრივ ელიზბარი ნამდვილი
კავკასიელი იყო — შავგვრემანი, ფიც-
ხი, ამაყი. ერთ ხანს ორივე მალავდა
სიყვარულს. საცხოვრებელში ამჩნევ-
დნენ მხოლოდ, რომ ელიზბარმა უმა-
ტა სარკის წინ ტრიალს, საგარეო ტან-
საცმელსაც უფრო ხშირად თხოულობ-
და. ლიდიაც საიდუმლოდ ინახავდა ყო-

ველივეს, მაგრამ ერთხელ, როცა ელი-
ზბარმა მოულოდნელად განუცხადა,
ცოლად უნდა გამომეყვო, ლიდია შეში-
ნდა და იმავე დამეს ყველაფერი დე-
დას გაუმხილა. რა თქმა უნდა, მშობ-
ლები პირველად უარზე დადგნენ, მა-
გრამ ქალიშვილის სურვილს მთლად
წინ ვერ აღუდგნენ და ოჯახურ თათ-
ბირზე ასე გადაწყვიტეს: ენახოთ, სა-
სიძო გავიცნოთ, ნუ ავჩქარდებითო.
ელიზბარმა მოუხშირა კოჟუხოვსკების
ოჯახში სიარულს. იაკობს და ელენე
მატვეევნას მოსწონდათ სასიძო, ბი-
ჭად ბიჭს არა უშავდა, კარგადაც სწა-
ვლობდა; მხოლოდ ქორწინებისათვის
აუცილებელ პირობად ჩათვალეს ელი-
ზბარის მშობლების ნებართვა. ელიზ-

ბარმა მათ თვალწინ დაწერა ბარათი (რა თქმა უნდა, ქართულად). პასუხმაც არ დააგვიანა. ათიოდე დღის შემდეგ სასიძომ საქართველოდან მოსული წერილი მოიტანა და ლიდიას მშობლებს სიტყვა-სიტყვით გადაუთარგმნა. შაბანი და აიშე ქორწინების ნებართვასთან ერთად ლოცვა-კურთხევას უთელიდნენ შვილს, თან ატყობინებდნენ, საქორწილოდ ოჯახიდან ვინმეს გამოგვზავნითო. მართლაც, მალე ელიზბარმა ლიდიას მშობლებს წარუდგინა საქართველოდან ჩამოსული ნათესავი კლიმენტი კარანაძე და ქორწილიც გადაიხადეს.

— ელიზბარი ჩვენთან გადმოვიდა, — ჰყვება ლიდია იაკოვლევენა, — მხოლოდ ნივთების გადმოტანას საერთო საცხოვრებლიდან რატომღაც აგვიანებდა. ერთხელ, როგორც იქნა, ვიბერთელა ჩემოდანი მოათრია და საწოლქვეშ შეატურა. ტექნიკუმში რომ წავიდა, გავხსენი ჩემოდანი, მინდოდა ტანსაცმელი კარადაში ჩამომეკიდა. რას ვხედავ! ჩემოდანში წიგნების მეტი არაფერია. მაშინ მივხვდი, ელიზბარი ყოველდღე რომ იცვლიდა ტანსაცმელს, სულ ნათხოვარი იყო.

ლიდია იაკოვლევენა ისეთი ცოცხალი იუმორით ყვება ამბავს, ძნელია სიცილი შეიკავო. თვითონ ელიზბარს, ვითომ არაფერი ესმის, ჩაის სვამს, თან ჩუმ-ჩუმად ელიმება.

ლიდია იაკოვლევენა განაგრძობს:
— იმავე წელს ელიზბარმა ტექნიკუმში დაამთავრა და ზაფხულში გემით

საქართველოსკენ გავემგზავრეთ. რაც უფრო ვუახლოვდები ბათუმს, გულისცემა მატულობს: როგორ შემხვდება დედამთილ - მამამთილი, ელიზბარის მრავალრიცხოვანი დაძმა, მოვეწონები მათ თუ არა? თურმე ჯერ სად ვარ, სიურპრიზი წინ მეღის! ჭიშკარს რომ მივადექით, ელიზბარი მომიბრუნდა და მითხრა: „ლიდა, დროა სიმართლე იცოდე. მე არავითარი წერილი არ გამიგზავნია მშობლებისათვის, ესე იგი, პასუხსაც ვერ მივიღებდი. ყველაფერი ეს მე მოვიგონე. არც ის კარანაძეა ჩემი ნათესავი, არავის არ გამოუგზავნია იგი ქორწილზე. შემთხვევით შემხვდა ოდესაში და შენს მშობლებთან ნათესავად გავსაღე; ასე, რომ ჩვენი დაქორწინების შესახებ სახლში არაფერი იციან. უფრო მეტიც, მგონი ჩემთვის საცოლოც ჰყავთ გამორჩეული. ახლა შენ იცი, როგორ მოიქცევი“. ეს რომ მითხრა, გავშეშდი, ფეხი ვერც წინ წავდგი, ვერც გამობრუნება მოვახერხე. ამასობაში ელიზბარის მშობლებიც შემოგვეგებნენ. რაღას ვიზამდი, ცოცხალ-მკვდარი შევედი სახლში. მადლობა ღმერთს, ყველაფერი კეთილად დამთავრდა. მხოლოდ ერთხელ წამომკვივდა ცრემლები, როცა სუფრა გაიშალა და ქართულად შეზავებული პილპილიანი კერძი ვიგემე.

— ამათთან მაინც ნუ ყვები. სადმე დაწერენ და საქვეყნოდ მოგვჭრიან თავს, — ხუმრობით ჯავრობს ელიზბარი.

ოპი ზღვაზე

ღიასახლისი თავის მოვალეობას არ ივიწყებს, თავს გვევლება, ჰიქებს გვიცებს.

ელიზბარის ვაჟიშვილების სადღეგრძელოს ვსვამთ. უფროსი — იური მამის კვალს გაჰყოლია. უკვე კაპიტნის უფროსი თანაშემწეა. ახლახან დაბრუ-

ნდა შორეული რეისიდან. მამასავით ტანმორჩილი და შავგვრემანია. ქენია გემის ინჟინერი იქნება. ამჟამად უკანასკნელ კურსზეა. იგი უფრო დედას ჩამოგავს. ორივეს გული წყდება, რომ საქართველოს მოწყვეტილი არიან.

— ომის დროს ბათუმში ვიყავით

ევაკუირებული, — გვეუბნება იური, — მასსოვს, ზამთარში, ზღვისპირა პარკში ნაძვის გირჩებს ვაგროვებდით და იმით ვატობდით ოთახს.

— ჩვენ კი მაშინ მაგარ ცეცხლში ვიყავით, — ამბობს პეტრუშევსკი, — გახსოვს, ელიზბარ, ჩრდილოეთი!

ისევ აიშალა მოგონებანი...

ომმა კუნძულ შპიცბერგენთან მიუსწრო თბომაველ „ჩერნიშევსკის“ კაპიტანს ელიზბარ გოგიტიძეს და იმავე დღიდან ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. მოკავშირეებთან ერთად კაპიტან გოგიტიძეს გემების ქარავენები დაჰყავდა ჩრდილოეთის ზღვებში. ქარავენებზე დღედაღამ ნადირობდნენ ფაშისტთა თვითმფრინავები, წყალქვეშა ნაგები და სამხედრო გემები.

ელიზბარი კარადიდან იღებს სქელტანიან ჟურნალებს, შეყვითლებულ ქალღღებებს, გვიჩვენებს ერთ-ერთ მათგანს, რომელზეც აღნიშნულია ქარავენების რეისები და ფაშისტთა წყალქვეშა ბაზები. შემდეგ სუფთა ფურცელზე ფანქრით გვიხატავს ქარავენების განლაგებას.

— შუაში იდგნენ საომარი საჭურვლით დატვირთული სატრანსპორტო გემები. მათ გარშემო მიჰყვებოდნენ სახაზო ხომალდები, კრეისერები, ნალმოსნები და კორვეტები. ჰაერიდან გამანადგურებლები გვაცილებდნენ. ეს იყო ინტერნაციონალური რეისები. მათში, ჩვენს გარდა, მონაწილეობდნენ ამერიკელები, ინგლისელები, ჰოლანდიელები, ნორვეგიელები... ყოველ წუთს ველოდით თავდასხმას. თითქმის არც ერთი რეისი არ ჩატარებულა უბრძოლველად. ეს იყო ნამდვილი ჯოჯოხეთი. ირგვლივ ყველაფერი დუღდა. გიორგი ანტონიჩ, გახსოვს ის ამერიკელი ოფიცერი, ნიუ-იორკში რომ გავიცანიო?

— მასსოვს, რობერტი ერქვა. მხოლოდ გვარი არ მაგონდება. რეისში გასვლის წინ ნიუ-იორკში დავლიეთ

კიდევაც მეგობრულად. სახლში მიგვიპატიყა. დავპირდით, რომ შემდეგ რეისზე აუცილებლად ვესტუმრებოდით. ვინ იცოდა, რომ სულ მალე დაღუპვა ელოდა. ორი ტორპედო ზედიზედ დაეძგრა მის ხომალდს და წუთნახევარში ჩასძირა. ეს ჩვენგან ნახევარ მილზე მოხდა. ახლაც თვალწინ მიდგას რობერტი; იგი ხომალდის კიჩოზე იდგა საოცრად მშვიდი, სრულ ფორმაში, თითქოს სამხედრო პარადზე იყო... უკანასკნელ წუთში, როდესაც კიჩოც ჩაყალბა წყალმა, მომეჩვენა, რომ იგი იღიმებოდა. დაიღუპა, როგორც ნამდვილი გმირი და მეზღვაური. რამდენი ასეთი ვაჟკაცი შეიწირა ჩრდილოეთის ზღვამ!

წარსულ ბრძოლათა მოგონებამ ორივე ააღელვა. ისევ ელიზბარი ყვება:

— ფაშისტების სახაზო ხომალდმა „ადმირალმა შეერმა“ მაინც ძალიან გაგვიჭირა საქმე. ვერაფერი მოვუხერხეთ. რამდენჯერ გაგზავნეს ბომბდამშენები მის მოსასპობად, მაგრამ ვერ იქნა, ვერაფრით მიუდგნენ. ზღვაზე გადმოშვერილ ვეებერთელა კლდის ქვეშ აფარებდა თავს. წყლიდან კატერების მთელი რაზმი იცავდა. ერთხელ ჩვენს ქარავანს დაედევნა, მაგრამ კარის ზღვაში შევასწარიო. ფაშისტების რეიდერმა ველარ შემოხედა, ყინულეებში გაჭედვის შეეშინდა. უკან დაბრუნებულმა კი ყინულმჭრელი „სიბირიაკოვი“ შეიწირა. ანატოლ კაჭარავა იყო მისი კაპიტანი. ყინულმჭრელის ეკიპაჟმა სამარცხვინო ტყვეობას სახელოვანი სიკვდილი ამჯობინა და ბრძოლა მიიღო. მაგრამ ოთხდიუმიანი ზარბაზნებით სახაზო ხომალდის სამასკილოგრამიან ყუმბარებთან აბარას გახდებოდა! უთანასწორო ბრძოლაში ჩაიძირა სახელოვანი „სიბირიაკოვი“. ჩვენ ყველას კარგა ხანს მთელი ეკიპაჟი დაღუპულად მიგვაჩნდა. ერთი თვის შემდეგ უკაცრიელ კუნ-

ძულზე შემთხვევით წააწყდნენ „სიბი-
რიაკოვიდან“ რაღაც სასწაულით გა-
დარჩენილ ცეცხლფარეშს. კარგა ხნის
შემდეგ შევიტყვეთ, რომ მიძიმედ დაჭ-
რილი ანატოლ კაჭარავა ეკიპაჟის თორ-
მეტ წევრთან ერთად ფაშისტებმა
ტყვედ ჩაიგდეს და საკონცენტრაციო
ბანაკში გაგზავნეს. ახლა ანატოლი
ისევ ჩრდილოეთშია.

ელიზბარის ვაჟიშვილები ამ რეისე-
ბის ისტორიას, ჩანს, ზედმიწევნით
იცნობენ. ზოგიერთი თარიღის ან ფაქ-
ტის დადგენაში მამას ეკამათებიან კი-
დევაც.

— „მოხუცო“, შენ გეშლება!

ძველი საზღვაო ტრადიციის მიხედ-
ვით ელიზბარს ოჯახში „მოხუცს“ ეძა-
ხიან.

მაშინ ელიზბარი ცხარობს და სქელ
ჟურნალებს ფურცლავს. ამ ჟურნა-
ლებში მას საკუთარი ხელით ზუსტად
აღუნუსხავს, სად და როდის იმყოფე-
ბოდა ამა თუ იმ დღეს.

იური და ჟენია თაროებიდან იღე-
ბენ სტალინის, რუზველტისა და ჩერ-
ჩილის მიწერ-მოწერას. ამ წიგნში ბე-
ვრი რამაა ნათქვამი ქარავენებზე. ბო-
ლოსდაბოლოს, ჰეშმარიტება ირკვევა.

— თქვენი გემი ყოველთვის უვნებ-
ლად რჩებოდა? — ვეკითხებით ელი-
ზბარს.

— ყოველთვის.

— არც არასოდეს დაჭრილობით!

— არასოდეს. ბედნიერი პერანგით
დაბადებულს მეძახდნენ. თუმცა ერთ-
ხელ ისეთ სიკვდილს გადავრჩი, რომ
ჩემს ძვლებსაც ვერ იპოვნოდა კაცი.
ბარენცის ზღვაში ფაშისტთა ესკადრას
და წყალქვეშა ნაგებს წავაწყდით. გაი-
მართა ბრძოლა. მე ხიდურზე ვდვა-
ვარ, შტორმია და ხელებით ქიშს და-
ვეყრდნე. ქვემეხების გრუხუნისაგან
ყურთასმენა არაა. უცებ ვიგრძენი, რა-
ღაც დაეჯახა ქიშს. გაცეხამ და შიშმა
ადგილზე გამყინა. ვუყურებ და საკუ-
თარ თვალს არ ვუჯერი: ჩემს ხელე-
ბსშუა ყუმბარა დავარდა, მაგრამ რა-
ღაც ბედად არ გასკდა. ასე გადავრჩი,
ძმაო, სიკვდილს.

საუბარმა გვიან ლამემდე გასტანა.
ბოლოს ვეთხოვებით გულითად მა-
სპინძლებს და ნელა მივაბიჯებთ დაცა-
რიელებულ ზღვისპირა ბულვარში...

მეორე დღეს „გრუზია“ დუზიდან
მოიხსნა და გეზი ბათუმისაკენ აიღო.
კაპიტნის ხიდურზე კვლავ ვხე-
დავთ ელიზბარ გოგიტიძეს. იგი ახლა
აღარ ჰვავს კეთილ ბაბუას, წუხელ
სუფრასთან გულიანად რომ იცინოდა
შვილიშვილის ონავრობაზე. ჩვენს წინ
ნამდვილი ზღვის კაცია, რომლის მთე-
ლი ცხოვრება იმის მაგალითია, თუ
როგორ უნდა იცხოვრო ადამიანმა.



1945 — 1960

სიკვდილზე კლიერნი

შემდინარე წლის 10 აპრილს წილად შვედა შედნიერება მონაწილეთა მიმელო ბუხენვალდის საკონცენტრაციო ზანაკის განთავისუფლების 15 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში, რომელსაც ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის 60 ათასი წარმომადგენელი დაესწრო. მათ შორის იყვნენ ერნსტ ტელმანის ქვრივი როზა ტელმანი, გერმანიის კომპარტიის ცენტრალურთ კომიტეტის თავმჯდომარე მაქს რაიმანი და სხვები.

სსრ კავშირიდან ამ ზეიმში ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტის დელეგაციას წარმოადგენდათ ბუხენვალდის ყოფილი ორი პატიმარი ნიკოლოზ კიუგე და მე გენერალ-მაიორ დიმიტროსაველიის მეთაურობით.

გერმანიაში ყოფნისას ოფიციალური მანიფესტაციის შემდეგ დავათვალთვინებთ ბერლინის, პოტსდამის, ერფურტის, ვაიმარისა და სხვა ქალაქების ისტორიული ძეგლები, მუზეუმები და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები. ბერლინში ვნახეთ სტალინის ხეივანი (იქვე ლამაზ კვარცხლბეკზეა სტალინის ძეგლი), ბრანდენბურგის თაღები და ლაიხსტაგი, სადაც ჩვენმა ვებრძულმა არმიამ 1945 წლის 2 მაისს ფაშისტ მხუცს მისსავე ბუნჯავში გამანადგურებელი მახვილი ჩასცა.

დავათვალთვინებთ ბერლინისათვის ბრძოლებში დაღუპული მებრძოლების ძველი ტრეპტოვპარკში დიდებულ თეატრ „ვარიტეში“ ვნახეთ „ბუდაპეშტის მულოდები“, რომელსაც სამი ათასი მაყურებელი ესწრებოდა. კომიკურ ოპერაში გვიჩვენეს „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიცია“.

პოტსდამში დავათვალთვინებთ „ცეცილიას სასახლე“, სადაც ი. ბ. სტალინის მონაწილეობით ისტორიული კონფერენცია მიმდინარეობდა 1945 წლის 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე. პოტსდამშივე ვნახეთ ცნობილი სასახლე და ბაღი „სანსუსი“ („უზრუნველობა“). ვაიმარში დავათვალთვინებთ გოეთეს სახლ-

მუზეუმი და მისი სახელობის თეატრში დავესწარიტ სპექტაკლს „მესამე იმპერიის შიში და საშინელება“.

შეგვხვდით ჩვენს ბევრ ყოფილ ამხანაგს — გერმანელებს, ჩეხებს, პოლონელებს, ფრანგებს და სხვებს, რომლებმაც ძალიან გულთბილი, ამალელებელი შეხვედრები მოგვიწყვეს და ბევრი საჩუქარიც გვიძღვნეს.

გერმანიაში ვატარებულმა დღეებმა მოგონებები ამიშალეს. რამდენი ტანჯვა და ვაება ავიტანეთ, რომ ქვეყნად მშვიდობა დაგვემყარებინა. ყურში მიწიოდა მეორე მსოფლიო ომის ეხო. თვალწინ დამიდგა ბუხენვალდის საშინელებანი...

...1942 წლის 13 აგვისტო. ჩრდილო კავკასიაში ნალჩიკის მისადგომებთან 392-ე ქართული მსროლელი დივიზიის 802-ე პოლკის ტანკსაწინააღმდეგო ასეულის პოლიტბელი ვიყავი. პირველი ბრძოლა ბზიკოტის გადასასვლელთან მივიღეთ.

სატანკო იერიშის მოგერიების შემდეგ მესამე დღეს ჩვენი დივიზია მოგვეშველა სახელოვანი „კატუშებით“ და პიტლერელები იძულებულ გახდნენ 20-25 კილომეტრით უკან დაეხიათ და მდინარე ბაქსანს გალმა დაეკავებინათ პოზიციები. ამ ბრძოლებში დაიღუპა მეორე ბატალიონის მეთაური სახელოვანი კაპიტანი ბუნაძე, რომელიც დაკრძალეთ ბზიკოტის გადასასვლელთან პატარა გორაკზე.

28 სექტემბერს გათენებისას ფაშისტები დიდი მიტომექანიზებული ძალებით კონტრშედეგზე ვაღმოვიდნენ. უთანასწორო ბრძოლაში მშიმედ დავიჭერი და გონებადაკარგული ტყვეობაში აღმოვჩნდი.

ფაშისტებმა ფეხით შემომატარეს ჩრდილოეთ კავკასია, სამხრეთ უკრაინა და წელიწადნახევარს გეორჯიევესკის, როსტოვის, ვოზნესენსკის, ზამორაიეის ტყვეთა ბანაკებსა და ნიკოლაევის ციხეში წამებ ის შემდეგ, 1944 წლის 16 მარტს,

სიკვდილის ბანაკ ბუხენვალდში მომთავსეს ქეთაისელ სოლომონ წიქორაძესთან ერთად.

ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკი შეიქმნა პირადად ჰიტლერის ბრძანებით, გერმანიაში ფაშისტური რეჟიმის დამყარებისთანავე. იგი მდებარეობდა დიდი გერმანელი პოეტის გოეთეს სამშობლო ქალაქ ვაიმარის ახლოს — ეტერსბერგის მთაზე.

ამ მთაზე ოდესღაც ნადირობდნენ, ისვენებდნენ და თავიანთ გენიალურ ნაწარმოებებს ქმნიდნენ გოეთე და შილერი, ლისტი და ჰაინრი.

ბუხენვალდში ჩვენს დროსაც იდგა ერთადერთი უზარმაზარი ზეგუთრად გამხმარი მუხა, რომელსაც გოეთეს ხეს ვეძახდით. სწორედ ეს ხე იყო ქართველი და კავკასიელი პოლიტიკური პატიმრების შესაყრელი ადგილი.

ამ ბანაკში ნაცისტებმა პირველად ჩაყარეს გერმანელი კომუნისტები და სხვა ანტიფაშისტები. შემდგომში ორმოცი ეროვნების ათასობით ადამიანის ხვედრი ვახდა ბუხენვალდის წამებისა და სიკვდილის ბანაკი. აღსანიშნავია, რომ ჩვენს შორის იყო სამიდან თოთხმეტ წლამდე 1.500-მდე ბავშვი, მათგან მოზრდილებს რუსი, პოლონელი და იუგოსლავი პარტიზანებისათვის ხელის შეწყობას აბრალებდნენ, ხოლო სულ პატარები მშობლების ჩამოხრჩობის წინა წუთებში ჩვენ ვადმოგვცეს.

ხუთასამდე ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა კავკასიელი ედგა მხარში ათასობით ბუხენვალდელ ანტიფაშისტს. ზედმეტია ამბზე ლაპარაკი, რომ ბანაკში ცხოვრება აუტანელი იყო. ბარაკებში ვწვებოდი შიშველი იატაკზე ან ნარებზე, ან გვერდად არც საწოლებში და არც მაგიდები. დღე-ღამეში თექვსმეტ საათს გვაძულებდნენ და ამ კატორღული შრომისათვის 150 გრამ ნახერხისა და კარტოფილის ნარჩენებისაგან გამომცხვარ პურს და სამ მეთხედ ლიტრა ამყრალებულ სუპს ვვაძლევდნენ. ძაღლებს კი, რომლებიც ესესლებს ჩვენს საწამებლად ჰყავდათ, ორ-ორ ლიტრა სუპს, რძის ფაფასა და სპეციალურ ვალეტებს აჭმევდნენ.

ადვილი გასაგებია, რომ მძიმე შრომისა და შიმშილის გამო უძლებდებოდა და ავადდებოდა ბევრი პატიმარი, რომლებსაც ფაშისტები სამედიცინო დანაშარების ნაცვლად სცემდნენ, ქმით დატვირთულ მძიმეწონიან პლატფორმებში აბამდნენ, თან აიძულებდნენ ელდერათ და ცინიკურად „მომღერალ ცხენებს“ უწოდებდნენ, შემდეგ კი ხოცავდნენ. ბანაკის კომენდანტი ფაშისტი ჯალათი კოხი ასე ამბობდა: ბუხენვალდში უნდა იყვნენ მხოლოდ ცოცხლები ან გამოცოცხლებული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ავადმყოფები. ჰიმლერის „სპეციალისტთა“ გამოანგარიშებით, ბანაკში პატიმრის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა ათ თვეს

არ უნდა გადაშორებოდა. აღსანიშნავია, რომ პატიმრების წამებაში აქტიურად მონაწილეობდა თავისი სადისტური მოქმედებით სახელგანთქმული ილზა კოხიცი, ბანაკის კომენდანტის მეუღლე. ამ ჯალათი ქალის ბრძანებით, „ექიმი“ ვაგნერი ხოცავდა პატიმრებს, რომელთა ტყავის ნაგლეჯებისაგან შემდეგ აპაყურებსა და პორტმანებს ამზადებდნენ.

აქვე იყო ევრეთწოდებული „სანიტარული შემოწმების“ ოთახი, სადაც სიმაღლის ავტომატურ საზომ დანადგართან მისულ პატიმრებს ტყვია კეფაში ხვდებოდათ და იქვე უსულოდ ეცემოდნენ სპეციალურად მომზადებულ დიდ ყუთში. ყველაფერი ეს ხდებოდა საცეკვაო მუსიკის ხმაურში. მარტო ამ ოთახში დაიღუპა შვიდი ათასზე მეტი საბჭოთა სამხედრო ტყვე.

ბუხენვალდის სიკვდილი ბანაკში ფაშისტებმა მოაწყვეს კრემატორიუმი, რომლის დუმელეებიდან განუწყვეტლივ გამოდიოდა საშინელი კვამლი. გამოანგარიშებულა, რომ ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსებული ოცდახუთი ათასი საბჭოთა მოქალაქიდან ოცი ათასი ფერფლად აქციეს კრემატორიუმში და, ვინ იცის, სხვა ეროვნების კიდევ რამდენ ათას მოქალაქეს მოუტყვეს აქ სიცოცხლე.

კრემატორიუმის შენობა დაცულია მაშინდელ მდგომარეობაში. მის კედელზე მოთავსებული მემორიალური დფა მნახველებს აცნობს ფაშისტების გაუგონარ მხეცობასა და ბარბაროსობას.

აუტანელ არაადამიანურ პირობებში, როცა ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო სიკვდილი, ბანაკის საბჭოთა პატიმრებმა გაუგონარი სიმტკიცე და მამაცობა გამოიჩინეს და ცალკე ბარაკებში საკუთარი საიდუმლო ჯგუფები შექმნეს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ფაშისტებისაგან თავის დაღწევას. საჭირო იყო ამ დაქსაქსული ჯგუფების გაერთიანება და შეკავშირება. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ბანაკის ანტიფაშისტური იტაკვეშეთის ხელმძღვანელების—გერმანელი კომუნისტის ვალტერ ბარტელისა და ჩეხი კომუნისტის კვეტა ვენცეინის მეშვეობით ეს ჯგუფები ერთ ორგანიზაციად გაერთიანდნენ, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ საბჭოთა სამხედრო ტყვეები ნ. სიმაკოვი, ს. ბაკლოანოვი, ი. ნოვაეცი, მ. ლევშენკოვი, ს. კეთილაძე და სხვები. ამ ორგანიზაციამ შექმნა თავისი ვაზეთი „პრადა პლენისი“.

შემდგომში ეს არალეგალური ანტიფაშისტური სამხედრო ორგანიზაცია მჭიდროდ დაუკავშირდა ამავე ბანაკში ევროპის თერთმეტი სახელმწიფოს მშრომელთა მიერ შექმნილ ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლთა ინტერნაციონალურ ცენტრს და მუშაობა ერთიანი ძალით წარიმართა. ორგანიზაციამ გერმანიის სამხედრო ქარხნებში საშუალო გაგზავნილი ტყვეების მეშ-

ვეობით, რომლებიც საღამოობით ბანაკში ბრუნდებოდნენ, მოახერხა სხვადასხვა საბრძოლო იარაღის ცალკე ნაწილებად შემოტანა და მათი ადგილზე აწყობა. ამგვარად, ბანაკში თანდათანობით შეიქმნა მტკიცე სამხედრო ორგანიზაცია. ჩვენ უკვე იარაღიც გვქონდა, გაზეთიც და რადიოც. სისტემატურად ვისმენდით ახალ-ახალ ამბებს, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს დიდი სამამულო ომის მსვლელობისა და საბჭოთა არმიის გმირული ბრძოლების შესახებ. ვმართავდით კრებებსა და მიტინგებს შვიდი ნოემბრის, პირველი მაისისა და სხვა დღესასწაულებთან დაკავშირებით. ამით კიდევ უფრო მტკიცდებოდა ფაშისიმის ტყვეობაში მყოფი საბჭოთა ადამიანების რწმენა საბოლოო გამარჯვებისადმი და მათი ინტერნაციონალური კავშირი ტყვე გერმანელებთან, ჩეხებთან, პოლონელებთან, ფრანგებთან და სხვა ეროვნების ანტიფაშისტებთან.

მებრძოლ ანტიფაშისტთა ინტერნაციონალური კავშირის შემდგომ განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა გერმანიის პროლეტარიატის ბელადის ტელმანის ხსოვნისადმი მიძღვნილმა სამგლოვიარო მიტინგმა და კრებებმა.

ერთი სიტყვით, ბანაკის პატიმრები გულდაგულ ვემზადებოდით გადაწყვეტი ბრძოლისათვის. ეს დროც დადგა. 1945 წლის აპრილში ფაშისტებმა გამოსცეს ბრძანება მთელი ბანაკის საერთო ევაკუაციის შესახებ. ჩვენ ვიცოდით, თუ ბანაკიდან გავიდოდით, ყველას მოგვსპობდნენ, რადგან ფაშისტური გერმანიის საბოლოო დამარცხების დღე ახლოვდებოდა — ვენა ალყაშემორტყმული იყო, ხოლო ბერლინი საბჭოთა არმიის ნაწილები ყოველი მხრიდან უახლოვდებოდნენ. აი ამიტომ საიდუმლო ცენტრის მოწოდებით უარი ვთქვით ევაკუაციაზე. ამის პასუხად ბანაკში რვაასი ესესელი შემოიჭრა ხელის ტყვიამფრქვევებით და დაგვიწვი წავაზებით. სამეთვალყურეო კოშკებზე გამოჩნდა მძიმე ტყვიამფრქვევები. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული მომენტი ბანაკის არსებობის ისტორიაში.

ითვალისწინებდა რა მომენტის სერიოზულობას, ყველა პატიმარი განუხრელად ასრულებდა არალეგალური ცენტრის მითითებას, თუმცა ბევრისათვის გაუგებარი იყო ბანაკში რვაასი ჯალათის შემოჭრისას საიდუმლო ცენტრმა რატომ აკრძალა მათზე თავდასხმა და საერთოდ აქტიური წინააღმდეგობა. ამ დროს ჩვენ ყველას ხელი უნდა ჩაგვეკიდა ერთიმეორისათვის

და ერთმანდ დაგვეძახა „შისენ ნისტ!“ (არ ისროლოთ!). ეს ორი სიტყვა, უღრმესი დრამატულობით ერთად აღმოჩნდა, ჩვენს თხოვნასთან ერთად გადაწყვეტ გაფრთხილებასაც შეიცავდა.

პატიმართა ასეთმა ერთსულოვანმა წინააღმდეგობამ ჰიბნოზურად იმოქმედა ესესელებზე და მათ მხოლოდ აქა-იქ იხმარეს იარაღი, ბოლოს კი სულ დატოვეს ბანაკის ტერიტორია. მაგრამ ოცდახუთი ათასი ადამიანის სიცოცხლე მაინც ყოველ წუთს ბეწვზე ეკიდა. დრო აღარ ითმენდა. საიდუმლო ცენტრმა გადაწყვიტა ავჯანყებულიყავით 11 აპრილს, 15 საათსა და 15 წუთზე. ყველა პატიმარს ეცნობა ცენტრის სპეციალური მოწოდება უკანასკნელი თავგანწირული სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლისაკენ და ყველანი შევიარადით.


ჯალათებს იარაღით ხელში პირველი ეკვეთა ეგრეთწოდებული „ქვის ბრიგადის“ დამრტყმელი ბატალიონი პატიმარ ვ. დოგუნოვის მეთაურობით. აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები, გაისმა თოფების გრილი. ამასობაში გერმანელმა პატიმარმა ელექტრიკოსმა ვალტერმა გამოთიშა ელექტრონიზებული მავთულხლართები. ჩვენ სიკვდილის ბანაკის მძიმე კარებისაკენ გავეშურეთ, გავარდვიეთ იგი და დავატყვევეთ ასომოდდაათი ესესელი. საბჭოთა სამხედრო პატიმრებს მხარი დაუჭირეს გერმანელმა, ჩხმა, პოლონელმა, იუგოსლავმა და ფრანგმა პატიმრებმა.

ასე ვიბრძოდით ორ დღეს. მესამე დღეს ამერიკის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს ბანაკის ახლო მდებარე სოფლები და ქალაქები და წინადადება მოგვეცეს იარაღი ჩაგვებარებინა. ჩვენ უარი განვუცხადეთ და შემდეგ საბჭოთა არმიის ნაწილებს შევეუერთდით, მალე კი სამშობლოში დაებრუნდით.

...ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის განთავისუფლების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი დამთავრდა. ზეიმის მონაწილე ევროპის სამოცი ათასი წარმომადგენლის ფიქრი და მისწრაფება ერთი იყო — ჩვენ არ გვსურს განმეორდეს ბუხენვალდი, მსოფლიოს ყველა უბრალო ადამიანს, ყველა პატიოსან მშრომელს სურს მშვიდობა. ხალხმა საკუთარ ხელში აიღო მშვიდობის საქმე და, ეჭვი არ არის, ბოლომდე დაიცავს მას.

იმაჩიბია თაყაძე.





აღ. ჩაველიძე

ეგნატე ნინოშვილის ისტორიული რომანის გამოქვეყნების საკითხისათვის

ცნობილი ისტორიული რომანი „ჯანყი გურიაში“ იმ სახით, როგორც იგი დღეს მოგვებოვება, ნინოშვილმა 1888-1889 წლებში დაწერა. „ამ რომანის... წერა დაეწყო 21 ნოემბერს, 1888 წელს,— აღნიშნავდა იგი,— და დაწერე იმავე წელს მეექვსე თავამდე... დანარჩენი ნაწილი ამ რომანისა ვწერე 1889 წელს მაისის დასასრულამდე“ (ე. ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, 1932 წ., ტ. I, გვ. 285).

როგორც ცნობილია, ეს ისტორიული რომანი ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. მისი პირველი ხუთი თავი დაიბეჭდა გაზეთ „კვალში“ 1902 წელს. მთლიანად ეს ნაწარმოები გამოქვეყნა 1904 წელს კ. თავართქილაძემ ეგნატე ნინოშვილის თხზულებათა სრულ კრებულში (ს. ხუნდაძე, რედაქტორის შენიშვნები, იგივე ტომი, გვ. 281).

მაშასადამე, 1889 წელს დამთავრებული რომანი „ჯანყი გურიაში“ ე. ნინოშვილის თავისი სიცოცხლის მანძილზე არც ერთ ნაბეჭდ ორგანოში არ წარუდგენია გამოსაქვეყნებლად. სამეცნიერო ლიტერატურაში ამას ორი მიზეზით ხსნიან.

ერთ-ერთ ასეთ მიზეზად ასახელებენ იმ დროს არსებულ აუტანელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და საცენზურო პირობებს. „ამ რომანში გატარებული რევოლუციონური აზრები, — წერდა პროფ. ს. ხუნდაძე, — დიდ საფრთხილას წარმოადგენდა თვითმპყრობელობისათვის. შეიძლება ამ უკანასკნელი გარემოებითაც აიხსნებოდეს ის, რომ ვერც ავტორმა და

შემდეგ სხვა გამომცემლობამაც (პერიოდულმა) ვერ გამოაქვეყნეს ეს რომანი“ (იქვე, გვ. 281). ამ მოსაზრების შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: როგორც თვით პროფ. ს. ხუნდაძემ გამოარკვია, თვითმპყრობელობას სხვა გამომცემლობისათვის მართლაც შეუშლია ხელი რომანის გამოქვეყნებაში. ისიც მართალია, რომ ე. ნინოშვილს კალმის ჯალათების ბარბაროსული მოქმედებაცოველთვის აფიქრებდა. ერთ კერძო წერილში ე. ნინოშვილი გ. წერეთელს თავისი სტატიის შესახებ სწერდა: „რაც შეეხება რუსულ და ფრანგულ ციტატებს, პირველი არის ამოღებული ნ. ჩერნიშევსკის სტატიიდან... მეორე ფრანგული ციტატა ამოღებულია ფრანგული სოციალ-დემოკრატიული გაზეთიდან... რასაკვირველია, თუ ცენზორმა გაიგო საიდანაც არის ამოღებული ან ერთი და ან მეორე ციტატა, წაუღობს წითელ მელანს, როგორც ცენზორი უნდა გავაცუროთ“ (ტ. III, 1935 წ., გვ. 111-112). მაშასადამე, ე. ნინოშვილი მუდამ განიცდიდა საცენზურო დაბრკოლებას, მაგრამ იგი, როგორც მებრძოლი მწერალი, ცენზურას არ უშინდებოდა და მაინც ახერხებდა კლასობრივი ბრძოლის იდეით გაყვნილი ნაწარმოებების გამოქვეყნებას. ამიტომ რომანის დაუბეჭდვლობის მთავარ მიზეზად არ შეიძლება საცენზურო პირობები ჩაითვალოს, მით უმეტეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვით ე. ნინოშვილს თავის სიცოცხლეში რომანი დასაბეჭდად არ უნდა ჰქონდეს წარდგენილი არც ერთ ნაბეჭდ ორგანოში. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არ არსებობს რაიმე საბუთი, რომელიც გვაუწყ-

უბედეს ცენზორის უარს რომანის გამოქვეყნებაზე.

ავტორის სიცოცხლეში რომანის გამოქვეყნებლობის მეორე მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ე. ნინოშვილს „ჯანყი გურიაში“ არ მიაჩნდა დასრულებულად, ეძებდა ახალ მასალებს ნაწარმოებში სსაფუძვლიანად გადამუშავებისათვის მისი სრულყოფის მიზნით. ამასთან დაკავშირებით პროფ. ს. ხუნდაძე თავის „რედაქტორის შენიშვნებში“ აქვეყნებს თ. კიკვაძის წერილს, რომელშიც ნათქვამია: „ე. ნინოშვილის მოთხრობა „ჯანყი გურიაში“, როგორც ვიცით, დაწერილია 1888 წელს, მაგრამ ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ამის მიზეზი ისაა, რომ ავტორს ეს მოთხრობა სავსებით დასრულებულად არ მიაჩნდა და განაგრძობდა ისტორიული მასალების შეკრებას. 1892 წ. თებერვალში ეგნატეს შევხვედი შავი ქვის მრეწველი ნ. დოღობერიძის ზესტაფონის კანტორაში, სადაც სტუმრად იყო მისული იქ მოსამსახურე ამხანაგებთან. აქ მეც მომიხდა ორი-სამი კვირით დარჩენა. ამ დროის ჯანმავლობაში მე და ეგნატე საკმაოდ დავუახლოვდით ერთმანეთს. ერთ დღეს ეგნატემ თავისი ხელნაწერი წამოკითხა, ვგონებ „ქრისტინე“ იყო და შემდეგ ლაბარაკი ჩამოაგდო გურიის 1841 წელს მომხდარი აჯანყების შესახებ. ჯერ გამოკითხა, რაც მე ვიცოდი ამის შესახებ და შემდეგ მოხოვა დამესახელებია მისთვის ვინმე ამ ამბის კარგად მცოდნე. მე მივუთითე ისტორიკოს-არქეოლოგ ექვთიმე თაყაიშვილზე, რომლის მეზობელი გლეხი ათარმია თოიძე (სოფ. ლიხაურიდან) აჯანყებულთა ერთ-ერთი მეთურთავენი იყო. ისარგებლა თუ არა ეგნატემ ასეთი შითითებით, არ ვიცი“ (ტ. I, გვ. 292). დღეისათვის ცნობილია, რომ ეგნატეს უსარგებლია თ. კიკვაძის მითითებით, მართლაც გაუგზავნია წერილი ექვ. თაყაიშვილისათვის, რომელსაც მწერლის თხოვნა კეთილსინდისიერად შეუსრულებია. ამის თაობაზე ე. ნინოშვილი სწერდა ე. თაყაიშვილს: „თქვენი წერილი მივიღე. დიდად მადლობელი ვარ პასუხისათვის, მადლობელი ვარ აგრეთვე, რომ დამისახელეთ 1841 წ. გურიის აჯანყების შესახებ მასალები. რადგანაც კი გავიგე იმ წიგნების, ანუ ურუნალების, სათაურები და №№, ფიქრობ, აწი აღარ გამიძნელება იმათი მოპოვება. როცა თბილისში ვიახლები, თქვენც უნდა შეგაწყინოთ თავი, გთხოვთ იმისი მოთხრობა, რაც ბიძა თქვენიდან გაგიგონიათ იმ აჯანყების შესახებ. ჩემთვისაც უამბნით ბევრჯერ მოხუცებს იმ აჯანყების ამბავი, მაგრამ ერთის ნაამბობი მეორეს არ ეთანხმებოდა. თქვენ, იჭვი არ არის, უფრო ნამდვილი წყაროდან გქვნებათ გავებული იმის ვითარება. განსაკუთრებით საჭიროა გავიგოთ

ნამდვილი მიზეზი (მოტივი) იმ აჯანყებისა“ (იხ. „ლიტერატურის მატანე“, წიგნი 6, 1952 წ., გვ. 62). აქვე მოვიყვან შენიშვნას, რომელიც ექვ. თაყაიშვილმა დაუთმო ამ წერილს: „წერილს თარიღი არ აქვს, მაგრამ იგი დაწერილია უსათუოდ 1892 წლის ზაფხულში, ვინაიდან ჩემთან მომართვა მასალების საჩვენებლად გურიის აჯანყების შესახებ ურჩევია თედორე კიკვაძეს ზესტაფონში, სადაც იგი ეგნატე ნინოშვილთან ერთად მსახურობდა ნ. დოღობერიძის კანტორაში. ე. ნინოშვილს „ჯანყი გურიაში“ დაუწერია 1888-1889 წლებში. ეს მოთხრობა ავტორს დაუმთავრებლად მიაჩნდა და ამიტომაც არ გამოუცია თავის სიცოცხლეში. სამწუხაროდ, ჩემი ნაჩვენები მასალების შესწავლა მას ვეღარ მოუსწრია ვიდრე გარდაიცვლებოდა“ (იქვე, გვ. 61-62). მაშასადამე, დადგინდა უნდა ჩაითვალოს, რომ ე. ნინოშვილი რომანის მასალებს ეძებდა რომანის დაწერიდან სამი წლის შემდეგაც. რატომ ეძებდა? იმიტომ, რომ ავტორს რომანი დაუმთავრებლად მიაჩნდა და მისი გადამუშავება უნდოდა. ასე ფიქრობენ თ. კიკვაძე, ს. ხუნდაძე და ე. თაყაიშვილი. მკვლევარი ბ. ქლენტი კი შემაჯამებელ დასკვნას აკეთებს: „თავითი ნინოშვილი ამ რომანს, როგორც ჩანს, არ თვლიდა საბოლოოდ დასრულებულ ნაწარმოებად. ცნობილია, რომ ამ რომანის დაწერის შემდეგ იგი განაგრძობდა მასალების შეკრებას 1841 წლის აჯანყების შესახებ, რაც იმას მოწმობს, რომ მწერალს განუზრახული ჰქონდა გადაემუშაებინა „ჯანყი გურიაში“ მისი შემდგომი გადრეკვისა და სრულყოფის მიზნით. ალბათ, ამით აისხნება, რომ ეს რომანი ეგნატე ნინოშვილის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. პირველად იგი მწერლის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა „კვალის“ ფურცლებზე“ (ბ. ქლენტი, ე. ნინოშვილი, 1958 წ., გვ. 47).

ეს მოსაზრება, რომ ავტორს რომანი არ მიაჩნდა დასრულებულად და ფიქრობდა მის გადამუშავებას, რისთვისაც ეძებდა ახალ მასალებს, ერთობ საყურადღებოა. მაგრამ აქვე გარკვევით იმის შესახებაც უნდა ითქვას, რომ იგი დამაჯერებელი და ანგარიშგასაწევი მხოლოდ მაშინ იქნებოდა, თუ აღინიშნებოდა ის, რაც რომანს აკლდა, რამიმართლებით საჭიროებდა იგი გადამუშავებას. ამის შესახებ კი კონკრეტულად არ მიუთითებენ. დღემდე არ გამოქვეყნებულა არც ერთი სერიოზული ნაშრომი, რომელშიც მითითებული იყო რომანის ისეთ ნაკლოვან მხარეებზე, რომლებიც საჭიროებდნენ გამოსწორებას. მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის-მცოდნეობის მიერ „ჯანყი გურიაში“ ერთხმად არის აღიარებული საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებად. თვით ისინიც კი, რომლებიც გამო-

თქვენ მოსაზრებას ავტორის მიერ რომანის გადამუშავების განზრახვის შესახებ, ვერ ასახელებენ ვერცერთ „გადამუშავებელ“ მხარეს. პირიქით, ე. ნინოშვილის ისტორიულ რომანს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. „ნინოშვილი 1841 წლის ისტორიულ ფაქტებს მიუღდა, როგორც რევოლუციონერი, როგორც მებრძოლი ავტორი... — წერს პროფ. ს. ხუნდაძე. — ავტორმა გვერდი აუარა ამ ფაქტების ოფიციალურსა და თავადანაურულს გაშუქებას და იგი კლასიურ-წოდებრივი ბრძოლის თვალსაზრისით განიხილა, — ამასი არის სიძლიერე და ერთ-ერთი დიდი დამახასიათებელი თვისება ნინოშვილის რომანისა“ (ტ. I, გვ. 293). თვით კრიტიკოსი ბ. ყლენტი, რომელიც დაბეჯითებით მიუთითებს რომანის გადამუშავებისა და სრულყოფის შესახებ, რომანს მიიჩნევს სრულყოფილ ნაწარმოებად, რაც ნათლად ჩანს მისი შემდეგი მსჯელობიდან. ეგნატე ნინოშვილმა ნაწარმოებში „ჯანყი გურიამი“ ღრმად დააკვირა „თავისი გმირების პირადი ბედი სახალხო მოძრაობის ბედთან, მის შედეგთან და ამ კავშირის საფუძველზე რომანში მიღწეულია რთული და თანაც მწკობრივი სიუჟეტური კომპოზიცია, რის მეოხებითაც რომანი ცხოველი და შეუწინაღებელი ინტერესით იკითხება. ამრიგად, თავის ამ ნაწარმოებში, ნინოშვილმა არა მარტო სოციალური თვალსაზრისი განასახიერა, არამედ გამოავლინა კიდევ თავისი მხატვრული ნიჭიერების ძირითადი თავისებურებანი: წარმატად და მიმზიდველი სიუჟეტის ოსტატობა, მკაფიო ტიპურ სახეთა გამოკვეთის უნარი, გმირთა სამეტყველო ენის თავისებური კოლორით აღბეჭდილი სამწერლო სტილი“ (დასახელებული წიგნი, გვ. 46-47). მაშასადამე, „ჯანყი გურიამი“ იდეურად და მხატვრულად სრულყოფილი ნაწარმოებია, რომელიც გაქლენთილია რევოლუციური იდეებით და მაღალი მხატვრული ოსტატობით გადმოგვცემს ტიპურ ხასიათებს ტიპურ გარემოებაში. ამიტომ გარკვევით უნდა ითქვას, რომ იგი არ საჭიროებდა რაღაც საფუძვლიან გადამუშავებას „მისი შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის მიზნით“. „ჯანყი გურიამი“, იმ სახით, როგორც იგი დღეს ჩვენ მოგვეპოვება, სრულყოფილი, დამთავრებული ნაწარმოებია და, თუ ე. ნინოშვილმა თავი შეიკავა რომანის გამოქვეყნებისაგან, ეს არ აიხსნება ამ ნაწარმოების გადამუშავების მოტივით, რასაც თითქოს მიზნად ჰქონდა რომანის სრულყოფა.

გაკვირვებას იწვევს ის მოვლენა, რომ ეგნა-

ტე ნინოშვილის ისეთი კარგი რომანი, როგორცაა „ჯანყი გურიამი“ („სამწუხარო შედეგი“, დასრულებული და დასაბეჭდად გამზადებული, სახლში ედო და მაინც ეძებდა მასალებს აჯანყების შესახებ.

რად სჭირდებოდა ე. ნინოშვილს ახალი მასალები აჯანყების შესახებ, თუ კი იგი რომანის გადამუშავებას არ ფიქრობდა? აჯანყების შესახებ ახალ მასალებს ე. ნინოშვილი იმისათვის ეძებდა, რომ უფრო დამაჯერებლად დაეხატა თემა ინა გურიის 1841 წლის აჯანყების ხასიათი, როგორც ბატონყმობის წინააღმდეგაც მიმართული მოძრაობისა. ამგვარი მასალების მეტი რაოდენობით მოპოვების მიზნით ავტორი აყოვნებდა რომანის გამოქვეყნებას. საქმე ის არის, რომ გასარკვევი იყო საკითხი: ჰქონდა თუ არა მიზნად გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყებას ბატონყმობის დამხობა? ეს საკითხი არათუ ეგნატეს ღრს, არამედ დღესაც სადავოდ მაიჩნია ზოგიერთ მეცნიერს. მაგალითად, 1956 წელს გამოიცა დოქ. ი. სიხარულიძის ნაშრომი „გლეხთა აჯანყება გურიამი 1841 წელს“. მასში ავტორი დაყენებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ გურიის გლეხთა აჯანყება არ იყო მიმართული ბატონყმობის წინააღმდეგ. „შეიძლება ვაბეძულად ითქვას, — წერს ავტორი, — რომ სტიქიურად ამხედრებული და სათანადო ხელმძღვანელს (ამ შემთხვევაში ბურჟუაზია) მოკლებული გურიის გლეხობა ბატონყმობის გაუქმების მოთხოვნამდე არ ამღლებულა“ (გვ. 14). ასეთი შეხედულება მცდარია, რაც ნათლად ჩანს ჩვენი ცნობილი ისტორიკოსების ფ. მახარაძის, გ. ხუპაურიძის, ს. ხუნდაძის, ა. კიკვაძის, მ. დუმბაძისა და სხვ. გამოკვლევებიდან. ისტორიული სიმართლე უდავოდ ამ მეცნიერთა მხარეზეა, თუმცა არცის შეიძლება ითქვას, რომ აჯანყების ანტიბატონყმური ხასიათის უარყოფას ერთგვარი საბაზი არ ჰქონდეს. საქმე ის არის, რომ აჯანყების შესახებ დაცულ მასალებში მოძრაობის ანტიბატონყმური ხასიათის მაჩვენებელი საბუთები ერთობ მკრთალად არის წარმოდგენილი. რეალური მასალები ამ მომენტს არ ამახვილებენ. აჯანყების ნამდვილი მიზნის შესახებ მართალი ცნობები უფრო ნათლად შენახული იქნებოდა ხალხში და ეგნატემაც ხალხს მიმართა. იგი ეკითხებოდა მოხუცებს აჯანყების ამბების შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, იქაც არ არსებებდა ერთგვარი გაგება. ამის მაჩვენებელია ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიწერილი ეგნატეს წერილის ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „ჩემთვისაც უამბნათ ბევრჯელ მოხუცებს იმ აჯანყების ამბავი, მაგრამ ერთის ნაამბობი მეორეს არ ეთანხმე-

ბოლდჳ. ჩვენს მიერ აქ გამოყოფილია სიტყვები აშკარად იმაზე მიგვიითებენ, რომ ეგნატე ნინოშვილს ჯერ კიდევ არ გააჩნდა საკმაო მასალები აჯანყების ანტიბატონყმური ხასიათის შესახებ. მიუხედავად ამისა, ერთი რამ გადაწყვეტილად მიგვაჩნია: აჯანყების შესახებ ამ ერთმანეთთან შეუთანხმელი ნაამბობიდან ე. ნინოშვილს მართებულად სწორედ ის აზრი ჩაუთვლია, რომლის მიხედვითაც აჯანყება მიჩნეულია ანტიბატონყმურ მოძრაობადაც და ამგვარი გაგების საფუძველზე კიდევაც დაუწერია რომანი „ჯანყი გურიაში“. რომანს თავიდან ბოლომდე გასდევს ამგვარი გაგება. ე. ნინოშვილს ეს აღარ მიაჩნდა სადავოდ, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი დასკვნის გამოსატანად არც თუ ისე ბევრი მასალა ჰქონია, რაც მოსვენებას არ აძლევდა მას და მანამ ვერ დაწყნარდებოდა, ვიდრე ბევრ მასალას არ მოიპოვებდა თავისი დებულების დასამტკიცებლად. როგორც ჩანს, ე. ნინოშვილს ბევრი რამ დიდი შემოქმედისათვის დამახასიათებელი რეალისტური ალლოთი და უშუალო წვდომით განუჭვრეტია. ადამიანის ცხოვრებაში ზოგჯერ ასეც სწდება. ამიტომ, ჩვენი აზრით, ე. ნინოშვილი სწორედ იმიტომ აყოვნებდა რომანის გამოქვეყნებას, რომ მეტ მასალებს ეძებდა მისებური გაგების ჭეშმარიტობისა და სიმართლის დასამტკიცებლად. ეგნატე ნინოშვილის სიდიადე სწორედ ისაა, რომ ოფიციალურ თუ არა-ოფიციალურ მეჩხერ ცნობებზე დაყრდნობით ღრმად ჩასწვდა აჯანყების არსს და წარმოადგინა მისი სწორი ისტორიული სურათი.

როგორც აღვნიშნეთ, ე. ნინოშვილმა რომანის წერა დაამთავრა 1889 წელს, ხოლო 1892 წელს მას ისევ უგროვებია ცნობები აჯანყების შესახებ. ამის შემდეგ ორი წელი კიდევ იცოცხლა და ამ ოთხი წლის განმავლობაში თუ მან თავისი რომანი არ გადაამუშავა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი საბოლოოდ დააწმუნებულა რომანის ისტორიული კონცეფციის სისწორეში. არც შეიძლება იტყვას, რომ იგი მომხდარა, რადგან ე. ნინოშვილი, როგორც რევოლუციონერი, ვერ დაამახინჯებდა გურის გლეხთა 1841 წლის აჯანყების სოციალურ შინაარსს. ეს აჯანყება რომ ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ იყო მიმართული და რომ მას ანტიკოლონიური და ანტიბატონყმური ხასიათი ჰქონდა, ეს ოფიციალური მასალებიდანაც სკამაოდ ჩანს. ამის შესახებ სამართლიანად წერდა პროფ. ს. ხუნდაძე თავის „რედაქტორის შე-

ნიშვნებში“, რაც დართული აქვს ე. ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებულის I ტომს. ამ შესანიშნავი ნარკვევიდან ჩვენ ერთ ადგილს მოვიტანთ: „სრულიად ბუნებრივი იყო, რომ 1841 წლის აჯანყება წოდებთა შორის ბრძოლად გადაიქცა და გლეხობამ თავისი იარაღი მებატონეთა წინააღმდეგ მიმართა. გლეხობაში ეს უკმაყოფილების ხმა მემამულეთა წინააღმდეგ აჯანყების დასაწყისიდანვე გაისმოდა. ოფიციალურ დოკუმენტში ვკითხულობთ:

«На вопрос уездного начальника о причине их сборища, они отозвались, что терпят будто-бы большие притеснения от своих помещиков в отбывании крестьянских повинностей в пользу их, и что требуемая с них земская натуральная повинность, как-то: выставка рабочих людей, подвод, содержание кордонной по границе к Ахалциху линии и прочее для них весьма тягостная, и потому денежную повинность ~~они~~ не в состоянии платить» (Акты, т. IX, гл. 164) ამასვე ამტკიცებს ჩუღინოვის გამოკვლევა: «Причины руководившие их действиями заключались не в одном денежном ~~нраве~~, но и в недовольствии против духовенства за усиленные поборы при исполнении различных треб, в озлоблении против владельцев за разные притеснения и вообще за жестокое обращение и против местных ~~платить~~ за отягощение будто бы их казенными работами, за несправедливые аресты и т. п.» (გვ. 226).

ამრიგად, თვით ოფიციალური ცნობების მიხედვით გლეხობა შევიწროებული იყო როგორც პოლიციური მართველობის, ისე მემამულე-სამღვდელოების მიერ. ამიტომ გლეხთა მოძრაობა ამ ძალების საწინააღმდეგოდ იქნა მიმართული. ნინოშვილმა ეს გარემოება ზედმიწევნით შეისწავლა და თავის რომანში გლეხთა მოძრაობა მემამულეთა საწინააღმდეგოდაც მიმართა“.

(ტ. I, გვ. 298-299).

ამ ჭეშმარიტი დასკვნის დადასტურებაა ე. ნინოშვილის მთელი რომანი. ამგვარად, რომანის დაბეჭდვას ე. ნინოშვილი იმიტომ კი არ აყოვნებდა, რომ ცენზურის ეშინოდა, ან კიდევ რომანის რაღაც გადაამუშავებას ფიქრობდა, არამედ იმიტომ, რომ უფრო მეტი დამატებითი მასალები მოეპოვებინა აჯანყების, როგორც ბატონყმობის წინააღმდეგაც მიმართული მოძრაობის გაგების საბოლოო დასაბუთებისათვის. ეს ასეც მომხდარა, მაგრამ ამ დროს ტუბერკულოზმა იმსხვერპლა ტანჯული ეგნატე და რომანის გამოქვეყნებაც შეუფერხდა.



შოთა ქაჩიძე

სიცოცხლისა და სიხარულის პოეტი

ძნელია ახლა ნახოთ ქართველი მკითხველი, რომელიც არ იცნობდეს ლაღო ასათიანის პოეზიას და ზეპირად არ იცოდეს მისი ლექსები. მაგრამ რატომღაც ისე მოხდა, რომ მკითხველთა, მართალია, მცირე, მაგრამ მაინც ერთმა ნაწილმა ცალმხრივად აღიქვა პოეტის შემოქმედება და შეცდომით ფიქრობს, თითქოს იგი იყო მარტო ძველი საქართველოს, ჩვენი სახელოვანი წინაპრების მეხოტბე. ეს, რა თქმა უნდა, ღრმა შეცდომაა. ლაღო ასათიანის პოეზია თავიდან ბოლომდე თანამედროვეობით სუნთქავს და საზრდოობს, თავიდან ბოლომდე გაყდნულია თანამედროვეობის სულისკვეთებით. მაშინაც კი, როცა პოეტი წინაპრებს მამართავდა და ხოტბას ასხამდა მათ, იგი რჩებოდა უადრესად თანამედროვე პოეტად. გაუგებარია, რატომ იფიქრებენ იმ ფაქტს, რომ ლაღო ასათიანის პოეზიაში წინაპრები გაჩნდნენ მხოლოდ დიდი სამამულო ომის წინ და თვით ომის პერიოდში, ე. ი. მაშინ, როცა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, თვით მის არსებობას საშინელი საფრთხე დაემუქრა. და იმ დროს ცოტა მნიშვნელობა როდი ჰქონდა წინაპართა აჩრდილების გამოხმობას, წინაპრებისა, რომლებმაც გვიჩვენეს მამულისათვის თავდადების არაერთი საარაკო მაგალითი. მათი გმირული საქმეები, თავისთავად ცხადია, აღაფრთოვანებდა საბჭოთა არმიის მებრძოლებს და განუმტკიცებდა მტერზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების რწმენას.

საქართველოს წარსულის გახსენებას რომ ლაღო ასათიანის პოეზიაში ეს პრაქტიკული, სადღეისო ამოცანა ეკისრებოდა, იქედანაც ჩანს, რომ პოეტი უმღეროდა სახალხო გმირებს, ხალხის ღვიძლ შვილებს, რომლებმაც

თავი დასდეს სამშობლოსათვის, რომლებმაც ყველაზე ძვირფასი — საკუთარი სიცოცხლეც კი უნაგაროდ და უყოყმანოდ მიიტანეს მამულის საკურთხეველზე. მას არ აინტერესებდა თამარის ოქროს ქოშების ზედი და არც იმაზე ფიქრი სტანჯავდა, სად იყო მისი საფლავი. სამასი არაგველი და ბასიანის ომის გმირები, ხუდია ბორჩალოელი და ცხრა ძმა ხერხეულიძე, თამარ ვაშლიანელი და მაია წყნეთელი — აი ვინ შთააგონებდა და აღაფრთოვანებდა ლაღო ასათიანს, აი ვის უმღეროდა, აი ვის აქებდა იგი. და თუ დღეს ჩვენს ლიტერატურაში ესოდენ პოპულარულია სამასი არაგველი თუ მაია წყნეთელი, ამაში ცოტა წვლილი როდესაც მიუძღვის ნიჭიერ ქართველ პოეტს, რომელმაც არაჩვეულებრივი სიყვარულით, დიდი უშუალობითა და გულწრფელობით დახატა მათი გმირული სახეები.

ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს,
თუ როგორ გაეუმასპინძლით, როგორ გაგრეკეთ ურჯულო.

ასე იწყებს ლაღო ასათიანი ერთ-ერთ თავის საუკეთესო ლექსს „ასპინძა“ და შემდეგ ამ სტრიქონებს არაერთხელ იმეორებს როგორც რეფრენს, რითაც ხაზს უსვამს მთავარს, ძირითადს, სწორედ იმას, რისთვისაც შექმნა იგი, ეს ნაწარმოები. პოეტი ჰეშმარიტი პატრიოტული გატაცებით გვიამბობს, თუ რა საკვირველი თავდადება და გმირობა გამოიჩინეს ქართველმა მებრძოებმა ირაკლის მეთაურობით, როგორ ძლიერ მტრის ქარბ ძალებს და როგორ მოიპოვეს სანუკვარი გამარჯვება ასპინძის ბრძოლაში. ისინი რომ შემდრკალიყვნენ, შეშინებოდნენ

ურთზე ათად მოსულ მტერს, არ გამოეჩინათ არნახული ვაჟაკობა და სამხედრო ოსტატობა, მაშინ, ცხადია, ვერც გამარჯვებას მოიპოვებდნენ. გმირი და ვაჟაკი ის არის, ვინც არ ეუბება მტერს, გულდაგულ მიდის მასზე და სჯერა თავისი სამართლიანი საქმე. ასპინძელი მეომრები სწორედ ასეთი ვაჟაკები იყვნენ. „უშიშარნი, ვითარცა უხორცონი“. და აქი სახელოვნადაც გაიმარჯვეს — გაანადგურეს მომხვედური მტერი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ლექსი ლადო ასათიანმა დაწერა 1942 წელს, ე. ი. მაშინ, როცა პიტლერული არმია ჯერ კიდევ წინ მიიწევდა და საჭირო იყო გადამწყვეტი დარტყმის, სტალინგრადის მომხადება მის გასანადგურებლად, აშკარა გახდება, რომ ასპინძის გმირული ეპოპეა პოეტმა გამოიყენა საბჭოთა არმიის მეომართა აღსაფრთოვანებლად, მათში ჩვენნი საბოლოო გამარჯვების რწმენის განსამტკიცებლად. ვისაც სამშობლო უყვარს, ის გარდუვალად გაიმარჯვებს — აი რას შთააგონებდა ლადო ასათიანის „ასპინძა“ საბჭოთა მეომრებს.

მაშასადამე, „გარდასულ ხმათა თამადად“ რომ დგებოდა, საქართველოს წარსულს რომ იხსენებდა და ასახავდა, პოეტი ამით ასრულებდა თანამედროვეობის სოციალურ დაკვეთას და თანამედროვეობით სულდგმულობდა. ამ შემთხვევაში იგი ისევე იქცეოდა, როგორც ილია და აკაკი. როცა თავიანთ უკვდავ „დიმიტრი თავდადებულსა“ და „თორნიკე ერისთავსა“, „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილსა“ და „ბაში-აჩუქს“ ქმნიდნენ, განა ისინი მიზნად არ ისახავდნენ წარსულის საუკეთესო მაგალითებზე პატრიოტული სულისკვეთებით აღეზარდათ თანამედროვენი? მაგრამ აბა ვის მოსვლია აზრად ილია და აკაკი საქართველოს წარსულის მეხობედ გამოეცხადებინა იმის გამო, რომ ისინი არცთუ იშვიათად ისტორიას მიმართავდნენ და არაერთი ისტორიული გმირი გააცოცხლეს?

წინაპართა თემადი, ამრიგად, მკაფიო გამოხატულება პპოვა ლადო ასათიანის პატრიოტულმა მისწრაფებებმა. პოეტმა იგი ორგანულად დაუკავშირა საბჭოთა პატრიოტიზმს, როგორც ნაწილი მთელს. ნაწილი მთელს იმიტომ, რომ ლადო ასათიანის სიყვარული საქართველოსადმი უპირველეს ყოვლისა იყო სიყვარული მისი თანამედროვე ცხოვრებისადმი, სოციალისტური სამშობლოსადმი. პოეტს გულწრფელად ახარებდა ჩვენი ხალხის, საბჭოთა ადამიანების ყოველი წარმატება ახალი ცხოვრების, კომუნისტების მშენებლობაში და მთელი ხმით აცხადებდა:

მე, მეგობრებო, ამამღერებს ყველაზე უფრო ჩემი ქვეყნისა და სამშობლოს აღორძინება! და მართლაც, ლადო ასათიანს ყველაზე უფ-

რო ამღერებდა მისი ქვეყნისა და სამშობლოს აღორძინება. იგი თვალნათლივ ხედავდა, თუ როგორ მიდიოდა წინ სათაყვანო საქართველო, როგორი გატაცებით, რა ჭეშმარიტი შთაგონებით შრომობდნენ საბჭოთა ადამიანები და სურდა თავდაცვ ფეხდაფეხ მიჰყოლოდა ცხოვრებას, ეთქვა ახალი ყოფის, ახალ წარმატებათა საგალობელი. იგი დაუყოვნებლივ ეხმარებოდა თითქმის ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვან მოვლენას და ლექსად ესაუბრებოდა მათ შესახებ ძვირფას მკითხველებს — საბჭოთა ადამიანებს. დაიწყო ნორიოს ნავთის ძიება და პოეტმა აღფრთოვანებული ლექსი მიუძღვნა ქართული ნავთობის მაძიებლებს („მოდით, მგოსნებო, სთქვით ნორიოს ნავთის დიდება“), სახელოვნადაა მფრინავმა ქალებმა მოაწყვეს იმ დროს ლეგენდარული გადაფრენა თვითმფრინავით „როდინა“ და პოეტმა აქო და აღიდა მათი გმირული საქმე („მამაც მფრინავებს“). თითქოსდა არც ისეთი დიდი საქმეა ქუჩების გამწვანება, მაგრამ ლადო ასათიანი საგანგებო ლექსით მიესალმა მას („ქუჩა პალმებში“) და სიამაყით განაცხადა: „მანარებს ქუჩა, ჩაკენილი პალმის ვარაყშიო“, რადგან ამ კონკრეტულ ფაქტში ხედავს კომუნისტების ყლორტებს, პარტიის ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, მის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა ხორცშესხმას. სხვათადად რომ ვთქვათ, პალმებით ქუჩის მოვარაყება მან აღიქვა, როგორც იმის გამოვლინება, რომ პარტია და ხალხი დიდთან, გრანდიოზულთან ერთად არ ივიწყებენ შედარებით მცირესაც, რაც საფუძველს აძლევს პოეტს განაცხადოს: „გხედავ ბრწყინვალედ შესრულებულ ყველა განზრახულსო“ და, როგორც სიტოცხლისა და სიხარულის ხობტა, ისე უღერს ლექსის დასკვნითი ნაწილი:

ამ დიდ სიხარულს, აღტაცებას
ბოლო არ უჩანს,
გულში ანთია მოგივგიზე ცეცხლი შეტევის,
შეგხედავ ირგვლივ ამწვანებულ
პალმების ქუჩას
და ამამღერებს სიხარული დაუშრეტელი.

ასეთი უნაპირო და დაუშრეტელი სიხარული ადამიანმა შეიძლება განიცადოს მხოლოდ იმ ქვეყანაში, რომელსაც დანათის სოციალიზმის ცხოველმყოფელი მზე, ამით აიხსნება, რომ ლადო ასათიანის პოეზიაში მზე შევიდა, როგორც ყოველივე ცოცხალისა და პროგრესულის, როგორც სიხარულისა და ბედნიერების სიმბოლო.

იმღერე მზეზე, იმღერე სამშო,
ადიდე ტბილი, მზიანი ყოფა,
ათი ათასი წელი რომ გავძლოთ,
ასამღერებლად ესეც გვეყოფა.

წერდა პოეტი ლექსში „ერთი საღამო აფხაზეთში“, ხოლო სხვა ლექსში ამბობდა:

მაგრამ არ ძალმიძს მზე ლექსებში არ
მოვიხსენო,

რადგან თვით მზეა ჩვენი საქმე, ჩვენი ეპოქა.

ეს ყოფა, ეს ეპოქა ისე შთამაგონებელი და აღმაფრთოვანებელია, რომ არათუ ადამიანი, ყველაფერი მღერის და ხარობს. ლადო ასათიანის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „კალმახები სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე“ უპირველეს ყოვლისა შესანიშნავია თავისი ქვეტექსტით — კალმახების სრბოლა და დგაფუნი პავლიონის მარმარილოს აუზში სხვა არაფერია, თუ არა სიცოცხლის ზეიმი, ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ქართული მიწის არნახული ბარაქის ცხადყოფა და გამოხატულება. გამოფენაც ხომ იმის დემონსტრაცია იყო, რაც საქართველოს სოფლის მშრომელებმა მოიპოვეს ახალი ცხოვრების დამკვიდრებაში. და რა ბრწყინვალედ გვაჩვენა ყველაფერი ეს პოეტმა! ამავე დროს მან ხაზი გაუსვა ხალხთა მეგობრობას და გადმოგვცა რუსი მშრომელების სიხარული ქართველ თანამომემთა წარმატების გამო. განა დამახასიათებელი არ არის, რომ არა სხვა ვინმემ, არამედ სწორედ რუსმა „შრომის არსენამ“, ე. ი. შრომის დევეგმირმა, თვალით განჰყვრიტა რა „გზა სამერმისო“.

შთაბეჭდილების წიგნში ჩაწერა:

— საქართველოში თევზიც მღერისო.

ან როგორ შეეძლო ლადო ასათიანს თავდავიწყებამდე არ შეეყარებოდა წარმტაცი საქართველო მისი ზღაპრული ბუნებით, წალკოტი ველებითა და გოლიათი მთებით, ბარაქითა და ხვავით, მისი შესანიშნავი ადამიანები, თანაბრად გმირები შრომაშიც და ბრძოლაშიც! სა-ქართველო მართლაც ოქროყანაა, პატარა ტერიტორიულად, მაგრამ დიდი თავისი ახალი ცხოვრებით. იგი ტკბილია და სანეტარო, აყვავებულ და ტანგაშლილი, როგორც ასწლოვანი მუხა.

ხალხია ენამზიანი, გმირი და არა მკვებარა,—
დიდია ჩემი სამშობლო, ტკბილია ჩემი

ქვეყანა.

ჩემი სამშობლო ზურმუხტის და

მარგალიტის სადარი,

ამრიგად აყვავებულ მხარე მეორე სად

არი?

გარეგნულად ეს სტრიქონები მოგვაგონებენ გრიგოლ ორბელიანის ცნობილ გამოხატვას: „სხვა საქართველო სად არის, რომელი მხარე ქვეყნისა“. მაგრამ შინაარსობრივად ისინი ერთმანეთს როდი ემთხვევიან. თავისი დიდი წინაპრის მსგავსად ლადო ასათიანიც აღნიშნავს სამშობლოს სილამაზეს, მისი ხალხის მაღალ ზნეობრივ თვისებებს, მაგრამ მისგან განსხვავებით

ხაზს უსვამს იმ სასიხარულო ფაქტს, რომ დღეს საქართველო არა მარტო ლამაზია და წარმტაცია, არამედ, რაც მთავარია, აყვავებულიც. ამიტომ სავსებით კანონზომიერია, რომ პოეტს თავდავიწყებამდე უყვარდა თავისი ზურმუხტისა და მარგალიტის სადარი, თავისი საყვარელი და გაფურჩქნილი სამშობლო და აღტაცებით წერდა:

დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!

საქართველოს სიყვარული პოეტს გულში ჩაესახა ჯერ კიდევ ბავშვობისას მშობლიური ლეჩხუმის მთებში, სადაც იგი დაიბადა და იზრდებოდა, სადაც პირველად შეიგრძნო მამულის კვამლის სიტკბოება. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება, რომ ლადო ასათიანის პოეზიაში ასე ფართოდ წარმოსდგა ბავშვობის შთაბეჭდილებანი და საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე — ლეჩხუმი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართველმა მკითხველებმა ლეჩხუმი უპირატესად და უპირველეს ყოვლისა ლადო ასათიანის ლექსებით შეიყვარეს. ბევრმა შეიძლება ზუსტად არც კი იცოდეს სად არის გუმარეშის ჭალები, ბარდნალა ან ლარჩვალი, მაგრამ ისინი ისე ნაცნობი და მახლობელი მათთვის, როგორც საკუთარი სოფელი. ეს იმიტომ, რომ პოეტმა მათ უმღერა ჭეშმარიტი შთაგონებითა და გულწრფელობით, უმღერა ისე, როგორც არავინ დღემდე. მას უბრალოდ კი არ უყვარდა ლეჩხუმი, არამედ „კლავდა“ მისი სიყვარული, მისი ტრფილი და სავსებით მართალი იყო პოეტი, როცა წერდა:

მკლავს, მაგრამ დღემდე ვერ მოვუკლავარ,
სიყვარული მჭირს განუკურნელი.

თითქოს მოსალოდნელი იყო ამ სიყვარულში ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაეკავებინა ლეჩხუმის ზვიად მთებს, მის ულამაზეს ბუნებას, მაგრამ არა. პოეტი იშვიათად ასხენებს მათ. ლადო ასათიანს უფრო იზიდავდა თვითონ სოფლის ცხოვრება, მხოლოდ ის, რასაც ადამიანები საკუთარი ხელით ქმნიან. შეიძლება თქვან, იგი ლეჩხუმური სოფლის რამდენადმე იდილიურ სურათებს ხატავდაო, მაგრამ ეს არც არის საკვირველი. ლადოს ბავშვობისას მთის სოფლის ცხოვრებაში მართლაც შეინიშნებოდა იდილია, იმ დროს მას მართლაც გადაჰკარავდა პატრიარქალური იერბი და პოეტი უღალატებდა ცხოვრების სიმართლეს, მისთვის გვერდი რომ აევლო და არ დაენახა. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, ლადო ასათიანის ლეჩხუმური სოფელში მარტო წისკვილები და ბორანი, ცეცხლის პირას ატირებული ნედლი სიმინდი ან საკალმახე ფიჭვის ლამპრები რომ დაგვენახა, და ვერ შეგვენიშნა მთავარი, ძირითადი — მისი დოვლათი და ხვავი. პოეტი ყველგან საფანგებოდ ხაზს უსვამს

მისი მშობლიური კუთხის სიმდიდრეს, მოსავლის ბარაქას. ამ მხრივ დამახასიათებელია შესანიშნავი მინიატურა „წისქვილი“. აი ისიც:

გათეთრებულა პატარა სხენი,
ობობა ქსელებს აბამს და ლამბავს,
და სარეკელას მადლიან ენით
წისქვილი ყვება მოსავლის ამბავს.

ხომ მშვენიერი ჩანახატია! კალმის ორიოდვე მოსმით პოეტი ჩვენს მესხიერებაში აღადგენს ძველი წისქვილის დაუფიწყარ სურათს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რასაც სარეკელას მადლიანი ენით წისქვილი ყვება — მოსავალი. ამ მოსავალს, ლეჩხუმის სიმდიდრესა და ბარაქას მიუძღვნა ლადო ასათიანმა აგრეთვე ორი მშვენიერი ლექსი „ლეჩხუმური შემოდგომის სურათები“ და „ცაგერის ბაზრობა“. ისინი თითქოს ავსებენ ერთმანეთს, გვაჩვენებენ ბედნიერ და საამურ ცხოვრებას, რომელიც მთაში დაამკვიდრა საბჭოთა ხელისუფლებამ, საკოლმეთურნო წყობილებამ. მართალია, ლეჩხუმური სოფელი ყოველთვის ბარაქიანი იყო — ხორბალი და სიმინდი, ყურძენი და თურაშაული მუდამ უხვად მოდიოდა, მაგრამ გლეხებს თავიანთი ნაჭირნახულების ძლიერ მცირე ნაწილი რჩებოდათ. ახლა სულ სხვაა. გარდა იმისა, რომ ხვამა და დოვლათმა ბევრად მოიმატა, შრომისა და ბუნების ნაბოძარი უკვე მთლიანად კოლმეთურნე გლეხებს ეკუთვნის. და, ბუნებრივია, ისინი განსაკუთრებულ კმაყოფილებას განიცდიან — მათ ახარებს არა მარტო ბაზარზე გამოტანილი დოვლათის სიუხვე, არამედ, რაც მთავარია, იმის შეგნება, რომ ყველაფერი ეს მათია, მათი ნაამაგარი და კუთვნილება. სწორედ ამ მომენტს გაუსვა ხაზი პოეტმა თავის „ცაგერის ბაზრობაში“:

კოლმეთურნენი — ახალ ბაზრის ბატონ-
ბატონნი —
იღიბებიან უღვაშებში კმაყოფილებით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თითქმის ყველა ლექსში, რომელიც ლადო ასათიანმა ლეჩხუმსა და საერთოდ საქართველოზე დაწერა, წინა პლანზე წამოსწია არა ჩვენი ქვეყნის ბუნების სილამაზე, არამედ მისი აურაცხელი სიმდიდრე და ადამიანები, რომლებიც ამ სიმდიდრეს ამრავლებენ. მისთვის საქართველო იმდენად არის ლამაზი, რამდენადაც მდიდარი და უხვია, ქართველი კაცი კი იმდენად არის საყვარელი, რამდენადაც სრულად იყენებს მას ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ. ამიტომ იყო, რომ პოეტს გულს უხალისებდა ხორავით სავსე ვიტრინები და ცაგერის დიდებული ბაზრობა, რომლებიც ყველაზე უკეთ მოწმობენ საკოლმეთურნო დოვლათის ზრდას. ამიტომვე მიესალმა იგი ასე გულმხურვალედ კოლხიდის

ჭაობის ამოშრობას. და მას საკმაოდ ვერც პოემა „კოლხიდა“ მიუძღვნა. ბევრი სერიოზული ნაკლის მიუხედავად, ეს პოემა ყურადღებას იპყრობს ახალი ცხოვრების დამკვიდრების პათოსით. პოეტი შეეცადა ეჩვენებინა, თუ როგორ გარდაქმნის თავისუფალი ხალხი ბუნებას, როგორ ართმევს მას სიმდიდრეს და გაბატონებით უმღერა ბუნებაზე ადამიანის გამარჯვებას, ბერწი მიწის ბაღნარად გადაქცევას.

ლიმონის ბუჩქი დგას დახუნძული
და ქარვისფერი ნაყოფი შვენი,
ხესაც ეტყოდა აქ დახუთული:
კურთხეულ იყოს მომყვანი შენი!


კურთხეულ იყოს იმიტომ, რომ ბუნება თავისით ძლიერ ცოტას იძლევა. უშრომლად, გაურჯელად არ გადაგვიხსნის ხოლმე თავის წიაღს, ანუ ხატოვანად რომ ვთქვათ, სიმდიდრე და დოვლათი მარტო ბუნების კი არა, შრომის შვილიცაა. მაღალი ბედელი იმან უნდა ააშენოს, ვისაც შრომა არ ეზარება, ვინც დღენი-დაღებრძვის ბუნებას და იმორჩილებს მას. შესანიშნავად გამოთქვა ეს აზრი პოეტმა თავის ერთ-ერთ პოპულარულ ლექსში „ჩემი ქვეყნის ოქროყანა“, სადაც ასე მიმართა ბედლებსა და ნალიებს:

ჭირნახულით დატვირთულ ბედლებო
და ნალიებო,
გამრჯელისთვის გატენილო, უქნარასთვის
ცარიელო.

და რაკი ასეა, ლადო ასათიანი, ბუნებრივია, აქებს და აღიღებს მშრომელ ადამიანს, ლოცავს მის მარჯვენას („იძლიეროს მისმა მჯამ, ვინც დაგთესა, მოგიყვანა“) და საქართველოს სიდიადეს სამართლიანად ხედავს იმაში, რომ მისი დოვლათი ხალხის ნაამაგარია, რომ მისი ოქროყანა მოწეულია „დიდი გარჯით“. პოეტი ამაყოფად იმით, რომ „ხალხი შრომაში ვართულო“ სასწაულებს ახდენს და მასობრივად წარმოშობს არა მარტო სახელოვან მეომრებს, არამედ შრომის არსენებსაც. მასობრივად წარმოშობს იმიტომ, რომ ადამიანი ადამიანის მტერი კი არა, მეგობარი და მოყვასია, იმიტომ, რომ შრომის შედეგი ახლა მთლიანად ეკუთვნის თვითონ მშრომელს, ე. ი. იმიტომ, რომ

შეიქმნა ყოფა ახალი, დაინგრა ბუდე
შურისა.

სწორედ ასეთი მხურვალე პატრიოტიზმია იმ ოპტიმიზმის სათავე, რომლითაც გაყდენთილია ლადო ასათიანის პოეზია. იგი სიცოცხლისა და სიხარულის, ვაკაცობისა და შემართების, ბოროტებასთან შეურიგებლობის პოეტია და ყველაფერს შეხარის, რაც კი ცოცხლობს და ქმნის, რაშიც ევლინდება მისი მშობლიური ხალ-



შის შემოქმედებითი გენია და გმირული სული. ლაღო ასათიანმა არ იცის, რა არის წუწუნი და უიმედობა, იგი საოცარი ოპტიმისტია და ღრმად სჯერა, რომ კეთილი ყოველთვის ძლევს ბოროტს, მართალი ყოველთვის გაიმარჯვებს, რა სიძნელეთა გადალახვაც არ უნდა მოუხდეს. პოეტის ეს ოპტიმიზმი, ეს რწმენა, ეს იმედი, რა თქმა უნდა, მისი შინაგანი ძალა და ამავე დროს მთელი მისი თაობისა, რომელსაც იგი ეკუთვნოდა მთელი თავისი სიცოცხლით, მთელი თავისი არსებით. შემთხვევითი როდი იყო, რომ პირველსავე დაბეჭდილ ლექსში „ჩვენ კვლავ მოვედით“ ლაღო ასათიანი წერდა:

ჩვენ კვლავ მოვედით, მტკიცე თაობა
 ასე მწყობრი და ასე უღვწი...
 მოგვაცქეს რწმენა და გამბედაობა,
 მოვდივართ რიგი ასეულები.
 ჩვენ კვლავ მოვედით და ვცხარია...
 ჩვენ კვლავ შევადეთ სკოლის კარები...
 გულში შეტევის შლევები ქარია
 და სიხარულის ნიღღვარები.

მართალია, სრულიად ახალგაზრდა პოეტმა ეს ლექსი მიუძღვნა ახალი სასწავლო წლის დაწყებას სკოლებში, მაგრამ ფაქტიურად უმღერა ასპარეზზე იმ თაობის გამოსვლას, რომელმაც მხოლოდ წიგნებით იცის, რა არის ექსპლოატაცია და უუფლებობა, იმ თაობისა, რომელიც ოქტომბრის გამარჯვების წელს იშვა და რომელსაც ეკუთვნოდა თვითონ ლაღო ასათიანი. ეს თაობა, როგორც სამართლიანად თქვა პოეტმა, ცხოვრებაში შემოვიდა მტკიცე ნებისყოფით, მწყობრად და თან მოიტანა „რწმენა და გამბედაობა“. საბჭოთა გარემოში აღზრდილი ახალგაზრდობა, „ლენინელთა მოდემის ჯარი“ არც შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო, სხვა სულიერი განწყობილება ჰქონოდა. მას სრული უფლებით შეეძლო ეთქვა:

ჩვენ ცაშიაც დანავარდობთ
 და მთებს თავზე ვეცვლებით,
 არ გვჩვევია სინანული,
 არ გვჩვევია ცრემლები.

ღიახ, საბჭოთა ახალგაზრდობის სამოქმედო ასპარეზი უკიდევანოა, სამყაროსავით ვრცელი და მას არ ჩვევია სინანული და ცრემლი. სინანული და ცრემლი იმათი ხვედრია, ვისაც არც აწყობს უღიმის და არც მომავალი აქვს. ლაღო ასათიანს კი, როგორც საბჭოთა ახალგაზრდას, მთელ ჩვენს ხალხთან ერთად თავს დანათოდა სოციალიზმის ცხოველმყოფელი მზე, რომლის ბრწყინვალეობა პოეტის შემოქმედებას ფერხორცსაც აძლევდა და მომავალსაც უნათებდა. მშვენიერ ლექსში „ლენინის ტომი“, რომელიც ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს, პოეტმა თვითონ მიგვითთა თავისი შემოქმედების

იდეურ წყაროზე. ეს არის მარქსისა და ლენინის დიადი მოძღვრება, სამყაროს გაღმქმნელი და ახალი ყოფის დამამკვიდრებელი თეორია. დაეუფლა რა მასებს, მარქსიზმ-ლენინიზმი იქცა უდიდეს მატერიალურ ძალად, რომელიც აღაფრთოვანებს კომუნიზმის მშენებლებს და განუმტკიცებს მათ გამარჯვების რწმენას. იგი პროექტორივით გვინათებს დიად გზას, რომელსაც კომუნიზმისაკენ მივყავართ, და თუ არა ლენინის ტომი, თუ არა მარქსისტულ-ლენინური თეორია, საბჭოთა ხალხი ვერ მოიბოვებდა ესოდენ თვალსაჩინო წარმატებებს, ასე ვერ განაცვიფრებდა მთელ მსოფლიოს გრანდიოზული გამარჯვებებით, ანუ როგორც პოეტი ამბობს:

ასე გულდაგულ ვერ ვიბრძობდით,
 რომ არ გვიძლიოდეს მისი ცისკარი,
 იგი წიგნია ჩვენი ცხოვრების,
 ყოველდღიურად წასაითხავი.

არანაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვს ლენინის ტომს თვითონ ლაღო ასათიანის პირად ცხოვრებაში, მის პოეტურ შემოქმედებაში. ჯერ ერთი, მან პოეტს ასწავლა, თუ როგორი უნდა იყოს საბჭოთა ახალგაზრდა, რა და როგორ უნდა გააკეთოს, რომ გამოადგეს მშობლიურ ხალხს და, მაშასადამე, მთელ კაცობრიობასაც, თქვან, აი ადამიანი, რომელმაც ისე განვლო ცხოვრების გრძელი თუ მოკლე გზა, როგორც საჭირო იყო. ერთი სიტყვით, ლენინის ტომმა ასწავლა მას ახალი ცხოვრების, განახლებული ქვეყნის შენება. მეორე მხრივ, მანვე უჩინა, თუ როგორ შეეძლო დაეძლია ის შინაგანი წუხილი და სევდა, რასაც პოეტი განიცდიდა პირადი ბედის გამო (იგი ახად იყო მძიმე ფორმის ტუბერკულოზით). ამიტომ პოეტს სრული საფუძველი და უფლება ჰქონდა დიდი ლენინისათვის მამა ეწოდებინა და თავისი თავი მიეჩინა მის ერთ-ერთ შვილად, რომელიც მილიონობით სხვა ახალგაზრდასთან ერთად გაიზარდა და ხალხში გამოვიდა დიდი ბელადის მიერ შექმნილი პარტიის მზრუნველობით, მისი უკვადავი იდეების შემწეობით.

მან მოარჩინა ჩუმი წუხილი,
 ჩემს სიმღერებში გამოვლენილი,
 მის ფურცლებიდან შუბლმუკმუხუნელი
 მესალბებოდა მამა ლენინი.
 ის ლაგვარდივით ფურცელგაშლილი
 ჩემი მზე გახდა, ჩემი მშვენიება,
 მან შემასწავლა მე კომკავშირით
 განახლებული ქვეყნის შენება.

აი რა მშვენივრად გადმოგვცა ლაღო ასათიანმა თავისი დამოკიდებულება დიდი ლენინისადმი, ლენინის იდეების უდიდესი მნიშვნელობა თავის პირად ცხოვრებაში, ცხოვრების მიზნისა და გზების ამორჩევაში. და საესებით

ბუნებრივია, რომ არ არსებობს მეორე ისეთი წიგნი, რომელიც ისე უყვარდეს პოეტს, რომელსაც ისე ელოლიავენბოდეს და დღენიადაგ საყითხავად მიაჩნდეს, როგორც ლენინის ცისფერყდიანი ტომი:

ბევრი წიგნი მაქვს ყმაწვილს ნანახი,
ბევრჯერ მივერძნია აღფრთოვანება,
ზოგს შემოაცვდა ყდა და ვარაყი,
ძველი ვერ შერჩა ხატოვანება,
ზოგიც გახუნდა ბედის ტრიალში
და ნელ-ნელ მიდის შავ სამარემდის,
მაგრამ ეს ერთი ცისფერყდიანი
ჩემს მაგიდაზე დარჩა მარადის.

დარჩა არა როგორც სამუზეიმო რამ რელიკვია, არამედ როგორც ბასრი იდეური იარაღი, როგორც გზის მანათობელი შუქურა, როგორც სიცოცხლე და სიხარული. თავისი უკვდავი იდეებით ლენინი დღესაც ცოცხლობს და იბრძვის, ამენებს და ქმნის, დღესაც შთაგვაგონებს და აღგვაფრთოვანებს. იგი ყველგანაა, სადაც კი საბჭოთა ადამიანები შრომობენ თუ იბრძვიან. ამ აზრითაა გამსჭვალული ლადო ასათიანის მეორე საუკეთესო ლექსიც „საკ. კბ (ბ) მე-18 ყრილობის დელეგატებს“. მასში პოეტი დიდი მხატვრული ძალით გვიჩვენებს როგორც თავის, ისე მთელი საბჭოთა ხალხის ჭეშმარიტად უსაზღვრო სიყვარულს დიდი ბელადისადმი, როცა ნატრობს ყარლობაზე „დიდი ლენინის გამოცხადებას“, რათა კვლავ დავინახოთ „მზე და მშვენება“, კვლავ მოვისმინოთ მისი „ნეტარ ბაგეთა ამეტყველება“, მისი ბრძნული რჩევა. განა ამ ნატერაში ყველაზე უკეთ არა ჩანს, თუ რარიც უყვარს საბჭოთა ხალხს ლენინი, როგორ ახსოვს თავისი საყვარელი ბელადი, როგორი ერთგულია მისი მოძღვრებისა? და პოეტს გულწრფელად აღაფრთოვანებს იმის შეგნება, რომ ლენინი ცოცხალი და მოქმედი პარტიის, ხალხის ყოველდღიურ საქმიანობაში, რომ მისი ნატერა აუზღენილი როდია:

მაგრამ ეს ნატერა ხომ ახდენილი არის, ვუყურებ თვალთა გახელით,
თქვენს ყრილობაზე დადის ლენინი —
ყრილობას ჰქვია მისი სახელი.

დიდი ლენინისადმი მიძღვნილი ეს ორი ლექსი მკაფიოდ მოწმობს, თუ რა აძლევდა ძალას ლადო ასათიანს გადაეტანა პირადი ბედით გამოწვეული ტკივილები, თუ სად იღებს სათავეს მისი გასაოცარი ოპტიმიზმი. ძლიერი სენით — ტლექით პოეტი სწორედ მაშინ დაავადდა, როცა სრულიად ახალგაზრდა იყო და სიცოცხლე სწყუროდა, როცა გულსა და გონებაში ათასგვარი ოცნება და მისწრაფება ეხატებოდა. ასეთ დროს ძნელი როდია ადამიანი შეიპყროს სიკვდილის შიშმა, მიეცეს უიმედობასა და სა-

სოწარკვეთილებას, არარაობად მიიჩნიოს ველი. მაგრამ ლადო ასათიანი ვერ გატეხა პირადი ბედის უკუღმართობამ, იგი ვაჟკაცურად შეებრძოლა საშინელ სენს, პირდაპირ გაუსწორა თვალი სიკვდილს და თქვა სიცოცხლისა და შემოქმედების დაუფიწყარი სავალობელი. მართალია, მძიმე ავადმყოფობამ პოეტი დააფიქრა სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე და ერთგვარ ნაღველსაც გაუღო კარი მის პოეზიაში, მაგრამ განა სხვანაირად შეიძლებოდა? განა ადვილია არაფრად ჩააგდო და უმტკივნეულოდ გამოეთხოვო იმას, რაც თავდავიწყებამდე გიყვარს, რაც არათუ შენი საქმიანობისა და სიხარულის წყაროა, არამედ მათი არსებობის პირობაც? ლადო ასათიანს რომ არ ყვარებოდა სიცოცხლე, მაშინ არც მასთან გამოთხოვება გაუჭირდებოდა, მაგრამ მას უყვარდა იგი და მერე როგორ! სწორედ ამიტომ მისი სევდა, მისი ნაღველი უადრესად ადამიანურია და არსებითად გამოხატავს სიცოცხლის სიყვარულს, სიცოცხლის დაუშრეტელ წყურვილს. პოეტმა შეძლო და ამაღლდა პირად ბედზე, დაამარცხა სიკვდილის შიში და გამარჯვებულმა დატოვა სიცოცხლე. მის პოეზიაში ამაო ეძებო პესიმისტური მოტივები, გულგატეხილობისა და უიმედობის გამოძახილი და სიტყვა „სიკვდილსაც“ კი ძვირად შეხვდებით. არა, ლადო ასათიანის ლექსებში არ გაისმის სიკვდილის ფრთების ამაზრზენი შრიალი, პირიქით, მასში როგორც ნიავარის წყალგარდნილი, როგორც უზარმაზარი ჩანჩქერი მქუხარებს სიცოცხლე, დაუოკებელი, ნაპირგადალახული, ვაჟკაცური სიცოცხლე.

გავიხსენოთ, როგორ აღწერა ლადო ასათიანმა სასაფლაო, სიკვდილის ეს სამეფო! აბა, სად უნდა ზეიმობდეს სიკვდილი, თუ არა აქ, საგოდებელზე, სადაც ათასობით ცხედარია?! მაგრამ, არა! პოეტი აქაც სიცოცხლეს ხედავს და სიცოცხლის ხმაურს ყმის. მართალია, თვითონ საფლავები დუმს, მაგრამ მათ შორის მოქრის და მოქუხს ნაკადული, „ვით სიცოცხლის ლურჯი თვალი“, „ვით სიცოცხლე უშიშარი“, ხოლო მის ნაპირებზე ბიბინებენ ყვავილები, რომლებსაც თავს დატრიალებენ ნაზფრთებიანი პელები. და განა ნაკადული, პელები, ყვავილები, განა ყველაფერი ეს სიცოცხლე არ არის, მისი ზეიმი არ არის? ამიტომ თხოვს პოეტი მანანას, თავის ერთას ინახულოს მამის საფლავი და გაიციონოს, გაიცინოს ისე, რომ მისმა სიცოცხლამ მშობლის გულს გადაუქროლოს „სიცოცხლედ და ნაკადულად“, გაიცინოს იმიტომ, რომ სიცოცხლე უძლველია, სიკვდილი უძლურია მოსპოს იგი. აი ასეთ მძლავრ ოპტიმისტურ ნაკადს შეიცავს ის ლექსიც კი, რომელსაც „სასაფლაო“ ჰქვია და რომელიც, აქვე უნდა ითქვას, ყველაზე

ნაღვლიანი და სვედიანია ლაღო ასათიანის
მთელ პოეზიაში.

პირადი ბედით გამოწვეული ტკივილები და
სევდა-ნაღველი იგრძნობა ლაღო ასათიანის
სხვა ლექსებშიც, მაგრამ მკითხველი ყოველ-
თვის თვალნათლივ ხედავს, თუ როგორ უმე-
ლავდება პოეტი საშინელ სენს, მის შემოტე-
ვას, როგორ ებრძვიან მის არსებაში ერთმი-
ნეთს „სიკვდილის შავი შიში“ და სიცოცხლის
წყურვილი, როგორ ცდილობს იგი არ მიეტყეს
უიმედობას, როგორ არ სურს ნაადრევად წავი-
დეს, ნაადრევად დატოვოს სიცოცხლე.

როგორ არ მინდა, ძლიერო სენო,
ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო!
როგორ არ მინდა, ჩემს სიჭაბუქეს
დააჩნდეს შენი შავი ჩრდილები!

არ სურდა, მაგრამ მის სიჭაბუქეს მაინც და-
ანდა ჭლექის შავი ჩრდილები და პოეტი გან-
საცვიფრებელი გულწრფელობითა და უშუა-
ლობით გვაცნობს თავის გრძნობებს, თავის
განცდებს, არაფერს არ გვიმაღავს და პირდა-
პირ გვეუბნება, თუ რა ძვირად უღირს სული-
ერი წონასწორობის შენარჩუნება, რა ტკივი-
ლებით მიდის ოპტიმიზმამდე. იგი სრულებითაც
არ ცდილობს თავი მოგვაჩვენოს რკინის კა-
ცად, რომელსაც ყველაფერი ჩირად მიაჩნია,
რომელმაც არ იცის რა არის მერყეობა და ად-
ვილად თმობს ყველაფერს, სიცოცხლესაც კი.
მაგრამ მას არც წუწუნი უყვარს და არც იმას
ცდილობს, თავი შეგვაცოდოს. არა, პოეტა
უბრალოდ გვაცნობს ტკივილებს, რომლებიც
მისი ხვედრი ვახდა მძიმე ავადმყოფობის გამო,
და გვიჩვენებს, როგორ ძლევს მათ დიდი
წრთობის მეოხებით, დიადი იდეების სახელით
(მოვიგონოთ ცნობილი სტრიქონები ლექსიდან
„ლენინის ტომი“ — „მან მოარჩინა ჩუმი წუ-
ხილი, ჩემს სიმღერებში გამოვლენილი“). ამით
იგი ხაზს უსვამს, რომ მის ქცევაში არაფერი
ვანსაკუთრებული არ არის, რომ მის ბედში
მყოფი ყველა სხვა საბჭოთა ახალგაზრდა ასევე
მოიქცეოდა. საკუთარი ინდივიდუალური ბედის
ასეთი ვადანასკვით სოციალურთან პოეტს პი-
რადული აპყავს საზოგადოებრივამდე და დიდი
მხატვრული ძალით გვიჩვენებს მათ უმჭიდ-
როეს კავშირს. ამას ცხადყოფს სტრიქონები,
რომლებითაც მან მიმართა თავის დაუძინებელ
მტერს — ჭლექს:

შენ პიპოკრატემ ჭლექი გიწოდა
და მხოლოდ მაშინ შეშინდი ცოტა.
შენ გადუქროლე რომის ქარვასლებს
და შეაშფოთე რომაელები,
მაგრამ ახალი დროის ქალ-ვაყებს
ამოდ ცდილობს, რომ მოერევი!
შენ შეგარჩეს ვაჟს ფილტვების დაღრღი-
ა და ჩემს დაცემას ნუ ლამობ ახლა.

ო, განვედ ჩემგან, ძლიერო სენო,
ჩემს შემდეგ ნურგინ ნუ მოგიხსენოს.

ამავე თვალსაზრისით ძლიერ საინტერესო
ლაღო ასათიანის ლექსი „უცნობი პოეტის
რვეულიდან“. მასში პოეტი ხაზგასმით აღნიშ-
ნავს, რომ იგი არაფრით არ გამოირჩევა არც
თანამედროვეთაგან და არც მისი ლექსების მო-
მავალი მკითხველებისაგან. ერთ დროს ისიც
კაცი იყო, ჰყავდა შვილი და ნათესავი, მასაც
უყვარდა, ოცნებობდა, შრომობდა და ქმნიდა,
მაგრამ ახლა ცოცხალთა შორის აღარ არის,
„მანვე დაშალა, ვინც აღაშენა“, მიწა იყო და
მიწად იქცა. მერე რა ვუყოთ! ეს საერთო ხვე-
დრია, სიკვდილს ვერავინ გაექცევა, მაგრამ
ვიდრე ხარ, ვიდრე სუნთქავ, სიცოცხლე გო-
ნიერულად უნდა მოიხმარო, მუდამ გახსოვდეს,
რომ გარდაცვალების შემდეგ ადამიანი მხოლოდ
თავისი საქმეებით ცოცხლობს. ლაღოს საქმე
კი სიმღერა იყო და ისიც მღეროდა, მღეროდა
თავდავიწყებით, რადგან მტკიცედ სჯეროდა,
რომ ლექსი არა მარტო ტკივილებს დაუყუ-
ჩებდა, არამედ მის კაცობასაც, მის ად-
მიანობასაც, მის ფიქრებსა და გრძნობებსაც
შეუენახავდა თაობებს, „ადრე წასული კაცის“
ფიქრებსა და გრძნობებს. მშვენივრად თქვა
ამის შესახებ პოეტმა ლექსში „ა. გ.“

მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა
თავისი ქვეყნის ხალხი და მიწა,
ვისაც სახელი შორს გაუფარდა,
ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა.
მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა
თავისი ქვეყნის ხალხი და მიწა.

ამ უშუალო და გულწრფელ სტრიქონებში
მთელი ლაღო ასათიანია! მას ხომ ყველაზე მე-
ტად უყვარდა „თავისი ქვეყნის ხალხი და მიწა“
და ისიც ხომ „კაცი იყო და ლექსად იქცა“.
ლექსად იქცა იმიტომ, რომ გარდაცვალების
შემდეგ მან არსებობა შეწყვიტა, როგორც ად-
მიანმა, მაგრამ დარჩა ლექსი, რომელიც განაგრ-
ძობს მის სიცოცხლეს. და რაკი ადამიანი გარ-
დაცვალების შემდეგ ცოცხლობს თავის საქმე-
ებში, სისულელეა თავი მოიკლა, ნებაყოფლო-
ბით დატოვო სიცოცხლე, მაგრამ სიბრძნეა, თუ
მას ისევ სიცოცხლეს შეწირავ, ანუ როგორც
თვითონ პოეტმა თქვა „საქართველოში“:

თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს
ერთი იმედით: სიცოცხლე მარად
გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს.

აი როგორი გასაოცარი სულიერი სიმტკიცე
და ძალა გამოიჩინა ჭლექით სწეულმა და ფი-
ზიკურად გატეხილმა პოეტმა. იგი ვერ დაჯაბნა
სიკვდილის შიშმა, კარი არ გაუღო ნადსონისე-
ბურ მოტივებს და შექმნა დაუფიქსარი სტრიქო-

და ქვეყნის გულსტიკვილი“. თუ პოეტი თვითონ არ განიცდის, თვითონ არ გრძნობს მოვლენას, მისი ხმა ყალბი იქნება, იგი ვერ გაიტაცებს მკითხველს, ვერ გადასცემს თავის განწყობილებას. ამიტომ ნამდვილმა შემოქმედმა კალამს ხელი მხოლოდ მაშინ უნდა მოკიდოს, როცა სხვანიარად არ შეუძლია მოიქცეს, როცა სათქმელი აწუხებს, ტკივილებს გვრის და თქმაში შევბას პოეებს. მაშასადამე, ლექსი აყუჩებს ტკივილებს, იგი ერთადერთია, რომელიც ცივ ჭრილობასაც კრავს და პოეტის კაცობასაც ანათებს, მარტო მას შეუძლია გაიზიაროს, ე. ი. გადმოსცეს შემოქმედის გულის ნადები. ამ აზრს ავითარებს ლალო ასათიანი ლექსში „ვაჟა-ფშაველას ნამბობი“.

ვერც დედის ხელმა, ვერც სატრფოს ეშხმა
ვერ გამიყუჩა ჭაბუქს იარა,
და ჩემი გულის გამირული კენესა
მარტოდენ ლექსმა გაიზიარა.
მეც მითომ ვბედავ არწივულ ყვირს
როცა გულს გაჰკრავს ცივი ნიავი,
რომ ლექსი შველის ყოველგვარ ტკივილს
და ლექსი თვითონ ტკივილი არი.

ლექსი ამავე დროს ანათებს პოეტის კაცობას, რადგან იგი სარკეა, რომელიც ზუსტად ასახავს იმას, რაც შემოქმედის გულსა და გონებაშია, რაც მისი სულიერი ინტერესების სფეროშია და რამდენადაც ეს ინტერესები ამაღლებული და კეთილშობილურია, ფართოა და ღრმა, იმდენად დიდია პოეტი და პირიქით. ამრიგად, ლექსი ყველაზე უკეთ გვიჩვენებს, რა

კაცია შემოქმედი, რა ახარებს და რა აწუხებს მას, ვინ არის თვითონ იგი, რამდენად შეუძლია თავისი კაცობა ლექსად აქციოს. ვაჟა-ფშაველა დიდი პოეტი, ნამდვილი შემოქმედი იყო და ამიტომ ათქმევინებს მას ლალო ასათიანი იმავე ლექსში („ვაჟა-ფშაველას ნამბობი“):

რადგან სხვა რამე, სიმღერის გარდა,
ახლაც ვერ შველის ტკივილებს ჩემსას, —
მჯერა, ამ დიად ბუნების კართან
მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად!

აი რა დიდი მოვლენაა, ლალო ასათიანის აზრით, ლექსი. თუ იგი მართლაც ნამდვილი ხელოვნების ნაწარმოებია, მხოლოდ მწვავე ტკივილებით გაჩნდება ქვეყნად და შვევს მოგვრის პოეტსაც და მკითხველსაც, მკითხველსაც იმიტომ, რომ პოეტის განცდები ამ შემთხვევაში მკითხველის განცდებიც არის, ე. ი. საზოგადოებრივი ღირებულება და საფუძველი აქვს და მგონია, როცა ლექსში „თქვენ გეუბნებით: ძმებო მგოსნებო“ ლალო ასათიანი ნათელ ცას ეკითხება, „ამ უხვირო ლექსების გარდა რას გავუყეთებ მე საქართველოსო“, იგი საესებით გულწრფელია და განგებ არ ამცირებს თავისი ლექსების მნიშვნელობას. ის, რის თქმაც ლალო ასათიანმა მოასწრო თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის მანძილზე, მხოლოდ ერთი, სულ მცირე ნაწილი იყო იმისა, რისი თქმაც სურდა და შეეძლო, სიცოცხლე რომ დასცლოდა. მაგრამ ისიც, რაც თქვა და გააკეთა, იმდენად თვალსაჩინოა, რომ ლალო ასათიანს დიდხანს არ დაივიწყებს ქართველი მკითხველი.





შაქვა კანონი

კურორტი ცისკარი

კურორტი ცისკარი მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, აჭარის შავი ზღვის სანაპიროს მთათა სისტემაში, ქობულეთისა და ბათუმის რაიონებს შორის. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 1200-1400 მეტრამდე აღწევს. სწორ ტაფობ-გორაკებიანი საკურორტო ადგილმდებარეობის ფართობი 400 ჰექტარზე მეტია.

ცისკარზე საკურორტო მშენებლობა დაიწყო 1957 წელს. გაიყვანეს საავტომობილო გზა, წყალსადენი, აიგო ელექტრო და რადიოსატრანსლაციო სადგური, რესტორანი, პურის საცხობი, პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის მაღაზიები, საკოლმეურნეო სავაჭრო წერტი, ბიბლიოთეკა, ფოტოატელიე, საპარკიანერო და სამედიცინო პუნქტი. ბათუმის საწარმო-დაწესებულებებმა ააშენეს დასასვენებელი სახლები თავიანთი მუშა-მოსამსახურეებისათვის. აქვე არის მრავალი ინდივიდუალური აგარაკი.

ცისკარის კლიმატურ პირობებს სწავლობს მაღალმთიანი ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური.

1959-1960 წლების ზამთრის პერიოდში ცისკარზე მოეწყო საზამთრო სპორტული ბაზა, რომლის განვითარებას ხელს უწყობს კურორტის ადგილმდებარეობა, კლიმატური პირობები და მისი, სიახლოვე შავი ზღვის სანაპიროსთან, კერძოდ ბათუმთან.

ამჟამად კურორტი ცისკარს ამშვენებს ხელოვნური ტბა ფირუზა, რომლის აუზი შეესებულება იქვე გამომდინარე წყარო-ნაკადულებით.

ცისკარის ფლორის, ფაუნისა და ლანდშაფტის სილამაზის მუდმივად შენარჩუნების მიზნით 1959 წელს ცისკარი და მისი მისადგომები საქა-

რთველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სახელმწიფო ნაკრძალად გამოაცხადა.

ცისკარის მცენარეულობა კლიმატური პირობების მიხედვით სამ ზონად იყოფა. პირველ ზონაში შედის სუბტროპიკულ მცენარეთა მრავალსახეობა—ციტრუსები, ევკალიპტები, ჩაი, ხურმა, დაფნა და სხვ. შემდეგ ზონებში უმთავრესად გავრცელებულია შერეული ტყე: ნაძვი, უთხოვარი (წითელი ხე ტისი), ბუმბერაზი წიფელა, ცაცხვი, თელა, კავკასიური, პონტოს შქერი, მოცივი და სხვ.

თავისი კლიმატური პირობებით ცისკარი საერთოდ დაკავშირებულია აჭარის შავი ზღვის კლიმატურ პირობებთან იმ განსხვავებით, რომ აქ კლიმატი იცვლება მთის კონფიგურაციითა და მისი სიმაღლის მიხედვით. მთის ოროგრაფიული მდებარეობა იძლევა ოთხი მხრიდან ჰაერის თავისუფალი ცირკულაციის საშუალებას და იქმნება ზღვისა და მთის ჰაერის შეზავება. აქ ჰაერის ტემპერატურა 8-9-ით უფრო დაბალია, ვიდრე აჭარისა და აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროებზე, 2-3-ით დაბალია, ვიდრე ბორჯომში, კოჯორში და მანგლისში. წლის უმეტეს დროში ქარის ზღვის ბრისებები. ძლიერი ქარი იშვიათია. ატმოსფერული ნალექები ყველაზე მეტი მოდის შემოდგომასა და ზამთარში, ყველაზე ნაკლები—გაზაფხულსა და ზაფხულში. თოვლი იცის ნოემბრის ბოლო რიცხვებში და გრძელდება აპრილის ბოლომდე. საშუალოდ ატმოსფეროს წნევა უდრის 655 მმ, ე. ი. 108 მმ-ით დაბალია, ვიდრე შავი ზღვის სანაპიროზე. ნისლიანობა დროგამოშვებით გავრცელებულია ზაფხულის პერიოდში,

განსაკუთრებით აგვისტოში. ელვა და ჭექა-ქუხილი ნაკლებია.

სეზონი ცისკარზე იწყება მაისიდან და ნოემბრის შუა რიცხვებამდე გრძელდება. აქ ისვენებენ და იკურნებიან გულით, ჰიპერტონიით, რევმატიზმით, ტონზილიტით, ასთმით და ტუბერკულოზით დაავადებულნი.

ცისკარიდან თვალწინ მშვენიერი სანახაობა იშლება: ჩვენი მშობლიური კავკასიონი, მის ქვემოთ კი ნათლად მოჩანან აყვავებული სამეგრელოსა და იმერეთ-გურჯისტის გადაჭიმული მინდორ-ველები, რომლებზეც მოედინებიან მდინარეები რიონი, ცხენისწყალი, სუფსა და სხვა მრავალი. კარგად მოჩანს პალიასტომის ტბა, დასავლეთ საქართველოს ბევრი ქალაქი, დაბა და სოფელი, მარადმწვანე აჭარის შავი ზღვის სანაპირო, პირდაპირ — ჩაქვი, აღმოსავლეთით — ქობულეთი, დასავლეთით კი ბათუმი თავისი სწორი ქუჩეებით. შემდეგ გონიო, სარჯი, პონტოს მთები, ვეებერთელა შავი ზღვის აუზი.

მომავლისათვის ცისკარზე გაშენდება ბაღი, გაიყვანენ საბაგირო გზას ჩაისუბნამდე (ქობულეთის რაიონი).

დამსვენებლებს საშუალება მიეცემათ ისარგებლონ ზღვითა და ზღვის თბილი აბაზანებით.

ცისკარზე ბევრი ტურისტი მოდის როგორც საბჭოთა კავშირის სულ სხვადასხვა კუთხიდან, ისე სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებიდან, მათ შორის მეცნიერები, ბოტანიკოსები, მეტყვევები, გეოგრაფები და სხვები, რომლებიც სწავლობენ ცისკარის მდიდარ ბუნებას, მის ფლორასა და ფაუნას. ამიტომ საჭიროა აშენდეს სისტემრო 50-60 კაცისათვის.

კურორტმა ცისკარმა უკვე დამსახურა ფართო მასების სიყვარული. მარტო გასულ წელს აქ 4.000-ზე მეტმა კაცმა დაისვენა.

რაც შეიძლება ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ამ შესანიშნავი კურორტის საუნჯე, გავაფართოოთ არსებული საავტომობილო გზა, დავაჩქაროთ საბაგირო გზის გაყვანა და კეთილმოწყობის სხვა სამუშაოები.



პოეზიის ხანძრები

შილიკე მახარაძე

თორმეტი დღე ამერიკის შეერთებულ შტატებში

მიმდინარე წლის აპრილში ვნუკოვოს აერო-დრომიდან „ტუ-104-ით“ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა ქართველ ტურისტთა პირველი ჯგუფი.

ჩვენი გზა ამერიკისაკენ ვადიოდა ბელგიაზე. მოსწყდა რა აეროდრომის ასაფრენ მიწოდორს, თვითმფრინავმა სწრაფად აიღო სიმაღლე და გამართა დანიშნული კურსით. ჩვენს ქვემოთ ჩანდა საბჭოთა ქალაქები, სოფლები, საწარმოები, ფაქიზად დამუშავებული მიწდგერები. ყველაფერში იგრძნობოდა ჩვენი დიდი სამშობლოს ცხოვრებისა და მშვიდობიანი შრომის დინჯი და მტკიცე რიტმი. გზას მოსკოვიდან ბრიუსელამდე დასჭირდა სულ სამი საათი და 20 წუთი. ბელგიის დედაქალაქში საშუალება მოგვეცა გავცნობოდით მას. საინტერესო ექსკურსიიდან აეროდრომზე დაბრუნებისას უკვე გველოდებოდა „ბოინგი-707“ — ამერიკული წარმოების რეაქტიული თვითმფრინავი, რომელიც ბელგიის საავიაციო კომპანია საბენას ეკუთვნის.

ფიქრებში ვართულთ ბორტმექანიკოსმა გვთხოვა გულდასმით მოგვესმინა საუბარი, თუ როგორ მოქცეულიყავით წყნარ ოკეანეზე თვითმფრინავის იძულებითი დაშვების შემთხვევაში. ინსტრუქცია ბევრს არაფერს მოითხოვს, გვისჩნდა იგი. უნდა ჩაიცვათ საშველი ყილეტი, დატოვოთ თვითმფრინავი და წყალში გადაეშვათ. ყილეტის ერთ-ერთ ჯიბეში ფხვნილია, რომელსაც წყალში გადაყრით, თუ ზვიგენი მოგიახლოვდებათ. ამ ფხვნილის სუნი ზვიგენს თურმე საშინლად ძულს. გარდა ამისა, ყი-

ლეტში დევსო სასტვენნი და წითელი ფერის პატარა ფარანი. როგორც გვითხრეს, სასტვენის ხმისა და წითელი ფერის აგრეთვე ძალიან ეშინია ზვიგენს და სხვა თევზებს.

ინსტრუქცია მეცნიერულად იყო დამუშავებული, ოღონდ არავინ იცოდა, თვით ეკიპაჟის წევრებმაც კი, თუ ავარიის შემთხვევაში ჩვენი „დროსტარება“ ოკეანეში რამდენ ხანს გაგრძელდებოდა.

მაგრამ ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა. შვიდნახევარი საათის ძირდაუშვებელი ფრენის შემდეგ ეკიპაჟის კაპიტანმა გაგვფართხილა, ნიუ-იორკს ვუახლოვდებითო. რადიო ვადმოცემს ამერიკის პიმნს. ერთი წამიც და თვითმფრინავი ჯდება ნიუ-იორკის უდიდეს აეროდრომზე „ინტერნაციონალი“. როგორ ვცდებოდით თურმე, როცა ვფიქრობდით, ამერიკა ჩვენგან მეტად შორს, სადღაც სამყაროს ბოლოს არისო.

აი ჩვენ უკვე ამერიკის მიწაზე ვართ. თვითმფრინავი დაეტოვებ და აეროპორტის საბაჟო დარბაზში შევედით. საბაჟოს მოხელეებმა გასინჯეს ჩვენი საბუთები. ყველაფერი წესრიგზეა. გავვიშვეს მეორე დარბაზში. აქ ჩვენი ჩემოდნები პირველად, მაგრამ საფუძვლიანად შეამოწმეს. რალაც ხელსაწყოთი გარედან გასინჯვის შემდეგ ჩემოდნებს ხსნიდნენ და ძირფესვიანად „იკვლევდნენ“. ბოლოს, როგორც იქნა, საბაჟოდან გავვიშვეს. გარეთ დაგვხვდა ავტობუსი და ფირმა „ამერიკენ ექსპრესის“ ორი მოხელე — გიდი და მისი „ასისტენტი“. ავტობუსმა ფართო და კარგი გზით სასტუმრო „პუფერნი-კლინტონში“ წაგვიყვანა.

პირველი, რაც ნიუ-იორკში თვალს ხვდება,— ეს ხიდები და ცათამბჯენებია. ხიდები ყველგანაა — უბეებზე, ლელებზე, არხებზე, და ისინი თანამედროვე ამერიკული ქალაქის ნამდვილ სიმბოლოდ მივიჩნევ. მაგრამ თანამედროვეობის ამ „სიმბოლოსთან“ უფრო უშუალო გაცნობამ მაიძულა გამეხსენებინა შუასაუკუნეები. ერთ-ერთ ხიდზე გავლისას ჩვენი მანქანა გააჩერეს და გზა განვაგრძეთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მძღოლმა ხიდზე გასასვლელი გადასახადი გადაიხადა. როგორც გამოირკვა, ზოგი ხიდი კერძო პირებს, საჩქიო საზოგადოებებს ეკუთვნის და, შუასაუკუნეების დროინდელი ფეოდალის მსგავსად, მამულზე გამვლელისაგან ბაჟს რომ იღებდა, ხიდის მებატრონეს უფლება აქვს მოგთხოვოს გარკვეული გადასახადი. განა უცნაური არ არის ეს თანამედროვე ამერიკის „არაოფიციალურ დედაქალაქში“, რომელსაც ნიუ-იორკელები „ქალაქა მივეს“ ეძახიან? მაგრამ ეს საკვირველი როდია — აქ, როგორც ყველგან ამერიკაში, დოლარი ბატონობს. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ მოქალაქეთა უმეტესობა მანქანებს ღამით პირდაპირ ქუჩებში „ინახავს“, რადგან ვარაუდით სარგებლობა თვეში ათობით დოლარი ღირს. დღისითაც მანქანის ქუჩაში გაჩერებისათვის პატრონმა ფული უნდა გადაიხადოს.

ნიუ-იორკი — ეს არის ამერიკის გული, ქალაქი, რომელშიც მთელი ამერიკაა წარმოდგენილი. აქ მოდიან ქვეყნის ყველა კუთხიდან, რათა შეიძინონ, გაყიდონ, გააკეთონ ფული, გამდიდრდნენ და გადატაცდნენ.

ნიუ-იორკი საინტერესოა ღამით. არანაკლებ საინტერესოა იგი დღისით. მაგრამ ზემოდან: თვალისმომკრელი მზის ქვეშ გაშლილი ნიუ-იორკი გუძონის ნაპირებზე გაკრულ განსაცვიფრებელ ნაქარგს ჰგავს.

სწორედ ამიტომ დილიდანვე „ემპაირ ტიეტს ბილდინგს“ ვესტუმრეთ. 102-ე სართულიდან გვინდა გადავხედოთ ქალაქს. ეს ყველაზე მაღალი შენობაა არა მარტო ამერიკაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. მისი სიმაღლე 442 მეტრია. შენობა უკავია მრავალ დაწესებულებას, ფოსტას, თექვსმეტ მაღაზიას, რამდენიმე აფთიაქს, კაფეს და სხვ. სულ ზევით — ნაგებობის თავზე რადიოსა და ტელევიზიის კოშკია. ლიფტით ავდივართ 86-ე სართულზე. აქ დგას ტელესკოპი და ათ ცენტრალ შეიძლება ორნახევარ წუთს დასტუმრე პანორამით. ვჯდებით მეორე ლიფტში და თანდათან ცისკენ მივიწვეთ ვერტიკალური გვირაბით. მივალწიეთ ცათამბჯენის საბოლოო პუნქტს — 102-ე სართულს. პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, ცათამბჯენების ტყე იყო, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა „თავისუფლების ძეგლი“. მხედველობის რადიუსი უკანასკნელი სართულიდან

ნათელ ამინდში სამოცდაათს კილომეტრს აღწევს. ემპაირიდან უმაღლესი ცათამბჯენებიც კი პატარა ყუთებივით ჩანან.

მაგრამ აი თქვენ ჩამოდიხართ, ქალაქს პირისპირ ხვდებით და თანამედროვე ცათამბჯენი არქიტექტურის არაჩვეულებრივი სიდიადის გაცნობა და მკვეთრად იცვლება.

დიღია ნიუ-იორკის ცათამბჯენები, მაგრამ მათ არ ძალუძთ დაფარონ მეორე ნიუ-იორკი — საესებო ჩვეულებრივი, შეუხედავი ორ-სამ-სართულიანი პატარა სასტუმროს ქალაქი. აქ ცხოვრობენ გულღია, გულკეთილი, ხელებდა-კოყრებული უბრალო ადამიანები.

თქვენ მიდიხართ ვიტრინის წინ და გაკვირვებით ქრისტეს უამრავი გამოსახულება. ქრისტე ბატონით, ქრისტე მარიამ მაგდალინელთან ერთად, ქრისტე ღია თვალებით, ქრისტე დახუჭული თვალებით, ქრისტე ხისაგან, მიწისაგან, ქრისტე დახატული ფაიფურზე. ამავე დროს განცვიფრებთ ამ გამოხატულებათა საშინელი უგემოვნება.

დაეთვალიერეთ ნიუ-იორკის მეტრო. იგი ვერც სილამაზითა და ვერც კეთილმოწყობით ვერ შეედრება მოსკოვისა და ლენინგრადის მეტროებს. ვარდა ამისა, ნიუ-იორკის მეტროში მგზავრები ეწვევიან სიგარეტებს, ყველგან სიბინძურეა, ყრია ქაღალდები, ნარჩენები... ვაგონებში თვალს მოგჭრით რეკლამები.

დოლარის კულტი იგრძნობა ყოველი ფეხის გადადგმაზე. მაგალითად, ქუჩაში დგას ავტომატური ტელეფონი. მას ფულის ჩასაგდება სამი ჭრილი აქვს — 5, 15, 25 ცენტისათვის. გარკვეული წუთების შემდეგ ტელეფონი ითიშება. თუ გინდა განაგრძო ლაპარაკი, საჭიროა ტელეფონში ხელახლა ჩაადო ფული.

ნიუ-იორკში მეტად გავრცელებულია პორნოგრაფია. ბევრი წიგნისა და ჟურნალის ფურცლები სავსეა შიშველი ქალებით. კინოთეატრების შესასვლელთან გაკრული სარეკლამო ფარებიდანაც და ჟურნალების სხვადასხვა ფერის ყდებიდანაც გიყურებთ „სტანდარტულად გაღიმებული“ ლამაზი პოლიციელი არტისტები და უბრალო მანეკენი ქალები. მათ, როგორც წესი, მხოლოდ საბანაო კოსტიუმი აცვიათ.

შემთხვევითი როდია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოცენდა და ფართოდ გავრცელდა წმინდა ამერიკული „ხელოვნება“ ბურლესკი — სცენაზე ქალიშვილები ცეკვავენ და თანდათან იხდიან ტანსაცმელს.

ნიუ-იორკში, ბროდვეიზე ძალიან ბევრი საცეკვაო კლუბია, სადაც ნახევრად შიშველი ქალები ცეკვავენ. როგორც გვითხრეს, ასეთ კლუბებს უმეტესად ეტანებიან ახალგაზრდები. აქვე იაფფასიან კაფეტერაისთან შეხვდებით მთვრალ

მორფინისტებს, მეძავეებს... პორნოგრაფიული სურათების გამყიდველებს... ბანდიტებს...

ამერიკაში ფართოდ პოპულარული სანახაობაა მიუზიკ-პოლი. ჩვენ ვიყავით ნიუ-იორკის ცნობილ რადიო-სტიკში. აქ კინოსურათთან ერთად შეიძლება ნახოთ კლასიკური ბალეტისა და საესტრადო რევიუს ნომერი, მოისმინოთ სცენა ოპერადან „ვაშბაზები“ და ოფენბახის უფერტიურა სიმფონიური ორკესტრის შესრულებით. გრანდიოზულ დარბაზს, რომელიც ხუთი ათასზე მეტ კაცს იტევს, ორიგინალური გუმბათი აქვს. როცა დარბაზში ხალხი შედის, იგი ელექტრო-ორღანის მძლავრი ბეგრებით ივსება. ეს ბეგრები, თუ ყურადღებით მოისმენთ, წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ... სხვადასხვა უწმინდური სიმღერის ინტონაციებს. უცნაური გრძობა, რომელიც ინსტრუმენტის კეთილშობილური, დიდებული ჟღერადობისა და უკიდურესად საყოფაღმრთელი მსუბუქი ეანრის ინტონაციების შეუსაბამობით წარმოიშობა, მიულოდნეულად ირღვევა „მიწისქვეშა“ მუსიკით. „ორმო-დან“ ორკესტრის თანდათან აღმოზრდა ყოველივეს ცხადყოფს... საორკესტრო ნომრის შემდეგ უზარმაზარ ჩაბნელებულ სცენას ანათებს უდიდესი ძალის პროექტორის მძლავრი ბათქი. სცენაზე გამოდის უამრავი ქალიშვილი. ისინი ცეკვავენ და მათი მიზანი ერთია — აჩვენონ სხეული, მხოლოდ ნაწილობრივ დაფარული რაიმე ფერადი ტანსაცმლით. ასეთი „წარმოდგენები“ ბევრ ქალაქში ცვლის მთელ კულტურულ ცხოვრებას. ერთადერთი, რაც მიუზიკ-პოლიში მოგვეწონა, ეს არის სცენა, ვაკეთებული თეატრალური ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

თანამედ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი მოგზაურობის პროგრამისა, ვნახეთ ვაშინგტონი, ჩიკაგო, დეტროიტი და მისი გარეუბანი ღირბორნი. შემდეგ მატარებლით ჩავედით ბუფალოში, იქიდან კი ქალაქ ნიაგარა-ფოლსში. ეს ქალაქი გაშენებულია ცნობილ ჩანჩქერ ნიაგარასთან, რომელიც მართლაც დიდებული სანახავია. იგი განსაკუთრებით ლამაზია მიმწუხრისას, როდესაც გაჩირადნებულია სხვადასხვა ფერის პროექტორებით.

ყველა ამ ქალაქში ჩვენ ვეცნობოდით მის ღირსშესანიშნაობებს, მუზეუმებს...

ბევრი საინტერესოს ნახვა შეიძლება ამერიკის მუზეუმებში. მათ აქვთ უდიდესი ღირებულების მხატვრული კოლექციები. ვიგონებ რა სამხატვრო თულებრებს, კვლავ განვიციდი სიამოვნებას, თუმცა იყო კურონობებიც. ასე, მაგალითად, ნიუ-იორკში მეტროპოლიტენ მუზეუმში გავაკვირებთ სურათების გამოფენის უცნაური პრინციპი. ისინი გამოფენილია არა ქრონოლოგიურად, ქვეყნებისა და ოსტატების, არამედ მილიონერთა შენაწიერების მიხედვით.

ამის გამო რემბრანდტის სურათები ბევრჯერ ბაზშია გაფანტული და, ყველა რომ ნახო, წაღმა-უტეულმა უნდა იარო. ხშირად დიდი ჰოლანდიელი მხატვრის ტილოებს ნახავ უფრო გვიანი დროისა და ნაკლებმნიშვნელოვანი ნაწარმოებების გვერდით.

განსაკუთრებული სიხარული ვიგრძენით ფრანკის გალერეის დათვალიერებისას. რემბრანდტისა და გრეკოს ტილოებს უყურებთ ორღანის ხმების თანხლებით. რემბრანდტის მხატვრობა, შეხამებული ჰენდელისა თუ ბახის მუსიკასთან, შთაბეჭდილობის ძალითა და სიღრმით განსაკვიფრებელი აღმოჩნდა.

აქვე ჩვენთვის ცნობილი გახდა ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო კონტრასტი. ამ შესანიშნავ მუზეუმებს, სადაც დაცულია მსოფლიოს უნიკიერეს მხატვართა შედევრები, დამთვალიერებელი თითქმის არა ჰყავს, თუმცა შესელა ყველგან უფასოა.

სამაგიეროდ მეტი დამთვალიერებელია სოლომონ გუგენჰაიმის მუზეუმში (ნიუ-იორკი), სადაც წარმოდგენილია ეგრეთწოდებული აბსტრაქტული ხელოვნება. მუზეუმის დიდებულ, მოდერნული სტილს შენობაში მოთავსებულია სურათები, რომლებიც გაუგებარია მნახველთათვის და, ალბათ, თვით მხატვრისთვისაც. „ვეცდებით მათში გავერკვეთ“, ვამბობთ ჩვენ და დიდხანს ვაცქერდებით მაღალ და გიწრო ტილოს, რომელსაც აწერია „ტაძარი“ — თეთრ ფონზე უწყსრივოდ, გველისებრ ხვეულად შემოღან ქვემოთ მიემართება ფერადი ზოლები...

ვიდი, რუსული ენის საკმაოდ კარგი მცოდნე ჭაბუკი, ხალისიანად გვიხსნის, რომ სურათი სიმბოლურად გამოხატავს სიმაღლეს, რომ ყველა სურათის სახელწოდება პირობითია. სურათი შესრულებულია სუბიექტივისტური სტილით, როგორც აი ის, პირდაპირ რომ არის: ღია ფონზე შავი და ყვითელი ზოლებია, რომლებიც თურმე ქაოსს გამოხატავს. აბსტრაქციონისტი თუ სუბიექტივისტი მხატვარი მიზნად არ ისახავს ესა თუ ის ეპიზოდი გადმოსცეს ისე, როგორც ამას რეალისტები აკეთებენ. მათი ამოცანაა მნახველებს გააცნონ თავიანთი წარმოდგენა მოვლენებსა და საგნებს.

გამოფენის დათვალიერების შემდეგ ერთმა ტურისტმა ზუსტად და სხარტად დაახასიათა მუზეუმი: „როგორი მშვენიერი შენობაა გარედან და რა საზიზღარია შიგნი“.

თუ არ ხარ ნამყოფი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მთელი სისრულით ვერ წარმოიდგენ, იყო რა როლს ასრულებს ამერიკელის ცხოვრებაში რეკლამა. რეკლამა ყველგანაა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე და თითქმის ყველაფერზე. მაგალითად, წაიკითხავთ ასეთ რეკლამას: „დაკრძალეთ მკვდარი ჩვენს სასაფლაოზე. აქ მყუდროებაა. გვერდით კარგი რესტორანია. კარგი ბა-

ლი — შევიძლიათ ისაძილოთ და დაისვენოთ“. ნიუ-იორკის ყველაზე განთქმული ქუჩა ბროდუი რეკლამების მეფეა. რა სახის რეკლამას არ შეხედებით აქ! აი დიდ მაღაზიაზე რეკლამა — მამაკაცი დადებული პირიდან ყოველ წუთში უშვებს თამბაქოს ბოლს. „ჩვენი სიგარეტები ყველაზე კარგია, მოსწიეთ იგი“, — მოგვიწოდებს რეკლამა.

რეკლამას დიდი ადგილი აქვს დათმობილი ტელევიზიაშიც. ტელევიზორი, რომელიც ცამეტ პროგრამაზე მუშაობს დილის ექვსი საათიდან ღამის პირველ საათამდე, მოსაბეზრებლად გადატვირთულია რეკლამებით. აი უყურებთ კინოსურათს, რომელიც ყველაზე წარმატებულ მენტში წყდება და მის ადგილს იჭერს რეკლამა. რამდენიმე წუთი სარეკლამო განცხადებებს მიაქვს, შემდეგ ფილმი კვლავ გრძელდება. გადის ხანი და ფილმი კვლავ წყდება, თითქმის განგებ ისევ საინტერესო ადგილზე, და იწყება რეკლამა და ასე განუწყვეტლივ...

საბავშვო ტელეგადაცემებში ხშირად უჩვენებენ მკვლელობას, ბავშვთა მოტაცებას, ვაძარცვას, ხელჩართულ ბრძოლას ცეცხლსროლი იარაღებით, დანებით ჩხუბს.

ამერიკელებს ძლიერ უყვართ კინო და უამრავი კინოთეატრის თვალისმომჭრელი რეკლამებიც მოუწოდებენ მათ ნახონ ახალი ფილმები. ამერიკული კინოპროდუქციის ძირითადი მასა ისევ და ისევ კოვბოური და სისხლის სამართლის უსახო, უფერული ფილმებია.

რასაკვირველია, ამერიკის ეკრანებზე ვხვდებით კარგ, შინაარსიან სურათებსაც, განსაკუთრებით უქანასკნელ წლებში, მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთი ფილმები ძლიერ იშვიათია.

ასლა ამერიკელთა ცხოვრების დონის შესახებ. თუმცა ბურჟუაზიის იდეოლოგიები ბევრს გაჰკვივნიან, ამერიკა სამოთხეაო, მაგრამ სინამდვილეში ამერიკა და სამოთხე შორს დგანან ერთიმეორისაგან. ხარჭებით „საშუალო ამერიკელი“, როგორც იტყვიან, ღმერთს არ გაუნაწყენებია: საშემოსავლო გადასახადის გარდა, მან უნდა გადაიხადოს ბინის ქირა — რეალური ხელფასის მეოთხედი, ხან მესამედიც კი. თითქმის ყოველი შექმნა აგრეთვე დაკავშირებულია გადასახადთან. მეტად ძვირია სამედიცინო მომსახურება. მაგრამ ყველაზე არასასიამოვნო, რასაკვირველია, ეს უმუშევრობაა. ნიუ-იორკში სასტუმრო „კლინტონის“ ფანჯრიდან ყოველ დილით ვხედავდით, სასტუმროს პირდაპირ, ეკლესიის კარებთან როგორ დგებოდა ადამიანთა გრძელი რიგი ბუტერბროდებისთვის, რომლებსაც ეკლესია მათ მოწყობის სახით აძლევდა. მე თვალწინ წარმომიდგა სხვა უმუშევრებიც, რომელთა რიცხვიც ამერიკაში რამდენიმე მილიონია.

ვევებერთელა მაღაზიები სასესა ფართო მოხმა-

რების საქონლით, მაგრამ მყიდველში ნაკლებია. როგორც ჩანს, არცთუ ისე იაფია ეს საქონელი, რაკი მას არ ეტანებიან. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ყოველი ნივთის შექმნისას, მისი ფასის გარდა, მყიდველმა უნდა გადაიხადოს სპეციალური სახელმწიფო გადასახადი საქონლის ღირებულების 10-15 პროცენტის რაოდენობით.

კარგად ააის მოწყობილი საზოგადოებრივი კვება. ყოველ კუთხეში, ყოველ მცირე ქუჩაზე ადვილად იპოვით პატარა კაფეს, სასაუზმეს, ბარს, სადაც გემრიელ საჭმელს მოგართმევენ. ეს კეთდება თავაზიანად, სწრაფად. მართალია, ზოგიერთ რესტორანში საკმაოდ უბრალო ვახშმისათვის ისეთი თანხის დატოვება მოგიხდებოდათ, რომელიც კვალიფიციური მუშის ერთი კვირის ხელფასის ტოლია, მაგრამ მახლობლად მოიპოვება სხვა, უფრო იაფი რესტორანიც, სადაც ცუდად როდი გაჰმევენ პურს.

კარგადაა ორგანიზებული აგრეთვე სარკინიგზო კავშირი. მატარებლები ძალიან სწრაფად და ზუსტად დადიან. ავტოგზები წესრიგზეა. გზა ბეტონისაა. იგი შუაზე აუცილებლად თეთრი ხაზითაა გაყოფილი. მიდის მანქანა თავის გზაზე და ღამით შეუძლია ფარები ჩააქროს.

ბევრი სხვა საინტერესოც ვნახეთ ამერიკაში, მაგრამ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მაინც უბრალო ამერიკელებთან შეხვედრამ დატოვა. ისინი ყველგან მეგობრულად გვხვდებოდნენ.

ჩვენ ბევრ ამერიკელს შევხვდით, და ვისთანაც კი მოგვიხდა გასაუბრება, ყველა იმედით და მოწონებით ლაპარაკობდა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების შესაძლებლობაზე. ამერიკელები აღფრთოვანებული არიან დიდი თეატრის მსახიობებისა და საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის ოსტატობით, ჩვენი სპორტსმენების მიღწევებით, საბჭოთა გამოფენებით ნიუ-იორკში.

ძლიერ გულთბილი შეხვედრა მოგვიწყევს კოლუმბიის უნივერსიტეტში. ვაგვიმართეს სადილი. ერთ-ერთმა ლექტორმა გვითხრა, რომ მას ძლიერ ინტერესებს საბჭოთა კავშირი და აი უკვე რამდენიმე წელია, რაც საბჭოთა ვაზეთებს იწერს. შემდეგ მან თქვა, ბატონ ხრუშჩოვის ჩამოსვლამ, მისმა გამოსვლებმა და განსაკუთრებით მისმა სიტყვამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკელ ხალხს თვალი აუხილა. იგი დარწმუნდა საბჭოთა ადამიანების სურვილში იცხოვრონ ამერიკელებთან მეგობრულად და ჩვენი ვალია ვისწავლოთ ერთმანეთის ვაგებოთ.

აქვე შევიტყვეთ, რომ უნივერსიტეტში დიდი მონღომებით სწავლობენ რუსულ ენას. რო-

გორც მისტერ პოტერმა გვითხრა, მას ეუფლება 585 სტუდენტი. ძალიან გაგვიხარდა, როცა გავიგეთ, რომ ამავე უნივერსიტეტთან ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაც არსებობს, რომელსაც ხელმძღვანელობს წარმოებით ჰოლანდიელი აერთ კუიბერი. მას ხუთი წლის ბეჯითი მუშაობით კარგად შეუესწავლია ქართული ენა.

ნიაგარა-ფოლსიდან ნიუ-იორკში დაბრუნებისას ჩვენ ვაზეთებში წავიკითხეთ ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიასზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების შესახებ. იმ დროს, როდესაც რადიოსა და ტელევიზიის კომენტატორები დილიდან საღამომდე ჭორებს სთხზავდნენ ამერიკის ჯაშუშური თვითმფრინავის დაღუპვის თაობაზე, უბრალო ამერიკელები მკაცრად გამოდნენ ეიზენჰაუერის მთავრობის უგუნურ პოლიტიკას. ისინი მწუხარებით ამბობდნენ, რომ ამერიკის მთავრობის ასეთი საქციელი ზიანს აყენებს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრობასო. ამასთან დაკავშირებით არ შემძლია არ ვავისხენო გულთბილი შეხვედრა საქვეყნოდ ცნობილ ფორდის მუშებთან. ამწყობი საამქროს ერთ-ერთმა მუშამ ტომმა თქვა: თქვენ მოგეწონებათ ჩვენი ქარხანა, დიდებულია ეს კონვეიერი. ხომ სწორია? მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ ამ კონვეიერიდან ჩამოდიოდეს ტანკები. არა, ეს არასოდეს არ იქნება, გესმით, არასოდეს!

ასე ფიქრობს ყველა პატიოსანი ამერიკელი. ჩვენმა შთაბეჭდილებებმა ამერიკასა და მის ხალხზე შეგვიქმნა მტკიცე რწმენა, რომ არსებობს ორი ამერია — ამერია უბრალო ადამიანებისა, მშრომელებისა და ამერია მსხვილი მონოპოლისტებისა და მრეწველებისა. სამწუხაროდ, სწორედ ეს უკანასკნელი კარნახობენ მთავრობას მთელ პოლიტიკას, რომელიც თავისი არსით ანტიხალხურია.

თუ როგორ აღვივებენ რეაქციული წრეები ომის ფსიქოზს ამერიაში, ეს კარგად ჩანს ასეთი ფაქტიდან. ნიაგარა-ფოლსში ჩვენი ყოფნისას საპაერო განგაში გამოაცხადეს. ქალაქში შეწყდა მოძრაობა. პოლიციელები ქუჩაში არავის უშვებდნენ. ამ დროს ჩვენ სასტუმროდან

გამოსვლას ვაპირებდით, მაგრამ პოლიციელებმა არ გავიშვეს. განგაში რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. სასტუმროში მყოფმა მოხუცმა ქალმა თქვა: ღმერთს ვევედრები არ გამეორდეს ომი. მე ვიცი, რა არის ომი — იგი სიკვდილია. მე შვილი დამეღუბა ფრონტზე და არ მინდა მისი შვილი, ჩემი შვილიშვილი მოესწროს ახალ ომს.

ასეთია ამერიაში მოგზაურობის ზოგიერთი შთაბეჭდილება. ისინი უეჭველად დიდი და ღრმაა. ბევრი მათგანი გვინერგავს პატივისცემის გრძნობას ხალხისადმი, რომელმაც შეძლო ცამდე აღენართა უდიდესი ქალაქები, შეექმნა დიდი მატერიალური დოვლათი. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ამერიკელები — ეს შემოქმედი, მშრომელი და ნიჭიერი ხალხია. რასაკვირველია, მათ არ უნდათ ომი. ვნახეთ, ცხადია, მეორე ამერიკაც, რომლის ზნე-ჩვეულებანი მიუღებელია ჩვენთვის. მაგრამ სავსებით გვესმოდა, რომ სხვა ქვეყანას, ცხოვრების სხვა სისტემას, ბუნებრივია, უნდა ჰქონდეს ბევრი რამ, რაც არ შეესაბამება ჩვენს შეხედულებებს ცხოვრებაზე. და ჩვენ ვცდილობდით მოექცეოდით მას ისე, როგორც რეალურ ფაქტს. ცხოვრების ბევრ მოვლენაზე ჩვენ უნდა გვექონდეს კიდევაც სხვადასხვა შეხედულება, მაგრამ ამ გარემოებაზე ხელი არ უნდა შეუშალოს ჩვენს ურთიერთობას, ერთობლივ ბრძოლას მშვიდობისა და პროგრესისათვის. სასიხარულოა, რომ უმრავლეს შემთხვევაში ვგრძნობდით ცოცხალ გამოხმაურებას ამერიკელ თანამოაზრეებში, ვპოულობდით ურთიერთგაგების კეთილნაყოფიერ ნიადაგს. აი ერთი ფაქტი. კოლუმბიის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა სტუდენტმა ჩემს შეკითხვაზე: ვინ სურს გახდეს? მიპასუხა: მინდა გავხდე დიპლომატი და ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რათა ომები არ იყოს. უღაოდ კარგი სურვილია, დიდი მიზანია. ასე ფიქრობს ბევრი სხვა ამერიკელიც.

ჩვენ ორ კვირას ვიმყოფებოდით ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასობით ადამიანი გაციანით და დავრწმუნდით, რომ ამერიკელი ხალხის სურვილი და მისწრაფებაა იცხოვროს მშვიდობით, დღითი დღე უმჯობესდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ურთიერთობა.



საქართველო

პახანაშვილი

მედიკალინური ატომის ქალაქი

მედიკალინური ისტორიაში ხშირია მაგალითები, როცა მედიკალინური მოულოდნელად გენიალურ აღმოჩენას მოახდენს და ფიქრადაც არ მოსდის მისი უდიდესი მნიშვნელობა კაცობრიობისათვის. როცა 1831 წელს ფარადეიმ ინგლისის მედიკალინურებათა აკადემიაში მოხსენება გააკეთა იმხანად აღმოჩენილ ინდუქციის მოვლენაზე, მას შეეკითხნენ, თუ რა პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებოდა ამ ცდებს. ფარადეიმ უპასუხა, ძალიან ძნელია იწინასწარმეტყველო ახალდაბადებული ბავშვის მომავალი. ინდუქციის მოვლენა კი საფუძვლად დაედო ელექტრომოტორს, დინამო-მანქანას და საერთოდ თანამედროვე ელექტროტექნიკას. მ. ფარადეის „ბავშვს“, თურმე, დიდი მომავალი ელოდა.

მსგავსი ბედი ეწია ფრანგი ფიზიკოსის ანრი ბეკერელის აღმოჩენასაც. ზოგიერთი ნივთიერების გამოსხივებით დაინტერესებულმა ბეკერელმა სრულიად მოულოდნელად აღმოაჩინა ახალი მოვლენა — ურანის მარილების მიერ რენტგენის მსგავსი უხილავი სხივების გამოტყორცნა.

ამ აღმოჩენამ (1896 წლის 26 თებერვლი) დასაბამი მისცა მთელ XX საუკუნის ფიზიკას.

1898 წელს პოლონელმა ქიმიკოსმა მარია სკლადოვსკაია-კიურიმ და მისმა ქმარმა ფრანგმა პიერ კიურიმ დიდი წარმატება მოიპოვეს — სუფთა სახით მიიღეს რადიუმის ლითონი. გამოირკვა, რომ ერთი გრამი რადიუმი ყოველ საათში გამოყოფს დაახლოებით 136 კალორია სითბოს, რითაც ექვს დღე-ღამეში შეიძლება ერთი კილა წყლის აღუღება 0-დან 100 გრადუსამდე.

ეს იყო კაცობრიობისათვის აქამდე უცნობი და მიუწვდომელი ენერჯის წყარო.

აქვე გვინდა მოვიგონოთ პიერ კიურის საოც-

რად წინასწარმეტყველური და მეტად საყურადღებო სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 1903 წელს მისთვის და მისი მეუღლის მარია სკლადოვსკაია-კიურისათვის ნობელის პრემიის გადაცემისას:

„ძნელი არ არის განვჭვრიტოთ, რომ დამნაშავეთა ხელში რადიუმი შეიძლება გადაიქცეს უკიდურესად სახიფათო ძალად. ამიტომ ისმება კითხვა: ნამდვილად სასარგებლოა კაცობრიობისთვის იცოდეს ბუნების საიდუმლოებანი, ნამდვილად არის იგი მომწიფებული, რომ სწორად ისარგებლოს იმით, თუ ეს ცოდნა მხოლოდ ზიანს მოუტანს მას?“

მძლავრმა ფეთქებამა ნივთიერებებმა ადამიანებს მნიშვნელოვანი საქმეები გააკეთებინა. მაგრამ იგივე ნივთიერებანი დამნაშავეთა ხელში გადაიქცა ნგრევის საშინელ საშუალებად, რაც ხალხებს ომისაკენ უბიძგებდა... მე იმათ რიცხვს ვეკუთვნი, ვისაც სჯერა, რომ ახალ აღმოჩენებს კაცობრიობისათვის მეტი სარგებლობა მოაქვს, ვიდრე ზარალი...“

ამ აღმოჩენების შემდეგ იწყება ატომგულის საიდუმლოებათა შესწავლა, რაშიც მედიკალინურები დიდად დაეხმარა დიდი რუსი მათემატიკოსის ნიკოლოზ ლობაჩევსკისა და სახელგანთქმული პოლანდიელი ფიზიკოსის ჰენრიკ ლორენცის აღმოჩენათა საფუძველზე შექმნილი ალბერტ აინშტაინის ფარდობითობის თეორია. ინგლისელმა ფიზიკოსმა ერნსტ რეზერფორდმა ისტორიაში პირველმა შეძლო ატომგულის გახლეჩა. მან ფრედერიკ სოდისთან ერთად შეიმუშავა რადიოაქტიური დაშლის თეორია.

თვალსაჩინო აღმოჩენები ეკუთვნით ნილს ბორის, ფრედერიკ და ირენ ჟოლიო-კიურის, პოლ დირაკს, კარლ ანდერსონს, პოლ ლანჯევენს, ჯონ კოკროფტს, ენრიკო ფერმის, საბჭო-

თა მეცნიერებს — ი. ვ. კუჩუბოვს, ა. ფ. იბრეხიძეს, პ. ლ. კაპიციას, დ. ვ. სკობელცინს, ნ. ნ. ბოგოლიუბოვსა და სხვებს.

1939 წელს აღმოჩენილ იქნა თავისთავად მოქმედი (ჯაჭვური) ბირთვული რეაქციები — ურანის ატომგულის დაყოფა ნეიტრონის მოქმედებით. ისე ჩანდა, თითქმის კაცობრიობა უკვე იდგა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ამბის წინ — აღმოჩენილი იყო ატომური ენერჯის პრაქტიკული გამოყენების გზა.

ამ მომენტიდან მოკიდებული, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, გამოკვლევები ატომური ბირთვის დარგში მკაცრად გასაიდუმლოებულ იქნა. პირველი ატომური ბომბი გაკეთდა აშშ-ის სექსონის შტატებში 1945 წლის დამდეგს. იმპერიალისტური იაპონიის კაპიტულაციამდე რამდენიმე დღით ადრე ამერიკელმა მილიტარისტებმა, ყოველგვარი საჭიროების გარეშე, ატომური ბომბები ჩამოაგდეს იაპონიის ქალაქებში ხიროსი-მასა და ნაგასაკიში. ამ ბარბაროსული აქტის შედეგად დაიღუპა, დაიჭრა და რადიუმის სხივებით დაავადდა ასიათასობით მშვიდობიანი მოქალაქე. ამგვარად, ფიზიკის უდიდესი მიღწევა ხელთ ჩაუვარდათ მშვიდობისა და პროგრესის მტრებს, იმპერიალისტებს, რომლებსთვისაც ანგარებითი ინტერესები უფრო ძვირფასია, ვიდრე კაცობრიობის ბედია.

აი ამის გამო ჩვენ დროის მოწინავე მეცნიერები, სოციალისტური ბანაკის ხალხები, მთელ პროგრესული კაცობრიობა გადაჭრით მოითხოვენ შეწყდეს ატომური იარაღის წარმოება და გამოცდა და ატომური ენერჯია გამოყენებულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით, ემსახურებოდეს მშვიდობის, პროგრესისა და კაცობრიობის კეთილდღეობის საქმეს.

იმ ხანებში, როცა საბჭოთა ხალხმა მდინარე ვოლგაზე დაიწყო ახალი გიგანტური ჰიდროელსადგურის მშენებლობა, აქვე, ვოლგის ნაპირას გაშენდა ახალი ქალაქი დუბნა, ანუ როგორც ხშირად უწოდებენ მას, მშვიდობიანი ატომის ქალაქი. დუბნაში მუშაობს ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტი, რომლის წევრები არიან სოციალისტური ბანაკის თორმეტი სახელმწიფოს — ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეცნიერები. ცალკეული გმირების ნაცვლად ახლა ატომური ბირთვის პრობლემების გადაწყვეტილების იღვწიან სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა დიდი კოლექტივები. ამგვარად, ახლა მიღწეუ-

ლია წინათ არნახული კონცენტრაცია მეცნიერული აზრისა, რომელიც მიმართულია მიკროსამყაროს საიდუმლოებათა ამოხსნისაკენ. აქ თავმოყრილია უნიკალური ხელსაწყოები და დანადგარები, რომლებიც მეცნიერებს საშუალებას აძლევენ აწარმოონ საინტერესო ცდები. ამ დიდ სამეცნიერო ცენტრში დამკვიდრდა ამხანაგურ დახმარებაზე, გულწრფელ სურვილებზე დაფუძნებული სრულიად ახალი ურთიერთობა სახელმწიფოებსა და მეცნიერებს შორის.

ორი სამყარო — ატომური და კოსმოსური თითქოს ერთმანეთს ეძახიან ფიზიკოსთა ამ ქალაქში. ორივეს შესაცნობად აუცილებელია კოლოსალური სიჩქარეები. გაერთიანებული ინსტიტუტის მეცნიერები უკვე ახერხებენ წყალბადის ბირთვებს მიანიჭონ დიდი, თითქმის სინათლის სიჩქარე. პოზიტრონებზე, მეზონებზე და ატომგულის სხვა ნაწილაკებზე დაკვირვებას გარკვეულბა შეაქვს ატომის ბირთვის აგებულებისა და თვისების შეცნობაში, ურთულესი ატომური პროცესების კანონზომიერებათა დადგენაში, იმისაგან დამოუკიდებლად, მიმდინარეობს ეს პროცესები ატომურ რეაქტორში თუ მზის ან ვარსკვლავის წიაღში.

დუბნის უნიკალური ატომური დანადგარები საშუალებას გვაძლევს მივიღოთ სწრაფი პროტონების, პი-მეზონების, კა-მეზონების ნაწილაკების და ნეიტრონების კონები, და მათი დახმარებით ლაბორატორიულ პირობებში აღვადგინოთ კოსმოსის სიღრმეებში მიმდინარე პროცესები. ამ დანადგარებს, რომელთაც ამჩქარებლებს უწოდებენ, განცვიფრებაში მოჰყავს ისინი კი, ვინც კარგად იცნობს თანამედროვე ტექნიკის სასწაულებს. ათეულ ათასობით ტონა ლითონია დახარჯული ამ დანადგარებზე. ეს უკანასკნელნი წარმოქმნიან ისეთ ნაწილაკებს, რომლებთან შედარებით მილიგრამიც კი ზღაპრულად უზარმაზარი სიდიდეა.

ჩვენ ვუხადებდებით დუბნის სინქროციკლოტრონის შენობას. ფიქვნარში ჩადგმული კუბის ფორმის გიგანტური ნაგებობა ცაში ატყორცნილა. მთავარ დარბაზს, რომელშიც სინქროციკლოტრონი დგას, ცემენტის მასიური კედლები არტყია. მისი ძირითადი აგრეგატი — ელექტრომაგნიტი ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილაში“ დაუმზადებიათ. იგი შვიდი ათას ტონას იწონის; მაგნიტის პოლუსის დიამეტრი ექვსი მეტრია.

მაგნიტური ველი, რომელსაც ეს უზარმაზარი ელექტრომაგნიტი ქმნის, აიძულებს ნაწილაკებს იმოძრაონ უკუღმადართილებულ სპირალივით. მათი სიჩქარე განუწყვეტლევ იზრდება. დასაწყისში იგი წაში რამდენიმე კილომეტრს უდრის, შემდეგ თანდათან მატულობს და ბოლოს 250 ათას კილომეტრს აღწევს, სულ უფრო

და უფრო უახლოვდება სინათლის სიჩქარეს (300 ათასი კმ წამში).

საერთო ვხა, რომელსაც ნაწილაკები გაივლიან ამჩქარებელ კამერაში, მოსკოვიდან ლენინგრადამდე მანძილის ტოლია. ამჩქარებელი კამერიდან აძევებს ჰაერს, რომელიც დაარღვევდა ნაწილაკების მოწესრიგებულ მოძრაობას. ვაკუუმის შესაქმნელად იყენებენ რამდენიმე მძლავრ ტუმბოს (კამერაში წნევა ეცემა ერთ მეგილიონედ ატმოსფეროდედ).

კამერაში მოთავსებულია ამჩქარებელი ელექტროდი, რომელსაც დენით კვებავს მაღალი სიხშირის გენერატორი. ამ უკანასკნელის დახმარებით პატულოზს ნაწილაკების სიჩქარე.

სინქროტრონი, რომელიც 1949 წელს ამუშავეს, გამოიყენება კბრტონების ასაჩქარებლად, ვიდრე ისინი 680 მილიონ ელექტრონ-ვოლტ ენერგიას შეიძენენ. სინქროტრონის დახმარებით მიიღება დადებითი და უარყოფითი პი-მეზონების საინტერესო კონები 400 მილიონამდე ელექტრონ-ვოლტის ენერგიით და ნეიტრონების კონა 650 მილიონამდე ელექტრონ-ვოლტის ძალისა, აგრეთვე დეიტრონები და ალფა-ნაწილაკები.

სპეციალურ მოწყობილობათა დახმარებით აჩქარებული ნაწილაკები შეიძლება გამოიღვენოს ამჩქარებლის ვაკუუმური კამერიდან. ამ ნაწილაკების, აგრეთვე მეორადი ნაწილაკების (ნეიტრონების, მეზონების და გამა-ნაწილაკების) გამოყვანა ხორციელდება ლითონების გამრღვევებით. მათზე დადგმულია სამიზნოები, რომლებიც ორბიტისაკენ გადასწევენ აჩქარებულ ნაწილაკებს.

მთავარ დარბაზს, სადაც სინქროციკლოტრონი დგას, გვერდით აქვს მეორე დარბაზი, რომელიც დანადგარიდან გამოცალკევებულია ოთხი მეტრი სისქის ცემენტის ტიხრით. მასში მოწყობილი სპეციალური არხებით — კალიმოტორებით ნაწილაკების კონა გადის სხვა შენობაში, სადაც მოთავსებულია სექსპერიმენტო დანადგარები.

კიდევ ერთი-ორ მეტრამდე სისქის ცემენტის ტიხარის უკან არის დარბაზი, საიდანაც მეცნიერები დაკვირვებას აწარმოებენ. ოსცილოგრაფთა ეკრანებზე ჩნდება მწვანე სინათლის ხაზები, პანელზე ინთება ნაირფერი სანთლები. დარბაზში მოთავსებული ხელსაწყოების მეოხებით სწრალობენ მიკროსამყაროში განვითარებულ ურთულეს პროცესებს.

ფართოდ იყენებენ აგრეთვე ბუმტუკოვანი კამერების მეთოდს. სითხეში გავლისას (კამერა საესეა სითხით) ნაწილაკები ტოვებენ უწვრილესი ბუმტუკების კვალს.

ღუმბის ბირთვული კვლევის გაერთიანებულ ინსტიტუტს აქვს მსოფლიოში უდიდესი ატომური მანქანა — სინქროფაზოტრონი, რომელიც

ვასულ წელს ამუშავდა. მისი შექმნა ნაშრომა მეცნიერული აზრისა და საინჟინერო ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა. ამ მანქანის მართო რგოლური ელექტრომაგნიტისათვის საჭირო იყო ათეულ ათასობით ტონა ფოლადის გადამუშავება.

სინქროფაზოტრონის დახმარებით პროტონებს გადაეცემა ათ მილიარდამდე ელექტრონ-ვოლტი ენერგია.

სინქროფაზოტრონი მოთავსებულია ფიჭვნარში ჩადგმულ დიდ მრგვალ შენობაში. რკინის საფეხურებიანი კიბით ავდივართ პატარა მოედანზე, რომელიც სინქროფაზოტრონის ძირითადი აგრეგატის ზემოთ მდებარეობს. ელექტრომაგნიტის გრავილი წარმოადგენს სპილენძის იზოლირებულ სალტეს და თითქმის 600 ტონას იწონის.

ელექტრომაგნიტის ფოლადის რგოლი მოთავსებულია უზარმაზარ წრიულ დარბაზში. მაგნიტი 36 ათასი ტონაა, მისი გარეთა დიამეტრი 70 მეტრზე მეტია.

პირველი საფეხურის ამჩქარებლის ლითონის ცხაურის უკან ჩანს ფაიფურის სვეტი ალუმინის ხეფით. მის გვერდით არის ფაიფურის ამჩქარებელი მილი, რომელსაც ალუმინის ზამბარა არტყია. მას ფორინექტორი ეწოდება. აქედან წყალბადის ბირთვები იწყებენ ქროლას და თანდათან ემატებათ სიჩქარე. როგორც სინქროციკლოტრონი, ისე აქაც ატომგულების დასახლჩად იყენებენ გაზისებრ წყალბადს. პროტონის წყაროში წყალბადის ატომი „ჩამოიფხეკს“ ელექტრულ ვარსს, ხოლო მისი ბირთვი — პროტონები გადადიან ამჩქარებელ მილში. აქედან გამოტყორცნილ პროტონებს დაახლოებით 600 ათასი ელექტრონ-ვოლტი ენერგია აქვთ.

პროტონები — დადებითად დამუხტული ნაწილაკები ელექტრული ველის კანონებს ემორჩილებიან. ისინი მიისწრაფვიან მილის უარყოფითად დამუხტული ბოლოსაკენ. შემდეგ ნაწილაკები ხვდებიან ხაზობრივ ამჩქარებელში, საიდანაც გამოსვლისას უკვე ცხრა მილიონი ელექტრონ-ვოლტი ენერგია აქვთ. აჩქარების შემდგომი პროცესი გრძელდება უშუალოდ სინქროფაზოტრონის კამერაში. იმისათვის, რომ აჩქარებულმა ნაწილაკებმა შეიძინონ კოლოსალური ენერგია—ათი მილიარდი ელექტრონ-ვოლტი, ისინი ვაკუუმის კამერაში აკეთებენ 4,5 მილიონზე მეტ ბრუნს, ე. ი. გაივლიან გზას, რომელიც ორნახევარჯერ აღემატება მანძილს დედამიწიდან მთვარემდე.

ელექტრონების ზემოქმედებით ნაწილაკები იძენენ ენერგიის ნამატს და სულ უფრო აჩქარებენ მოძრაობას. შეიძენენ რა ათ მილიარდ ელექტრონ-ვოლტ ენერგიას, შემდეგ რვა მეტრი სისქის ცემენტის ზღუდემში გაყვანილი

ვიწრო ამბარბუროთ გადადიან საექსპერიმენტო პავილიონში, სადაც მოთავსებულია ურთულესი ფიზიკური ხელსაწყოები.

აჩქარებული ნაწილაკების რადიაქტიური მოქმედებისაგან ხალხის დაცვის მიზნით დანადგართა მართვა და ფიზიკურ ექსპერიმენტებზე დაკვირვება წარმოებს მანძილიდან.

სინქროფაზოტრონის დახმარებით ჩატარებულ გამოკვლევებში სულ უფრო და უფრო ფართოვდება.

ამ მძლავრ დანადგართა მეოხებით, საბჭოთა ფიზიკოსებს და სოციალიზმის ბანაკის სხვა ქვეყნების მეცნიერებს შეუძლიათ სულ უფრო ღრმად შეადარონ ბირთვში, მიწვდნენ აქამდე საიდუმლოებით მოცულ ატომურ ძალებს.

მიკროსამყაროს რაც უფრო მეტ ნაწილს შეისწავლის მეცნიერება, მით უფრო ნათელი გახდება მისი კანონზომიერებანი, მით უფრო შეძლებს ადამიანი მართოს ბირთვული რეაქცია.

ახლა ატომურ რეაქტორებში იყენებენ მხოლოდ ე. წ. ბმის ძალებს შორის არსებულ განსხვავებებს. რომ შეგვეძლოს თვით ნაწილაკების ენერგია დაქვეყნა, მაშინ კაცობრიობა მიიღებდა ენერჯის ისეთსავე დაუშრეტელ წყაროს, როგორცაა მზე.

მაგრამ შეუძლია კი ადამიანს მიიღოს ეს ნამდვილად ატომური ენერგია? შეუძლია მიწვდეს ენერჯის ამ ჭეშმარიტად უშრეტ წყაროს? თუ იძულებული იქნება დაკმაყოფილდეს ერთ ბროცენტზე ნაკლებ ენერჯით, როგორც ეს ახლა ხდება?

ამ კითხვაზე საბჭოთა მეცნიერები დამაჯრებელ პასუხს იძლევიან. 1955 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე აკადემიკოსმა ნესმეიანოვმა განაცხადა: „დადგა დრო, როცა ჩვენს პლანეტაზე ამა თუ იმ სახით კონსერვირებული მზის კოლოსალური ენერჯის საცოდავი ნამცეცების გამოყენების ნაცვლად უნდა შევქმნათ საკუთარი მზე დედამიწაზე“.

ამ გზაზე მეცნიერებს ჯერ კიდევ ძალიან ძნელი ამოცანების გადაწყვეტა მოუხდებათ. აქამდე ჩვენ ვფლობდით მხოლოდ ერთადერთ საშუალებას დედამიწაზე მილიონი გრადუსი ტემპერატურის მისაღებად, რაც ატომური ბომბის აფეთქებისას ხდება. ატომური ბომბი წყალბადის იარაღის თერმობირთვული რეაქციის დროს გამოიყენება როგორც დეტონატორი. რასაკვირველია, უაზროა ატომური ბომბის გამოყენება

სამრეწველო მიზნებისათვის. ამიტომ, უპირატესეს ყოვლისა, აუცილებელი იყო თერმობირთვული რეაქციის გამოწვევა აფეთქების გარეშე, ე. ი. ისეთი ხელსაწყო, რომელიც მოგვეძლვა მილიონ გრადუს ტემპერატურას.

როგორ დაეიმორჩილოთ კოლოსალური თერმობირთვული ძალა? როგორ ვაიძულოთ ის ემსახუროს კაცობრიობის მშვიდობიან მიზნებს, მის პროგრესს და არა გამანადგურებელ ატომურ ომებს? საბჭოთა მეცნიერებმა ხელი მოჰკიდეს ამ დიდი და კეთილშობილური ამოცანის გადაწყვეტას.

დუბნაში არ იკვლევენ ბირთვული რეაქციის მართვის პრობლემებთან უშუალოდ დაკავშირებულ საკითხებს. აქ წარმოებს მხოლოდ თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა-ძიება, რომელიც ღრმა დაზვერვაა ამ რთული პრობლემის გადაწყვეტის გზაზე. და არ არის გამორიცხული, რომ აქ მომხდარი აღმოჩენები მიგვიყვანენ ფუნდამენტური მნიშვნელობის იდეების აღმოცენებასთან. მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ატომგულის ენერჯის დაუფლებასთან დაკავშირებულ პრობლემათა გადაწყვეტაში, რაც კაცობრიობას ასე ადევნებს. თანამედროვე მეცნიერების ტრიუმფალური სვლა იძლევა იმის შესანიშნავ მავალითს, თუ როგორი მოულოდნელობით მიჰყავს წინ მეცნიერება ცოდნის სხვადასხვა დარგის ახალი იდეებისა და მეთოდების კომპლექსურ გამოყენებას.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიგონოთ ზეგამტარობის თეორია, რომელიც შეიშუშავა ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორმა აკად. ნ. ნ. ბოგოლიუბოვმა.

ამ შრომას, რომელიც ფიზიკისა და მათემატიკის პირაპირზე დგას, საბჭოთა და საზღვარგარეთის გამოჩენილ მეცნიერთა აღიარებით, შეუძლია გადატრილება მოახდინოს მეცნიერებისა და ტექნიკის მთელ რიგ დარგებში.

დუბნამ თავისი მუშაობით, რაც ხელს უწყობს ატომური ტექნიკის პროგრესს იმ სახელმწიფოებში, რომლებიც ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის წევრები არიან, სახელი გაითქვა როგორც მშვიდობიანი ატომის ქალაქმა, რადგან მისი მრავალრიცხოვანი მეცნიერული კოლექტივის მთელი მუშაობა მიმართულია მეცნიერების პროგრესისა და ბირთვული ენერჯის მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებისაკენ.



ნუნეს თარო

საინტერესო გამოკვლევა

მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმები და წესი თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ ტერიტორიაზე პირველად შესწავლა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ. მთელ რიგ უღაო ღირსებებთან ერთად დ. ბაქრაძის ნაშრომს ამ საკითხზე უთუოდ ჰქონდა ნაკლოვანებებიც, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ შესწავლილი ქართული და მით უფრო ოსმალური ფეოდალიზმი, ამასთან მკვლევარს ზოგიერთ წყაროზე მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელი არ მიუწვდებოდა. ამიტომ განსაკუთრებით მისასაღმებელია ახალგაზრდა მეცნიერის ამირან ავალიანის ნაშრომი „მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში“, რომელიც წელს გამოსცა აჭარის სახელგამმა.

სარეცენზიო ნაშრომის ექსკურსიული მიმოხილვა აშუქებს თურქთა ბატონობის პერიოდში აჭარის სოციალურ-ეკონომიურ, ადმინისტრაციულ ვითარებას, XVI საუკუნიდან აჭარის ტერიტორიის ორ სანჯაყად დაყოფას. უპირატესად შესწავლილია თანზიმატის შემდგომ პერიოდში მიწისმფლობელობისა და სარგებლობის ფორმები ოსმალეთში საერთოდ და მის მიერ მიტაცებულ აჭარაში კერძოდ. ქრონოლოგიურ მიჯნებად აღებულია XIX საუკუნის 40-70-იანი წლები, ე. ი. ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების წინაპერიოდ.

საკმაოდ მრავალრიცხოვანი პირველწყაროების გულდასმითი ანალიზის საფუძველზე ავტორი დასკვნის, რომ თურქთა აგრესიის დროიდან აჭარაში მიწა-წყალს კვლავ ფლობდნენ ქართული წარმომობის სანჯაყბეგები იურთლუქის, ოჯაქლიკის და მულქიეთის (საგვარეულო, სამემკვიდრო და კერძო საკუთრების) უფლებით. შიდა თურქეთთან შედარებით აჭარაში ადგილობრივი ფეოდალები ნახევრად დამოუკიდებელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ — ისინი განაგებდნენ ადმინისტრაციას, კრებდნენ გადასახადებს და სხვ. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ აჭარა სანჯაყს წარმოადგენდა და თურქეთის იმპერიაში შედიოდა, იგი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ არ შეუტანიათ. თურქეთის სახელმწიფო მოხელეს აჭარაში არ ჰქონდა ის უფლებები, რომლითაც საერთოდ სარგებლობდნენ ისინი უაღრესად დესპოტური იმპერიის სხვა სანჯაყებში.

თურქეთის ხელისუფლებამ აჭარაში თანზიმატის განხორციელება აშკარად დაუქვემდებარა ამ კუთხის სრული კოლონიზაციისა და ინკორპორაციის მიზნებს და მიაღწია, განსაკუთრებით XIX საუკუნეში, იურთლუქისა და ოჯაქლიკის მიწების რაოდენობის მკვეთრად შემცირებას. ავტორის მტკიცებით, ამ დროისთვის გაქრა მულქიეთი — კერძო საკუთრების კატეგორია.

ასეთ მიმე პირობებში საკვირვლად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ქართული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ეკონომიური მოვლენები. სახელდობრ, ზემო აჭარაში შენარჩუნებული თემური მფლობელობა, სახნავ-სათეს მიწებზე, რაც მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა თურქულ კანონმდებლობას.

თანზიმატის განხორციელებამ კიდევ უფრო გაამწვავა ეკონომიური და კლასობრივი ურთიერთობანი. სამხედრო ფეოდალების ადგილს იკავებდნენ „ახალი კლასის“ წარმომადგენლები, რომლებიც გამოდიოდნენ მეფახშვთა რაღში. ისინი იღებდნენ მიწას სახელმწიფოსაგან თავისუფლების გადახდის უფლებით და კაბალურ პირობებში იჯარით აძლევდნენ გლეხებს. ნაშრომის ავტორი დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ თანზიმატის შედეგად თურქულმა მიწისმფლობელობამ კიდევ უფრო რეაქციული და ბარბაროსული ხა-

სიათი მიიღო და სრულიად აუტანელი პირობები შეუქმნა აჭარის მოსახლეობას.

თანხიბატი უკმაყოფილო იყვნენ არა მარტო გლეხები, არამედ ქართველი ბეგებიც, რადგან ამ რეფორმების შედეგად ისინი კარგადენენ შემოსავლისა და საკუთრების ერთ ნაწილს. მდგომარეობის გამოსწორება მოსახლეობის არისტოკრატიულმა ფენამ სცადა აჯანყების გზით, მაგრამ როდესაც ეს ცდა მარცხით დამთავრდა, ზოგიერთმა ბეგმა ძალის მავიერ ხერხს მიმართა. ისინი თავიანთი საგამგეო მიწა-წყლის ერთ ნაწილს სწირავდნენ მაჰმადიანურ ეკლესიებს, აარსებდნენ მედრესეებს და ამრიგად ინარჩუნებდნენ თავიანთ ძველ გავლენას და შეწირული მიწა-წყლის შემოსავლის ნაწილს.

მოტანილი მასალების საფუძველზე სარეცენზიო ნაშრომის ავტორი სწორად ასკვნის, რომ ქართველი ბეგების ასეთი მოქმედება ზიანს აყენებდა სამხრეთ საქართველოს, კერძოდ აჭარის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ერთიანი საქართველოსათვის ბრძოლას.

ა. ავალიანის საერთოდ კარგად დაწერილ გამოკვლევას მთელ რიგ ღირსებებთან ერთად გააჩნია ზოგიერთი ნაკლიც.

ავტორის აზრით, თურქული მიწათმფლობელობის ნორმები აჭარაში შემოერთების შემდეგ (ე. ი. 1878 წლიდან — ვ. ს.) ათი წლის მანძილზე არსებობდა (გვ. 8). მაგრამ ისტორიულ ლიტერატურაში უპეკ გარკვეულია, რომ მისი არსებობა ამა თუ იმ ფორმით არ შეწყვეტილა თვით XX საუკუნის დამდეგსაც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცარიზმი სრულიად არ ერიდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის სულიერ განწყობილებას, როგორც ამას ავტორი ფიქრობს (გვ. 8). სწორედ ცარიზმი მოსახლეობის ყოველმხრივი შევიწროებით ქმნიდა მასობრივი მუჰაჯირობის პირობებს. მანვე ე. წ. ერაზი მირიეს მიწები და მუჰაჯირთა მიწები სახელმწიფოს საკუთრებად აქცია. 1884 წელს იმპერატორ ალექსანდრე მესამის ხელმოწერით გამოქვეყნდა კანონი, რომლის მიხედვით ბათუმის ოლქის მცხოვრებლებს ეკრძალებოდათ მიწაზე კერძო საკუთრების უფლება, თუ ბატონყმობის გუჯარი არ ექნებოდათ, ასეთი გუჯარი კი აჭარაში მაშინ თითქმის არავის არ ჰქონდა.

ამგვარად, ცარიზმმა გარკვეული მოსაზრებით ძალაში დატოვა თურქული კანონები, რასაც მტკიცედ იცავდა მრავალრიცხოვანი პოლიციური

აპარატი. როგორც ჩანს, ავტორს მხედველობიდან გამორჩა ეს მოვლენები და წერს: „რუსეთის ოფიციალური პოლიტიკა თურქული საწყისების აღმოფხვრას და შემოერთებული პროვინციების საერთო საიმპერიო პრინციპებზე მოწყობას ესწრაფოდა“. მკვლევარი ამ შემთხვევაში ეყრდნობა ისტორიკოს ს. ესაძის ფრიად მცდარ მოსაზრებას და ზოგიერთი მოხელის მოხსენებას, რომლებსაც მეცნიერული საფუძველი არ გააჩნიათ.

ავტორს ბეჯითი მუშაობა გაუწევია საარქივო მასალების შესასწავლად, მაგრამ რატომღაც უყურადღებოდ დაუტოვებია პოლკოვნიკ ერისთავის ხელმოწერით დაცული დოკუმენტები, რომლებიც მრავალ საკითხზე იძლევიან საყურადღებო მასალას.

ავტორი გვაწვდის ცნობას, რომ ვ. ი. ლენინს ლონდონში ბრიტანეთის მუზეუმში მუშაობისას ყურადღება მიუქცევია იმ ფაქტისათვის, რომ მუზეუმში ინახება უღრესად საინტერესო მასალა ქ. ბათუმის შესახებ (გვ. 25). საჭირო იყო ამ საყურადღებო მასალაზე მკითხველს მიეცემოდა დასაყრდენი ლიტერატურის ზუსტი მისამართი.

უდავოა, რომ თავისი გამოკვლევით ა. ავალიანმა საფუძვლიანად შეარყია ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ აჭარაში თურქთა ბატონობის დროს ძირითადად შენარჩუნებული იყო ქართული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი მოვლენები, მაგრამ მაინც ნადრეგად და გადაჭარბებულად მიგვაჩნია იმის კატეგორიული განცხადება, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული ეს მოსაზრება თითქოს „ყოველგვარ საბუთთანობას იყოს მოკლებული“ (გვ. 52).

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ აჭარაში სავაყუფო მიწები შედარებით მცირე იყო, ვიდრე საკუთრივ თურქეთში, მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი ამ მოვლენას დეკლარაციულად ხსნის (გვ. 104) და არ ემყარება დამაჯერებელ არგუმენტებს.

ასეთი და ზოგი სხვა ნაკლის მიუხედავად, ა. ავალიანის დასახელებული ნაშრომი მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევაა და, მასშალადამე, წინგადადგმული ნაბიჯია თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში.

3. სიჭინავა,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

წიგნი აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესახებ

საქართველოს მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის სრულყოფილად შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეულ

რაიონებში რევოლუციური მოძრაობის ამსახველ წიგნებსა და ნარკვევებს. ამ მხრივ საყურადღებოა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდა-

ტის პარმენ ცეკვიტარის ნაშრომი „აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები“, რომელიც აჭარის სახელგამაჴამოსა. წიგნის პირველ თავში გაშუქებულია სოციალურ-ეკონომიური საკითხები: თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო განვითარება და მუშათა კლასის შექმნა, სოფლის მეურნეობის მდგომარეობა აჭარაში, აჭარის მშრომელების ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის დამდეგს და სხვ.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს რუსეთთან საქართველოს შეერთების უდიდეს პროგრესულ მნიშვნელობას და იძლევა ბათუმისა და მთელი აჭარის ეკონომიური განვითარების სწორ ანალიზს.

მეორე თავში — აჭარის მშრომელთა ბრძოლა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ რუსეთის პირველი რევოლუციის წინ ვრცლად არის გაშუქებული მუშათა სტიქიურ-ეკონომიური მოძრაობა 90-იან წლებში, ბრძოლა ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნისათვის ბათუმში, გაფიცვები და დემონსტრაციები 1902 წელს, რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა 1903 წელს; რევოლუციური მოძრაობა აჭარაში 1904 წელს.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის რევოლუციური მოძრაობის დახასიათებისათვის ავტორი იყენებს მდიდარ მასალას და სწორად აშუქებს ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნასა და რევოლუციური მოძრაობის განვითარებას.

სარეცენზიო ნაშრომის მესამე თავი მიძღვნილია რევოლუციური მოძრაობისადმი აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის დროს (1905-1907 წ. წ.). აქ კარგადაა წარმოდგენილი სახალხო რევოლუციის დასაწყისი და მისი გამოძახილი აჭარაში, რევოლუციური მოძრაობა 1905 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში, ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ენერგიული მუშაობა და მისი კავშირი ოდესის, სევასტოპოლის, ნოვოროსიისკის, სოჭისა და სხვა პარტიულ კომიტეტებთან. მდიდარი ფაქტიური მასალის მიმარჯვებით ახასიათებს ავტორი ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვებს, გვიჩვენებს ბათუმის საგაფიცვო კომიტეტის საქმიანობას, რომელიც მუშათა დეპუტატების საბჭოს როლს ასრულებდა. შესანიშნავ-

დაა დახასიათებული შეიარაღებული აჯანყება ბათუმში და რსდმპ ბათუმის კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციის მოღვაწეობა. საინტერესო ცნობებია მოცემული იმის შესახებ, თუ როგორ აფასებდნენ ვ. ი. ლენინი და მისი თანამებრძოლნი ბათუმისა და გურიის რევოლუციურ მოძრაობას.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ დიწყო რევოლუციის უკანდახვევა. გაძლიერდა რებრესია და რეაქცია. მეფის თვითმპყრობელობა განსაკუთრებით ღვენიდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. დაპატიმრება და გადასახლება მასობრივი ხასიათი მიიღო. მსგავსი მოვლენები განვითარდა საქართველოშიც, კერძოდ აჭარაში. ყველა ეს საკითხი განხილულია სარეცენზიო წიგნის მეოთხე თავში.

ნაშრომის უკანასკნელ თავში ავტორი აშუქებს რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას აჭარაში (1910-1914 წ. წ.). მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული არქივის მასალების საფუძველზე იგი დამაჯერებლად გვიჩვენებს ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საქმიანობას რევოლუციური აღმავლობის პერიოდში. საინტერესო ცნობებია წარმოდგენილი ბათუმის ბოლშევიკების ბრძოლაზე როგორც მეწვევი-ლიკვიდატორების, ისე ანარქისტების წინააღმდეგ, დახასიათებულია ამ პერიოდის მუშათა საგაფიცვო მოძრაობა ბათუმსა და მის ოლქში.

ნაშრომს აქვს ნაკლები საჭირო იყო წიგნს დართოდა გაქვეყნებული ლიტერატურისა და სხვა მასალების მიმოხილვა, აგრეთვე სახელთა საძიებელი. ჩვენი აზრით, შეიძლებოდა სოციალურ-ეკონომიური მიმოხილვის შემცირება. ბოლოსდაბოლოს, ნაშრომი მიზნად ხომ არ ისახავს აჭარის ეკონომიური ისტორიის შესწავლას?! წიგნის ამ ნაწილის შემცირების ხარჯზე შეიძლებოდა სხვა უფრო საინტერესო საკითხების გაღრმავება, კერძოდ, რეაქციის პერიოდის უფრო სრულყოფილად წარმოდგენა. საჭირო იყო უფრო ვრცლად განხილვა ისეთი საკითხებისა, როგორცაა ბოლშევიკების ბრძოლა ლიკვიდატორების წინააღმდეგ, ბოლშევიკების ლიტერატურული ბიუროს ხელმძღვანელობითი როლი და სხვ. წიგნში აქა-იქ გვხვდება კორექტირული შეცდომები, რომელთა თავიდან აცილება შეიძლებოდა.

დოც. ნ. ჩახვაშვილი.

ვაჭრობის ისტორიის დრმა უმსწავლისათვის

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ყველა ეტაპზე პარტია და მთავრობა მუდამ განსაკუთრებულ ყურადღე-

ბას უთმობდნენ და უთმობენ საბჭოთა ვაჭრობის განვითარებას, რადგან მას ცოტა მნიშვნელობა როდი აქვს ეკონომიური ცხოვრების ორ-

განზებულად წარმართვაში. ამიტომ თავისთავად ცხადია, თუ რაოდენ სასარგებლოა ვაჭრობის ისტორიის შესწავლა, მისი როლისა და მნიშვნელობის ჩვენება. ამ დიდ საქმეში თავისი წვლილი შეაქვს ვ. გორგილაძის ნაშრომს „საბჭოთა ვაჭრობის დამკვიდრება და განვითარება აჭარის ასს რესპუბლიკაში“.

სარეცენზიო ნაშრომის ძირითადი თემის განხილვამდე ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ვაჭრობის მთავარ საკითხებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და უნარიანად იყენებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების სახელმძღვანელო დებულებებს, რუს, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა და მოგზაურთა ცნობებსა და ნაშრომებს. საინტერესო ისტორიული წყაროების მოშველიებით, იგი ცხადყოფს, რომ თურქი დამპყრობლების მიერ აჭარის მიტაცებამდე მწარმოებლური ძალები აქ იმდენად განვითარებული იყო, რომ ამ კუთხვს შეეძლო გამოეყვება იმდროინდელ მოსახლეობაზე ოთხსუთჯერ მეტი. მაგრამ თურქთა ბატონობის დროს აჭარის ეკონომიკა ძლიერ დაქვეითდა და ვაჭრობაც დაეცა.

1878 წელს დიდი რუსი ხალხის დახმარებით აჭარა, როგორც ცნობილია, კვლავ შეუერთდა საქართველოს და რუსეთის მფარველობაში შევიდა. ამ ფაქტმა დადებითად იმოქმედა ვაჭრობის განვითარებაზე. რუსეთის დახმარებით აჭარაშიც დაიწყო კაპიტალისტური წარმოების აღორძინება, ამოქმედდა სავაჭრო კაპიტალი, გაჩნდა „სავაჭრო პროლეტარიატი“.

მენშევიკებისა და უცხოელი ინტერვენტების ბატონობის წლებში აჭარა კონტრაბანდული ვაჭრობის ასპარეზად იქცა. იმდროინდელი პრესის ცნობებით, ბათუმში საქონლის აუტანელი სიძვირე და თავაშვებული სპეკულაცია ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

სარეცენზიო ნაშრომის ძირითადი ნაწილი მიძღვნილია აჭარაში საბჭოთა ვაჭრობის დამკვიდრებისა და განვითარების საკითხებისადმი. ავტორს ამ შემთხვევაში უნარიანად გამოუყენებია ბევრი საინტერესო საარქივო მასალა და სტატისტიკური ცხრილები. წიგნის უთუო ღირსებაა, რომ საბჭოთა ვაჭრობის დამკვიდრებისა და განვითარების მთელი პროცესი მასში განხილულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების განუხრელ აღმავლობასთან მჭიდრო კავშირში. კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ცალობრივი საქონელბრუნვის ფორ-

მებისა და სახეების დინამიკური დახასიათება, თვითეული მათგანის წარმოშობის ისტორია, შემდგომი ზრდა-განვითარების თავისებურებანი და ა. შ.

ნაშრომში თვალსაჩინო ადგილი უკავია აჭარის ასს რესპუბლიკაში საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი განვითარების ამოცანებს მიმდინარე შეიდწლიანი გეგმის უქუქუ. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეიდწლიანი გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების ხანებში დაიწყო ვაჭრობის პროგრესული მეთოდების დანერგვა (თვითმომსახურება, საქონლის ავტომატებით გაცემა, ღია გამოფენით ვაჭრობა და სხვ.), რაც მნიშვნელოვნად აღიდებს შრომის ნაყოფიერებას; აჩქარებს რეალიზაციისა და ზრდის საქონელბრუნვის მოცულობას. უკვე შარშან აჭარაში თვითმომსახურების მეთოდით მუშაობდა ვაჭრობის საპინისტროს სისტემის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა 90,7 პროცენტი. გარდა ამისა, 1957 წლიდან ქ. ბათუმში მუშაობს სამრეწველო და სასურსათო საქონელბრუნვის როგორც უგამყიდველო, ისე ღია გამოფენით მოვაჭრე მალაზიები.

წიგნის დასკვნით ნაწილში გადმოცემულია ზოგიერთი შემაჯამებელი დებულება განხილულ საკითხებზე.

ამ ღირსებებთან ერთად სარეცენზიო ნაშრომს, ჩვენი აზრით, აქვს ზოგიერთი ნაკლოვანებაც. მართალია, მასში დიდი ადგილი უკავია საბჭოთა ვაჭრობის დამკვიდრებისა და შემდგომი განვითარების საკითხებს, მაგრამ გამოკვეთილად არ ჩანს საბჭოთა ვაჭრობის განვითარების სპეციფიკური თავისებურებანი აჭარაში.

სასურველი იყო ავტორს უფრო ღრმად გაეშუქებინა პარტიისა და მთავრობის მიერ საბჭოთა ვაჭრობის დამკვიდრება-განვითარების მიზნით განხორციელებული უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი.

ავტორი ზოგჯერ არ მიუთითებს წყაროს. გვხვდება განმეორებებიც. გარდა ამისა, ნაშრომი გადატვირთულია სტატისტიკური ცხრილებით. ჩვენი აზრით, შეიძლებოდა სხვა ციფრობრივ მონაცემებთან ერთად ცხრილების გამარტივება-დახვეწა.

დასასრულ, გაკვირვებას იწვევს წიგნის არაჩვეულებრივად დიდი ტირაჟი (ოცი ათასზე მეტი!).

კ. ელიზბარაშვილი.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VIII, 60 წ., საბეჭდი 6 (პირობითი 8), საგამომცემლო
7 თაბახი. შეკვეთის № 4869, ემ 00667, ქალაქის ზომა 70X108, ტირაჟი 2000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Батумская типо-литография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Батуми, ул. Люксембург, 22.

ფანო 4 225.

6. 54/205


წარმომადგენელი
ბიბლიოთეკა

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„ლიტერატურული აჭარა“
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ